კვირის პალიტრა

გზა

N27 (265) 7/VII.-13/VII.2005. ფასი 60 თ.

1168
2005

ბედისწერა — ჩანჩქერზე აღმართული სახლის საიდუმლოებანი

გზავნილები — ვუიდი ცოლს გიჟურ იდეებთან ერთ-ა-ა-ა-დ!

ანუ „ზმეიკით“ დაწყებული სექსუალური რევოლუცია

როცა მეორე ცოლის კანდიდატურას პირველი არჩევს

მალე! — ლუბა ელიაშვილის ახალი დეტექტივი: მანიაკის ძღვენი

უნტერვიუ ძიუდოისტის ძიუდოისტ ცოლთან

მსოფლიო ჩემპიონი, „ვილაც ჯღანა“, საამაყო მამა... და კრიმინალი?!

ანსამბლ „გვირილის“ ახალი აღმოჩენა — სალომე აფსიაური

№14 (100) 7.VII.-20.VII.05

ოჯახის მეუღლეები

საშეოდიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ერიდეთ მზეს

ვიზიტი ანგიოლოგთან

ვენებიც ლაჯვარდებები

საჭიროა თუ არა დასჯა

ასკარიდოზი

თქვენი ეულნაღლი ოჯახი

გაბუდადებული თემები

მეცხოვრებელ ვაგინიზმი

მთავარი თემა: სტომატოლოგიური პრობლემები

გლომერულონეფრიტი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

კვირის პალიტრა
ვზა
№27 (265)
7 - 13 ივლისი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ოპოზიცია გამოძახებით ანუ „დარტყმა, ისევ დარტყმა და ისევ – ჰაია!..“ 3
ერთი კითხვა 4
ჭრელი მსოფლიო 5, 6
სამართალი
მსოფლიო ჩემპიონი, „ვიღაც ჯღანა“, საამაყო მამა... და კრიმინალი?!. 7
ბახუსი
ჩაინიკას იმპროვიზებული სადღეგრძელოები: „ქალებს თან ვაქებ და თან ვკენწლავ...“ 9
პოზიცია
სასაგზვრო ზოლში მიწების გაყიდვით სამშობლოს დავკარგავთ თუ მხოლოდ „ვარსკვლავურ ომს“ წავაგებთ?! 10
კრიმინალი
- 29 წლის ქალს მკვლელობისთვის ასამართლებენ 12
- „ორი წელია, ვამტკიცებთ, რომ ისინი ყაჩაღები არ ყოფილან“ 14

ჩემი თაობა
„არ ვაკრიტიკებ აღზრდის ასეთ სტრატეგიას“... და იმეილი მტრედს სჯობია 16
ტესტი
ერთგული მკითხველი 17
გზავნილები
ვყიდი ცოლს იდეებთან ერთად ანუ „ზმეიკით“ დაწყებული სექსუალური რევოლუცია 18
სცენა
„ოპერობიდან“ – ოპერამდე, პოდიუმის გავლით... 22
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ზოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
დასვენება
წყნარი სიტუაცია... აუცილებლად მღინარის პირას 24
თემა
ცოლები და ექსცოლები ანუ როცა მეორე ცოლის კანდიდატურას პირველი არჩევს 26
შოუბიზნესი
ანსამბლ „ზვირილის“ ახალი აღმოჩენა – სალომე აფციაური 29
ჯანმრთელობა
- ზემოვნებაზე ზოგჯერ დავაც სასარგებლოა! 30
- ლუდი და ჰემოროი 30
- რა განაპირობებს წამლის ეფექტს? 31

ცოლები და ექსცოლები

„ყოფილი ცოლისგან მამაკაცი ელის შეფასებას, ხოლო მომავალი ცოლისგან მოითხოვს, რომ მან თავი მოაწონოს „დედას“... მეორე მიზეზი, რომ ასეთი ნაცნობობა შედგეს, გახლავთ ის, რომ უჩვენოს ყოფილ ცოლს – შეხედე, როგორი ლამაზი და ჭკვიანი ქალია ჩემ გვერდითო!“

26

მსოფლიო ჩემპიონი, „ვიღაც ჯღანა“, საამაყო მამა... და კრიმინალი?!.

„დარბევა არაფრით არ უნდა მომხდარიყო. ამ ფაქტს არ ვამართლებ და ვთვლი, რომ ასე მოქცევა არასწორი იყო. სიმართლე გითხრათ, იქ მე ვერავინ ვიცანი. მისი ახლო მეგობრები იქ არ ყოფილან.

მინდა აღვნიშნო, რომ მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსები გამოჩნდნენ, მოჭიდავეები იქ აღარ გაჩერებულან. მერე უკვე იქ სულ სხვა რაღაც ხდებოდა.“

7

„არ ვაკრიტიკებ აღზრდის ასეთ სტრატეგიას“... და იმეილი მტრედს სჯობია



რატი ამაღლობელი საკუთარ თაობას საბჭოური სიზმრებიდან გამომავალ თაობას უწოდებს: „ჩვენ სიზმარსა და ცხადს შორის მყოფი თაობა ვართ. დღემდე ვცდილობთ, სიზმრებიდან გამოვიდეთ და რეალური ცხოვრებით ვიცხოვროთ.“ პრობლემად მიაჩნია ის, რომ თაობები „სწორად“ ვერ ბერდებიან. ამაზეც და საკუთარ სიბერეზეც რატი თურმე ძალიან ბევრს ფიქრობს.

16

„კონცერტზე სიმღერა – „ანგელოზი და ბავშვი“ – მას ძივუძღვენი...“



„ერთხელ დავაპირე, სერენადები მემღერა შეყვარებულის ფანჯრებთან, მაგრამ „გამიტყდა“... ჩემმა ძმაკაცმა რომ მთხოვოს – წამყევი, ჩემი შეყვარებულის სახლის წინ სერენადები ვიმღეროთო, – საიმოვნებით გავყვები. აი, ჩემს შეყვარებულს კი ფანჯრებთან ვერასდროს ვუმღერებ.“

56

მოდა

საქორწილო კაბა, ბოტასები და ჭრელაჭრელა სამოსი, არასტანდარტული ბაბარიტების ქალებისთვის... 32

ტაძარი

რა ძალა და მნიშვნელობა აქვს ურთიერთმიტევებას? 34

ფესვები

თავადაზნაურთა გენები, დაქსაქსული ბატონიშვილები და საქველმოქმედო აქცია მთიან რეგიონებში 35

ასპარეზი

ოტო რეჰაგელმა სულაქველიძეს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა 37

ავტო 41

რომანი

მიხეილ იაშვილი. მაქცია (დასასრული) 42

ვარსკვლავი

ყველასგან განსხვავებული ავრილ ლავინი 46

ბომონდი 47

ბედისწერა

ჩანჩქერზე აღმართული სახლის საიდუმლოებანი 49

ფავორიტები 54

პირველი პაემანი

გურამ ლომიძე: „კონცერტზე სიმღერა – „ანგელოზი და ბავშვი“ – მას მივუძღვენი...“ 56

ჰოროსკოპი

კვირის (7-13 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

გელით თუ არა წარმატება? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ჩაინიკას იმპროვიზებული სადღეგრძელოები

კობა ბარათელი ადრე თუ 8 ლიტრ ღვინოს სვამდა, ახლა ინდივიდუალურად მკურნალობს და ამდენის დალევას ველარ რისკავს. ექიმებმა მოაგყვეს – შაქარი გაქვსო და სმა აუკრძალეს. მაგრამ კობას მოგყვება მხოლოდ ერთი თვის მანძილზე მოასერხეს. ბოლოს, მაინც მიუხვდა გყეულს და ისევ გაუსინჯა გემო მონატრებულ სასმელს.

9

ყველასგან განსხვავებული ავრილ ლავინი



გოგონას მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფნა სურდა და ამას სულ მალე მიაღწია კიდეც, როდესაც თანამედროვე როკმუსიკის ყველაზე დაუოკებელი ბავშვის ტიტული მოიპოვა. ავრილ ლავინის რჩეული პანკ-გუფ Sun 41-ის ვოკალისტი, 25 წლის დერეკ უიბლია, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ ავრილს ხელი სთხოვა.

46

ოტო რეჰაგელმა სულაქველიძეს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა

„მე და რამაზ შენგელიას „წერეთლის“ მეტროსთან ახლოს მდებარე კორპუსში, ერთმანეთის მეზობლად მოგვცეს ბინები. იქ უკვე რემონტი გვქონდა დაწყებული, როცა როსტოვში ადგილობრივ ასკ-სთან 2:5 წავაგეთ. თბილისში დაბრუნებულებს, ბინის კარებზე ლუქები დაგვხვდა და ჩვენ-ჩვენს სახლებში აღარ გვიშვებდნენ“.

54

მაქცია

მიხეილ იაშვილი

იმავ წამს დარბაზში წარმოუდგენელი ხმური აყყდა. რამდენიმე, რას რიშავ სისულელეაო და მაგაკი რამეები მომახალა. ორთქლის გამოშვება დავაცალე და ვთქვი:

– კარგად მესმის თქვენი. მართლაც ძნელია წარმოიდგინო, რომ ერთი შესედვით ასეთი უმწიკვლო რეპუტაციის ადამიანი, სინამდვილეში მკვლელების ორგანიზაციის თავკაცია...

42

ოპოზიცია გამოძახებით

ანუ „დარეკეს, ისევ დარეკეს და ისევ – ჭია!..”

ამ ხელისუფლების ყველაფერი მომწონს-მეთქი, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი, მარა ვერც იმას დავიჟინებ, ოპოზიციის არაფერი მომწონს-მეთქი...

მოკლედ, რაც ალხანა, ის ჩალხანაო – ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე თუ უთქვამთ სწორედ. დაუგროვდება ხალხს სასაყვედურო მთავრობის მისამართით და ის-ისაა, უნდა ამოთქვას, რომ ეს ჩვენი ოპოზიცია ისეთ რაღაცას „დაახეთქებს“, რომ ვინ ოხერს დასცდება ხელისუფლების აუგი?! – იმათ ისევ ესენი გვირჩევნიაო, – და ჩუმდებიან...

მე მგონი, ესენი ერთი გუნდია სუყველა, მხოლოდ სახელები ჰქვიათ სხვადასხვა, თორემ, ღვიძლი ძმა არ გცემს ისეთ პატივს, ოპოზიცია რომ საკუთარი მოქმედებით რეკლამას უწევს მთავრობას. აი, მაგალითად: დედაქალაქის მერმა კვირაში ერთი დღით მოინდომა რუსთაველის გამზირის გადაკეტვა და ისიც ხალხის სეირნობისა და გართობის მიზნით, მაგრამ ამას საზოგადოების დიდი ნაწილის ისეთი პროტესტი მოჰყვა, რომ საცოდავმა ბიჭმა იფიქრა, ენა გამხმობოდა და ამ თემაზე სიტყვაც არ დამეძრაო...

მოკლედ, ეს გენიალური პროექტი განუხორციელებლობისთვის იყო განწირული, რომ მხსნელად ისევ ის ოპოზიცია მოევლინა, დღედაღამ რომ მერს ლანძღავს: გამოვიდა რუსთაველზე რამდენიმე უკმაყოფილო სპორტსმენი, მაგრამ ვინ აცალა რამის თქმა?! იქვე გაჩნდნენ ოპოზიციური პარტიების ლიდერები და მთელი დღეები ტვინი ბურღეს – ეს მეორე 9 აპრილია და სასწრაფოდ რევოლუციაა საჭიროო... ხალხმაც, რა თქმა უნდა, სწორი გადაწყვეტილება მიიღო: – ოღონდ ამათი მიტინგებით ნუ გადაიკეტება რუსთაველი და ჭიაბერაშვილმა კვირაობით კი არა, თუ უნდა, ყოველდღე გადაკეტოსო...

ჰოდა, დასეირნობენ ახლა კმაყოფილი თბილისელები გადაკეტილ პროსპექტზე და ყველას ხელისუფლების ქება-დიდება აკერია პირზე. აბა, მეტი რა გზაა?! საკმარისია, ძმაკაცს რაიმე ცუდი გადაუჩურჩულო, რომ მარცხნივ ლეიბორისტები ამოგიდგებიან, მარჯვნივ – „მემარჯვენეები“ და შენს უბრალო უკმაყოფილებას რევოლუციურ მოწოდებად აქცევენ; რა თქმა უნდა, „სპეცნაზიც“ იქვე გაჩნდება, ისინი კი უშველიან თავს და შენ ორთაჭალის „სასტუმროს ლუქსში“ ამოყოფ თავს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის. არ ჰქვია ახლა ამას მთავრობისა და ოპოზიციის ჰარმონიული მოქმედება?!

ხელისუფლება ქვეყნის მართვაზე ზრუნავს, როგორც შეუძლია, ოპოზიცია კი – ხალხის გართობაზე. აბა, მარტო ბავშვებისთვის უნდა არსებობდეს დაბადების დღეების ცენტრები, სადაც მიკი მაუსი და ბასტიბუბუ ართობენ პატარებს?! დიდებსაც ხომ გვინდა მხიარული იუბილეების მოწყობა?! ამიტომ საკმარისია, აკრიბო ნებისმიერი ოპოზიციური პარტიის ოფისის ნომერი და დარბაზსაც დაგითმობენ, ტრიბუნასაც, პრესკონფერენციასაც მოგიწყობენ და ისეთ რამეებს მოგიყვებიან ამ მთავრობაზე, რომ შენცა და შენი სტუმრებიც სიცილით ცუდად გახდებით. თანაც, ეს ყველაფერი – უფასოდ... „რატომაც არა?!“

ხოლო თუ ოჯახში აწყობ სუფრას, არსებობს სპეციალური სერვისიც – „ოპოზიცია გამოძახებით“. მოვლენ, გაგამხნევებენ, გეტყვიან, რომ ოროთახიან „ხრუშჩოვკაში“ ცხოვრება ადამიანის უფლებათა შელახვაა; რომ შენი ზედა მეზობელი „ნაციონალია“ და იმიტომ უშვებს წყალს; რომ შენს იუბილეზე, კონსტიტუციით, პრეზიდენტი უნდა მოსულიყო, მაგრამ სად სცალია, ბატონო, უცხოეთშია; მერე ანეკდოტებსაც მოგიყვებიან საკუთარი საარჩევნო პროგრამიდან და ისეთ შოუს მოგიწყობენ, რომ მთელი ცხოვრება გემახსოვრება...

P.S. *სატელეფონო ზარი სადღესასწაულო ცენტრის ოფისში:*

– ბავშვის დაბადების დღისთვის რა სერვისს შემომთავაზებთ?

– გააჩნია, რამდენი წლის გახდა და რა უყვარს...

– 7 წლის ხდება და ამბობს, ჯამბაზები და „ფოკუსნიკები“ მინდაო..

– ო, მაშინ გირჩევთ, „ამა და ამ“ ნომერზე დარეკოთ და დავითი, შალვა, ლევანი, ბაჩუკი ან ასლანი... უჰ, ბოდიში, შემეშალა! (ეგ გასტროლებზეა წასული) იკითხოთ...

პროვოკატორი

შესაძლოა, მოწმე, ბრალდებულად წარმოგვიდგეს...

— შემუშავებული კანონ-პროექტი იძლევა თუ არა იმის გარანტიას, რომ ე.წ. „კანონიერი ქურდების“ და „მაყურებლების“ სტატუსით, დაინტერესების შემთხვევაში, არაკრიმინალური მენტალიტეტის ადამიანებსაც გაასამართლებენ?

ნინო კალანდაძე, *იურიდიული კომიტეტი:*

— „კანონიერი ქურდებისა“ და „მაყურებლებისთვის“ წარდგენილი ბრალის დამტკიცება იოლი არ იქნება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ამ სტატუსის მქონე პირები შესაძლებელია უშუალოდ არ მონაწილეობდნენ გამოძალვაში, ძარცვაში, ყაჩაღობაში ან სხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებაში. ამ კანონპროექტის მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოვავლინოთ წრე, რომელიც კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანებისგან შედგება და არა პირდაპირ, არამედ ირიბად მონაწილეობენ უმძიმესი დანაშაულების ორგანიზებაში. გამოძიება ძირითადად, „მოწმის ინსტიტუტს“ დაეყრდნობა, შეეჯამდება მოპოვებული ინფორმაცია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, დადასტურებულია თუ არა ამა თუ იმ პირის ბრალეულობა. ეს კანონი მიმართული იქნება კრიმინალური მისწრაფებების მქონე ადამიანების წინააღმდეგ, უბანში, ქალაქში, რაიონში ყველამ იცის, თუ ვინ განეკუთვნება ამ კატეგორიას, ამიტომ მსგავსი ბრალდებით რიგითი ადამიანების დაპატიმრება გამორიცხულია. ■

პატივისცემა – იძულების წესით

— სასამართლოს მიმართ პატივისცემის აღდგენის მიზნით, კანონში ცვლილებები შედის. სასჯელის გამკაცრება ნდობის აღდგენასაც შეუწყობს ხელს?

კობა დავითაშვილი, *კონსერვატიული პარტია:*

— სასამართლო დარბაზში ცემატყეპასა და სავარძლების დამტვრევას სათანადო შეფასება უნდა მიეცეს. შესაძლებელია, გამკაცრდეს ადმინისტრაციული სასჯელი ან ფულადი ჯარიმა დაწესდეს. მაგრამ კანონში ცვლილებების შეტანა არ უნდა იყოს ინკვიზიციური ხასიათის. სასამართლოს მიმართ პატივისცემის აღდგენა კანონის გამკაცრებით წარმოუდგენელია, თუ მისი დამოუკიდებლობის ხარისხი არ ამაღლდება. როცა განსასჯელმა ან დაზარალებულმა იცის, რომ მოსამართლე ვიღაცის შეკვეთას ასრულებს და თავად არის კანონის დამღვევი, ძნელია, მის მიმართ პატივისცემის გამოხატვა. ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებითაც ცდილობს მოსახლეობის დაშინებას, ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან ძალადობის შეჩერებაზე კი ფიქრიც არ უნდა. ■

გვაროვნული დაპირისპირება დუისში

— დუისში განხორციელებული სპეცოპერაციის შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა გვარებს შორის მოსალოდნელ შურისძიებაზე ალაპარაკდა. რამდენად რეალურია ეს საფრთხე?

ვზარაფ ხანგოშვილი, *დუისის გამგებელი:*

— სპეცოპერაციის შემდეგ, პანკისის ხეობაში სიმშვიდეა. სამართალდამცავები სიტუაციას აკონტროლებენ, თუმცა, ქისტური ტრადიციიდან გამომდინარე, გვარებს შორის შურისძიების რეალური საშიშროება არსებობს. სპეცოპერაციისას ლიკვიდირებულ ავთანდილ გუმაშვილს სოფელში კარგი ავტორიტეტი ჰქონდა, ამიტომ ცდილობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები სამართალდამცავების შეჩერებას. სპეცოპერაციის ფორმამ მათი სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. გამორიცხული არ არის, რომ გუმაშვილის მოგვარეები, რომლებმაც იციან, რომ აწ გარდაცვლილს, მარგოშვილმა ცოლი გაუუპატიურა და მისი ოჯახის ღირსება შელახა, შეეცდებიან, შური იძიონ გუმაშვილის მტერზე, მით უმეტეს, რომ სპეცოპერაციის დროს განხორციელებულ შტურმს ძებნილის ნათესავი და მისი მოგვარეც შეეწირა. ქისტური ტრადიცია ასეთ ფაქტებს შურისძიებით უპირისპირდება... ■

„თვითმმართველობის იგნორირება ხელისუფლების დიდი შეცდომაა“

— თუ ევროპის ქვეყნებში მერის არაპირდაპირი წესით არჩევა ქალაქს პრობლემას არ უქმნის, ჩვენთან რატომ გახდა ეს საკითხი მწვავე დაპირისპირების მიზეზი?

რამაზ კლიმიაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, მერი პირდაპირი წესით უნდა ავირჩიოთ. საერთოდ, საკრებულოს მიერ მერის არჩევა დემოკრატიულ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში, სადაც არჩევის მაგივრად, პრეზიდენტის ხელდასხმულ კანდიდატებს ნიშნავენ, სადაც ერთპარტიული მმართველობა და დიქტატურის დამყარების მცდელობაც შეინიშნება, არაპირდაპირი არჩევნები უნდა გამოირიცხოს. ბევრ ქვეყანაში არათუ მერის, არამედ პრეზიდენტის არჩევაც კი ხდება პარლამენტის მიერ და ეს ნორმალური პროცედურაა მათთვის. ახლა წარმოიდგინეთ, ამ პრაქტიკის საქართველოში დანერგვა რომ მოინდომონ. ჩვენი საკანონმდებლო ორგანო ხომ პაპუასების თავყრილობად გადააქციეს. ახლა მათ მიერ არჩეული პრეზიდენტი როგორი იქნება, წარმოიდგინეთ... ძლიერი თვითმმართველობის იგნორირება ხელისუფლების ერთ-ერთი დიდი შეცდომაა. ■

ვინ დაიცავს კოდორს?

— „მონადირის“ გაუქმება, ოქრუაშვილსა და ალასანიას შორის სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდა, დარჩა თუ არა დაუცველი კოდორის ხეობა ამ შენაერთის გარეშე?

ირაკლი სესიაშვილი, *სამხედრო ექსპერტი:*

— ალასანიას სურვილი, გახდეს თავდაცვის მინისტრი, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. ხელისუფლებაში არიან პირები, რომლებიც მის ინტერესებს ლობირებენ, ამიტომ ალასანიასა და ოქრუაშვილის ინტერესები „მონადირემდე“ გაცილებით ადრე გადაიკვეთა.

რაც შეეხება თვით სამხედრო შენაერთს, „მონადირე“, როგორც საშტატო ერთეული, შედიოდა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, შესაბამისად, მინისტრს უფლება ჰქონდა, ბრძანებით გაეუქმებინა ეს საშტატო ერთეული. მაგრამ თუ ალასანია მიიჩნევს, რომ ეს შენაერთი უნდა არსებობდეს, გამოსავლის პოვნა შესაძლებელია — ალასანიამ ეს დაჯგუფება უნდა შეიყვანოს აფხაზეთის შსს-ს დაქვემდებარებაში, არა როგორც „მონადირე“, არამედ როგორც აფხაზეთის შსს-ს ერთ-ერთი შენაერთი. ჩემი აზრით, მსგავსი საკითხები საჯარო დისკუსიის საგანი არ უნდა ხდებოდეს. თუ „მონადირის“ წევრები კრიმინალურ ქმედებებში არიან მხილებული, მომხდარს უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება, ისე, რომ კოდორის ხეობის უსაფრთხოება და ამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის დაცვა რისკის ქვეშ არ დადგეს. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005

„ვატიკანის რადიო“ — საპატიმროში

ცოტა ხნის წინ, რომის კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური რადიოსადგურის ხელმძღვანელობას მიუსაჯეს ათდღიანი პატიმრობა, სასჯელის მოხდის გადავადებით. გარდა ამისა, კარდინალ რობერტო ტუჩისა და მღვდელ პასკუალე ბორგომეოს დაეკისრათ მოსარჩლეთა სასარგებლოდ კომენსაციისა და სასამართლო ხარჯების გადახდაც. ამ კომპენსაციის თანხამ, რომელსაც ცოტა ხანში სამოქალაქო საარბიტრაჟო ორგანო დაადგენს, შესაძლოა, რამდენიმე მილიონ ევროსაც მიაღწიოს. საქმე კი ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს, რომის ჩრდილოეთი მხარის უბნის — ჩეზანოს მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ექსპერტებს, დაედგინათ მათ ტერიტორიაზე ონკოლოგიური დაავადების გახშირების მიზეზი. სპეციალისტების დასკვნით, კიბოს გავრცელება „ვატიკანის რადიოს“ გადამცემთა მაგნიტური ველებით ყოფილა გამოწვეული, რომელთა სიმძლავრე მნიშვნელოვნად აღემატება ადამიანის ჯანმრთელობისთვის დასაშვებ ნორმას.

2002 წელს, შესაბამისი მასალები სასამართლოს გადაეცა. მაგრამ მაშინ ვატიკანმა მოახერხა სასამართლო გამოძიების შეჩერება იმის საფუძველზე, რომ აღნიშნული გადამცემები სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზეა განლაგებული, რის გამოც არ ექვემდებარება იტალიური სასამართლოს იურისდიქციას. შემდგომ ეკოლოგებმა გააპროტესტეს ეს გადაწყვეტილება. განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შედეგად, მოსამართლეებმა რადიოს მესვეურთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოიტანეს.

„ვიმედოვნებ, რომ ამ ანძებს მოაშორებენ ჩვენი ტერიტორიიდან და ბოლოს და ბოლოს, მშვიდად ცხოვრების საშუალება მოგვეცემა“, — თქვა ჟურნალისტებთან საუბრისას ჩეზანოს მცხოვრებთა ასოციაციის თავკაცმა რაფაელე კაპონემ. მაგრამ სრულიად საპირისპიროდაა განწყობილი „ვატიკანის რადიოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მამა ფედერიკო ლომბარდი. ის სასამართლოში აპელაციის შეტანას აპირებს და ირწმუნება, რომ აღნიშნული გადამცემები შეესაბამება საერთაშორისო ნორმებსა და ხელშეკრულებას იტალიასა და ვატიკანს შორის. ■

30-მეტრიანი წიგნი

სწორედ ასეთია ახალი ფორმის წიგნი, რომელიც ცოტა ხნის წინ, იაპონიაში გამოუშვეს. ნაშრომი, რომლის სახელწოდებაა – „როგორ უნდა შექმნა საკუთარი თავი“ – ტუალეტის ქაღალდის რულონზეა დასტამბული და მასში ერთი და იგივე ტექსტი რამდენჯერმე მეორდება, როგორც ფირმის მესვეურებმა აღნიშნეს – მისი უკეთ ათვისების მიზნით. ამ გამოცემის ერთ-ერთი ყველაზე თვალში საცემი ღირსება, მისი ფასის სიმცირეა – წიგნი სულ 3 დოლარი ღირს. მსგავსი ფოლიანტის შეძენის სურვილი იაპონიის სხვადასხვა ქალაქის 30-მდე წიგნის მაღაზიის

მესვეურმა გამოთქვა. უახლოეს მომავალში, გამომცემლობა რულონებზე დასტამბული წიგნების მთელი სერიის გამოშვებას აპირებს. იმ ავტორებს, რომლებიც საკუთარი ნაწარმოებების ამ სახით ხილვას ისურვებენ, 3 ათას ნიშნამდე მათი შემცირება მოუწევთ. ■

ევროპა აშშ-სა და იაპონიას დაედევნება...

ევროკავშირის ქვეყნები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისთვის 70 მლრდ ევროს გამოყოფას აპირებენ, რაც ამ სფეროს ბიუჯეტს ერთი მესამედით გაზრდის. ევროკომისიის ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ დაფინანსების გაზრდის შედეგად, „ბებერი“ კონტინენტი ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის დაწევას შეძლებს. ევროკავშირს დაგეგმილი აქვს, 2010 წლისთვის, მეცნიერებას მთლიანი შიდაპროდუქტის 3% მოახმაროს; ამჟამად ეს მაჩვენებელი 1,93%-ს შეადგენს. იმ პროექტებს შორის, რომლებიც ევროკომისიამ პრიორიტეტულად გამოაცხადა, მალარიასა და ტუბერკულოზთან ბრძოლა, კლიმატში მომხდარი ცვლილებების, თავის ტვინისა და ადამიანის დაბერებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლაა. ■

უნივერსიტეტის ოპტიმიზირება შეერთებას გულისხმობს?..

— არსებული ინფორმაციით, განათლების სამინისტრო ახალი ინიციატივით გამოდის და უცხო ენების უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთების გეგმაზე მუშაობს...

რუსუდან ლორთქიფანიძე, *უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი:*

– ეს მოსაზრება რამდენიმე ხნის წინ გამოითქვა. ინიციატორთა აზრით, სახელმწიფოსთვის უმჯობესია, არსებობდეს დიდი უნივერსიტეტი, რომელიც რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციას შეითავსებს. ამ თემაზე სამუშაოდ სპეციალური კომისიაც ჩამოყალიბდა, რომლის წევრებიც ყოველკვირეულად იკრიბებიან, მათ შორის არის ჩვენი წარმომადგენელიც. თუმცა, ჩემი აზრით, ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნაადრევია. ■

„სატენდერო კომისია საპაკაშვილის ნათესავებს ლობირებს“

— ქვეყნის საპრივატიზაციო პოლიტიკა, კვლავ იქცა ხელისუფლების კრიტიკის საფუძვლად. თქვენი აზრით, გადამწყვეტ მომენტში რატომ გარბიან უცხოელი ინვესტორები?

დავით ბერძენიშვილი, *პარლამენტის წევრი:*

– აეროპორტის ტენდერთან დაკავშირებით ოპოზიციამ სამთავრობო საათის დანიშვნა მოითხოვა და ლექსო ალექსიშვილის ბუნდოვანი პასუხების გამო, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენა. მაგრამ ჩვენს შეშფოთებას რეაგირება არ მოჰყოლია. დღეს კიდევ ერთხელ დასტურდება, პრივატიზაციის პროცესისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ სატენდერო კომისია პრეზიდენტის ნათესავების ფინანსურ ინტერესებს ლობირებდა. როგორც ჩანს, არაფორმალური გარიგებები ჩიხში მოექცა და ამ გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებებში ცვლილებები ხდება. აეროპორტის მშენებლობის პროექტი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა. ■

„არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რუსეთი“

— რუსეთის სათათბიროს ვიცესპიკერის, ლუბოვ სლისკას აგრესიული განცხადებების მიუხედავად, ეუთომ აფხაზეთის საკითხზე სპეციალური რეზოლუცია მიიღო. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისკენ მოწოდება კვლავ მხოლოდ ქაღალდზე დარჩება?

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*

– რუსეთის სათათბიროს ვიცესპიკერის შეურაცხმყოფელი გამოსვლა ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი კომფორტულად მხოლოდ იმ ქვეყნის წარმომადგენლებთან გრძნობს თავს, რომლებსაც რუსეთის ეშინიათ. ისინი დიპლომატიური რევერანსებით საქართველოს გამო თავს არ შეიწუხებენ. ამიტომ ქართულმა მხარემაც უნდა გაითვალისწინოს ეს და გამომწვევი განცხადებებით ხელჩართულ ბრძოლაში არ უნდა გადაეშვას. ჩვენ არ ვიცით, რეალურად რა გადაწყვეტილებას მიიღებს რუსეთი, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატიის გამარჯვების არავის სჯერა. ეუთოს რეზოლუცია, რომელშიც დამატებითი პუნქტი ქართული მხარის მოთხოვნით შევიდა, თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა ამით აფხაზეთს არავინ დაგვიბრუნებს. ჩვენ უნდა მივყვეთ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს, ქართული ოფიციალური წრეების გადამეტებული სითამამე კი სრულიად უადგილოა. ■

სოლიდური სპორტული მიღწევების მქონე, 30 წლის ძიუდოისტ გიორგი რევაზიშვილს სპორტის მოყვარულები აქამდეც კარგად იცნობდნენ. 1998 წელს ის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. იმავე წელს, საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენთა შორის მეხუთე გახლდათ. ბოლო პერიოდში კი ის ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი.

მსოფლიო ჩემპიონი, „ვილაც ჯღანა“, საამაყო მამა... და კრიმინალი?!

„იმედი მაქვს, ჰომ სამართლიანობა გაიმარჯვებს“, – ამბობს გიორგი რევაზიშვილის მეუღლე

ნათია თენიეშვილი

ხმაურიანი დაპატიმრების, სკანდალური სასამართლო სხდომისა და რუსთაველის პროსპექტზე განვითარებული მოვლენების შემდეგ, მისი მეტსახელი მთელ საქართველოს ეკერა პირზე, მათ შორის – ხელისუფლების წარმომადგენლებს. გიორგის უფროს შვილს, 12 წლის ვანოს ზუსტად ახსოვს, თუ რომელმა დეპუტატმა და თანამდებობის პირმა უწოდა მისთვის საამაყო მამას, კრიმინალი და თვალებგაფართოებული მიყვება, თუ როგორ გაება გიორგი ამ გაუგებრობაში, თან ამატებს – აი, ნახავთ, ყველაფერი გაირკვევა, სიმართლე დადგინდება და მამა მალე დაბრუნდებაო... გიორგი რევაზიშვილს ჰყავს მეუღლე – ირმა მელიქიშვილი და ორი შვილი 12 წლის ვანო და 3 წლის გიორგი. ვანო ჭიდაობაზე დადის და ვარჯიშობს, გიორგი კი ჯერ პატარაა და მხოლოდ შეჯიბრებების ცქერით კმაყოფილდება.

ჯღანა, გიორგი რევაზიშვილის მამის მეტსახელია. ძიუდოისტს ბავშვობაში, ჯღანას ბიჭს ეძახდნენ. მერე, მამის მეტსახელი მასზეც გადმოვიდა, ახლა კი ასე, მის ორივე შვილს ეძახიან...

ირმა მელიქიშვილი:

– ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებს რომ იგებდა, პრესაშიც ამ მეტსახელით მოიხსენიებდნენ. ჯღანას სახელობის ტურნირებსაც ატარებდნენ და ა.შ. ახლა კი აღმოჩნდა, რომ თურმე, „ვიღაც ჯღანა“ ყოფილა... უბრალოდ, იმაზე მწყდება გული, რომ ამას ჩემი შვილები უყურებენ და ეს ყველაფერი ესმით. გიორგიმ ბევრჯერ ასახელა თავისი სამშობლო და ააყენა ჩვენი ჰიმნი საზღვარგარეთ. იგი მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად იბრძოდა ამ სახელისათვის. გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, მას კი პირდაპირ კრიმინალს უწოდებენ. ისეთი რამეები მესმის ჩემს ქმარზე ტელეეკრანიდან, რომ გაოცებული ვარ... გიორგი საგარეჯოში დაიბადა და იქვე გაიზარდა. ვარჯიში 8 წლის ასაკიდან დაიწყო. საგარეჯომ ბევრი სახელოვანი მოჭიდავე აღზარდა და მისი არჩევანიც ალბათ ამით იყო განპირობებული.

— მის მშობლებს სპორტთან შეხება არ ჰქონიათ?

– სერიოზული არა. გიორგის მამა ცოტა ხანი ვარჯიშობდა ჭიდაობაში, ოღონდ – მოყვარულის დონეზე. ბიძა კი – დევა რევაზიშვილი პროფესიონალი მოჭიდავე იყო. ის საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი გახლდათ. ლევან თედიაშვილის დროს ჭიდაობდა.

— პირველ წარმატებას სპორტში გიორგიმ როდის მიაღწია?

– წარმატებებს ბავშვობიდან აღწევდა. სახლში გვაქვს სიგელი, სადაც აღნიშნულია, რომ გიორგი გახდა საქართველოს ჩემპიონი 26 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მაშინ ალბათ, 10 წლის იყო. ამის შემდეგაც, თანმიმდევრობით, რა ტურნირებშიც მონაწილეობდა, ყველგან აღწევდა შედეგს. სერიოზულ წარმატებას კი პირველად 15 წლის ასაკში მიაღწია და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. 1993 წელს, 18 წლის ასაკში, მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ამის შემდეგაც, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე უამრავჯერ აქვს დაკავებული საპრიზო ადგილი.

— ტელევიზიით ითქვა, რომ მას სპორტისთვის უკვე დანებებული აქვს თავი.

– არა, ეს ასე არ არის. შარშან საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. გიორგი გუნდში იყო, 73 კგ წონით კატეგორიაში იჭიდავა.

— თბილისში საცხოვრებლად როდის გადმოვიდა?

– თბილისში საცხოვრებლად მაშინ გადმოვიდა, ოჯახი ერევანში ცხოვრობდა. ბავშვობიდან ბევრ ადგილზე ვცხოვრობ. ბევრ ადგილზე ვარ ნამყოფი. ბევრ ადგილზე ვარ ნამყოფი. ბევრ ადგილზე ვარ ნამყოფი

მოვიდა, როცა საქართველოს ნაკრებში პირველ ნომრად აიყვანეს. მერე, 1992 წელს, ოჯახიც შევქმენით.

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— მეც სპორტსმენი ვიყავი, ძიუდოისტი და ერთმანეთი სავარჯიშო დარბაზში გავიცანით.

— თქვენ როგორლა მოხვდით სპორტის ამ სახეობაში?

— მაშინ ქალთა ნაკრები არსებობდა. მამამ გაიგო ამის შესახებ. ერთად მივედით, ვნახეთ, რატომღაც მოეწონა და ვარჯიში დავიწყე.

— თქვენც გაქვთ მიღწევები?

— რაც მოვასწარი, სერიოზული მიღწევა ის არის, რომ ახალგაზრდებს შორის საბჭოთა კავშირის მესამე პრიზიორი ვიყავი. მოგებული მაქვს საერთაშორისო ტურნირებიც.

— სპორტს რატომ დაანებეთ თავი? ეს გიორგის მოთხოვნა იყო?

— არა, მისი მოთხოვნა არ ყოფილა. უბრალოდ, ოჯახი, შვილი და სპორტი ერთად, ქალისთვის ძალიან რთულია, შეუძლებელი რამ არის, ამიტომაც დავანებე თავი.

— გიორგის დაკავების ამბავი როგორ შეიტყვეთ?

— მე და ბავშვები ქალაქგარეთ ვიყავით წასული. თვითონ ნაკრების ვარჯიშებზე იმყოფებოდა, ვიცოდი, რომ იქ იყო. მისი დაკავება ტელევიზორში ვნახე შემთხვევით. აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა...

— იორდანოვს თუ იცნობდით?

— არა, არც ვიცნობდი და არც არასდროს მსმენია მის შესახებ რაიმე.

— როგორც თქვენ ამბობთ, გიორგი უდანაშაულოა. მაშინ, როგორ ფიქრობთ — რატომ მოხდა მისი დაკავება, ვის აძლევდა ეს ხელს?

— არ ვიცი, რატომ მოხდა და ვის აძლევდა ხელს. იმედი მაქვს, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს. დღეს იქნება თუ ხვალ, სიმართლე გაირკვევა და დასასჯელი დაისჯება.

— დაკავების შემდეგ, გიორგის ნახვა ხომ ვერ მოახერხეთ?

— არა, სასამართლოში ვიყავი, მაგრამ მასთან ლაპარაკის საშუალება არ მომეცა.

— როგორც სამართალდამცავები ამბობენ, გიორგი, კალატოზას ახლო მეგობარია. თქვენ თუ იცნობთ მას?

— ჩემი ქმარი ტიტულოვანი მოჭიდავეა. მას ძალიან ბევრი ადამიანი იცნობს, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში, რადგან მას თავისი სიტყვა ნათქვამი აქვს სპორტში. მე ჩემი ქმრის ყველა ძმაკაცს და ახლო მეგობარს ვიცნობ.

ჯღანა — მამის მეტსახელი მასზე გადმოვიდა, ახლა კი ასე, მის ორივე შვილს ეძახიან...

ტელევიზიით გავიგე პირველად, რომ თურმე, კალატოზა მისი ახლო მეგობარია.

— ტარიელ ონიანიც ახსენეს...

— სასაცილოა, დაუჯერებელია...

— იქნებ თქვენ არ იცით და კალატოზა მართლა იყო თქვენი მეუღლის ახლობელი?..

— არ არსებობს. მე და გიორგი მეგობრებიც ვართ. ერთმანეთთან დამალული არაფერი გვქონია. მისი მეგობრები ჩემი მეგობრებიც არიან და ჩვენთან სახლში ხშირად იკრიბებიან. არასდროს, გიორგისგან კალატოზას სახელიც კი არ მსმენია. რაიმე ურთიერთობა ჰქონოდათ და ეს მე არ მცოდნოდა — წარმოუდგენელია.

— გიორგის მეგობრები რას ამბობენ, რას მიაწერენ მის დაპატიმრებას მაშინ, როდესაც ხელისუფლება სპორტზე ზრუნვას ერთ-ერთ პრიორიტეტად აცხადებს?

— გაოგნებულები არიან და მათაც ჩვენსავით სიმართლის გარკვევის იმედი აქვთ.

— სასამართლო დარბაზში მომხდარ დარბევაში გიორგის მეგობრებიც ხომ არ მონაწილეობდნენ?

— დარბევა არაფრით არ უნდა მომხდარიყო. ამ ფაქტს არ ვამართლებ და ვთვლი, რომ ასე მოქცევა არასწორი იყო. სიმართლე გითხრათ, იქ მე ვერავინ ვიცანი. მისი ახლო მეგობრები იქ არ ყოფილან.

— როცა რუსთაველზე გზა გადაკეტეს, იქ იმყოფებოდით?

— არა. ამ ყველაფერს ტელევიზორში ვუყურებდი და საშინელ დღეში ჩავვარდი, ძალიან იმოქმედა. მინდა აღვნიშნო, რომ მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსები გამოჩნდნენ, მოჭიდავეები იქ აღარ გაჩერებულან. მერე უკვე იქ სულ სხვა რაღაც ხდებოდა...

— იმ ოპოზიციური პარტიების ლიდერებს, ვინც რუსთაველზე იმ სალამოს გამოჩნდნენ, რომელიმეს პირადად თუ იცნობთ?

— არა, არც ერთს არ ვიცნობ, არანაირი კავშირი მათთან არ მაქვს.

— როგორ ფიქრობთ — როცა ყველაფერი გაირკვევა, სიმართლეც დადგინდება და გიორგის უდანაშაულობაც, როგორ მოიქცევა თვითონ? ხომ არ განაწყენდება ხელისუფლებაზე და საქართველოს ხომ არ დატოვებს?

— ბოროტი არ არის, ყველას და ყველაფრის გაგება და პატიება შეუძლია. ვითარება და მდგომარეობა უჩვენებს, როგორ უნდა მოიქცეს. არა მგონია, აგრესია გამოხატოს. მას საზღვარგარეთიდან ბევრი შემოთავაზება ჰქონდა, ძალიან კარგი პირობებით, მაგრამ არასდროს უფიქრია აქედან წასვლაზე. საკლუბო შეჯიბრებაზე ხანდახან ჭიდაობდა სხვა ქვეყნის სახელით, მაგრამ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ ნაკრებშიც ყოველთვის საქართველოს სახელით გამოდიოდა... ■

საკლუბო შეჯიბრებაზე ხანდახან ჭიდაობდა სხვა ქვეყნის სახელით, მაგრამ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ ნაკრებშიც ყოველთვის საქართველოს სახელით გამოდიოდა...

„შაბათის შოუს“ ყველაზე მძიმეწონიანი მონაწილე კობა ბარათელი (იგივე ჩაინიკა) ადრე თუ 8 ლიტრ ღვინოს სვამდა, ახლა ინდივიდუალურად მკურნალობს და ამდენის დალევას ველარ რისკავს. ექიმებმა მოატყუეს — შაქარი გაქვსო და სმა აუკრძალეს. მაგრამ კობას მოტყუება მხოლოდ ერთი თვის მანძილზე მოახერხეს. ბოლოს, მაინც მიუხვდა ტყუილს და ისევ გაუსინჯა გემო მონატრებულ სასმელს.

ჩაინიკას მეჯრიფეზეზული ცხელებრძალება

„ქალებს თან ვაქებ და თან ვაკენწლავ...“

ნინო ჯავახიშვილი

— სიცოცხლე ძალიან მიყვარს, მაგრამ ღვინოც ძალიან მიყვარს, რა ვქნა?!. ყოველდღე ხომ აღარ ვსვამ! ორ კვირაში ან კვირაში ერთხელ მიწევს დალევა. რაც ტელევიზიაში ვმუშაობ, დასალევად ისედაც ველარ ვიცლი. სულ მობილიზებული უნდა ვიყო და აბა, ნასვამი როგორ ვიმუშავებ?!.

— მაინც რამდენი ლიტრი ღვინო დაგილევიათ?

— ღვინო 8 ლიტრზე მეტი არ დამილევია, მაგრამ ლუდი კი მაქვს დალეული 13 ლიტრამდე. მაშინ უფრო ახალგაზრდა და ამტანი ვიყავი. გაგონილი მქონდა, რომ ერთმა ჩემმა ნაცნობმა 23 კათხა ლუდი დალია. მე როგორ ვერ დავლევ-მეთქი?! — ვიფიქრე და დავლიე კიდეც. ბაბუაჩემი ტანმორჩილი კაცი ყოფილა, მაგრამ თურმე, 12 ლიტრ ღვინოს სვამდა. მე ვტრაბახობდი ხოლმე — ბაბუაჩემი ამდენს სვამდა და მე როგორ ვერ დავლევ-მეთქი?! ამიტომაც სასმელს ვიპარავდი — მეტს ვსვამდი და მალე ვთვრებოდი.

— პირველი დათრობა თუ გახსოვთ?

— მაშინ მესამე კლასში ვიყავი. მშობლები შინ არ იყვნენ. ჩემმა ბიძაშვილებმა ამით ისარგებლეს და სმა დაიწყეს. მეც შემომთავაზეს, ესეც რომ დალევს, აღარ ჩაგვიშვებსო, — იფიქრეს. იმდენს კი ველარ მიხვდნენ, რომ როცა ნასვამებს გვნახავდნენ, მაინც ჩაშვებულები ვიქნებოდით?! 2 თუ 3 ჭიქა დავლიე, მაგრამ ისე დავთვერი, ბებიაჩემი ბაბუაჩემად მელანდებოდა... ამის შემდეგ, მერვე კლასში ვიყავი, რომ დავლიე, თანაც საფუძვლიანად — უფროსებთან ერთად მივუჯექი სუფრას და მეც მათნაირად ვსვი. ისე ცუდად გავხდი, მეორე დღეს არაფერი მახსოვდა. ამის გამო ძალიან გამიწყრნენ მშობლები.

— განსხვავებული სასმისებით დალევა გიყვართ?

— ერთხელ, დიდი ვეტერინარული შპრიცით დავლიეთ მე და ჩემა მეგობრებმა. ყავის ელექტრო მადუღარითაც ვსვამ ხოლმე, ოღონდ — როცა ჩართულია, მაშინ. იცით, რატომ? რამე რომ მომივიდეს, სიდედრს დაბრალებენ.

— რატომ? სიდედრი არ გიყვართ?

— არა, რას ამბობთ?!. ჩემი სიდედრი ძალიან მიყვარს და გული მწყდება, ერთი რომ მყავს...

— როცა მთვრალი ბრუნდებით შინ, თქვენი სიდედრი არ ბრაზობს?

— რომელი სიდედრი არ ბრაზობს მთვრალი სიძის დანახვაზე, ერთი მითხარით?.. ჩემს სიმთვრალეზე 3 ქალი ბრაზობს ხოლმე — დედა, მეუღლე და სიდედრი. იმიტომ კი არა, რომ ცუდი სიმთვრალე მაქვს — იმიტომ, რომ ჩემს ვჯანმრთელობას უფრთხილდებიან.

— გინდათ თქვათ, რომ ადრე, როცა ნასვამი ბრუნდებოდით შინ, მეუღლეს უხაროდა?..

— როდესაც ნინო გავიცანი, იმ სუფრაზე თვითონ ითამადა და სხვათა შორის, ყველა ბიჭი დაათრო, ჩემ გარდა. აი, მაშინ ვთქვი — ეს გოგო ოჯახში გამომადგება-მეთქი. ხომ მქონდა გაგონილი, ცოლები როგორ ეჩხუბებოდნენ ქმრებს — რატომ დალიეო?! — ვიფიქრე — თვითონ ასე სვამს და მე ხომ არ დამიწყებს ჩხუბს-მეთქი! მოვტყუვდი — მერე და მერე, შეეცვალა ხასიათი. ისე, ზოგჯერ ახლაც სვამს და „ლაითად“ მირევს... ხუმრობასთან მწყრალად არის და ის რომ მეკაიფება, მეც ვკაიფობ ხოლმე. ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის — შენ ნინო „გამარაგებს“ ხუმრობებითო. ერთხელ მკითხა — „ბაბნიკი“ რას ნიშნავსო? — რას ნიშნავს და ქალების მოყვარულ კაცს-მეთქი. — რატომ? — „ბაბას“ ხომ რუსები ქალს ეძახიან და ქალების მოყვარულ კაცებს რატომ „დედნიკებს“ არ ეძახიანო?..

— ნასვამს როგორი ხასიათი გაქვთ?

— ოჯახის წევრების შეწუხება მჩვევია, ლაპარაკით, მოფერებით... დაგვანებე თავიო! — მეჩხუბებიან ხოლმე. სიმთვრალეში არასდროს მიჩხუბია.

— თამადობა მოგწონთ?

— ვცდილობ, თავი ავარიდო, ამიტომაც იშვიათად ვარ თამადის ამპლუაში. ისე, უმორისტული სტილის თამადა ვარ — ღვინის დალევას არავის ვაძალებ, ოღონდ, ყველას ვთხოვ — ჭიქაში არაფერი ჩატოვოთ-მეთქი..

— რომელი სადღეგრძელოს თქმა გიყვართ?

— მანდილოსნების. თანაც ვცდილობ, იმპროვიზებულად ვთქვა — თან ვაქო და თან — გავკენწლო. ერთხელ ქუთაისში მთავრობის ხალხთან ერთად ვქეიფობდი. სადღეგრძელოს თქმა ისე დავიწყე, ქალებს თვალებზე ცრემლები მოადგათ, მაგრამ მერე... აი, ასეთი სადღეგრძელო ვთქვი: ერთი კაცი სათევზაოდ წავიდა და 4 თევზი დაიჭირა. გზაში იფიქრა: ეს ერთი თევზი — მე, ერთი — დედაჩემს, ორიც — შვილებს, ჩემს ცოლს აღარ რჩება; ეს რა ვქენი, ცოლისთვის როგორ არ გავითვალისწინეო; მიბრუნდა უკან, კიდევ ერთ თევზს დავიჭერო, მაგრამ მერე, გადაიფიქრა — უჰ, ერთი მაგისიცო, — თქვა და უკან გატრიალდა; იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც ასე არასდროს იფიქრებს და არასდროს მოიქცევა-მეთქი!.. მანდილოსნებს ასე ვადღეგრძელებ ხოლმე — გაგიმარჯოთ, თქვენ ხართ, რაც ხართ, თქვენგან მოდის ყველაფერი — დედაბოძი, დედასამშობლო, დედაენა, დედაქალაქი. მამაზე მარტო „მამაძაღლს“ თუ ამბობენ — ამ დროს ქალები ძალიან ბედნიერი სახეებით მისმენენ ხოლმე. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ქვეყანა მამაზეციერმა შექმნა... ასეთი, ტკბილ-მწარე სადღეგრძელოები მიყვარს...

■

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108



18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

სასაზღვრო ზოლში მიწების გაყიდვით საშობლოს დავკარგავთ

თუ მხოლოდ „ვარსკვლავურ ომს“ წავაგებთ?..

პარლამენტის მიერ მიღებულ იმ კანონებს შორის, რომლებმაც მწვავე დისკუსია გამოიწვია, არის კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ“. მის სისრულეში მოსაყვანად კანონმდებელთა ერთი — მესამე მოსმენაღაა საჭირო“. „პოზიციის“ მაფხიზლებელი ოპოზიცია ვარაუდობს, რომ მიწების გასხვისების ოპერაცია ანტიქართული ძალების დაკვეთაა. ის საზღვრების შემცირებას, გადამთიელთა ხელში მიწების გადაცემას და მეტიც — XIX საუკუნეში, რის ვაი-ვაგლახით გადავარდნილი ბატონყმობის აღდგენას ემსახურება. აბა, ოპოზიცია რისი ოპოზიციაა, თუკი ხელისუფლების ყველა დამთქნარებაზე ტაშს დაუკრავს?! აი, ხელისუფლებას კი ყველაფერი სხვაგვარად წარმოუდგენია. ახარებს, რომ მიწათმოქმედების ქვეყანაში მიწას, ბოლოს და ბოლოს, პატრონი გამოუჩნდება, სოფლის მეურნეობაც აღორძინდება და ყველაფერი გენიალურად იქნება.

ამ ურთიერთსაპირისპირო შეხედულებების უკეთ გასაცნობად ორივე მხარის წარმომადგენელს შევხვდით. პირველად, სიტყვას ოპოზიციის წარმომადგენელს, მოძრაობის — „წინ, საქართველო“ — ერთ-ერთ ლიდერს, თეიმურაზ შაშიაშვილს ვაძლევთ:

ნანა ფიცხელაური

— უპირველესად მივესალმები თქვენს ჟურნალს და ვინც ამ წერილს წაიკითხავს, ყველას ვეკითხები — ისეთი გეოგრაფიული მდებარეობისა და სოციალური მდგომარეობის ქვეყანას, როგორიც საქართველოა, განა აქვს უფლება, არ ჰქონდეს უშიშროების კონცეფცია, სასურსათო კონცეფცია და ისე მიიღოს გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო მიწების სრულად გაყიდვის შესახებ?!. „ურა-პატრიოტიზმმა“ დაღუპა ქვეყანა, ახლა კი კოსმოპოლიტიზმი ღუპავს. ხელისუფალნი ილიას პორტრეტის ფონზე დგანან და სოროსის იდეებს ქადაგებენ. ჩვენ კანონის მიღებას არ ვეწინააღმდეგებით, მაგრამ ჯერ შევისწავლოთ ჩვენი მეფეების და წინაპრების, ასევე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება, ვეთათბიროთ იმ ადამიანებს, ვისი ოფლითაც არის მიწა გაჟღენთილი — გლეხობას და ვკითხოთ აზრი მეცნიერებს. ჩვენ ერთი სამწუხარო რამ გვჭირს, ხომ გაგიგონიათ, თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასაო. დავით აღმაშენებელმა და ჩვენმა წინაპრებმა სოფლად დაამკვიდრეს ისეთი პრინციპი, რომელიც დღეს ყველა წარმატებული ქვეყნის იდეოლოგიად არის აღიარებული. დავითი 4-ჯერ ნაკლებ გადასახადს ახდევინებდა მას, ვინც მიწას კარგად ამუშავებდა და კარგ მოსავალს იღებდა. პატივს მივაგებ ამერიკას, მაგრამ იქ გახლდით და ვერაფერი ისეთი ვერ ვნახე, რაც ჩვენი წინაპრებისთვის უცხო იყო. „მოქკავშირმა“ თავის დროზე, ქართული სოფელი საბაჟო პოლიტიკით დაღუპა. მათ გაგვამათხოვრეს ჩვენც და გლეხებიც, მიწა გაუფასურეს და გადასახადები გააუქმეს. ქართველ კაცს მიწასთან ურთიერთობა ხელოვნებად ჰქონდა ქცეული, მაგრამ ამათ არც ქართული იციან, არც საქართველოს ისტორია და არც ქართული ცნობიერება აქვთ. უნდათ, რაც შეიძლება მალე შევიდეთ ევროკავშირში. სხვები იქიდან გამორბიან, ჩვენ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება იმისათვის, რომ არ მივვიღონ ნატოსა და ევროკავშირში...

1-ელი ივლისიდან საქართველოში მინიმალური ხელფასი 250 ლარის ფარგლებში უნდა იყოს. დღეს ამაზე არავინ საუბრობს...

— ევროკავშირზე რატომლა უნდა ვთქვათ უარი?

— იმიტომ, რომ იქ არასწორი, უთვისტომო და კოსმოპოლიტური პოლიტიკა აირჩიეს. საქართველო ისეთი მდებარეობის ქვეყანაა, ყველას ინტერესებშია მოქცეული. მიმაჩნია, რომ ამ კანონით საქართველოში ბატონყმობა აღდგება. აზრი მაინც ჰკითხონ იმ გლეხობას, ვისაც ოჯარით აქვთ აღებული ჰექტარობით მიწა, — აძლევთ ხელს ბატონის გამოჩენა? მიწის საკითხი პრინციპული საკითხია. განა ერთ ხელისუფლებას აქვს უფლება, მიწის ზემოთ თუ ქვემოთ ყველაფერი გაყიდოს!

ამერიკელებმა როცა მიწა გასცეს, 5 წლის ვადა მისცეს — როცა დავრწმუნდებით, რომ სერიოზული მეპატრონე ხარ და რაღაცას აწარმოებ, მერე ვიფიქრებთ — მოგყიდოთ თუ არაო. აქ კი შეუსწავლელ და გამოფიტულ მიწას იძლევიან — კადასტრი არ არის ჩატარებული. აქედან გამომდინარე, ერთი შეიძლება დააქციო, მეორე — გაამდიდრო. როცა კაცი 30 ათას ჰექტარს იყიდის და თან კანონში არ გიწერია, სხვა ქვეყნის მოქალაქეს რომ არ მიჰყიდი — ამ მხრივ შეზღუდვა არ არის, — მიწის მეპატრონე რომ გახდები, ვისაც გინდა, იმას მიჰყიდი. დღეს პრეზიდენტის პროგრამა არსებობს, გლეხმა არ იცის, არც განვითარების კონცეფცია აქვს ქვეყანას. მინდა იცოდეთ, რომ 1-ელი ივლისიდან საქართველოში მინიმალური ხელფასი 250 ლარის ფარგლებში უნდა იყოს. დღეს ამაზე არავინ საუბრობს, არადა, ეს კანონში უწერიათ და აღარ ახსოვთ. ხალხის დამშვევის პროგრამა ქვეყნის გარეთ დაიწერა, რადგან დაბეჩავებული ხალხის მართვა იოლია.

— თქვენც მიგაჩნიათ, რომ მუხლი სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებით, საქართველოს საზღვრების გადმოწევას გულისხმობს?

— საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, დაიკარგება. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს — 5 მეტრით მეტი იქნება საზღვარი თუ — ნაკლები.

საშიში უფრო ის არის, რომ ეს მიწები სავარაუდოდ, აღმოჩნდება გაქართველებული უცხოტომელების ხელში, რომლებითაც სავსეა საქართველოს ხელისუფლება.

— წელან ამერიკა ახსენეთ. იქ თუ ითვალისწინებს კანონი უცხოელზე მიწის გაყიდვას?

— ამერიკამ ყველაფერი ჭკვიანურად გააკეთა: სხვადასხვა შტატში მიწის გაყიდვა სხვადასხვაგვარად ხდება. სადაც მიწის დეფიციტია, იქ მიწის გასხვისება წარმოუდგენელია. განა ჩვენ არ უნდა დავუშვათ გაყიდვა? მაგრამ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მთლიანად არ გაიყიდოს სასოფლო-სამეურნეო მიწა. გლეხს ისე უჭირს, რომ თავის გადასარჩენად კუთვნილ 1 ჰა-ს „კაპიკებში" გაყიდის და საკუთარ მიწაზე ყმა გახდება. ვიღაც ბობოლა ბატონი კი აქ, ქალაქში დაჯდება და ფეხს ფეხზე გადაიდებს. დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, ერთ ფულიან უცხოელს შეუძლია საქართველოში ფირმა დაარეგისტრიროს და შესაძლებელია, ერთი პიროვნების ხელში მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწები აღმოჩნდეს. სააკაშვილი ვისაც ფულის ტომრებს ეძახდა, მათთან მეგობრობს და საეჭვო რეპუტაციის ხალხს აწინაურებს. დღეს მიწები ყოფილი ან დღევანდელი ხელისუფლების ხელშია. 10 და 20 ჰა არ წყვეტს საკითხს. აქ ლაპარაკია ათასობით ჰექტარზე. ხომ არ შეიძლება, უხმოდ ვასრულებდეთ გლობალისტური ძალების მოთხოვნებს?! ჩვენ არ გვინდა, ჩაკეტილი ქვეყანა ვიყოთ, მაგრამ ზოგადკაცობრიულად უნდა ვაზროვნებდეთ. ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა არ ეწინააღმდეგება არც ზოგადკაცობრიულს და არც პლანეტარულს.

— როგორც ჩანს, ოპოზიციამ გაიმარჯვა — კანონის მიღების პროცესი შეჩერდა.

— ესენი თამაშობენ. კანონს მაინც გაიტანენ, ტექნიკურად ხელსაყრელ მომენტს ეძებენ და ისე ჩუმად დამტკიცებენ, ვერც გავიგებთ, ამას სულ 10 წუთი სჭირდება. გინდაც დაამტკიცონ, არ მოვეშვებით — მოვითხოვთ, პრეზიდენტმა ვეტო დაადოს. მათთვის უარესი, თუ ამ კანონს მიიღებენ. გარწმუნებთ, საკონსტიტუციო სასამართლოში ვიჩივლებთ. თუ იქაც არაფერი გამოგვივა, მოსახლეობას დავარწმუნებთ, ის კი გამოვა და ამ ხელისუფლებას რევოლუციას მოუწყობს. თუმცა, ჩვენ რევოლუცია არ გვჭირდება. ხალხის აზროვნებაში ესენი უკვე ჩამოგდებულები არიან. არა მარტო მიწის, ისეთი უკუღმართი კანონების მიღება ხდება, ამ ყველაფერზე თვალის დახუჭვა, ღალატი იქნება.

გიორგი ხევიაშვილი, *პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ბატონო გიორგი, რატომ გადაიდო ორი მოსმენით მიღებული მიწის კანონის დამტკიცება? ან იქნება, საერთოდ აღარ გავა?..

— კანონის მიღების პროცესი ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო. ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მოთხოვნა იყო, რომ კანონი უშიშროების საბჭოს სხდომაზე განხილულიყო. არანაირი საშიშროება არ არის, რომ არ გავა. ჩვენს სიმართლეს იქაც დავამტკიცებთ და უშიშროების საბჭოს ავუხსნით, რომ ნულოვანი ვარიანტი ჯობს.

— პრობლემას მხოლოდ სასაზღვრო ზოლი წარმოადგენს?



— სასაზღვრო ზოლზე აქამდე პრივატიზაცია არ იყო დაშვებული. მაგრამ იქ ადამიანები ცხოვრობენ და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან, უბრალოდ, ახლა იმაზეა ლაპარაკი, იმ ადამიანებს მიწა კერძო მფლობელობაში ექნებათ თუ იჯარით. იმისათვის, რომ არ დარჩეს გამოუყენებელი მიწები, მივიჩნევთ, რომ მიწა უნდა გასხვისდეს. ხოლო თუ სახელმწიფოს დასჭირდა იქიდან ვთქვათ, ხომალდების გაშვება ან ვარსკვლავურ ომებში ჩაბმა, გამოიყვანს იმ ტერიტორიიდან ადამიანს და თანხას გადაუხდის. საზღვრებს რაც შეეხება, იგივე დარჩება.

— განიხილეთ თუ არა მიწის კანონპროექტი საჯაროდ? ჰკითხეთ თუ არა რჩევა სპეციალისტებს და გლეხებს?

— რას ნიშნავს საჯარო განხილვა? ინფორმაცია არის ინტერნეტში, მასმედიაში, 5 საკომიტეტო სხდომა ჩავატარეთ, პირველ და მეორე მოსმენას შორის ვადა 2 კვირაა, მაგრამ კოლეგებს შევუთანხმდით, რომ ეს პერიოდი ერთი თვე გაგრძელებულიყო. ავედით კახეთში, ქუთაისში... ფერმერებიც ჩამოვიდნენ ჩვენთან. ნეტავ, მანახვა უკმაყოფილო გლეხი! პირიქით, ხალხი ითხოვდა — რაც შეიძლება მალე გაიტანეთ ეს კანონიო. სულ რაღაც 2-3 ოპოზიციონერია, ვისაც ამ კანონის გაგება არ უნდა.

— არც მთლად 2-3. ოპოზიცია ირწმუნება, რომ ამ კანონით საქართველოს მიწები ძირითადად, არაქართველების ხელში გადავა.

— როგორ გადავა, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწების პირდაპირ მიყიდვა აკრძალულია? საუბედუროდ, ისინი ლაპარაკობენ, მაგრამ კანონს არ იცნობენ. რომ წაეკითხათ, ნახავდნენ, რომ უცხო ქვეყნის სუბიექტი ვერ შემოვა და მიწას ვერ იყიდის. თანაც, ნურავის ჰგონია, აქ ვინმე უცხოელი, კისრისტეხით გამოიქცევა — თქვენი ჭირიმე, ქართული მიწა მაყიდვინეთო!..

— ვინც მიწას არ ამუშავებს, ალბათ, ჩამოერთმევა, ხომ?

— ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ იმ მოიჯარეებს, ვინც იქ მუშაობენ. ვინც არ ამუშავებს მიწას, იმათ, რა თქმა უნდა, ჩამოერთმევათ. ძველი აზროვნების ადამიანებს, რომელთა მატარებელმა უკვე ჩაიარა, ხალხი მხარს არ უჭერს. ძალიანაც კარგი. მათ ხალხი შეცდომაში შეჰყავთ. ბატონყმობა მყარდებაო, — ამბობენ. მაშ, კომუნისტური წყობილება აღვადგინოთ? ბატონყმობა კი არა, მიწას პატრონი, მესაკუთრე გამოუჩნდება. ბევრს ცუდი წარმოდგენა აქვს ჩვენს გლეხობაზე, რომელსაც ძალიან უყვარს მიწა და იცის მისი ფასი. ისინი ორ შაურად არ გაყიდიან მიწას. აბა, მიწა უფასო ხომ არ უნდა იყოს!

— მიწა ისევ ხელისუფლებამ არ გააუფასურა? გადასახადი ხომ გაუქმებულია!..

— სახელმწიფო მიწას ფასს ადებს, რომ გაიყიდოს და ბაზარი ჩამოყალიბდეს. გლეხი, რომელსაც 1 ან 2 ჰა აქვს, კრედიტს ვერ აიღებს. როცა მიწა საკუთრებაში ექნება, შეეძლება, ბანკში მისი ჩადებით და დაგირავებით კრედიტი აიღოს და გაჩნდება ბაზარი. მე მაქვს სტატისტიკა, სადაც მითითებულია, რომ ვენახები, მხოლოდ და მხოლოდ, კერძო მიწაზე შენდება. იჯარით გაცემულ მიწებზე არც ვენახია გაშენებული და არც ხეა დარგული. ე.ი. იქ ფული არ არის ჩადებული. რატომ უნდა იფიქროს ადამიანმა — ხვალ მოვლენ და წამართმევენო?! კანონში გარკვევით წერია, რომ სოფლის საკრებულო წყვეტს, იქ ვინ აიღოს მიწა — თუ კაცი სოფლის კომლში არ არის ჩაწერილი და იქ არ ცხოვრობს, მას უპირატესობა არ ექნება.

— ამბობთ, მიწას ფასი დაედება, მეორე მხრივ — იაფი და ხელმისაწვდომი იქნებაო. რომელი დავიჯეროთ?

— მიწის შეძენის 3 ვარიანტი არსებობს. თუ იჯარით 1 ჰა 40 ლარი ღირს, ადამიანმა უნდა გადაიხადოს მისი გაათმაგებული ოდენობა — ე.ი. 400 ლარი. მგონი, ნორმალური ფასია... მსურველებს

ვეუბნებით – თუ პირველ წელსვე გადაიხდით, 50%-ში – ე.ი. 200 ლარად წაიღეთ, თუ 3 წელში – 70%-ში. თუ ესეც არ გსურთ, საფასურს 9 წლის განმავლობაში დაფარავთ და მიწაც შესყიდული იქნება.

— ამბობენ, მიწის კანონი ევროკავშირში შესვლის წინაპირობაა. მართლა გარე ძალების დაკვეთით ხდება მისი მიღება?

– არა, არავის არაფერი დაუკვეთია. ევროკავშირში შესვლაც მგონი, ჩვენთვის ცოტა შორეული ამბავია. ჯერ სოფლის მეურნეობა ავაშენოთ, მიწაზე კერძო საკუთრება დავამკვიდროთ და მერე ვილაპარაკოთ. დღეს მიწის 30% კერძო საკუთრებაშია. ჩვენში შექმნილ „ავკაფსანდალს“ სვკობს, მიწას პატრონი გამოუჩნდეს, რომელიც მას კარგად მოუვლის.

— არის თუ არა აუცილებელი უშიშროების კონცეფციის შემუშავება?

– ჩვენ რომ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდეთ, მაშინ იქნებოდა საჭირო. უშიშროების კონცეფციას ემყარება ყველაფერი. მგონი, ისეთი მეზობლები გვყავს, ომს არც ერთთან არ ვაპირებთ. ზოგ ნორმალურ ქვეყანას საზღვარიც კი არა აქვს გავლებული – აქეთაც ხნავს კაცი და იქითაც... რაც შეეხება უვარგის მიწებს – თუ სახელმწიფოს აქვს ფული, მაშინ ხდება მათი რეაბილიტაცია. ჩვენ აღწერილი გვაქვს მწირი და უვარგისი მიწები. დღეს ყველას თავისი აზრი აქვს, ამიტომაც არის დემოკრატია. საზოგადოება მგონი, ხედავს, რომ მიწის კანონი აუცილებელია – მიწას, ბოლოს და ბოლოს, პატრონი გამოუჩნდება, დღეს კი უპატრონობაა. თუ ჩვენი ქვეყანა გვიყვარს, ჩვენთვის ყველაზე ძვირფასს – მიწას, ფასი უნდა დავადოთ. ჩვენში მიწა და ფეხბურთი ისეთი თემაა, ყველას შეუძლია ილაპარაკოს. პარლამენტში ჩვენი ოპონენტები, ძირითადად, საზღვრისპირა მიწების პრივატიზაციას აპროტესტებენ. მე და ჩემს მეგობრებს ჩვენი არგუმენტი გვაქვს.

— ...ის, რომ კერძო მესაკუთრე უფრო გულმოდგინედ დაიცავს საზღვარს, ხომ?

– აგაშენათ ღმერთმა! რა თქმა უნდა, ის ფერმერი და გლეხი უფრო კარგად დაიცავს საზღვარს. როცა მიწა არავისი იქნება, ვერ დაიცავენ. თუ ომი დაიწყო, ის, რასაკვირველია, ყველაფერს გაანადგურებს – ვენახსაც და ყანასაც. ომმა სახელმწიფო და კერძო საკუთრება არ იცის. ეს ალოგიკურია. ომი რა, მარტო 5 კილომეტრზე იქნება? მაშინ აქეთაც არ გავცეთ მიწა საკუთრებაში. აი, ასეთი „ავკაფსანდალი“ მივიღეთ ჩვენი მოწინააღმდეგეებისაგან. ვისაც ვუსწავლეთ ამ კანონს, უმრავლესობა გვეთანხმება, ამიტომაც მივიღეთ ასე უპრობლემოდ ორი მოსმენით. თუ ქვეყნის პატრიოტობაზეა ლაპარაკი, კანონს მხარი უნდა დაუჭირონ. ■

29 წლის ქალს მკვლელობისთვის ასამართლებენ

„დარწმუნებული ვარ, რომ შვილი მან მომიკლა“, – აცხადებს მოკლული მამაკაცის დედა

ახალგაზრდა, სიმპათიური ქალბატონი განსასჯელის სკამზე მკვლელობის ბრალდებით ზის. 29 წლის ანჟელა კადახაშვილი პირველი ინსტანციის სასამართლომ თბილისში, ზუბალაშვილების ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში უკვე ცნო დამნაშავედ და მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენის თანახმად, კადახაშვილმა 38 წლის გია წურწუმია სამზარეულო დანით დაჭრა სასიკვდილოდ. მკვლელობის მოტივად ურთიერთშელაპარაკება სახელდება. განაჩენით ისიც ირკვევა, რომ კადახაშვილსა და წურწუმიას წლების მანძილზე ახლო, ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ და ბოლო დროს, ერთ ბინაშიც ცხოვრობდნენ.

ანჟელა კადახაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს. მისი თქმით, ის უკვე სამი წელია, რაც უკანონო პატიმრობაში იმყოფება და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატისგან, სადაც მან საჩივარი შეიტანა, გამართლებას მოითხოვს. კადახაშვილი პროკურატურის საბრალდებო დასკვნასა და რაიონული სასამართლოს განაჩენში მოყვანილ ფაქტებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მკვლელობა მას არ ჩაუდენია.

პროკურატურის ინფორმაციით, აწ გარდაცვლილი გია წურწუმია აფხაზეთიდან დევნილი და თბილისში დროებით მცხოვრები გახლდათ. ის ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა, ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა რ. დუჩიძესთან და მასთან შვილიც ჰყავდა. თუმცა, ჯერ კიდევ 1999 წელს, ცოლ-ქმარს ურთიერთობა გაუფუჭდა და ხშირი კონფლიქტის გამო, მათ გაყრა გადაწყვიტეს.

ოფიციალური ცნობების თანახმად, გია წურწუმია აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილე გახლდათ. პროფესიით ექიმი, აფხაზეთის ომის დამთავრების შემდეგ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება. ჯერ აფხაზეთის მეომართა კავშირში გაწევრდა, 2001 წლის ივნისში კი, თბილისში შექმნილი საზოგადოებრივი კავშირის – „საქართველოს ჩეჩენთა და კავკასიელ ხალხთა კომიტეტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახდა. სწორედ ამ კომიტეტის დაარსების პერიოდში გაიცნო გია წურწუმიამ აფხაზეთიდან დევნილი, წარმოშობით აფხაზი – სვეტლანა ჯერგენია-კადახაშვილი. ის აღნიშნული კავშირის ერთ-ერთი წევრი იყო. მასთან დაახლოების შემდეგ, წურწუმიამ მისი ქალიშვილიც გაიცნო. ანჟელა კადახაშვილისადმი წურწუმია თავიდანვე სიმპათიით განეწყო და დედა-შვილის პრობლემებითაც დაინტერესდა. აღმოჩნდა, რომ კადახაშვილებს საბინაო პრობლემა ჰქონდათ. წურწუმიამ მაშინვე შესთავაზა მათ დახმარება და დედა-შვილს დროებით საცხოვრებლად თავისი ბინის ერთი ოთახი დაუთმო. კადახაშვილები ამ წინადადებას დათანხმდნენ და 2001 წლის ნოემბერში, წურწუმიას ბინაში დასახლდნენ. ერთ ბინაში ცხოვრებამ ანჟელა კადახაშვილი და გია წურწუმია კიდევ უფრო დააახლოვა და მათმა სიყვარულმაც მალე არაოფიციალური, ე.წ. სამოქალაქო ქორწინებაში მყოფი წყვილის სახე მიიღო. ამ ურთიერთობის კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ გია წურწუმიას დედა – ნათელა ბოკუჩავა. ის შვილისგან, კადახაშვილთან კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტას მოითხოვდა. თუმცა, როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, გია წურწუმიასა და ანჟელა კადახაშვილს შორის ურთიერთობა ისედაც იძაბებოდა. მიზეზი, სხვადასხვა ყოფით საკითხზე განსხვავებული შეხედულება გახლდათ. ამის გამო, მათ შორის გაუგებრობამ იჩინა თავი და კამათი თითქმის ყოველთვის ჩხუბით სრულდებოდა. 2002 წლის 16 ივლისსაც, მორიგი ჩხუბი მოხდა. მაგრამ ამჯერად, კონფლიქტი საბედისწერო აღმოჩნდა. შელაპარაკების დროს, გაბრაზებულმა ანჟელა კადახაშვილმა გია წურწუმია მოკლა – ასე აცხადებს პროკურატურა, რომლის მასალების თანახმად, დანაშაული შურისძიების მოტივით მოხდა.

საქმის მასალების მიხედვით, შემთხვევის წინადღეს – 2002 წლის 15 ივლისს, გია წურწუმია დილიდან შინ იმყოფებო-

და. დღისით მას სახლში ჩეჩენი მეგობრები ესტუმრნენ. მაშინ, როცა ყველანი ერთად ტელევიზორში მოდების ჩვენებას უყურებდნენ, ჩეჩენმა მამაკაცებმა ქალის ჩაცმულობასთან დაკავშირებით თავ-თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს, აღნიშნეს, რომ კავკასიელი ქალისთვის, მისი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია ისეთი ჩაცმულობა, როგორსაც ტელეეკრანზე ხედავდნენ. ამ მოსაზრების გამოთქმას სტუმრებსა და მასპინძლებს შორის ხანგრძლივი მსჯელობა მოჰყვა. როცა ჩეჩენი სტუმრები წავიდნენ, წურწუმიასთან მისი მეგობარი — ზურაბ ჭავჭანიძე მივიდა. იმ დროს, ანჟელას დედა — სვეტლანა კადახაშვილი შინ არ იმყოფებოდა, რადგან ჩეჩნებს ,,საქართველოს ჩეჩენთა და კავკასიელ ხალხთა კომიტეტის" ოფისში გაჰყვა. ჭავჭანიძემ თან მოიტანა 1 ბოთლი ლუდი და წურწუმიასა და კადახაშვილსაც შესთავაზა იგი. წურწუმიამ ცოტა ხნის წინ ჩეჩენ სტუმრებთან საუბრის შესახებ ჭავჭანიძესაც მოუთხრო და ისიც აღნიშნა, რომ ჩეჩნების მოსაზრებას ქალის ჩაცმულობასთან დაკავშირებით თავადაც ეთანხმებოდა. ეს არ მოეწონა ანჟელა კადახაშვილს და შეეწინააღმდეგა მას. დაიწყეს ამ თემაზე საუბარი. ჯერ კადახაშვილსა და წურწუმიას შორის კინკლაობა გაიმართა, შემდეგ, ეს ყოველივე სერიოზულ კამათში გადაიზარდა. კადახაშვილმა ველურები უწოდა ქართველ და ჩეჩენ მამაკაცებს და აღნიშნა, რომ ისინი არა მარტო ქალის ჩაცმულობას, არამედ ქალიშვილობის ინსტიტუტსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. დაძაბული სიტუაცია რომ განემუხტა, ჭავჭანიძემ ორივეს სთხოვა — მოდი, ამაზე კამათი შეწყვიტეთ და სამივემ არაყი დავლიოთო. წურწუმიამ მეგობრის რჩევა მიიღო. მამაკაცებმა მაღაზიაში არაყი და პროდუქტები შეიძინეს, კადახაშვილმა კი სუფრა გაშალა. მაგრამ ეტყობოდა, რომ ყველაფერს გულგრილად აკეთებდა და ეს მამაკაცებსაც არ გამოჰპარვიათ მზედველობიდან, თუმცა, მაშინ არც ერთ მათგანს არაფერი უთქვამს. სამივენი სუფრას მიუსხდნენ და არყის სმა დაიწყეს. ცოტა ხანში, ჭავჭანიძემ მათი ჩიტი მოიკითხა: ჩიტი მას ადრე, წურწუმიას ბინაში ჰყავდა ნანახი. შეკითხვაზე კადახაშვილმა მიუგო — ჩიტს ამან თავი წააძრო და მოკლაო, — და წურწუმიაზე მიუთითა. ისედაც განაწყენებული წურწუმია, კადახაშვილის ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გააღიზიანა, მივარდა მას, ოთახიდან გაიყვანა და ჩხუბი დაუწყო. რამდენიმე წუთში, ორივენი სუფრასთან დაბრუნდნენ. მაგრამ მათ შორის კონფლიქტი კვლავ გაღვივდა. მოთმინებიდან გამოსულმა წურწუმიამ, კადახაშვილს, მეგობრის თვალწინ, სახეში სილა გააწნა. მისი ასეთი საქციელით გაბრაზებულმა კადახაშვილმა დაიმუქრა — ყველაფერს განანებო!.. ჭავჭანიძე წყვილის დამშვიდებას ცდილობდა. წურწუმიამ და კადახაშვილმა ბინიდან ის დაახლოებით 22.30 საათზე გააცილეს. ჭავჭანიძე გზაშიც ცდილობდა მათ შერიგებას და დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, გამუდმებით ხუმრობდა. ჭავჭავაძის ქუჩაზე გაჩერებული ავტომანქანის კაპოტზე ჩამოჯდა და სიმღერა დაიწყო. თუმცა, ამ ხუმრობამ სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა, რადგან მათ ავტომანქანის მფლობელთან და მის თანმხლებ პირებთან შელაპარაკება მოუხდათ. ყველაფერი მალე მოგვარდა და ყველანი მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

დაახლოებით 23.50 სთ-ზე, ბინაში მივიდა სვეტლანა კადახაშვილი, მაგრამ იმის გამო, რომ სოფელ თელეთში მიემგზავრებოდა, მალევე დატოვა იქაურობა. შინ მარტოდმყოფ კადახაშვილსა და წურწუმიას შორის კონფლიქტი კვლავ განახლდა. მალე მათი ურთიერთშელაპარაკება ხმაურიან ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის ხმა ეზოშიც გადიოდა და ამის შედეგად, მეზობლებმაც შეიტყვეს კონფლიქტის შესახებ. ჩხუბისას კადახაშვილმა და წურწუმიამ ერთმანეთს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებებიც მიაყენეს. როგორც განაჩენში წერია, სწორედ ამ დროს, კადახაშვილმა მაგიდიდან დანა აიღო... ,,*გამართული ხელჩართული ჩხუბის დროს, კადახაშვილმა, შურისძიების მოტივითა და წურწუმიას განზრახ მოკვლის მიზნით, აიღო სამზარეულოს ტიპის, შავტარიანი დანა და ერთი დარტყმით, გულმკერდის არეში სიცოცხლისათვის სახიფათო შემავალი ჭრილობა მიაყენა მას*", — აღნიშნულია განაჩენში. გია წურწუმია ადგილზევე გარდაიცვალა.

საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ ყოველივე ამის შემდეგ, კადახაშვილმა სისხლიანი შარვალი გამოიცვალა, დანა გარეცხა და სამზარეულოში შეინახა, ხოლო სისხლით მოსვრილი იატაკი მორეცხა და შემდეგ მაგიდაც გადააბრუნა. პროკურატურის განცხადებით, ამგვარად, კადახაშვილი თავდასხმის ინსცენირებას ცდილობდა. მაგრამ გასისხლიანებული შარვალი, რომელიც გაიხადა, საწოლზე გადაკიდებული დარჩა. ბინიდან ეზოში გავარდნილმა კადახაშვილმა საშველად მეზობლებს მოუხმო და უთხრა მათ, რომ ბინაში უცნობი პირი შეიჭრა, გია დაჭრა და მიიმალა...

მეზობლებმა მაშინვე ,,სასწრაფო დახმარება" და პოლიცია გამოიძახეს. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს აღიძრა. ჩატარდა ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები, დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, დაიკითხნენ მოწმეები და ყოველივე ამის შედეგად, გამოძიებამ ანჟელა კადახაშვილზე მიიტანა ეჭვი. მოგვიანებით, მას განზრახ მკვლელობის მუხლით წაუყენეს ბრალი.

გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონულმა სასამართლოებმა კადახაშვილი დამნაშავედ ცნეს და მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. განაჩენი მსჯავრდებულმა, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა საკუთარ ბრალეულობას, მაშინვე გაასაჩივრა, მაგრამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ ის უცვლელი დატოვა. მსჯავრდებული მხარის მორიგი საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში შევიდა. პალატამ საჩივრის განხილვა დაიწყო, მაგრამ ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილებამდე არ მისულა. აღსანიშნავია, რომ საჩივრით პალატას დაზარალებულმა მხარემაც მიმართა და მსჯავრდებულისთვის შეფარდებული სასჯელის დამძიმება მოითხოვა. დაზარალებულის აზრით, სასამართლომ კადახაშვილს ჩადენილი დანაშაულისთვის მსუბუქი სასჯელი შეუფარდა.

პალატის სხდომაზე კადახაშვილის ადვოკატმა, პაატა გოგალაძემ მოსამართლეებს თავისი პოზიცია გააცნო. ადვოკატის თქმით,

მისი დაცვის ქვეშ მყოფს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, განაჩენი კი უკანონოა და მხოლოდ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს ემყარება.

პაატა გოგალაძე:

„გამოძიება ძირითადად, იმ მეზობლების ჩვენებებს დაეყრდნო, რომლებიც შემთხვევის დღეს ეზოში ნარდს თამაშობდნენ. მოწმეები აღნიშნავენ, რომ ეზოში შესასვლელი „არკიდან“ იმ საღამოს არავინ შესულა. გამომძიებელიც აცხადებს, რომ ამ სახლში ერთადერთი შესასვლელი, სწორედ ის „არკაა“. სინამდვილეში, ასე არ არის. მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ სახლს ორი შესასვლელი აქვს. მეორე შესასვლელიდანაც შეიძლება, წურწუმიას ბინაში მოხვედრა ისე, რომ ადამიანს „არკის“ და ეზოს გავლა არ სჭირდება. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო იქ უცნობ პირს, ისე შესულიყო, რომ მეზობლებს ვერ დაენახათ. საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი. მეზობლები, რომლებიც ნარდს თამაშობდნენ, საქმეში მოწმეებად არიან დაკითხულები, ამასთანავე, საქმის მასალებში ისინი ფიგურირებენ, როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების დამსწრეები, ეს კი კანონის უხეში დარღვევაა. დარღვეულია სხვა საპროცესო ნორმებიც, ასევე – ქვემდებარეობის საკითხიც: საქმე მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა პროკურატურამ განიხილა, მაგრამ იმის გამო, რომ კადახაშვილი ლტოლვილია, საქმე თავიდანვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ქვემდებარე იყო და გამოძიებაც მას უნდა ჩაეტარებინა.

მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურა ძალიან იყო დაინტერესებული იმით, რომ რაც შეიძლება მალე გაეხსნა ეს საქმე. ამიტომაც შეახოცეს ხელი ანჟელა კადახაშვილს, რომელიც მომხდარ მკვლელობასთან კავშირში არ არის. ის სრულიად უდანაშაულოა და სამი წლის მანძილზე უკანონოდ იმყოფება პატიმრობაში. კადახაშვილი გამოძიების არც ერთ ეტაპზე არ ცნობდა თავს დამნაშავედ, სამართალდამცავებმა მისგან აღიარებითი ჩვენება ვერანაირი ზემოქმედების შედეგად ვერ მიიპოვეს. არც საქმეში არსებობს რაიმე უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ მან ეს დანაშაული ჩაიდინა“.

ადვოკატის ამ არგუმენტებს დაზარალებული მხარის ადვოკატი – რუსუდან ქორჩილავა ეწინააღმდეგება. მისი თქმით, პაატა გოგალაძის პოზიცია, წურწუმიას სახლის შესასვლელთან დაკავშირებით უსაფუძვლოა. *„კადახაშვილმა გარკვევით აღნიშნა, რომ ბინაში რამდენიმე უცნობი პირი იყო შესული. ცხადია, ტყუის, რადგან ასე რომ ყოფილიყო, მეზობელი ამათ აუცილებლად დაინახავდა. სხვათა შორის, კადახაშვილმა რამდენჯერმე შეცვალა ჩვენება. ჯერ თქვა – ერთი უცნობი დაგვესხა თავსო, შემდეგ ირწმუნებოდა – ორი პირი შემოვარდა ბინაშიო, სასამართლო პროცესზე კი აღნიშნა, რომ უცნობი, სამი პირი იყო. იმ მეორე შესასვლელით, რომელიც ადვოკატს აქვს მხედველობაში, არავინ სარგებლობდა და ბუნებრივია, არც უცნობ პირებს ეცოდინებოდათ მის შესახებ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეზობლებს გარკვევით ესმოდათ წურწუმიას ბინიდან ქალ-ვაჟის ჩხუბის ხმა. საქმეში არსებობს იმის დამადასტურებელი ჩვენებები, რომ შემთხვევის დღეს, კადახაშვილსა და წურწუმიას შორის სერიოზული კონფლიქტი მოხდა. იმ დღეს, მათ შორის არსებული დაძაბულობა და აგრესია უდავოდაა დადგენილი. ჩვენებებიც და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც მიუთითებს იმაზე, რომ მკვლელობა კადახაშვილმა ჩაიდინა“,* – აცხადებს დაზარალებული მხარის ადვოკატი.

თავად ანჟელა კადახაშვილს პალატის მოსამართლეებისთვის ჩვენება არ მიუცია. აღსანიშნავია ისიც, რომ საქმეში მისი, ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე ჩვენება არსებობს. კადახაშვილის ადვოკატის თქმით, როგორც მისი დაცვის ქვეშ მყოფისგან იცის, ყველაფერი ასე მოხდა: მაშინ, როცა კადახაშვილი და წურწუმია სახლში მარტო დარჩნენ, უეცრად მათთან ვიღაცები შევიდნენ, ერთ-ერთი უცნობი მაშინვე კადახაშვილს მივარდა და თავში რაღაც ჩაარტყა. კადახაშვილი გაითიშა. როდესაც გონს მოვიდა, ნახა, რომ გია წურწუმია უკვე დაჭრილი იყო.

ადვოკატ პაატა გოგალაძეს მიაჩნია, რომ მომხდარი მკვლელობა აშკარად პროფესიონალის მიერაა ჩადენილი და ის აწ გარდაცვლილის საქმიანობას უკავშირდება. თუმცა, კონკრეტულად რის გამო შეიძლებოდა, ჰყოლოდა მტრები წურწუმიას, არავინ იცის. ამის შესახებ თავის ჩვენებაში არაფერს ამბობს თავად ანჟელა კადახაშვილიც.

რაც შეეხება დაზარალებულს, მოკლულის დედას – ნათელა ბოკუჩავას, ის დარწმუნებულია, რომ შვილი მას კადახაშვილმა მოუკლა. მკვლელობის მიზეზად ის ოჯახურ უკმაყოფილებას ასახელებს. ნათელა ბოკუჩავამ საჩივრით საკასაციო პალატას მსჯავრდებულისთვის სასჯელის დამძიმება სთხოვა, მაგრამ სხდომაზე თავისი პოზიცია შეცვალა და განაცხადა, რომ წინა განაჩენის ძალაში დატოვებას მოითხოვს. მსჯავრდებულის ადვოკატმა, ანჟელა კადახაშვილის მიმართ სისხლის სამართლის შეწყვეტა და მისი დარბაზიდან გათავისუფლება მოითხოვა. საბოლოო განაჩენს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა მომავალ კვირაში გამოიტანს.

■

„ორი წელია, ვამჯობინებთ, რომ ისინი ყაჩაღები არ ყოფილან“

ყაჩაღობაში ბრალდებულები მძიმე სასჯელისგან დაზარალებულმა იხსნა

წარსულში ნასამართლევი, 1973 წელს დაბადებული ალექსანდრე თაბაგარი ამჯერად, სისხლის სამართლის კოდექსის ოთხი სხვადასხვა მუხლით გაასამართლეს, მათ შორის – ყაჩაღობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის. თაბაგართან ერთად განსასჯელის სკამზე კიდევ ერთი პატიმარი, როგორც პროკურატურა დღემდე აღნიშნავს – მისი თანამზრახველი და დანაშაულში თანამონაწილე, 1972 წელს დაბადებული ტარიელ მახარობლიძე იჯდა. ბრალდების თანახმად, ისინი ჯგუფურ, ყაჩაღურ თავდასხმებს ახორციელებდნენ და ამ დროს, განსაკუთრებით საშიშ ძალადობას მიმართავდნენ. ჩადენილი დანაშაულებისთვის რაიონულმა სასამართლომ თაბაგარს 14 წლით, ხოლო მახარობლიძეს – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. ასეთ განაჩენს მსჯავრდებულთა მხრიდან აღშფოთება და პროტესტი მოჰყვა. განაჩენი მათ საოლქო სასამართლოში, სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

განაჩენის მიხედვით, ალექსანდრე თაბაგარი და ტარიელ მახარობლიძე უბრალოდ, ნაცნობები იყვნენ. ორივენი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები გახლდნენ და პერიოდულად ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ამა თუ იმ დანაშაულებრივი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. პროკურატურის ცნობის თანახმად, ისინი მარტო არ მოქმედებდნენ,

ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებში, გამოძიებით დაუდგენელი რამდენიმე პირიც მონაწილეობდა.

განაჩენში აღნიშნულია, რომ დასაყაჩაღებელი ობიექტი თაბაგარმა შეარჩია. ეს გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში მცხოვრები მჭედლიშვილების ოჯახი აღმოჩნდა. განაჩენის მიხედვით, ბოროტმოქმედები შეიკრიბნენ, ორგანიზაციულ საკითხებზე მოილაპარაკეს, ერთმანეთთან სამოქმედო გეგმა შეათანხმეს და განაწილებული როლების შესრულებას შეუდგნენ. თბილისიდან სოფელ სართიჭალაში ჩავიდნენ და დილის 7 საათზე, ავტომატებით, გაზის პისტოლეტით, გაზის ბალონითა და დანით შეიარაღებულები შეიჭრნენ მჭედლიშვილების ოჯახში. სახლის პატრონი – ზაურ მჭედლიშვილი ხმაურზე ეზოში გამოვარდა. თავდამსხმელებმა არ დააყოვნეს და მას სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენეს. ამასობაში, ეზოში გავიდა დიასახლისი – ლია მჭედლიშვილიც. თავდამსხმელები არც ქალს მოერიდნენ და ძალადობა მისკენაც მიმართეს. ცოლ-ქმარი სკოჩით გაკოჭეს, თან მოკვლით ემუქრებოდნენ, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი წინააღმდეგობის გაწევას შეეცდებოდნენ. პირაკრული და ხელფეხშეკრული ცოლ-ქმარი, იქვე, ეზოში მდებარე სათავსში გამოამწყვდიეს და მცველად ერთ-ერთი თავდამსხმელი – გამოძიებით დაუდგენელი პირი მიუჩინეს.

ამის შემდეგ, თაბაგარი და მახარობლიძე შეცვივდნენ სახლში, სადაც მჭედლიშვილების სამი შვილი იმყოფებოდა – ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ბოროტმოქმედებმა იარაღის მუქარით გაიტაცეს ფული – 1.650 დოლარი, მობილური ტელეფონი, ოქროს სამკაულები, ბიჟუტერია და ტანსაცმელი. გატაცებული ნივთებით სავსე ხელჩანთები იქვე, ეზოში გაჩერებულ, მჭედლიშვილების კუთვნილ ავტომანქანაში – „კრაისლერ-კონკორდში“ ჩააწყვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ავტომანქანა მათ საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის ტერიტორიაზე მიატოვეს, თავად, ტაქსი გააჩერეს და გატაცებული ნივთები, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა თან წაიღეს. როცა ტაქსი მუხიანის დასახლებაში შევიდა, მას ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლები გადაუდგნენ წინ და გაჩერება უბრძანეს. მძღოლმა მანქანა გააჩერა. ამ მომენტით ისარგებლა ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა – გამოძიებით დაუდგენელმა პირმა, ტაქსიდან გადახტა და გაქცევა მოახერხა. რაც შეეხება თაბაგარსა და მახარობლიძეს, პოლიციელებმა ისინი იქვე დააკავეს და განყოფილებაში წაიყვანეს. მჭედლიშვილების ოჯახიდან წამოღებული ნივთები, ავტომატი და 60 ვაზნაც იქ ჩამოართვეს.

სასამართლო პროცესზე განსასჯელებმა ბრალი კატეგორიულად უარყვეს და თავი დამნაშავედ არ ცნეს, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდში სამართალდამცავებს აღიარებითი ჩვენებები მისცეს და ჩადენილი დანაშაულიც დეტალურად აღწერეს. სასამართლოში განსასჯელებმა ეს ფაქტი, პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლით ახსნეს. მათი ადვოკატები მოსამართლისგან გამამართლებელ განაჩენს მოითხოვდნენ. მოტივი ასეთი იყო: ადვოკატების თქმით, საქმეში არ არსებობდა ყაჩაღურ თავდასხმაში მათი მონაწილეობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. ისინი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვისას საპროცესო ნორმების არსებით დარღვევებზეც მიუთითებდნენ. ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ მომხდარ ყაჩაღობაში განსასჯელების მონაწილეობა თავად დაზარალებელმა მხარემაც უარყო. ზ. მჭედლიშვილმა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა: *„მე დავაკვირდი და კატეგორიულად ვამბობ, რომ იმ თავდამსხმელებს შორის, რომლებიც მე ვნახე, არც ერთი განსასჯელი არ იყო“*. დადგა დაზარალებულის განმეორებითი დაკითხვის საკითხიც, მაგრამ ეს, ზ. მჭედლიშვილის მძიმე ავადმყოფობის გამო, ვერ მოხერხდა.

„ორ წელზე მეტია, ვამტკიცებთ, რომ ისინი ყაჩაღები არ ყოფილან. თაბაგარსა და მახარობლიძეს ამ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ზ. მჭედლიშვილი ავად არის და ამის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე. მან დამავალა, მე დამეფიქსირებინა მისი პოზიცია“, – განაცხადა პროცესზე დაზარალებულის წარმომადგენელმა.

დაზარალებული მხარის ამ სიტყვებს განსაკუთრებული უნდობლობით პროკურატურა შეხვდა. სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, წინასწარი გამოძიების დროს, ზ. მჭედლიშვილმა ამოიცნო ყაჩაღები და სასამართლოში დაზარალებული ოჯახის მტკიცება, რომ თაბაგარი და მახარობლიძე არ არიან ის პირები, რომლებმაც ისინი დააყაჩაღეს, მხოლოდ განსასჯელების მხრიდან ზეწოლითა და მუქარით აიხსნება. *„როგორც ჩანს, ეშინიათ სიმართლის თქმის და შარს არიდებენ თავს“*, – განაცხადა პროკურორმა. მიუხედავად ამისა, საოლქო სასამართლომ, მტკიცებულებების უკმარისობის მოტივით, განსასჯელებს ყაჩაღობის მუხლი მოუხსნა და ისინი მხოლოდ მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვაში ცნო დამნაშავედ. *„ეს ფაქტი დადასტურებულია. მსჯავრდებულებს, რომლებიც პოლიციის მუშაკებმა დააკავეს, გატაცებული ნივთები და იარაღი იქვე ჰქონდათ. ვერ უარყვეს, რომ მათთვის ცნობილი იყო, ძიებით დაუდგენელი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ“*, – აღნიშნულია განაჩენში.

სასამართლომ ორივე მსჯავრდებულს სასჯელი 4 წლამდე შეუმცირა. პროკურატურა აცხადებს, რომ საოლქო სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და საშიში დამნაშავეები, კრიმინალური სამყაროს აქტიური წარმომაგენლები ფაქტობრივად, დაუსჯელი დატოვა. *„წინასწარი გამოძიებისას, დაზარალებულის ოჯახის წევრებმა ამოიცნეს ბოროტმოქმედები. ამას გარდა, სხვა მტკიცებულებებიც იდო საქმეში, თუმცა, ამას სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია“*, – აღნიშნა სახელმწიფო ბრალმდებელმა, რომელმაც ამით მოსამართლეთა არაპროფესიონალიზმსა და ტენდენციურობას გაუსვა ხაზი, თუმცა, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამაც ძალაში დატოვა. ■

რატი ამაღლობელი საკუთარ თაობას საბჭოური სიზმრებიდან გამომავალ თაობას უწოდებს. — ჩვენ სიზმარსა და ცხადს შორის მყოფი თაობა ვართ. დღემდე ვცდილობთ, სიზმრებიდან გამოვიდეთ და რეალური ცხოვრებით ვიცხოვროთ, — მითხრა საუბრისას. პრობლემად მიაჩნია ის, რომ თაობები „სწორად" ვერ ბერდებიან... ამაზეც და საკუთარ სიბერეზეც რატი თურმე ძალიან ბევრს ფიქრობს.

„არ ვაკრიტიკებ აღზრდის ასეთ სტრატეგიას"... და იმედი მგრედს სჯობია

ნინო ჯავახიშვილი

— თაობა ჩემთვის განსაზღვრულ ასაკობრივ ჯგუფს არ ნიშნავს, ვთქვათ — 25 წლიდან 30 წლამდე. თაობა გარკვეული ფასეულობების გარშემო გაერთიანებულ ადამიანებს ნიშნავს. მე მყავს საბავშვო ბაღის, სკოლის, სტუდენტობის დროინდელი მეგობრები, თუმცა, ჩემზე გაცილებით უფროსი ასაკის ხალხთანაც მაქვს ურთიერთობა — მათთან, ვისთანაც ძალზე ბევრი რამ მაერთიანებს...

— მამების თაობისგან რა მაგალითი აიღეთ? რა ისწავლეთ?

— მამების თაობასთან ძალიან თბილი ურთიერთობა გვქონდა და გვაქვს დღესაც. იცით, რას ვფიქრობ? ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ თაობები „სწორად" ვერ ბერდებიან. ხანში შესული ადამიანი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონეა, იცის, როგორ უნდა გადალახოს პრობლემები. ამიტომაც უფროსი თაობისგან ყოველთვის კონკრეტულ მითითებებს, რჩევებს და პრობლემების გადალახვის რეცეპტებს ველით. სიმართლე გითხრათ, ძალიან ბევრს ვფიქრობ ჩემს სიბერეზეც და მეშინია...

— როგორი ბავშვი იყავით, როგორ გზრდიდნენ თქვენ მშობლები?

— უცნაური ბავშვი ვიყავი. პასუხისმგებლობის გრძნობა საერთოდ არ მქონდა, რაც ახლა არ მომწონს და არც ჩემს შვილს მოვუწონებ უპასუხისმგებლობას. ჩემი მშობლების პოლიტიკა აღმზრდელობითი იყო — ეს იყო თავმდაბლობაზე, დათმობაზე, ფასეულობებზე ორიენტირებული მეთოდოლოგია. მასწავლიდნენ, რომ ეს სამყარო ვიღაც სხვისია, რომელსაც ხელი არაფერში არ უნდა შეუშალო, სამზარეულოში თბილად უნდა ივჯდე და წიგნები იკითხოო. მშობლების პოზიციიდან შეიძლება, ეს გამართლებულიც იყოს, მაგრამ რამდენად არის სიკეთე ის, რომ მუდმივად ჩრდილში იყო, იცოდე შენი შესაძლებლობები და ზედმეტად მიგაჩნდეს მათი გამომზეურება? ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონ პასიური იყო და მშვიდად იღებდე იმ აქტიურ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან სულიერი თუ მატერიალური ლუკმა წაგართვან. მე არ ვაკრიტიკებ აღზრდის ასეთ სტრატეგიას... თვითონაც არა მაქვს ჩამოყალიბებული, როგორ უნდა აღვზარდო და რა ფასეულობები მივაწოდო შვილს, რომელიც ჯერ ერთი წლისაა.

— თქვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, სამზარეულოს ფილოსოფოსობას მაინც აქტიური ცხოვრება არჩიეთ მშობლების ჩაგონებისა მიუხედავად, არა?

— ადამიანებთან ურთიერთობის მთავარი აზრი ის არის, რომ ერთმანეთს დავანახვოთ ის რეალობა, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. რეალობა არ უნდა შევალამაზოთ, ასე ვკობს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უფროსი თაობა ჩვენს დასაცავად ალამაზებდა რეალობას, თუმცა შემდეგ ორჯერ უფრო მკაცრ პირობებში მოგვიხდა ცხოვრება და გზის გაკვლევა. როდესაც სკოლა დავამთავრეთ, ოპერის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების გარდა, სხვაგან არაფერი კეთდებოდა. ელემენტარულად, შუქი არ გვქონდა და ქალაქში ტრანსპორტი არ დადიოდა. ადამიანებს შორის ურთიერთობა რაღაცნაირად ჩაკეტილი იყო. თავად გვიწევდა საკუთარი თავის გართობა — ვისხედით ერთმანეთის პირისპირ და ვსაუბრობდით ცხოვრებაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე. შეიძლება, ეს ვიღაცისთვის მოსაბეზრებელიც იყო, მაგრამ ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის — არა. იყო უთავბოლო ხეტიალი ქალაქის ქუჩებში...

— ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდით?

— მე — ნაკლებად, ჩემი თაობის სხვა მწერლებიც არა მგონია, ბოჰემურები ყოფილიყვნენ. სხვა დროს რომ გვეცხოვრა, იქნებ ასეც ყოფილიყო...

— მოგწონთ თქვენი შემდგომი თაობა?

— ეს თაობა უფრო გახსნილია და თავისუფალი. გულწრფელად გეტყვით, არ ვიცი, მომწონს თუ არა. სურვილი მაქვს, რომ კარგი თაობა იყოს. მე ჩემი თაობის წარმომადგენლებთან ყოველთვის მქონდა კონფლიქტი, ვიღაცები არ მომწონდა. როდესაც უმრავლესობა არ მოგწონს, უმცირესობაში ხარ. სწორედ ის უმცირესობა ქმნის ღირებულს და კარგს. არის რაღაცები, რასაც არც ჩემს თაობას მოვუწონებ და არც სხვა თაობას. არ მომწონს ზედაპირულობა და ზერელეობა. თუმცა არა მგონია, ეს მხოლოდ ერთი რომელიმე თაობის მახასიათებელი იყოს. ადამიანები ორიენტირებულები უნდა ვიყოთ თვითკვლევაზე და არა ინერტულობასა და ზედაპირულობაზე.

თვითონაც არა მაქვს ჩამოყალიბებული რა ფასეულობები მივაწოდო შვილს...

— თქვენი თაობის ბევრმა ადამიანმა, საკუთარი თავის რეალიზება ვერ მოახერხა. შეიძლება, დაკარგულ თაობად ჩაგთვალოთ?

— მე ვიცნობ არაერთ მხატვარს, რეჟისორს, კომპოზიტორს, რომლებმაც მართლაც ვერ მოახერხეს საკუთარი თავის რეალიზება და წარმოჩენა. ჩემი აზრით, გარემომ კი არ უნდა შემოგვთავაზოს რაღაცები, თვითონ უნდა შეექმნათ სოციალური გარემო, ამისთვის კი აქტიურები უნდა ვიყოთ.

— თვითონ იმედგაცრუებული და პასიური არასდროს ყოფილხართ? არასდროს გიფიქრიათ, რომ არავის სჭირდება თქვენი ნააზრევი, თქვენი შემოქმედება?

— რასაკვირველია, არავის სჭირდება *(იცინის)*... მე რომ არ ვწერო, ამით ტრაგედია არ მოხდება და შეიძლება, არც არავის გაახსენდეს ეს ამბავი. არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ჩვენ, მწერლები და ჩვენი ლექსები აუცილებლად ვჭირდებით ვიღაცას. ამ თვალსაზრისით, ხელოვანი ადამიანი მარტოა. 17-18 წლის ასაკში, როდესაც რაიმეს დავწერდი, სხვისი აზრი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ახლა კი ჩემს შიგნით არსებულ მეორე ადამიანს მუდმივად ვუკითხავ, რასაც ვწერ. ძალიან ძნელია, საკუთარი თავი მოატყუო ან მოაწონო რამე. ჯობს, თვითონ მიხვდე, რამდენად ფასეულია შენი შემოქმედება.

— გეიმედებათ თუ არა მწერლების ახალგაზრდა თაობა?

— აუცილებელი არ არის, ყველანი ძველების გაკვალულ გზას გავყვეთ. მწერალი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, თუ როგორია თავად მისი გაკვალული ბილიკები, ჯერ უხილავი გზები... დღეში ზოგჯერ 3-4 ახალბედა პოეტი მოდის და საკუთარი ლექსების კრებულს მიტოვებს. აქედან ორში მაინც იგრძნობა, რომ მისი ავტორები პერსპექტიულები არიან და მომავალში რამე ღირებულს შექმნიან. პოეტობა ეს არ არის წამიერი განწყობა. ეს არ ნიშნავს, რომ დავჯდები ერთ მშვენიერ საღამოს, აანთებ სანთელს, გააღებ აივნის კარს და ლექსს დაწერ. მწერლობა ცხოვრების წესია, ტვირთია და იმედი მაქვს, ჩვენი შემდგომი თაობა, ამ ტვირთს ღირსეულად ატარებს.

— თუ იცვლება ადამიანების დამოკიდებულება მეგობრობის, ვაჟკაცობის, სიყვარულისადმი?

— არა მგონია. მეგობრობის ცნება ქართველებისთვის ძალიან მყარია. რაც შეეხება ვაჟკაცობას — ხშირად გვესმის ეს სიტყვა, ყოველ წუთს კი მის საპირისპიროს ვხვდებით. ვაჟკაცობის სურვილი მხოლოდ სადღეგრძელოებში ან ბაქიბუქად არ უნდა დარჩეს. რა არის ვაჟკაცობა, ესეც საკითხავია. ჩემთვის ვაჟკაცობა საკუთარი პროფესიის, რწმენის და პრინციპების ერთგულებაა. ჩემთვის უცხო და მიუღებელია უბნის და ბირჟული ვაჟკაცობები, რის შესახებაც ადრე, ძველი თაობიდან ბევრი გვესმოდა. ინტელიგენციის წარმომადგენლებიც კი თვლიდნენ, რომ ქუჩის აკადემიის გავლა ყველასთვის აუცილებელი იყო. ეი. ადამიანი არ ხარ, თუ ყმაწვილკაცობისას ბირჟაზე არ იდექი და არ იფურთხებოდი. ქუჩის აკადემიების იდეოლოგიამ საზოგადოების როგორი კრიმინალიზაცია მოახდინა, თვითონაც იცით. თუ წიგნები ან ფირფიტები გეჭირა ხელში, მაშინ ადამიანად არ ითვლებოდი, ვაჟკაცობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სამწუხაროდ, ასეთი ძველბიჭური იდეოლოგია იყო ჩემს დროს. აი, სიყვარულს კი წლები და საუკუნეებიც კი ვერაფერს დააკლებს. ფორმა იცვლება, მაგრამ შინაარსი — არა. შეყვარებულები ადრე თუ წერილებს სწერდნენ ერთმანეთს, ახლა იმეილით უხსნიან სიყვარულს. ეს მისაღები და მოსახერხებელია. შეიძლება, მტრედისთვის ფეხზე წერილის შებმა უფრო რომანტიკული იყოს, მაგრამ არ იცი, ის მტრედი მიაღწევს თუ არა ადრესატამდე, ან რამდენი ხნის შემდეგ მიაღწევს. იქნებ ამასობაში სატრფო გაუთხოვდეს კიდეც... კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს ერთ ლექსში — ბულბულს ორკესტრი მირჩევნია სიმფონიურიო. ბულბულს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ყველაფერი ვითარდება და წინ მიდის... ■

მრთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რამდენ გრადუსამდე ეცემა ანტარქტიდის მახლობლად მოგინადრე თევზების სისხლის ტემპერატურა?

ა) 0^0C-მდე;
ბ) $-1,7^0$C-მდე;
გ) $+1,2^0$C-მდე.

2. ვინ გამოიგონა XVII საუკუნის დასაწყისში პირველი ტელესკოპი?



ა) ჯორდანო ბრუნომ;
ბ) გალილეო გალილეიმ;
გ) ნოსტრადამუსმა.

3. რამდენი შვილი ჰყავდა ლევ ტოლსტოის?



ა) არც ერთი;
ბ) ცამეტი;
გ) ერთი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

როცა სხვის ჭკუაზე გავიარე...

ვყიდი ცოლს იდეებთან ერთად ანუ „ზმეიკით“ დაწყებული სექსუალური რევოლუცია

მთავარია, გასაჭირი არ დაგვადგეს, თორემ, კეთილისმსურველები და ჭკუის დამრიგებლები უცებ გამოჩნდებიან ხოლმე. ოჯახის წევრებს მოხალისე მრჩევლები ემატებიან და ხანდახან ვეღარც კი გადაგვიწყვეტია, გულის კარნახს დავუჯეროთ თუ სხვის ჭკუაზე გავიაროთ. ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო, ნათქვამია — გვწერს ერთი მკითხველი, თან რიტორიკულ კითხვას სვამს — ეყო, რო?.. — და გვმოძღვრავს კიდეც — არასოდეს გაიაროთ ქალის ჭკუაზეო!.. არასოდეს გავიაროთ ცოლის ჭკუაზე, ჭკვიანი ცოლი არ არსებობს, რადგან ჭკვიანი ქალი არასოდეს გათხოვდებაო, — გვეუბნება მეორე. მესამე კი, თავს იწონებს — ნახეთ, რა მაგარი რჩევების მიცემა შემიძლიაო!..

მარი ჯაფარიძე

ჭკვიანი მრჩეველი და ნამუსიანი ინსპექტორი

„ერთ ჩემს ძმაკაცს ინვალიდი მამა ჰყავდა, გივი ბიძიას კი – ინვალიდებისთვის განკუთვნილი მანქანა. მანქანას, როგორც წესია, ყველანაირი ნიშანი ჰქონდა მიკრული, რომ მისი მძღოლი ინვალიდი გახლდათ. ერთ საღამოს, უკვე შინ ვიყავი მისული, ტანისამოსი – გამოცვლილი, ჩაიც – მირთმეული მქონდა, როდესაც ჩემმა ნაშამ დამირეკა და მითხრა – დღეს შინ მარტო ვარ, თეონა (მისი დაქალი) ჩემთან რჩება, შენც გამოდი, წავიქეიფოთ და დრო გავატაროთო. უკვე ღამის 11 საათი იყო. დავურეკე ზაზას და შევთავაზე, ერთად წავიდეთ-მეთქი. – ტაქსის ფული თუ გაქვსო? – მკითხა. – არა-მეთქი. არც მას აღმოაჩნდა საჭირო თანხა. ავდექი და შევთავაზე – მოდი, მამაშენის მანქანით წავიდეთ-მეთქი. ჯერ იუარა, მაგრამ მერე მაინც დამიჯერა, ჩემს ჭკუაზე გაიარა და გივი ბიძიას მანქანა ისე ჩუმად მოვიპარეთ, ვერც კი გაიგო. ასე ხელცარიელი ხომ არ მივალთ? მოდი, დათოს დავურეკოთ, ფული ექნებაო, – შემომთავაზა ზაზამ. მესამე ძმაკაცს შევეხმიანეთ. აღმოჩნდა, რომ ისიც შინ მარტო ყოფილა. ინვალიდების მანქანას ძალზე დაბალი სიჩქარე აქვს. ამიტომ ჩაქჩაქ-ჩაქჩაქით, ძლივს მივაღწიეთ დათოს სახლამდე. მას კი სუფრა გაეშალა: ძეხვი, ყველი, კიტრი, პომიდორი, არაყი და ლუდი გამოელაგებინა... მივუსხედით სუფრას და ცოტა ხანში სულ გადაგვავიწყდა, გოგონებთან რომ მივდიოდით. ისე გამოვთვერით, ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით. 3 ბოთლი არაყი და 10 ლიტრი ლუდი 3 კაცს რას გვიზამდა?.. უკვე ღამის 3 საათი იქნებოდა, როცა ჩემმა ნაშამ ისევ დამირეკა. მაშინ გაგვახსენდა, რომ წასასვლელები ვიყავით. ძლივს ჩამოვბანცალდით კიბეზე და ჩავეტენეთ „მოცუცქნულ“ მანქანაში. დავიძარით ადგილიდან. ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ავტოინსპექტორმა გაგვაჩერა (მაშინ ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ). ძლივს დაამუხრუჭა ზაზამ და კარგა შორს გააჩერა. კარი გამოაღო და გადასვლას ვერ ახერხებდა. ფეხების გადატანა ვერ შეძლო მანქანიდან. ასფალტზე ხელებით დაეყრდნო და ასე ოთხზე დამდგარი აპირებდა გადასვლას. ინსპექტორმა ასეთ მდგომარეობაში მყოფი რომ დაინახა, სინდისის ქენჯნა იგრძნო – ინვალიდი კაცი როგორ შევაწუხეო, ალბათ იფიქრა და შორიდან, დაიძახა – წადი, წადი, ბოდიშს გიხდიო. ზაზა ძლივს შემობობღდა უკანვე მანქანში და მალე გოგოებამდეც მივაღწიეთ. აი, როგორ კარგად დავარიგე ჭკუა მეგობარს. ჩვენ რომ მამამისის მანქანით არ წავსულიყავით, მაგარ ჯარიმას ავიკიდებდით. პატივისცემით, სოსო“...

კაცმა არ იცის, სიმთვრალეში რას ჩაიდენ. სოსო და მისი ძმაკაცები გადაურჩნენ პოლიციელებს, მაგრამ შემდეგი რესპონდენტი, ახალგაზრდა ქალბატონი ქმრის რისხვას ვერ ასცდა. თუმცა...

„ვინ არის ეს კაცი?..“

„ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ შეყვარებული მღალატობდა. ჯერ 26 წლის ქალმა ძლივს „ვიშოვე“ შეყვარებული და ისიც ქალებში დაძვრებოდა თურმე. აცრემლებული, ჩემს გათხოვილ დაქალს მივადექი, რომ კაცების ლანძღვით გული მეჯერებინა. სხვა ვინ ამიბამდა მხარს, თუ არა 7 წლის წინ გათხოვილი ქალი?! ტირილ-ტირილით ვუამბე ჩემი უბედურების შესახებ. ამასობაში მესამე დაქალიც შემოგვიერთდა და მოვყევით მამაკაცებზე წუწუნსა და იმის მტკიცებას, რომ ყველა კაცი ერთნაირად საზიზღარი და „არგასამრავლებელია“. ახლა რა ვქნა, რა მეშველებამეთქი? – ვიკითხე სლუკუნით. თამომ შესანიშნავად დამარიგა ჭკუა, მითხრა – რაღას იზამ? უნდა დალიო, დათვრე და დარდიც გადაგავიწყდებაო. თვითონ საშინელი სიმთვრალე ჰქონდა. ჩვენ კი არა, მთვრალ თამუნას მისი ქმარიც კი ერიდებოდა ხოლმე... ერთხმად ავიტაცეთ მისი წინადადება. სუფრა უცებ გავაწყვეთ და თამუნას მამამთილის გამოხდილი ჭაჭა 5-ლიტრიანი ბალონით გვერდით მოვიდგით. კარგად გამოვთვერით, თან კაცების ლანძღვით გულს ვიოხებდით. თამუნას გრადუსთან ერთად, ბოღმაც ემატებოდა და ქმარს თუ ოდესმე უწყენინებია, ღამის ყველა შემთხვევა გაიხსენა. ქმრის სახელის ხსენებაზე სულ მუშტავდა ხელებს. ამასობაში დაღამდა. შუაღამისას მისი მეუღლეც დაბრუნდა შინ. ასე უგონოდ მთვრალები რომ დაგვინახა, სამზარეულოში გავიდა და დაიღრიალა – „თამუნა!“ ისიც უცებ გაცუნცულდა. ჩვენ დავიძაბეთ. სამზარეულოში ლოჯიიდან შევიჭყიტეთ და დავინახეთ როგორ ღრიალებდა მამუკა:

– რას ჰგავხარ?! ახლავე აალაგე სუფრა, ჭურჭელი დარეცხე, გოგონებიც დააძინე და შენც დაეგდეო!.. ვფიქრობდით, რომ ახლა დიდი ბრძოლა ატყდებოდა, თამუნა „თავხედ“ ქმარს საკადრის პასუხს გასცემდა, მაგრამ ის თვალებს აფახულებდა, თან წონასწორობას ძლივს ინარჩუნებდა და ბურტყუნებდა – კარგი, კარგი, დავრეცხავ... დავიძინებო... სასწრაფოდ ოთახში დავბრუნდით. მამუკამ საძინებლის კარი მიაჯახუნა, მაგრამ გაოცებული სახე ჰქონდა: როგორც ჩანს, მასაც გაუკვირდა ცოლის მორჩილება. თამუნა კი ძლივს შემოლასლასდა ოთახში, კედელს მიეყრდნო, მხრები აიწურა, ხელები გაოცებულმა მიატრიალ-მოატრიალა და იკითხა – ვინ არის ეს კაცი? ჩემმა ქმარმა არ მოუსწროს „სპალნაში“, თორემ გააბრტყელებსო... წარმოგიდგენიათ? ისეთი მთვრალი იყო, რომ საკუთარი ქმარი ვერ იცნო. ჩვენც ეჭვი შეგვეპარა – იქნებ, ის კაცი მამუკა მართლაც არ იყო-თქო? შევიპარეთ საძინებელში ფეხაკრეფით. დავადექით საწოლში მწოლიარე მამაკაცს და სახეზე დავაკვირდით. თან თავს ძლივს ვიკავებდით, რომ არ წავქცეულიყავით. როგორც ჩანს, მამუკას არ ეძინა, უეცრად – ვუუო! – დაიძახა და შეგვაშინა. ეგღა გვინდოდა. მოცელილებივით დავეყარეთ ძირს და ადგომაც ველარ მოვახერხეთ... ასევე დაგვეძინა. დილით კი მამუკამ, „პახმელიაზე“ ლუდით გამოგვიყვანა. აი, ასე დაგვემართა. ჩემი დაქალის ოჯახური იდილია, მისსავე ჭკუაზე სიარულს, ლამის თან გადაჰყვა“.

ნათქვამია – თუ გინდა, სწორად იცხოვრო, რჩევა ცოლს უნდა ჰკითხო და მის საპირისპიროდ იმოქმედო. როგორც ჩანს, ჩვენმა მომდევნო რესპონდენტმა ამ „ჭეშმარიტების“ შესახებ არაფერი იცოდა. ჰოდა, სწორედ ამიტომაც აღმოჩნდა სავალალო სიტუაციაში.

ცხვირიდან ძმრად ნადენი იდეა...

„ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ და ჩვეულებრივი ოჯახი მაქვს. აღსანიშნავია, რომ მშობლების მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას ვერაფერი შევმატე. ბინა, ავეჯი, „დანგრეული“ „მოსკვიჩი“ და „დაჩა“ სოფელ მთისძირში – ეს ყველაფერი მამაჩემის დანატოვარია. მხოლოდ ცოლ-შვილი შევიძინე ჩემით. ვცხოვრობდით ტკბილად და გემრიელად, თუ არ ჩათვლი ცოლის მიერ დალეწილ ჭურჭელსა და შიგადაშიგ გარეულ ჩემს გინებას... მერე ქვეყანა აირია, ცხოვრება გაჭირდა და ცოლმა ოჯახის ქონების გაფრთხილება ამჯობინა... სამაგიეროდ, მე ვუმატე ლანძღვა-გინებას. ბავშვები წამოიზარდნენ. ხარჯი დღითი დღე გვემატებოდა, მე კი უმუშევარი ვიყავი. ჩემი ცოლისძმა საზღვარგარეთ იყო წასული. ოჯახს ბლომად ფულს უგზავნიდა, მისი ცოლ-შვილი საცხოვრებლად სოფლიდან თბილისში გადმოვიდა. ჩემდა საუბედროდ, ევრორემონტიც გააკეთეს და ხელგაშლილადაც ცხოვრობდნენ. ამის შემხედვარე, ჩემმა ცოლმა აქ მე გამიწყალა გული – წადი, წადიო, – იქ ძმას – წაიყვანე, წაიყვანეო... ქალო, წასასვლელი ფული საიდან მოვიტანო-მეთქი? – ვეკითხებოდი. ორი დღე იფიქრა, მესამე საღამოს კი, თავისი აღმოჩენით კმაყოფილმა, გამომიცხადა – ბინა გავყიდოთ, თუ წახვალ, ფულს იშოვი და უკეთესს ვიყიდითო... კარგა ხანს ვჯიუტობდი, მაგრამ ბოლოს, მაინც მის ჭკუას დავყევი. მაკლერმა ერთ კვირაში გაგვაყიდვინა მამაჩემის ოფლით შეძენილი ბინა, საბუთები უცებ მოვაგროვე და შორეული ქვეყნის გზას დავადექი... ცოლისძმა აეროპორტში დამხვდა. არც კი ამომასუნთქა, მეორე დღესვე სამსახურში მიკრა თავი. ამას ვჩიოდი? იმედით აღვსილი, თავდაუზოგავად ვშრომობდი, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი ოფლის ღვრა. ვიზას ვადა ერთ თვეში გაუვიდა. ერთი კვირის შემდეგ კი, დამიჭირეს და დეპორტით გამომიშვეს სამშობლოში. ცოლი თვალცრემლიანი შემხვდა. მე კი ულმობელი ვიყავი და ცეცხლზე ნავთს ვასხამდი. ვეჩხუბებოდი და თავის იდეას სულ ცხვირიდან ძმრად ვადენდი... ახლა ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ და თავი ძლივს გაგვაქვს. ჩემი ცოლისძმა ისევ მპირდება – წაგიყვანო, – მაგრამ თვითონ თუ თანხას არ გამომიგზავნის, მე გასაყიდი აღარაფერი მაქვს. თუმცა, რატომაც არა? ხალხო! ვყიდი ცოლს, რომელსაც საუკეთესო იდეები აქვს! ცოლს იაფად მოგცემთ, მაგრამ იდეები კი, ცოტა ძვირი დაგიჯდებათ! ეთო, ეს მე ვარ, შენი ფისუნია“.

მიზეზი ჩემთვისაც გაუგებარია, მაგრამ რატომღაც ჩვენ მიერ შემოთავაზებულმა თემამ მკითხველები ხუმრობის გუნებაზე დააყენა. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მივესალმები, როდესაც ადამიანს შეუძლია, თავის გასაჭირს იუმორით შეხედოს. ჰოდა, სწორედ ამიტომ, ჩემი რესპონდენტი „სუპერკაცის“ მიერ მოყოლილ ამბავს სიტყვა სიტყვით გთავაზობთ.

იმპოტენტი კაცისა და... ცოლის, ნაშისა და საყვარლის ამბავი

„გამარჯობა. ადრეც რამდენჯერმე დაგიმესიჯეთ და ყოველთვის დაიბეჭდა „გზავნილებში“. სხვა მკითხველებს მინდა ვუთხრა (ვინც „გზავნილებს“ კითხულობს და არ გიმესიჯებთ), რომ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი სიამოვნებაა, როდესაც შენ მიერ მესიჯით გაგზავნილ ამბავს ჟურნალში წაიკითხავ. თუ მესიჯში შენი ახლობლებიც „მონაწილეობენ“, ხომ სულ მაგარია. მერე მიდის კაიფი და ერთმანეთზე ღადაობა... ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც უშუალოდ მე მეხება და არც არავინ იცის. თუ ვინმე ამომიც-

ФИГУРИН

- მსენახეული და ეფექტური საშუალება ჭარბი წონის პროექციისთვის

- სნეულებისგან და ეფექტური
- აქვეითებს მადას და არ საჭიროებს მკაცრ დიეტას
- შლის სხიმებს, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვის გარეშე

სრულყოფილი სხეულის ფორმულა!

დოზირება:
წონის გათვალისწინებით მიიღება 1 კაფსულა ორჯერ დღეში ან 2 კაფსულა ორჯერ დღეში, (კურსი 1 თვიდან 6 თვის ჩათვლით). პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. სიფრთხილით ინიშნება ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების დროს. გთხოვთ მითითებულ დოზას ნუ გადააჭარბებთ.

ყოველი კაფსულა შეიცავს:
პარკოსანი გუარას თესლები-30მგ.
ლოხა ბასმა (ნატურალური რკინის წყარო)-50მგ.
მრგვალფოთლიანი მრავალძარღვა-30მგ.
მაკვე ემბელიას ნაყოფი-20მგ.
დარუფილფილის ნაყოფის მშრალი ექსტრაქტი-20მგ.
კოჭა-20მგ.
სამყე-250მგ.
ინდური ტყვიაბალახა-25მგ.
აკაცია კატეხუს მშრალი ექსტრაქტი-15მგ.
ტრიპალა (ემბელია, ტერმინალია ბელერიკა, ტერმინალია ჩებულა)-100მგ.

გვერდითი მოვლენები:
მომატებული მგრძნობელობა პრეპარატში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

უკუჩვენება:
ორსულობა და ლაქტაცია.
18 წლამდე ასაკი.

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

PSP
ჩემი ოჯახის აფთიაქი
ალმაშენებლის 148/III

აჯანტა ფარმა ლიმიტედი ინდოეთი

ვენიერ შუადღეს“, როცა კაბინეტი ნაშა შემოვიდა და კალთაში ჩამიჯდა, არაფერიც აღარ გამომივიდა. ძალზე მოვიწადინე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!.. შევშფოთდი და საღამოს, საყვარელთან გავიქეცი თავქუდმოგლეჯილი – იქნებ, იქ მაინც შევძლო-მეთქი?.. – იქაც მარცხი განვიცადე. შინ ხომ უკვე ხელჩაქნეული მივედი და იქაც – არაფერი. ასე გაგრძელდა მთელი კვირა. უკვე მეჩვენებოდა, რომ ნაშამ თანამშრომლებთან გამიბაზრა ეს ამბავი და ყველა მე დამცინოდა... ავდექი და „ინკოგნიტოდ“ მივედი სექსოლოგთან. ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. ბოლოს, გაეცინა – დასვენება გჭირდება, შე უბედურო, – მითხრა და მთის კურორტი „გამომიწერა“ – ოღონდ, არანაირი ქალებიო! – გამაფრთხილა. ორი კვირით წავედი დასასვენებლად მარტო. პენსიონერივით დავსეირნობდი ბორჯომის პარკში, საღამოს 9 საათზე ვიძინებდი და დილით 7-ზე ვდგებოდი. მე-6 დღეს, როცა ერთმა ლამაზმა ქალმა თვალები ვნებიანად მომიჭუტა და დეკოლტირებულ მკერდში ლამის ცხვირი ჩამაყოფინა, ვიგრძენი, რომ ძველებურად, ფორმაში ვიყავი, მაგრამ ექიმის რჩევა გამახსენდა და თვალი ავარიდე. მოკლედ, ასე დამარიგა ჭკუა ჩემზე ჭკვიანმა ექიმმა და ახლა ძველებურად ვცხოვრობ: ცოლი, საყვარელი, ნაშა... თუ ისევ „დაბუქსავდები“, უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. ნახვამდის“.

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ მამაკაცის შარვლის შესაკრავის სრულყოფა 1926 წელს მოხდა, როცა ჯინსის შარვალზე ელვაშესაკრავი გაჩნდა (მანამდე შარვალი გვერდზე ღილებით იკვრებოდა). ბოროტი ხმები კი ამბობენ, რომ თურმე, სწორედ „ზმეიკის“ წყალობით დაწყებულა სექსუალური რევოლუცია...

შიშველი „რევოლუციონერები“

„სულ რამდენიმე თვის წინ დავბრუნდი საქართველოში. „გზა“ შემთხვევით ჩამივარდა ხელში და „გზავნილები“ ისე მომეწონა, რომ ახლობლებში ძველი ჟურნალები მოვიძიე და რაც ვიშოვე, ყველა წავიკითხე. 20 წლის წინ წავედი რუსეთში. მაშინ სულ ახალგაზრდა – 19 წლის ვიყავი. ჯერ ვსწავლობდი, მერე – ვმუშაობდი, მერე – დამიჭირეს, მერე – ისევ ვმუშაობდი, ისევ დამიჭირეს და... ახლა უკვე თბილისში ვარ. ძალზე შეცვლილია საქართველოს დედაქალაქი. საერთოდ ვეღარ ვცნობ ქუჩებსა და უბნებს. ძველი ძმაკაცები მოვძებნე და სამსახურიც მიშოვეს. უცებ მივხვდი, რომ საქართველოში სექსუალური რევოლუცია მომხდარა. გოგონები ისედაც გახდილები დადიან და ზარმაც კაცს მეტი რაღა გინდა? მარტო ჰორიზონტალური მდგომარეობის მიღება გჭირდება, მე შენ გეტყვი და... უარს გეტყვის ვინმე თუ?.. დაჯექიო, – როგორც კი ეტყვი გოგოს, მაშინვე წვება. მოკლედ, გასახარი ამბები დამხვდა ჩემს ქალაქში... მეც მივყევი და ამ გახდილ „რევოლუციონერებს“ სულ დედა ვუტირე. მაგრამ ერთი გასაჭირი მადგას: საქართველოში რომ ვბრუნდებოდი, ვფიქრობდი – უკვე 40 წლის კაცი ვარ, დროა, ოჯახს მოვეკიდო, ერთ კარგ გოგოს შევარჩევ, დავქორწინდები და მშვიდად ვიცხოვრებ-მეთქი. თურმე, რა ძნელი ყოფილა შესაფერისი კანდიდატურის მოძებნა! მეგობრებს ვკითხე რჩევა. მათაც არ დაიზარეს და ჭკუა დამარიგეს – რომელი გოგოც გაგიძალიანდება, იმას სტაცე ხელი და შინ წაიყვანეო. მთელი 4 თვეა, ვეძებ ასეთს, მაგრამ ვერ ვიპოვე. ცოტა ხნის წინ, გაჩერებაზე ერთი გოგო დავლანდე. მომეწონა. ბევრი არ მიფიქრია, მივედი და გავეცანი. იქვე, კაფეში დავპატიჟე. რომ შევთავაზე – შინ მესტუმრე-მეთქი, – ძალზე შორს დაიჭირა. გამიხარდა. დავიწყეთ შეხვედრები. უკვე ვგეგმავდი, როდის დავქორწინდებოდით, სად ვიცხოვრებდით და რამდენი შვილი გვეყოლებოდა. თითსაც არ ვაკარებდი რომ თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო. ერთ დღეს, სადარბაზომდე რომ მივაცილე (საკმაოდ გვიანი ღამე იყო), შიგნით შევყევი, როგორც იქნა, გავბედე და მოვეხვიე. გაშმაგებული მეცა და კოცნა დამიწყო. რაღას ვიზამდი – ავყევი. შარვალზე ხელი მოვუფათურე, რომ გამეხსნა... გვერდზე, „ზმეიკა“ გვერდზე მოძებნეო, – მიჩურჩულა და თვითონ ჩემი შარვლის „ზმეიკას“ დაეტაკა... იქიდან წამოსული თმას ვისწორებდი და ვფიქრობდი – აი, რას ნიშნავს სექსუალური რევოლუციამეთქი!.. იმედია, დამიბეჭდავთ ამ ამბავს... მარი, „გზავნილები“ ძალიან მაგარია. რომ მხედავდე, ზემოთ აწეულ ცერა თითს დაგანახვებდი. დათო“.

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

მაგარი რჩევა-დარიგება სიდედრისგან

„საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი ვარ. თაყვანისმცემლებიც არ მაკლია. მე კი ერთი ბიჭი სიგიჟემდე შემიყვარდა. მას ვახო ჰქვია. ეს ამბავი 6 წლის წინ დაიწყო. ყოველდღე მობილურით საათობით მელაპარაკებოდა, სასიყვარულო ლექსებს მწერდა. ლამაზ სიტყვებს მეუბნებოდა... ერთ მშვენიერ დღეს, ამ ყველაფერს ვნებიანი კოცნა მოჰყვა. ჩემი მეგობრები ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იყვნენ. რადგან ვახო „ძველი ბიჭია“, მე კი ნაზი და სათუთი ადამიანი ვარ. სულ მეუბნებოდნენ – შენი ღირსი არ არისო. ბევრი ადამიანი ცდილობდა ჩვენს დაშორებას. ერთ დღეს, ერთმანეთს გავებუტეთ. სწორედ ამ დროს, ჩემმა ნათესავმა მითხრა – ვახო შენთან ფულის გულისთვის არის და გირჩევ, დაშორდეო. მეც მის ჭკუაზე გავიარე და ახლა ძალიან ვნანობ. ვიცი, დიდი შეცდომა დავუშვი. ვერ გივიწყებ, ჩემო სიცოცხლევ, ვიტანჯები, მიყვარხარ, ლ.კ.“

„ახლა დავრწმუნდი, რომ სიყვარულს საზღვარი არ გააჩნია. ვმუშაობ ერთ-ერთ კომპანიაში, სადაც გავიცანი ეროვნებით არაბი მამაკაცი. თავისი თვისებებით მომხიბლა და მაგრძნობინა, თუ რას ნიშნავს სიყვარული. იმედი მაქვს, გამიმართლებს. ახლა ის სამშობლოშია და 4 თვეში ჩამოვა ჩემს წასაყვანად. რომ ჩამოვა, აუცილებლად მოგწერთ, როგორ განვითარდება მოვლენები. დ.მ.“

„ტელეფონით გავიცანი ბათუმელი თემო. ურთიერთობა კარგად ავაწყვეთ. ერთ დღეს, მისი გამოგზავნილი მესიჯი მამაჩემმა და ჩემმა ძმამ წაიკითხეს. საშინელი რეაქცია ჰქონდათ. მკაცრად ამიკრძალეს თემოსთან ურთიერთობა. მუდმივად მიმოწმებდნენ ტელეფონს. ამის გამო ვეღარ ვახერხებდი თემოსთან კონტაქტს. ისე გამოდის, რომ მამისა და ძმის ჭკუაზე გავიარე და დიდი სიყვარული დავკარგე“.

„ჩემი დაქალის ქორწილში მივდიოდი და მაშინ ვიმგზავრე პირველად მატარებლით. სწორედ იქ გავიცანი ერთი სამხედრო, რომელმაც ჯვარი მაჩუქა. მინდა, ჩემი ხმა მივაწვდინო. „ნერვოზას“ დაქალი, ნონა“.

„სხვის ჭკუაზე ცხოვრებაში ერთხელ გავიარე და კარგადაც მოვიქეცი. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, ცოლად მივყვებოდი არაფრის მქონე ნარკომანს. ჩემმა მეგობარმა თვალი ამიხილა და თავის მშვენიერ, ფულიან ბიძაშვილზე გამათხოვა. ახლა ქმართან ერთად დასასვენებლად პარიზში მივდივარ. ეს კი თამოს დამსახურებაა. თამო, გპირდები, შენს ბედზე მე ვიზრუნებ. ნინუ“.

„ძალზე ხათრიანი ვარ. ამიტომ

ბუტეთ. სწორედ ამ დროს, ჩემმა ნათესავმა მითხრა – ვახო შენთან ფულის გულისთვის არის და გირჩევ, დაშორდეო. მეც მის ჭკუაზე გავიარე და ახლა ძალიან ვნანობ. ვიცი, დიდი შეცდომა დავუშვი. ვერ გივიწყებ, ჩემო სიცოცხლევ, ვიტანჯები, მიყვარხარ, ლ.კ.“

„ახლა დავრწმუნდი, რომ სიყვარულს საზღვარი არ გააჩნია. ვმუშაობ ერთ-ერთ კომპანიაში, სადაც გავიცანი ეროვნებით არაბი მამაკაცი. თავისი თვისებებით მომხიბლა და მაგრძნობინა, თუ რას ნიშნავს სიყვარული. იმედი მაქვს, გამიმართლებს. ახლა ის სამშობლოშია და 4 თვეში ჩამოვა ჩემს წასაყვანად. რომ ჩამოვა, აუცილებლად მოგწერთ, როგორ განვითარდება მოვლენები. დ.მ.“

„ტელეფონით გავიცანი ბათუმელი თემო. ურთიერთობა კარგად ავაწყვეთ. ერთ დღეს, მისი გამოგზავნილი მესიჯი მამაჩემმა და ჩემმა ძმამ წაიკითხეს. საშინელი რეაქცია ჰქონდათ. მკაცრად ამიკრძალეს თემოსთან ურთიერთობა. მუდმივად მიმოწმებდნენ ტელეფონს. ამის გამო ვეღარ ვახერხებდი თემოსთან კონტაქტს. ისე გამოდის, რომ მამისა და ძმის ჭკუაზე გავიარე და დიდი სიყვარული დავკარგე“.

„ჩემი დაქალის ქორწილში მივდიოდი და მაშინ ვიმგზავრე პირველად მატარებლით. სწორედ იქ გავიცანი ერთი სამხედრო, რომელმაც ჯვარი მაჩუქა. მინდა, ჩემი ხმა მივაწვდინო. „ნერვოზას“ დაქალი, ნონა“.

„სხვის ჭკუაზე ცხოვრებაში ერთხელ გავიარე და კარგადაც მოვიქეცი. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, ცოლად მივყვებოდი არაფრის მქონე ნარკომანს. ჩემმა მეგობარმა თვალი ამიხილა და თავის მშვენიერ, ფულიან ბიძაშვილზე გამათხოვა. ახლა ქმართან ერთად დასასვენებლად პარიზში მივდივარ. ეს კი თამოს დამსახურებაა. თამო, გპირდები, შენს ბედზე მე ვიზრუნებ. ნინუ“.

„ძალზე ხათრიანი ვარ. ამიტომ ხშირად ვთმობდი პოზიციებს, ძალად „დონე“ დაქალებთან. ბოლოს, მათ თავიანთი ხმა გადამწყვეტადაც კი ჩათვალეს და ჭკუის დარიგება დამიწყეს. დაქალებს დავშორდი, რადგან დაბალი ღობე სულაც არ ვარ“.

„როცა სხვის ჭკუაზე გავიარე, ცხოვრება დამენგრა. ეს „სხვა“, ჩემი ქმარია. მას უნდა, რომ მის საყვარელთან ვიმეგობრო. მეც იძულებული ვარ, დავთანხმდე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმატოვებს და დავრჩები ორ ბავშვთან ერთად, სრულიად მარტო“.

„როცა სხვის ჭკუაზე გავიარე, ლამის ცხვირ-პირი დავიმტვრიე და კისერიც მოვიტეხე. საერთოდ, არ ვარ ჩვეული სხვის დაკრულზე ცეკვას, მაგრამ მაშინ რა დამემართა, არ ვიცი. ერთი თვის წინ, ახალი თაყვანისმცემელი გამომიჩნდა, რომელიც ჩემმა უახლოესმა დაქალმა გამაცნო. ყველანაირად ცდილობდა, დავერწმუნებინე, იმ ბიჭისთვის ყურადღება მიმექცია. მე კი ისევე მონდომებით ვცდილობდი მის ჩამოშორებას, როგორც სხვა თაყვანისმცემლებს ვიშორებ ხოლმე. ერთხელაც, ჩემმა „კეთილისმყოფელმა“ დაქალმა დამირეკა და მთხოვა, მასთან შინ მივსულიყავი. დამიწყო იმ ბიჭზე ლაპარაკი. მეუბნებოდა – შენი გულისთვის ლამის თავი მოიკლას, შენთან ლაპარაკი უნდა, ძალიან გთხოვ, ერთხელ მაინც შეხვდი და დაელაპარაკეო... ესეო... ისეო... და ერთი სიტყვით, შემაბა. მის ჭკუაზე გავიარე და იმ ბიჭს შეხვედრაზე შევუთანხმდი. მალევე მოვიდა. ჯერ ჩემს მეგობართან ერთად მეფიცებოდი სიყვარულს. მეუბნებოდა – თუ ჩემი ცოლი არ გახდები, თავს მოვიკლავ, სხვასთან არ გაგახარებო... შემდეგ, როგორც კი ჩემმა დაქალმა მარტო დაგვტოვა, მეცა და მოფერება დამიწყო. ავტეხე ერთი ამბავი. რასაც მივწვდი, ყველაფერი თავზე გადავამტვრიე. იქიდან თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი. ბეწვზე გადავურჩი გაუპატიურებას. ერთხელ გავიარე სხვის ჭკუაზე და ლამის გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი. ამის შემდეგ აღარავის ვენდობი. მარი“.

„ცხოვრებაში ერთადერთხელ დავუჯერე სხვას და მის ჭკუაზე გავიარე, რასაც უზომოდ ვნანობ. მაშინ 12 წლის ვიყავი და ძალიან მომწონდა ჩემი კლასელი ბიჭი. სულ ადვილად დამითანხმა, რომ მის ლოგინში აღმოვჩენილიყავი, მერე კი ჩვენი ამბავი მთელ უბანს მოსდო, რის გამოც უბნიდან გადასვლამ მოგვიწია, მშობლებს კი ძლივს გადავურჩი. თუ ამ მესიჯს მოზარდები წაიკითხავენ, ვურჩევ, კარგად დაუფიქრდნენ თითოეულ ნაბიჯს. თამთა“.

„სკოლა რომ დავამთავრე, ხუთოსნებს ატესტატი რაიონში, საზეიმო ვითარებაში გადმოგვცეს. იქ ერთმა ახალგაზრდამ ასე დაგვარიგა – ყველას მოუსმინეთ და არავის დაუჯეროთო... ხშირად მიფიქრია მის ნათქვამზე, მაგრამ მაინც გამივლია სხვის ჭკუაზე. თუმცა, სხვებს უფრო ხშირად ვატარებ ჩემს ჭკუაზე. სხვის ჭკუაზე გავლა, მის მორჩილებას ნიშნავს. ძლიერის მორჩილება კი, სასიამოვნოცაა. არასოდეს მინანია, რომ სვანების ჭკუაზე გამივლია...“

„ელა მიყვარს ძალიან. მარი, მაგრა გთხოვ, ეს მესიჯი გამომიქვეყნე და ბოჩოლას დაგიკლავ. ეს საქმე თუ გამოვიდა, ქორწილში გეპატიჟებით, მამაძაღლი ვიყო, თუ არა. გთხოვ, დამიბეჭდე რააა!“

„მაგრად შევცდი, როცა ჩემი დაქალის ჭკუაზე გავიარე და ჩემს პირველ შეყვარებულში ეჭვი შევიტანე. მერე, დაქალს, სიყვარული ვამჯობინე და სწორადაც მოვქეცი. მის ჭკუაზე ერთხელ გავიარე და კინაღამ გამათხოვა. სხვებმა იარონ ჩემს ჭკუაზე, თუ კარგია!“

„როცა ქმრის ჭკუაზე გავიარე, სამსახურიც დავკარგე და მეგობრებიც. სწორედ მის გამო ვზივარ სახლში და „ურჩხულა“ დედამთილს შევყურებ. ჭკვიანი რომ ვიყო, ვიგრიალებლი. თეონა“.

„დედაჩემის რჩევით, შეყვარებულს დავშორდი და არც ვნანობ. ასე რომ არ მომხდარიყო, ახლა აღნავლებული ბავშვი მეჭირებოდა ხელში... დედიკო, რჩევისთვის გმადლობ. ბუკნა“.

„სხვამ რა დააშავა? რაც მოგვდის, ყველაფერი ჩვენი უჭკუობის ბრალია. შეგიძლიათ, იმ გამონაკლისად ჩამთვალოთ, რომელიც სხვის ჭკუაზე არ დადის, მაგრამ ბევრჯერ ცხვირიც წაუტეხია. მე კი საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობ ჭკუას. ნინო“.

„კაცი რომ სიდედრის ჭკუაზე გაივლის, იმაზე მეტის ღირსია, რაც მე დამემართა. ეშმაკივით შემომიჩნდა, ცოლი უცხოეთში გაუშვი, ხომ ხედავ, უმაქნისი ხარ და ოჯახს ვერ ინახავო. მეც ავდექი და გავბრიყვდი. უკვე მეექვსე წელიწადია, ცოლს ვეხვეწები, ჩამოდი-მეთქი, მაგრამ... – არაო! ახლა გავიგე, თურმე, ჯერ კიდევ 3 წლის წინ გათხოვილა!.. მოკლედ, რჩევა მჭირდებოდა, სიდედრმა კი ჭკუა დამარიგა, „გადავფხიკე“ და მაგრად მოვიგე. დიდი მადლობა „დედიკოს“.

მხოლოდ ერთს დავამატებ – კარგია, როცა ადამიანს მადლიერების გამოხატვა შეუძლია და „გზავნილებს“ ამით დავამთავრებ. მომდევნო თემად გთავაზობთ – არასასურველ სიტუაციაში აღმოჩნდი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გეშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ნდობის ტელეფონი

822-009-099

ზარი ფასიანია. 16 წლიდან



„მისტერ თბილისი-98“, წარსულში პოლიციის თანამშრომელი, ახლა კი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი — ასეთია ამ ახალგაზრდა კაცის მოკლე ბიოგრაფიული რეზიუმე. უცნაურია, მაგრამ თუ რამდენიმე თვის წინ, დათო გუნიავა ოპერის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე უბნის ინსპექტორად მუშაობდა, ახლა ამავე თეატრის სცენაზე ლადო ათანელთან ერთად უხდება სიმღერა, ცოტა უფრო ადრე კი, მეგობრებისგან მალულად, პოდიუმზეც გამოდიოდა...

რამდენიმე დღეში, დათოს სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრატურაში მოსახვედრად, მნიშვნელოვანი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი. ამიტომ მკაცრ სამუშაო რეჟიმით ცხოვრობს: დღეში 6-7 არიას ასრულებს და ხმას უფრთხილდება. ჩვენთვის გამონაკლისი დაუშვა და საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ მოგვცა.

„ოპერიდან“ – ოპერამდე, ანდიუმის გაჭედვით...

ემა ტუხიაშვილი

— დავიბადე თბილისში 1975 წლის 17 ნოემბერს. პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ ე.წ. თბილისის ომის შემდეგ, №47-ე სკოლაში გადავედი. სხვათა შორის, ამ ომის დროს, ჩვენი სახლი მთლიანად დაიწვა და რამდენიმე წლის განმავლობაში, სასტუმრო „ივერიაში“ ვცხოვრობდი ოჯახთან ერთად. სკოლის დამთავრების შემდეგ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ჩინური ენის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. მაშინ მხოლოდ 16 წლის ვიყავი, ჩინეთი ჩემთვის ეგზოტიკასთან ასოცირდებოდა, ამიტომაც მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. დღეს, რამდენიმე ჩინური იეროგლიფის გარდა, აღარაფერი მახსოვს. ჩინურიდან, თურქული ენის ფაკულტეტზე გადავედი, მაგრამ ახლა, თურქულიც დავიწყებული მაქვს. მეხუთე კურსზე ვსწავლობდი, როდესაც გადავწყვიტე, კონსერვატორიაში ჩამებარებინა. ჩვენი ნათესავი გახლავთ ცნობილი საოპერო მომღერალი ლეილა გოცირიძე, რომელმაც 16 წლის ასაკში, ჩემი ვოკალური მონაცემები შენიშნა. ამის შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გაკვეთილებს ვიღებდი სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგთან, გულიკო ტარიელიძესთან, მოგვიანებით კი, პროფესორმა ნოდარ ანდღულაძემ თავის კლასში ამიყვანა. ამიტომაც არ გამჭირვებია სახელმწიფო კონსერვატორიაში მოხვედრა. მაგრამ 2 წლის შემდეგ, გადაწყვეტილება კვლავ შევიცვალე და პოლიციის აკადემიაში ჩავაბარე. მისი დამთავრების შემდეგ, ლეიტენანტის წოდება მომანიჭეს. რამდენიმე წლის განმავლობაში ვმუშაობდი შინაგან საქმეთა მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოში, ოპერატიულ მუშაკად და უბნის ინსპექტორად. მიუხედავად ამისა, სიმღერის სურვილი არასდროს გამნელებია და ყოველთვის მინდოდა, ჩემი ვოკალური მონაცემების რეალიზება მომეხდინა. ასეც მოხდა: 2005 წლის იანვრიდან, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დასის შემადგენლობაში ჩამრიცხეს.

— როგორც ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელს, რისი გაკეთება გიხდებოდა და მოვალეობის შესრულებისას, ოდესმე თუ გამოგიყენებია შენი ვოკალი?

— უცნაური დამთხვევაა, მაგრამ ჩემი სამორიგეო პერიმეტრი, ძნელაძის ქუჩა და ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარე ტერიტორია გახლდათ. ამასთან დაკავშირებით უამრავი კურიოზი გადამხდენია თავს. მაგალითად, თეატრის ერთ-ერთი ბალერინა ოპერასთან სულ პოლიციის ფორმაში ჩაცმულს მხედავდა, ცოტა ხნის წინ კი გამიცნო, როგორც თეატრის დასის წევრი... როგორც უბნის ინსპექტორს, ხშირად მიხდებოდა სამოქალაქო დავებში ჩარევა. მახსოვს, ერთხელ, მეზობელმა ქალბატონებმა რაღაც სათავსი ვერ გაიყვეს, ისეთი სკანდალი მოაწყვეს, რომ შუაში ვიდექი და მათ დამშვიდებას ვცდილობდი. ისე კიოდნენ, რომ იქ ჩემი ბარიტონითაც კი ვერაფერს გავხდებოდი... სწორედ ასეთმა შემთხვევებმა დამარწმუნა, რომ პოლიციაში მუშაობა ჩემი საქმე არ იყო. სხვათა შორის, ბევრმა ჩემმა კოლეგა-პოლიციელმა არაფერი იცოდა ჩემი ვოკალური შესაძლებლობების შესახებ. ერთ-ერთი ახალი წლის ღამე სამორიგეოში გავატარეთ. მოგვიანებით, თანამშრომლებმა სამმართველოს უფროსის კაბინეტში მოვიყარეთ თავი, სადაც სახელდახელო სუფრა იყო გაშლილი. ცოტა შეზარხოშებულმა, თანამშრომლებს ჩემი ბას-ბარიტონით „ღვინოვ კახურო“ ვუმღერე. პოლიციელებს გაოცებისგან გამომეტყველება შეეცვალათ. შემდეგ ზოგმა გაიხსენა, რომ ბავშვობაში ლექსებს წერდა, ზოგს ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა და ა.შ.



„მისტერ თბილისი-98“, წარსულში პოლიციის თანამშრომელი, ახლა კი...

— ვიცი, რომ შენი შესაძლებლობები მხოლოდ სიმღერით არ შემოიფარგლება. მოგვიყევი, როგორ მოიპოვე „მისტერ თბილისის“ ტიტული და შენი სამოდელო კარიერის შესახებაც გვიამბე.

— კონსერვატორიაში ვსწავლობდი, როდესაც ახალგაზრდა ქალბატონი გვესტუმრა და სტუდენტებს „მისტერ თბილისი-98“-ის კონკურსის შესახებ გვიამბო. იმ წელს, მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, საფრანგეთში იმართებოდა. ახალგაზრდა ქალბატონი დაგვპირდა, რომ კონკურსში გამარჯვებულები ამ ჩემპიონატზე გასამგზავრებელი საგზურებით დაჯილდოვდებოდნენ. მაშინ მხოლოდ 22 წლის ვიყავი, ამიტომ სწრაფად მივიღე გადაწყვეტილება. შერჩევის შემდეგ, მხოლოდ 15 კონკურსანტი დავრჩით. პირველ ტურში საკუთარი თავი კლასიკურ კოსტიუმში უნდა წარმოგვეჩინა; მეორე ტური გულისხმობდა, რომ სპორტულ სამოსში გამოვსულიყავით; მესამე ტური კი, ეგზოტიკური იყო და საცურაო კოსტიუმების წარდგენას გულისხმობდა, მაგრამ რიგი მიზეზების გამო და თავად მონაწილეების თხოვნით, ეს უკანასკნელი, კონკურსიდან ამოიღეს... ბოლოს, მოცეკვავე გოგონებთან ერთად ვალსიც კი შევასრულეთ. კონკურსი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ჟიურის, ქალბატონი ქეთი დოლიძე თავმჯდომარეობდა. დარბაზში უამრავი ჩემი მეგობარი იჯდა და შეძახილებით მამხნევებდა. გრან-

პრის მფლობელი, ჩემი მეგობარი, გიორგი თუმანიშვილი გახდა, მე კი „მისტერ თბილისი-98“-ის და „მისტერ ფოტოგენურობის“ ტიტულები მოვიპოვე. კონკურსის დამთავრებისას აღმოვაჩინეთ, რომ საგზური მსოფლიო ჩემპიონატზე ცრუდანაპირები იყო და გამარჯვებულები „მეგაკომის“ მოზრდილი მობილური ტელეფონებით დაგვაჯილდოეს...

— წარმომიდგენია, რამდენ თაყვანისმცემელს გაიჩენდი ამ კონკურსის შემდეგ...

— თბილისი პატარა ქალაქია, ამიტომ ჩემი ტელეფონის ნომრის დადგენა არ გასჭირვებიათ და ინტენსიურად რეკავდნენ, ჩემი გაცნობის სურვილს გამოთქვამდნენ და შეხვედრას მთხოვდნენ. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ძირითადად, ტინეიჯერები მაწუხებდნენ.

— სამოდელო სააგენტოები თუ დაინტერესდნენ შენით?

— ცოტა ხანს ვმუშაობდი ლიკა ყაზბეგის სტუდიაში. მაშინ არსებობდა სამოდელო სააგენტო „ჯეოსთაილი“, სადაც ასევე ვიყავი მიწვეული. ალბათ გახსოვთ, რომ 1998 წლის ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატი საწყალოსნო-სათხილამურო სპორტში, ფოთში გაიმართა. სპორტული ასპარეზობების შუალედებში კი, იმართებოდა მოდელების ჩვენება, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. მიმაჩნია, რომ შოუ-ბიზნესის ამ სფერომ საქართველოში წარმატებას ვერ მიაღწია, მოდელის შრომის ანაზღაურება ჩვენთან მიზერულია, ამიტომაც მივატოვე პოდიუმი. სხვათა შორის, ჩემი სამოდელო საქმიანობა არც ჩემს მეგობრებს ხიბლავდა და ერთხელ, პირობაც კი მივეცი, რომ პოდიუმზე აღარ გავიდოდი... იმის შემდეგ სულ ცოტა ხანში კი, გრანდიოზული ჩვენება ეწყობოდა ერთ-ერთ საგამოფენო ცენტრში და იქიდან მიწვევა მივიღე. ცდუნებას ვერ გავუძელი. იმის თაობაზე მშვიდად ვიყავი, რომ ამ ჩვენებას არც ერთი ჩემი მეგობარი არ დაესწრებოდა და შესაბამისად, ვერაფერს შეიტყობდნენ. იმავე საღამოს, ჩვენების კადრები ყველა საინფორმაციო ტელეგადაცემამ უჩვენა.

— ახლა ისევ ოპერის თეატრს დავუბრუნდეთ და მითხარი, დასში როგორ მოხვდი?

— როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმები დაიწყო და პატრულის სამსახური ჩამოყალიბდა, დიდი შანსი მქონდა, რომ სამსახური ისევ ამ სისტემაში გამეგრძელებინა. მოულოდნელად, მეგობარმა დამირეკა და მითხრა, რომ ოპერის თეატრში დასის შესავსებად კონკურსი ტარდებოდა. ვისწავლე რამდენიმე ნაწარმოები, მომისმინეს და მიმიღეს. თეატრის სცენაზე უკვე გამოვედი, „აიდასა“ და „დონ პასკუალეში“, ხოლო ლადო ათანელის გასტროლების დროს, მასთან ერთად სცენაზე შევასრულე არია ოპერიდან „ტოსკა“.

— თეატრის სცენაზე შენმა დებიუტმა უექსცესად ჩაიარა?

— ნაწილობრივ. „აიდაში“ ჯარისკაცის როლი მქონდა და ხელში ბამბუკის ჯოხი მეჭირა. უეცრად დავინახე, რომ

მეზობლებს ძირითადად, პოლიციელის სამოსში ვყავარ ნანახი, ამიტომ ახლა გაკვირვებულები კითხულობენ ხოლმე — ვინაა, რომ მღერისო?

მეფე თავის სამოსში გაიხლართა და ტახტრევნისკენ პირდაპირ თავით წავიდა. მაყურებელს თითქოს ტალღამ გადაუარაო, ისე შეირხა დარბაზი, მე კი დავიბენი, აღარ ვიცოდი რა მექნა — მეფისთვის ხელი გამეწოდებინა თუ გაუნძრევლად ვმდგარიყავი... სხვათა შორის, „აიდას“ მესამე სპექტაკლში მეფის როლს სხვა მსახიობი ასრულებდა. მან მოსასხამი ტახტრევანს წამოსდო და სიმღერაში გართულმა, გარკვეულ მანძილზე ათრია. პაუზის დროს, ბრაზისგან შეიკურთხა კიდეც და საკუთარი როლის შესრულება განაგრძო.

— როგორც ვიცი, საქართველოში აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის დროს, იმ გუნდის შემადგენლობაში იყავი, რომელმაც ამერიკისა და საქართველოს ჰიმნები შეასრულა. ფონოგრამის გათიშვის დროს ხომ არ დაიბენით?

— ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტისთვის მთელი პასუხისმგებლობით ვემზადებოდით. აშშ-ის ჰიმნი ხმებში გაგვინაწილეს და მისი სწავლა არც გაგვჭირვებია. მე თეთრი ჩოხა მეცვა. მინდა გითხრა, რომ თავისუფლების მოედანზე შესვლამდე, ჩვენმა სპეცსამსახურებმა ორჯერ შეგვამოწმეს, ხოლო ქანდარებზე ასულები, უკვე ამერიკელებმა გაგვჩხრიკეს... რა თქმა უნდა, ფონოგრამის გათიშვას არავინ ელოდა, მთ უმეტეს, რომ პულტთან ამერიკელები, თანაც — თეთრი სახლის თანაშრომლები ისხდნენ. მაგრამ მაინც არ დავბნეულვართ და ვფიქრობ, საკმაოდ კარგად, ცოცხლად ვიმღერეთ ჩვენი ქვეყნის ჰიმნი.

— დათო, შეყვარებულის ფანჯრებთან თუ გიმღერია სერენადა?

— ახლა არა მყავს შეყვარებული. მაგრამ საყვარელი გოგონასთვის ქუჩაში მიმღერია. ერთხელ, ქუჩაში კამათი მოგვივიდა და რომ შემრიგებოდა, ნეოპოლიტანური სიმღერა ვუმღერე. გამვლელები გაოცებული მიყურებდნენ, გოგონა კი შემირიგდა...

— მეცადინეობის დროს, მეზობლებს თავს ხომ არ აბეზრებ?..

— მეზობლებს ძირითადად, პოლიციელის სამოსში ვყავარ ნანახი, ამიტომ ახლა გაკვირვებულები კითხულობენ ხოლმე — ვინაა, რომ მღერისო? სხვათა შორის, შინ მუშაობა ძალიან მიადვილდება, რადგან დედაჩემი — ეთერ გულისაშვილი პიანისტია და უკვე მრავალი წელია, სახელმწიფო კონსერვატორიაში მუშაობს. პიანისტი გახლავთ მამიდაჩემიც — ნანა გუნიავა. ხოლო ბაბუა (ბებიის ძმა) ცნობილი კომპოზიტორი ნიკოლოზ გუდიაშვილი იყო... ახლა დღეში 30 წუთს ვმღერი, ინტენსიური ვარჯიშების შედეგად კი, მომავალი წლისთვის, ჩემს შესაძლებლობებს 1 საათამდე გავზრდი.

— საოპერო მომღერლის ხმას ალბათ, განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. უმ კვერცხს ხშირად მიირთმევ?

— ჩემთვის არ შეიძლება: სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლური სასმელების დალევა. ხმისთვის საზიანოა გადაღლა, ფიზიკური დატვირთვა. ძალიან მიყვარს ფეხბურთის თამაში, მაგრამ ხმის გამო ვფრთხილობ. რაც შეეხება უმ კვერცხს — ვფიქრობ, მსგავსი საშუალებების მიმართ ყველა მომღერალს ინდივიდუალური დამოკიდებულება აქვს. მე მირჩევნია, ზეთი დავლიო ხოლმე.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— უახლოეს გეგმებს რაც შეეხება, რამდენიმე დღეში, კონსერვატორიაში გამოცდა მაქვს და 6 ნაწარმოები უნდა ვიმღერო. მათ შორისაა, არია დონიცეტის ოპერიდან „დონ პასკუალე“, შევასრულებ არიას ჩაიკოვსკის ოპერიდან „ევგენი ონეგინი“ და ა.შ. ოპერის თეატრი სეზონის დახურვისთვის ემზადება და რადგან ბოლო სპექტაკლი, რომელიმე ქართული ოპერა უნდა იყოს, „დაისზე“ ვმუშაობთ. შემოდგომაზე, ვერდის „დონ კარლოსით“ გავხსნით სეზონს. უფრო შორეული პერსპექტივა კი, სოლო კარიერაზე ფიქრია, რაშიც მაგისტრატურაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება უნდა დამეხმაროს.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. თვითმკვლელობა ეგოიზმის უმაღლესი გამოვლინებაა.

2. მაყურებელი მსახიობს თავისი გულგრილობით კლავს.

3. ანატომიის შესწავლის მიზნით, მიქელანჯელო ქალაქის მორგში მუშაობდა.

4. „ეშმაკი დეტალებშია“, – შეახსენა ფრანგული გამოთქმა ლავროვს სალომე ზურაბიშვილმა.

5. ლურჯი ვეშაპის მოკლული ნაშიერის ჭამას მკვლელი ნამგალა ვეშაპები მისი ენიდან იწყებენ.

6. „პოეტს ხშირად სტუმრობდა მუზა, სხვა მნახველებს პალატაში არ უშვებდნენ“, – ხუმრობდა ევგენი პეტროსიანი.

7. „ცხოვრება დუმაა, ვთალოთ და ვიყოთ, სანამ ვართ“, – ეუბნება ეშმაკი ხვთისიას მხატვრულ ფილმში „ვედრება“.

8. „მე მიყვარს, მოდა რომ ქუჩაში გადის, მაგრამ არაფრით დავუშვებ, რომ ის ქუჩიდან მოვიდეს“, – ამბობდა კოკო შანელი.

9. კლაუდია შიფერი არასდროს ყოფილა დევიდ კოპერფილდის საყვარელი, უბრალოდ, კონტრაქტი ჰქონდა დადებული, რომ ამ როლს ითამაშებდა.

10. გეორგიევსკის ტრაქტატს რუსეთის მხრიდან გენერალმა პაველ პოტიომკინმა მოაწერა ხელი, ქართლ-კახეთის მხრიდან – იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ.

11. „სიცხეში სწრაფად მხოლოდ ცუდი ამბავი ვრცელდება“, – ღაღადებს ჩინური ანდაზა.

12. იოსებ სტალინმა ფაშისტების მიერ მიწასთან გასწორებული კიევი და მინსკი 7 წელიწადში აღადგინა, უფრო სწორად – თავიდან ააშენა.

13. გრიგოლ ორბელიანს ახმედ ხანის ულამაზესი ქვრივი, შამილის თანამებრძოლმა ჰაჯი მურატმა მოსტაცა.

14. „ია ვსემ რასკაჟუ, და ჩვო დავიოლ ბლანეტუ ეტოტ ფიგლიარ. პაკაკ ჩეტლანმ ნა გოლოვუ სელ!“ – ყვიროდა გიორგი დანელიას ფილმში „ჟინ-ძა-ძა“ ერთი ინცელოპი.

15. „მას თერგი არ დაელია, ქუთაისს არა ყოფილიყო და ზღვაც არ ენახა“, – ამბობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ მისი თანამედროვენი.

16. დაახლოებით ერთი თვის წინ, მსახიობი ნატალია გუნდარევა გარდაიცვალა. მის პანაშვიდზე მიტანილი ყვავილები თეატრის სცენაზე არ დაეტია.

17. ლატვიაში მცხოვრებ რუსებს არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

ზურა გაჩეჩილაძე — პოპულარული ტელემსახიობი შონზო, დასვენებას სიწყნარეში, მდინარის პირას, ანკესით ხელში ამჯობინებს. მისი ჰობია მოგზაურობა და სურს მთელი მსოფლიოს ნახვა.

ჩუსანი სიდუსკია... აუცილებლად მდინარის პირას

ეკა მინდაძე

— შონზო, თუ გახსოვს, პირველად როდის წახვედი მშობლების გარეშე დასასვენებლად?

— ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა მშობლები და მათ გარეშე არსად დავდიოდი. მიუხედავად ამისა, ეს მომენტიც დადგა – 15 წლის ასაკში, ჩემი უბნის მეგობრებთან ერთად ბათუმში გავემგზავრე. მაგრამ იქიდან ძალიან მალე დავბრუნდით, იმის გამო, რომ ფული მალე შემოგველია.

— საკურორტო რომანი არასოდეს გქონია?

— არა, სამწუხაროდ, რომანი არ მქონია იმიტომ, რომ კურორტზე ბავშვობის მერე არ დამისვენია. როდესაც ზღვაზე რომანი მქონდა, მაშინ უკვე შეყვარებული მყავდა. ჩემს საცოლეს (ახლანდელ მეუღლეს) ჩავაკითხე იქ, სადაც ისვენებდა. ჩემი აზრით, ეს არ ითვლება საკურორტო რომანად. რომანი არის ის, როდესაც დასასვენებლად წასული, გაიცნობ გოგონას და მასთან გააბამ ხანმოკლე ურთიერთობას. ასეთი რამ კი მე არ შემმთხვევია.

— სოფელი თუ გაქვს?

— სოფელი ზღვასთან ახლოს მაქვს – წყალწმინდა. ურეკიდან თითქმის 2-3 კილომეტრით არის დაშორებული. ეს ჩემი დედულეთია. მამაჩემის მხრიდან სოფელი არ მაქვს. ის წარმოშობით ზესტაფონელია. ზესტაფონი კი სოფელი არ არის.

— მთა უფრო გიყვარს თუ ზღვა?

— რა თქმა უნდა, მთა. იმიტომ, რომ იქ მეტი მრავალფეროვნებაა. მთაც არის, მინდორიც, მცენარეც და მდინარეც. ზღვაზე კი მარტო წყალია. აქედან გამომდინარე, ზღვაზე ყოფნა ძალიან მალე მბეზრდება.

— ცურვა იცი?

— კი, აბა რა! ახლაც, აუზიდან მოვდივარ.

— ლაშქრობაში თუ ყოფილხარ?

— კი, რა თქმა უნდა. ძალიან ხშირად დავდიოდით, სკოლის პერიოდში. სტუდენტობისას, ბიოლოგიის ფაკულტეტიდან არაერთხელ წავსულვართ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ამას უფრო პრაქტიკის სახე ჰქონდა, ჩემთვის კი ლაშქრობა იყო. მოვლილი მაქვს ბორჯომის ხეობა და სამცხე-ჯავახეთი.

— საქართველოს რომელ კუთხეში არ ხარ ნამყოფი?

— არ მინახავს ძალიან ბევრი კუთხე. სამწუხაროდ, არ მინახავს: ხევსურეთი, ფშავი, სვანეთი, ლეჩხუმი, აფხაზეთი და ზემო რაჭა. ქვემო რაჭაში ერთხელ ვარ ნამყოფი. ძალიან მინდა ამ კუთხეების დათვალიერება, მაგრამ ჯერ ვერ მოვახერხე.

— ნადირობა თუ გიტაცებს?



მზად ვარ მათი მოგზაურობის დასაფინანსებლად. მეუღლეც და ბავშვიც ძირითადად, ზღვაზე დადიან...

— ნადირობა ერთ-ერთი ჩემი ყველაზე საყვარელი საქმეა, მაგრამ სამწუხაროდ, ამისთვის დრო არ მრჩება. მეგობრებთან ერთად სულ ორჯერ მინადირია, ოღონდ, ნადირზე არა — უფრო ფრინველზე.

— მერე, რომელიმე ფრინველი თუ მოგიკლავს?

— კი, მწყერი.

— ალბათ, თევზაობაც გიყვარს, არა?

— ძალიან. ნადირობას თევზაობა მირჩევნია. სხვათა შორის, ბევრი თევზი მყავს დაჭერილი.

— ამ ზაფხულს სად აპირებ დასვენებას?

სექტემბრიდან ახალ ამპლუაში წარვდგები...

— ძალიან მინდა, საზღვარგარეთ დავისვენო. არ ვიცი, რამდენად შევძლებ ამას, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს. ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ფინანსებზე. გავიგე, თურმე, შეიძლება, განვადებით შეიძინო საგზური, დაისვენო და მერე მთელი წლის განმავლობაში იხადო გამოტანილი თანხა. თუ ეს მართალია და რომელიმე ტურისტული ფირმა ამ სერვისს შემოგვთავაზებს, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით გამოვიყენებ, ხოლო თუ ეს არ მოხდება, მაშინ ტრადიციულად, რომელიმე ზღვისპირა კურორტზე დავისვენებ. ალბათ, უფრო ქობულეთს ვამჯობინებ.

— შარშან სად ისვენებდი?

— შარშან არ დამისვენია. მართალი რომ გითხრა, დაახლოებით 10 წელია, არ დამისვენია არსად. თუ არ ჩავთვლით ხუთ-დღიან ან მაქსიმუმ, ერთკვირიან გასვლებს ზღვისპირა ქალაქებში, დისკოთეკაზე სამუშაოდ. ზაფხულში, რა თქმა უნდა, ბევრგან დავდივარ, მაგრამ არა გასართობად, არამედ — სამუშაოდ. რაც შეეხება ჩემს ოჯახს, ამ მხრივ მათ უმართლებთ. იმიტომ, რომ ნებისმიერ ადგილას საქართველოს ფარგლებში, სადაც ისინი ისურვებენ წასვლას, ყოველთვის მზად ვარ მათი მოგზაურობის დასაფინანსებლად. მეუღლეც და ბავშვიც ძირითადად, ზღვაზე დადიან. შარშან და შარშანწინ ქობულეთში ისვენებდნენ, წელსაც ზღვაზე წავიყვან, მაგრამ სად, ჯერჯერობით არ ვიცი.

— მოცალეობისას, სად და როგორ ისვენებ?

— დასვენების დღე მაქვს მარტო ორშაბათს და ამ დღეს, ხან მეგობრებთან, ხან მეუღლესთან და ბავშვთან ერთად ვატარებ. ამ დღეს ვცდილობ, მათ გართობაზე ვიზრუნო. ამიტომ, სადაც მათ გაუხარდებათ, იქ მივდივართ.

— მაინც რომელ ქვეყანაში ისურვებდი წასვლას?

— მე საერთოდ სულით მოგზაური ვარ და ძალიან მიტაცებს მოგზაურობა, მაგრამ უბრალოდ, საშუალება არ მქონია, ამ ყველაფრის ცხოვრებაში განსახორციელებლად. საერთოდ ვერ ვიტყვი, რომ კონკრეტულად რომელიმე ქვეყანაში მინდა წასვლა, იმიტომ, რომ არც ერთი არ მინახავს. მინდა, ყველა ქვეყანა ვნახო. დავიწყებდი ჩვენი მეზობელი ქვეყნიდან — თურქეთიდან და ნელ-ნელა, თითო გასვლაზე უფრო შორს წავიდოდი: გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში...

— ყველაზე კარგად სად და როგორ ისვენებ?

— წყნარ სიტუაციაში, მაგრამ აუცილებლად მდინარე უნდა იყოს. იდეალურად დავისვენებდი სიგრილეში, ანკესით ხელში.

— პიკნიკებზე სიარული თუ გიყვარს?

— აბა რა. მაგრამ ჩვენ უფრო ღრეობა გამოგვდის ხოლმე, ვიდრე პიკნიკი. საქართველოში ძირითადად, დასალევად დადიან ქალაქგარეთ. მეც, რა თქმა უნდა, ჩემს მეგობრებთან ერთად, ისევე ვატარებდი დროს, მაგრამ დღეს ამისთვის ველარ ვიცლი.

— რას იტყვი სუფრაზე? ქეიფი შენთვის დასვენების ფორმად თუ გამოდგება?

— არა. პირიქით, ვფიქრობ, ქეიფი და სუფრასთან დროს ტარება ძალიან დამღლელია. რა საჭიროა, ზღვაზე ან მთაში ყოველდღე სმა?! ეს ხომ დასვენება არ არის. მიუხედავად ამისა, რადგანაც ქვეყანა ასეთ რელსებზე ცხოვრობს, მე და ჩემს მეგობრებს გვიწევს ამ გზის გავლა და ხშირად გამოგვდის გაუთავებელი ქეიფიც, მაგრამ მე ამას დასვენებას არ ვეძახი.

— ვიცი, რომ კარგი თამადობაც შეგიძლია...

— კი, ადრე თამადობაზე უარს არასოდეს ვამბობდი, მაგრამ ბოლო დროს ვცდილობ, ნაკლები დავლიო.

— დაბოლოს: რა სიახლეს ჰპირდები მაყურებელს?

— მაყურებელს არც ამჯერად გავუცრუებ იმედს და ვპირდები, რომ სექტემბრიდან მის წინაშე ახალ ამპლუაში წარვდგები. ■

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაქი

ეიზა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

მათ არც პოლიტიკურად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავენ.

18. ადამიანის სილამაზე მისი წარმატების ერთ-ერთი საიმედო გარანტია. ლამაზ ახალშობილს მშობელი უფრო ხშირად ულიმის, ვიდრე ულამაზოს, ლამაზ ბავშვს კი, უფრო იშვიათად სჯიან, ვიდრე შეუხედავს. ტრადიციულად ლამაზი ადამიანები სამსახურში უფრო წარმატებულნი არიან და უფრო მეტ ხელფასს იღებენ.

19. „მე არ ვარ ძალაუფლებისათვის მებრძოლი კაცი. მე რომ ძალაუფლება მნდომოდა, არაფერს შევცვლიდი ქვეყანაში. უფრო დიდი ძალაუფლება, ვიდრე გენერალურ მდივანს აქვს, არავის ჰქონია მსოფლიოში“, — ამბობდა 1990 წელს მიხაილ გორბაჩოვი ჟურნალ „პარი მატჩისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

20. ზიგმუნდ ფროიდმა „ჯოკონდაზე“ დაკვირვებისა და მისი სახის გამომეტყველების შესწავლის შედეგად გამოაქვეყნა სტატია ლეონარდო და ვინჩის ჰომოსექსუალობის შესახებ, რითიც მსოფლიო სკანდალი დაიტეხა თავზე.

21. „იესლიბ ანუს კლეოპატრი ბილ ნა დვა სანტიმეტრა შირე, მირ ბილ ბი დრუგიმ“, — ამბობენ რუსები.

22. „ნეტ ნიკაკოვა რიო-დე-ჟანეირო, ი ამერიკი ნეტ. პასლედნი გოროდ ნა სვეტე ეტა შიპიტოვკა, ა კატორი რაზბივაიუტსა ვოლნი ატლანტიჩესკოვა აკეანა. ზაგრანიცა ეტა მიფ ა ზაგრობნიი ჟიზნი, კტო ტუდა პაპადაეტ, ნიკაგდა ნე ვაზვრაშაეტსა“, — ამბობდა რომანის — „ოქროს კერპის“ დასასრულში ოსტაპ ბენდერი.

23. „ადამიანი სურვილთა თასია, რომელიც არასოდეს აივსება, სანამ ჩვენ მის ავსებას მხოლოდ მატერიალური ღირებულებებით ვეცდებით“, — ამობდნენ ძველი ბერძნები.

24. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში შიდსით ინფიცირებული 3000-მდე ადამიანია. რეალური სურათი კი უარესი, გაცილებით უარესია. ამაზე ადრეც მითქვამს და მკითხველს კიდევ ერთხელ მინდა, შევახსენო, რომ ამ დაავადებისგან საშველი მხოლოდ ერთია — იგი არ უნდა დაგემართოს. ინფორმაცია და კეთილგონიერება ადამიანის ერთადერთი იარაღია.

25. „ზომიერება ნამდვილი ღმერთია, ვინც მას მიაგნო, იგი ამქვეყნადაც ცხონებულია“, — წერდა მიხეილ ჯავახიშვილი.

ცოლი და მამაცოლები

ანუ ჰოცა მეოხე ცოლის კანდიდატუსას პირველი აჩჩევს

თუ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, მამაკაცთა 87% ცდილობს ცოლყოფილისა და მომავალი ცოლის ერთმანეთთან დაახლოებას. ეს იმით აიხსნება, რომ მამაკაცს სურს, წარსული და მომავალი ერთმანეთთან დააკავშიროს, რადგან ასეთ დროს მას კატასტროფად აღარ ეჩვენება არც გაშორება, არც ახალი ოჯახის შექმნა და თავს ძალზე კომფორტულად გრძნობს. რას გრძნობენ ამ დროს ქალები?

მარი ხაფარიძე

მარინა რეხვიაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— სტატისტიკური მონაცემებით, მამაკაცთა უმრავლესობა მომხრეა იმისა, რომ ყოფილ ცოლსა და მომავალ ან უკვე მეორე ცოლს შორის ტკბილი, ჰარმონიული ურთიერთობა არსებობდეს. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. პირველი — თუ ყოფილი მეუღლე ქმრისთვის ავტორიტეტი გახლდათ და მის აზრს მამაკაცისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამ შემთხვევაში, მისთვის მომავალი მეუღლის წარდგენა ერთგვარი მცდელობაა, მოაწონოს ის „დედას“. ყოფილი ცოლისგან მამაკაცი ელის შეფასებას, ხოლო მომავალი ცოლისგან მოითხოვს, რომ მან თავი მოაწონოს „დედას“... მეორე მიზეზი, რომ ასეთი ნაცნობობა შედგეს, გახლავთ ის, რომ უჩვენოს ყოფილ ცოლს — შეხედე, როგორი ლამაზი და ჭკვიანი ქალია ჩემ გვერდითო! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მამაკაცი ყოფილი ცოლის მიმართ გულგრილი არ გახლავთ და ის ჯერ კიდევ უყვარს, თუმცა შესაძლოა, პირველთან დაბრუნებას სულაც არ ცდილობდეს. ეს უფრო, რევანშის აღებას ჰგავს. ასეთ შემთხვევაში, „ახალი“ გაცილებით უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდება, რადგან მას შურისძიების იარაღად იყენებენ. თუ მამაკაცი ბევრს ლაპარაკობს პირველ ცოლზე, განიხილავს მის დადებით თუ უარყოფით მხარეებს, ეს იმის ნიშანია, რომ მათი ურთიერთობა ჯერჯერობით არ დამთავრებულა. ბევრი ქალი იოლად თანხმდება თავისი ქმრის პირველი ცოლის გაცნობას, რადგან მიაჩნია, რომ თუ ქმარს ნამდვილი გრძნობით უყვარს, ვერანაირი „ყოფილი“ მათ ურთიერთობას ვერ დაანგრევს. მაგრამ არსებობენ ქალები, რომელთაც არ გააჩნიათ სურვილი „ყოფილის“ გაცნობის. თუ ასეა, ქმრის ხათრით ურთიერთობის დაწყება არ ღირს, რადგან მაინც არაფერი გამოვა. „ყოფილისა“ და „ახლის“ ნაცნობობა „რულეტკის“ თამაშს ჰგავს: „სტავკა“ დიდია, მოგების შანსი — ნაკლები. ამიტომ, თუ სურვილი არ არსებობს, „ყოფილის“ გაცნობაზე არ უნდა დათანხმდეთ. მე მყავდა პაციენტი, რომელსაც პრობლემები სწორედ იმის გამო შეექმნა, რომ მეუღლის ძალდატანებით გაიცნო „ყოფილი“. აღმოჩნდა, რომ პირველი ცოლი მასზე უკეთესი გარეგნობის გახლდათ. გაუჩნდა კომპლექსი და ეჭვები, რომ მეუღლე ცოლყოფილის მიმართ გულგრილი არ იყო და ჩუმჩუმად ხვდებოდა კიდეც. საკუთარ თავში ჩაიკეტა, სულ უხასიათოდ იყო და იმის შიში ჰქონდა, რომ დღეს თუ ხვალ, ქმარი ძველ ცოლ-შვილს დაუბრუნდებოდა. მის მეუღლესთან გასაუბრების შემდეგ მივხვდი, რომ მეორე ცოლი უზომოდ უყვარდა და სულაც არ მიუწევდა გული პირველისკენ. პაციენტი დავარწმუნე ამაში და მათი ურთიერთობა ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. უამრავი საპირისპირო შემთხვევა არსებობს, როდესაც ერთი კაცის ორი ცოლი ერთმანეთს მშვენივრად ეგუება და მეგობრობენ კიდეც.

სწორედ ასეთი მეგობრული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან მსახიობ ნიკო გომელაურის პირველ და მეორე ცოლებს. პირველი, მსახიობი ეკა ნიჟარაძე გახლავთ. მასთან გაყრის შემდეგ, ნიკოს **ნინა ჩოდრიშვილი** *შეუყვარდა და მასთან წლების განმავლობაში შეხმატკბილებულად ცხოვრობს. აი, რას გვიყვება ქალბატონი ნინა ნიკოსა და მის პირველ მეუღლეზე:*

— როდესაც ნიკო გავიცანი, მხოლოდ 10 თვე იყო გასული ჩემი პირველი ოჯახის დანგრევიდან. მისი გაცნობისთანავე მივხვდი, რომ თურმე ქალები სულ ტყუილად ვწუწუნებთ ხოლმე — ნამდვილი მამაკაცები არ არსებობენო. ჩვენი გაცნობიდან დაახლოებით ერთი თვე იყო გასული, როდესაც მე და ნიკო საღამოს ბარში ვისხედით და ჩვენს წარსულზე ვსაუბრობ-

როგორც ჩანს, სულელი და შტერი ვიყავი...

ეკაზე – არა, მაგრამ მიეჭვიანია სხვა ქალებზე...

დით. ერთმანეთს გულის დარდს ვუზიარებდით. ბარიდან გამოსულებმა, შინისკენ გავწიეთ. აი, აქ ცხოვრობს ეკაო, – მიმითითა ერთ კორპუსზე ნიკომ და მკითხა – გინდა, გაგაცნობო?..

— და თქვენც დათანხმდით?

– დიახ. როგორც ჩანს, სულელი და შტერი ვიყავი, რადგან ახლა რომ ვიხსენებ ამ მომენტს, ვფიქრობ ხოლმე – ნეტავ, რატომ ავედი, რამ გამომაშტერამეთქი? მაგრამ მაშინ ეს კითხვა არ გამჩენია და არც მინერვიულია... იმ დღიდან მე და ეკას ძალზე კარგი ურთიერთობა გაქვს.

— როგორ წარუდგინა ყოფილ ცოლს თქვენი თავი?

– არაფერი უთქვამს, თუმცა იგულისხმებოდა, რომ ნაშა მიიყვანა და ყოფილ ცოლს გააცნო... შემდეგ, ახლობლები მეუბნებოდნენ – იმიტომ მიგიყვანა, რომ მასთან მისვლა უნდოდაო... როცა ნიკოზე გათხოვება გადავწყვიტე, სულ მაფრთხილებდნენ – ნიკოს თავისი პირველი ცოლი უზომოდ უყვარდა, ახლაც უყვარს, ფრთხილად იყავი, მთელი მსოფლიო თავისუფალი სიყვარულით ცხოვრობს, შენ რა ჯვრისწერა აგიტყდაო?! – მაგრამ ყური არავის ვათხოვე. ახლაც ბევრ ჭორს ვისმენ, მაგრამ სულაც არ ვაქცევ ყურადღებას.

— ალბათ, დარწმუნებული ხართ ნიკოს სიყვარულში და იმიტომ...

– რა თქმა უნდა. ვიცი, რომ ნიკო უსიყვარულოდ არავისთან იცხოვრებს. ეს მისთვის მძიმე სასჯელის ტოლფასი იქნება. ამიტომ დარწმუნებული ვარ მის გრძნობაში.

— გულახდილად მითხარით: როცა ეკას პირველად შეხვდით, თქვენსა და მას შორის შედარება მოახდინეთ?

– კი, მოვახდინე, რადგან ის გარეგნობით ძალიან მომეწონა. მე ძალზე თავდაჯერებული ადამიანი ვარ. მამა ადრე გარდამეცვალა. თითქმის სულ ბებიის გაზრდილი ვარ. ის კი ყოველ წუთს ჩამჩიჩინებდა – ნინაჩკა, შენ ყველაზე ლამაზი, ყველაზე კარგი ხარო. ამიტომ მჯერა, რომ მართლაც ასეა. ამიტომ, როცა ეკასა და ჩემს შორის პარალელი გავავლე, დიდად არ დავკომპლექსებულვარ. მე და ეკამ პირველსავე წუთებიდან გავუგეთ ერთმანეთს და ვმეგობრობთ კიდეც. წინათ მე და ნიკო გრიბოედოვის თეატრთან ვცხოვრობდით. ეკაც და ნიკოც ამ თეატრში მუშაობდნენ. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ეკასთვის მითქვამს – რეპეტიციის დროს თუ დაიღლები, ჩემთან მოდი, ისადილე, დაისვენე და შინ მერე წადი-მეთქი. მასაც ნებისმიერ დროს შეუძლია, დამირეკოს და მთხოვოს – დავიღალე, ერთი-ორი დღით დასვენება მჭირდება და ბავშვებს შენთან გამოვგზავნიო. უარს არასოდეს ვეუბნები. ავადაც რომ ვიყო, ბავშვებს მაინც დავიტოვებ, მით უმეტეს, რომ ორივე გოგონა ძალზე მიყვარს. ისინი ხომ ჩემი უსაყვარლესი მამაკაცის შვილები არიან!

— არასოდეს გიეჭვიანიათ?

– ეკაზე – არა, მაგრამ მიეჭვიანია სხვა ქალებზე. ისინი ნიკოს მოსვენებას არ აძლევენ და ხანდახან ჩემს მობილურზეც კი გაუთავებლად რეკავენ.

— როცა თქვენ და ნიკომ ერთად ცხოვრება დაიწყეთ, მისი პირველი ოჯახის ამსახველი ფოტოები ხომ არ გადაგიყრიათ?

– უი, არა, რას ამბობთ?! შემიძლია, ახლავე შეგიყვანოთ ნიკოს კაბინეტში და დარწმუნდებით, რომ ყველა იმ ადამიანის ფოტო, რომლებიც ნიკოსთვის ძვირფასია, ადგილზე გახლავთ.

— საერთო შვილი რატომ არ იყოლიეთ?

– ამის შესაძლებლობა მაშინ მომეცა, როდესაც მე და ნიკოს სახლიც კი არ გვქონდა და თეატრის საგრიმიოროში ვცხოვრობდით. მაგრამ მაშინ გადავწყვიტეთ, რომ ბავშვი არ უნდა გაგვეჩინა. თანაც არ მიყვარს, როცა ბავშვებს ხანში შესული მშობლები ჰყავთ. მეორედ 40 წლის ასაკში გავთხოვდი. 42-43 წლის ქალი რომ შვილს გააჩენს, მას ხომ გაზრდაც უნდა? ეს რომ ჩემმა ყოფილმა მეუღლემ წაიკითხოს, შესაძლოა გაბრაზდეს, რადგან მას 50 წლის ასაკში შეეძინა შვილი მეორე ცოლთან და ვიცი, თუ ექნება ამის შესაძლებლობა, კიდევ იყოლიებს, რადგან ის ძალზე ეკლესიურია და განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობს. მე კი, ჩემი ცხოვრება მაქვს. 2 შვილი მე მყავს, 2 ნიკოს და ვფიქრობ, სავსებით საკმარისია.

— თქვენ პროფესიით ფსიქოლოგი ხართ. მოდი, როგორც პროფესიონალმა, მითხარით — სასურველია თუ არა, რომ პირველ და მეორე ცოლს ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდეთ?

– საერთოდ, ყველანაირი ფსიქოლოგიური დასკვნა ინდივიდუალური თვისებებიდან გამომდინარე უნდა გააკეთო. ჩემს შემთხვევას არ ვგულისხმობ, მაგრამ გეტყვით, რომ პირველ ხანებში, ორმა ქალმა ერთმანეთთან გარკვეული დისტანცია უნდა შეინარჩუნოს. მერე, როცა ერთმანეთის თვისებებს გაიგებენ, გადაწყვეტენ, ღირს თუ არა ურთიერთობების გაგრძელება. ერთ ჩემს ახლობელს საკმაოდ ცნობილი და პოპულარული ქმარი ჰყავდა. ისინი გაიყარნენ. ეს ქალი მოსკოვში გათხოვდა. ქმარმაც საკმაოდ ცნობილი ადამიანი შეირთო. როდესაც ჩემი მეგობარი მოსკოვიდან მირეკავდა ხოლმე, ხშირად მისი ქმარი და ქმრის მეორე ცოლი მასთან სტუმრად იყვნენ. მაშინ ვფიქრობდი – ხომ არ გააფრინესმეთქი? ძალზე არ მომწონდა ეს სიტუაცია, მაგრამ ახლა განსხვავებული აზრი მაქვს და ვფიქრობ, ჩემი დამსახურებაც გახლავთ, რომ მე და ეკას კარგი ურთიერთობა გვაქვს.



ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. მამინ მე-7 კლასში ვიყავი...

მეორე ცოლის პოზიცია სავსებით გასაგებია. ახლა მოვუსმინოთ ქალს, რომელიც პირველი ცოლი გახლდათ. მსახიობი ***ხათუნა იოსელიანი*** *საკმაოდ ადრეულ ასაკში გათხოვდა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სკოლის მოსწავლე იყო. ზურაბ შენგელიასთან 22-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მისი ოჯახი დაინგრა. ხათუნა აღარ გათხოვილა. სამაგიეროდ, ბატონმა ზურაბმა შექმნა მეორე ოჯახი და მეორე ცოლის კანდიდატურა სწორედ პირველმა შეურჩია...*

— 46-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ზურა იქვე, ახლოს — 39-ში. ჩვენ თანატოლები ვართ. ერთხელ ჩემი თანაკლასელი, რუსიკო კაპანელი მოვიდა სკოლაში და მითხრა — 39-ე სკოლის ბიბლიოთეკაში ისეთი ბიჭი ვნახე, სულ თვალებიდან ასხივებსო... ცისფერთვალება ხალხი დღემდე მომწონს. წუთიც არ დამიყოვნებია, მაშინვე ბიბლიოთეკისკენ გავემართე. მე და ზურამ ერთმანეთს შევხედეთ თუ არა, მაშინვე მოგვეწონა ერთურთი. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. მაშინ მე-7 კლასში ვიყავი...

...22 წლის შემდეგ კი გავიყარეთ. ზურა ახლაც უზომოდ მიყვარს, ოღონდ — ძმასავით

— რამდენი წლის განმავლობაში იყავით შეყვარებულები?

— ძალზე პატარები ვიყავით, როცა დავქორწინდით. რამდენი წლის ვიყავი, ამას არ გეტყვით, ეს ჩემი პირადი საქმეა... არასრულწლოვნებს ხელს არ აწერინებენ. ამიტომ, სკოლა რომ დავამთავრეთ, ოფიციალურად შემდეგ დავქორწინდით. 22 წლის შემდეგ კი გავიყარეთ. ზურა ახლაც უზომოდ მიყვარს, ოღონდ — ძმასავით.

— ხელმეორედ რომ ქორწინდებოდა, თქვენ წინააღმდეგობა არ გაგიწევიათ?

— რას მეუბნებით?! რატომ უნდა ვყოფილიყავი წინააღმდეგი?! ადამიანებმა უნდა შევიგნოთ ერთი რამ — რაც იწყება, იმას აუცილებლად აქვს დასასრული. როცა მიხვდები, რომ იმ ადამიანთან აღარ უნდა იცხოვრო, მაშინვე უნდა მოძებნო შენი გზა. ზურას უამრავი ქალი ჰყავდა. თითქმის ყველას ვიცნობდი. როცა საქმე ოჯახის შექმნაზე მიდგა, ნატოზე არჩევანი მე შევაჩერე. არც წამიგია. ძალზე კარგი მეუღლე და დედაა.

— დედამთილივით ლაპარაკობთ...

— ნატოსთვის მე დედაც ვარ, დედამთილიც, მულიც და მეგობარიც. ჩვენ გვაქვს საერთო ბიუჯეტი, საერთო ინტერესები. ფული არ გვაქვს, თორემ, ერთ დიდ სახლს ავაშენებდით და ყველანი ერთად ვიცხოვრებდით. ნატო არ აცდენს არც ერთი ჩემი სპექტაკლის პრემიერას. ყვავილების თაიგულითაც მაჯილდოებს ხოლმე. თუ ნატო პრემიერაზე არ მოდის, ვფიქრობ, რომ თილისმა დავკარგე და ვშიშობ, რომ არაფერი შემეშალოს.

კარგია, როცა „ყოფილსა“ და „მომავალს“ შორის ასეთი ჰარმონიული ურთიერთობაა, მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. ***ვიკა*** *32 წლის გახლავთ, მეუღლეს 7 წლის წინ გაეყარა...*

— ოჯახი 21 წლის ასაკში შევქმენი. ჩემს დაქალს ჰყავდა მეგობარი ბიჭი, რომელსაც ძალზე მოვწონდი. ერთ დღეს, ჩემს მეგობართან სტუმრად მივედი და ბესო იქ დამხვდა. მაშინ ის მესამედ ვნახე. როდესაც შინ წამოსასვლელად მოვემზადე, ბესომ შემოთავაზა — მანქანით წაგიყვანო. მზიაც თან წამოგვყვა. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ბესოს ჩემი მოტაცება ჰქონდა განზრახული... სამივემ მის სოფელში ამოვყავით თავი. მშობლებმა ორი დღის შემდეგ მომაკითხეს. მანამდე, ორი ღამის განმავლობაში, მე, მზიას და ბესოს ერთ ოთახში გვეძინა. ჩემი მეგობარი ჩვენ შორის წვებოდა ხოლმე. შემდეგ გადავიხადეთ ქორწილი და შვილიც შეგვეძინა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჩემსა და ბესოს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ბავშვი 3 წლის იყო, როცა ერთმანეთს დავშორდით. მზიასთან მეგობრობას ორივე ვაგრძელებდით. მე ჩემი გულისტკივილის შესახებ ვუამბობდი ხოლმე, ჩემი ქმარიც გულს მასთან ლაპარაკით იოხებდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში შეუყვარდათ ერთმანეთი. დარწმუნებული ვარ, მანამდე მათ შორის არაფერი ყოფილა. ამასობაში მზიამ გათხოვება-„გამოთხოვებაც“ მოასწრო და გადაწყვიტეს, ახალი ოჯახი შეექმნათ. როგორც კი ეს ამბავი გავიგე, იმ დღიდან შევიძულე მეგობარი. დავურეკე და სულ კახპა ვეძახე. დარწმუნებული ვარ, ბესოს ცოლად სხვა რომ მოეყვანა, ასე არ დამემართებოდა. ვერც იმას ვიტყვი, რომ ყოფილი ქმარი მიყვარდა. როცა დაქორწინდნენ და საცხოვრებლად ბესოსთან გადავიდნენ, მეც მოვუხშირე მათთან სტუმრად სიარულს, ბავშვსაც ხშირად ვუტოვებდი. თითქოს მე და მზია შევრიგდით, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ერთმანეთს ვერ ვიტანდით. როცა დედამთილი ერთად გვხედავდა, სიცილით სკდებოდა ხოლმე... შემდეგ მეც გამეხსნა ბედი და გავთხოვდი. ბესოს ამის შესახებ წინასწარ ვაცნობე და სასტიკად შემეწინააღმდეგა. მზია კი ეკამათებოდა — შენ ვინ გკითხავს? მას თავისი ცხოვრება აქვს და ნუ ჩაერევიო!.. გათხოვების შემდეგ, მზიას მიმართ სიძულვილი თითქმის გამიქრა, მაგრამ ხანდახან მაინც ვურეკავ და თავს ვახსენებ.

დასასრულ, ფსიქოლოგი ***მარინა რეხვიაშვილი*** *რამდენიმე რჩევას სთავაზობს იმ ქალბატონებს, რომელთაც მეუღლის ყოფილ ცოლთან შეხვედრა ელით:*

— თუ შეხვედრის სურვილი არ გაქვთ, მაგრამ გარდაუვალია, ეცადეთ, რომ ეს შეხვედრა „ნეიტრალურ ტერიტორიაზე“ მოხდეს — კაფეში, რესტორანში ან თუნდაც, სკვერში. სიტუაციას შეხედეთ ისე, როგორც თამაშს. თითქოს საქმიან შეხვედრაზე მიდიხართ. არ ჩაიცვათ გამომწვევად. უარი თქვით მინიზე და თვალში საცემ სამკაულებზე. ნუ ეცდებით, დაჩრდილოთ „ყოფილი“, თქვენი სილამაზით, რადგან თუ ის მოისურვებს, ნაკლს აუცილებლად გიპოვით. ნუ ეცდებით თქვენი ინტელექტის დემონსტრირებას, უცხო ენაზე საუბარსა და ცნობილი მწერლების ციტირებას. იქნებ, ის თქვენზე უკეთ ამზადებს კერძებს, რომელიც თქვენს მეუღლეს ერთ დროს აღაფრთოვანებდა... იყავით თავშეკავებული, თქვენი აზრი თამამად გამოხატეთ, მაგრამ გულს ნუ გადაუშლით. თუ „ყოფილის“ არსებობა გაღელვებთ, მასზე ფიქრს თავიდან ვერ იშორებთ და ის თქვენი და თქვენი მეუღლის კამათის მიზეზი ხშირად ხდება, მაშინ ჯობს, არ შეხვდეთ. თუ მასზე არც ფიქრობთ, მაშინ თქვენს გაცნობას წინ არაფერი უდგას. მისი არსებობა თქვენი ცხოვრებისთვის არცთუ ისე ცუდია, მაგრამ ეცადეთ, რომ ის ძალზე „დიდი ოდენობით“ არ იყოს. ■

ანსამბლ „გვირილის“ ახალი ალმოჩენა - სალომე აფციაური

„გვირილა“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საბავშვო ანსამბლია საქართველოში. მას არაერთი საუკეთესო მომღერალი აღუზრდია. ზოგი მათგანი საზღვარგარეთაც კი აგრძელებს მუსიკალურ კარიერას, ზოგიერთი კი, თბილისის კონსერვატორიაში სწავლობს. ანსამბლი ძალზე ხშირად მართავს კონცერტს და გასტროლებზეც ხშირად დადის, მონაწილეობს სხვადასხვა ფესტივალში. სულ ახლახან, ანსამბლის ხელმძღვანელის, ქალბატონი ერნა წიფურიას თაოსნობით, ანსამბლის ერთ-ერთ სოლისტს, 10 წლის სალომე აფციაურს კლიპიც გადაუღეს. რას აპირებს სალომე მომავალში და რა წარმატებები აქვს მას, თავად სალომე გვიამბობს.

— სალომე, როდის გადაწყვიტე, რომ სიმღერა შენი საყვარელი საქმიანობა იყო?

— 5 წლის რომ გავხდი, ჩემმა მშობლებმა მაშინ შემიყვანეს ანსამბლ „გვირილაში“ და მას მერე, სულ ვმღერი. თუმცა მანამდეც, ოჯახურ კონცერტებს ვაწყობდი ხოლმე. სულ ვმღეროდი. ძირითადად, ხალხურ მოტივებზე დაწერილი სიმღერები მომწონდა და ახლაც მომწონს.

— მოდი, ორიოდე სიტყვით ანსამბლ „გვირილაზე“ გვიამბე.

— ჩემი ვოკალის პედაგოგი, ერნა მასწავლებელია, რომელიც თითქმის ყოველდღე მამეცადინებს. ქორეოგრაფი კი, ნინო ჩიხლაძეა. მას შემდეგ, რაც ამ ანსამბლში ვარ, უამრავ კონცერტში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მუსიკალურ პროექტში — „ქეთო და კოტე“ — ქეთოს როლი შევასრულე. სულ ახლახან კი, იმისთვის, რომ „გვირილაში“ ყოფნის 5 წელი შემისრულდა, დიპლომით დამაჯილდოეს. რაც შეეხება ჩემს პედაგოგს, ერნა მასწავლებელს — მართლა ძალიან კარგი ქალია, „გვირილის“ ყველა წევრის მეგობარი და მესაიდუმლეა, ყველას თბილად გვექცევა და გვეფერება.

— როგორც ვიცით, სულ ახლახან, ახალი კლიპი გადაგიღია. ეს შენი პირველი კლიპია?

— დიახ, ეს ჩემი პირველი სერიოზული კლიპია, თუმცა მანამდე, ბულგარეთის ფესტივალში — „მაგიური სიმღერა“ — ვმონაწილეობდი, სადაც 3 სიმღერა შევასრულე და სამივეზე ვიდეორგოლი მაქვს გადაღებული. ამ სიმღერაზე, რომელსაც „მთიული კომპოზიცია“ ჰქვია, კლიპის გადაღების იდეა მე და ერნა მასწავლებელს გვეკუთვნის. მთიულურ მოტივზე სიმღერა კი იმიტომ შევარჩიე, რომ წარმოშობით მთიული ვარ და ეს სიმღერა ჩემს ხასიათთან უფრო ახლოს არის. კლიპის რეჟისორი, ქალბატონი ნატო დოლიძეა, რომლის გადაწყვეტილებითაც, ჩემი ბაბუის როლი ბატონმა ბორის წიფურიამ შეასრულა. სამწუხაროდ, ეს მისი ბოლო როლი იყო... ბატონ ბორიას დიდი ხანია ვიცნობდი და მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. კლიპის გადაღებისას, სულ მეფერებოდა. მასაც ძალზე ვუყვარდი. ძალზე დამწყდა გული, რომ გარდაიცვალა. კლიპის პრეზენტაციის გამართვას კლუბ „16 რაუნდში“ ვაპირებდით, მაგრამ ამ ფაქტის გამო, გადავიდო. ამ კლიპში აგრეთვე, ქალბატონი გურანდა გაბუნია მონაწილეობს, რომელიც ჩემი შეყვარებულის (მის როლს ჩემი მეგობარი, „გვირილის“ ერთ-ერთი სოლისტი, დათუნა ალიმბარაშვილი ასრულებს) ბებიას განასახიერებს. კლიპი ძალიან მომწონს. ის უკვე ტრიალებს ეკრანებზე. ახლა კი ახალ სიმღერებზე ვიწყებ მუშაობას, თუმცა მანამდე, გასტროლებზე მივდივართ მარმარისში, სადაც 2 კონცერტს გავმართავთ.

კლიპის გადაღების დროს: ერნა წიფურია, გურანდა გაბუნია, ნაგო დოლიძე, ნინო ჩიხლაძე, წინა პლანზე სალომე და დათო ალიმბარაშვილი

— მომავალში ვინ გინდა, რომ გამოხვიდე?

— მომღერალი და მოდელი. სიმღერა ძალზე მიყვარს და მინდა, რომ ამ საქმიანობას ბოლომდე გავყვე. რაც შეეხება მოდელობას, ეს პროფესიაც მომწონს. ჩაცმაზე ვგიჟდები. ყოველთვის ჩემი გემოვნებით მაცვია. ამასთანავე, მაქვს „ბარბის“ თოჯინების დიდი კოლექცია და თავისუფალ დროს როგორც კი გამოვნახავ, მაშინვე მათ ტანსაცმელს ვუკერავ. განსაკუთრებით ვარდისფერი ტანსაცმელი მომწონს.

— შენი პროდიუსერი ვინ არის?

— ჩემი მამიკო, ვაჟა აფციაური, რისთვისაც მას და მთელ ჩემს ოჯახს დიდ მადლობას ვუხდი. ისინი ცდილობენ, რომ ყველაფერში წინ წავიწიო და მაქსიმალურად მეხმარებიან.



ქეთა თოფურიასთან ერთად

ნორჩ მომღერალს წარმატებებს ვუსურვებ და მკითხველისთვის მის უკეთ გასაცნობად, სალომეს პედაგოგს, ანსამბლ „გვირილის“ ხელმძღვანელს, ქალბატონ ***ერნა წიფურიასაც*** *ვესაუბრეთ.*

— სალომე ძალზე მორიდებული და მოკრძალებული ბავშვია. არ უყვარს ბევრი ლაპარაკი. თავდაპირველად, მე ის გარეგნობით მომეწონა — „ბარბის“ ჰგავდა. ამასთანავე, ხმის ტემბრიც არაჩვეულებრივი აქვს. ეს ყველაფერი კი სცენაზე ბავშვის დასაყენებლად უკვე საკმარისია. მისი ხასიათიდან გამომდინარე, თავიდან მეგონა, რომ აქტიური ბავშვი არ იქნებოდა, მაგრამ შევცდი. ის მუშაობით არასოდეს იღლება, ძალზე მიზანდასახული და შრომისმოყვარეა. აქვს სურვილი, რომ ვოკალურ ჟანრს სერიოზულად დაეუფლოს და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება, რადგან სალომე ძალზე მონდომებულია.

— რაც სალომე ანსამბლ „გვირილის“ წევრია, ამ დროის განმავლობაში რა წარმატებები ჰქონია მას?

— როგორც იცით, ახლახან სალომეს კლიპი გადავუღეთ, რომლის რეჟისორიც ნატო დოლიძეა, მხატვარი — თემურ დოლიძე (სიკო დოლიძის შვილიშვილი), ოპერატორია გიორგი კაიშაური, ხოლო მონტაჟი მერაბ ხუჭუას ეკუთვნის. კლიპში გამოყენებული კოსტიუმების მხატვარია სერგო იმერლიშვილი. კლიპში აგრეთვე მონაწილეობს ანუკა ხუციშვილი („პირველი სტერეოს“ სახე) და ანსამბლი „ფრესკა“, რომლის ხელმძღვანელებიც ლონდა უგულავა და კახა ხერხაძე არიან. სალომე შარშან, მონაწილეობდა დედის დღისადმი მიძღვნილ დიდ ღონისძიებაში, რომელიც პროდიუსერებმა — ნანა კელაპტრიშვილმა და სოსო აბზიანიძემ გამართეს. ისიც უნდა აღინიშნის, რომ ამ ღონისძიებაში იგი ყველაზე პატარა მონაწილე იყო. სალომეს გარდა, იმ კონცერტში მონაწილეობდნენ: თამუნა ამონაშვილი, ნინო ქათამაძე, ქეთა თოფურია, მერაბ სეფაშვილი და სხვები. ასეთ მუსიკალურ პროექტებში სალომე ძალიან ხშირად მონაწილეობს, სწორედ ამიტომ დავაჯილდოვე „გვირილის“ დიპლომით. ახლა კი, ახალ მუსიკალურ პროექტზე ვიწყებთ მუშაობას. მაგრამ მანამდე, როგორც სალომემ აღნიშნა, გასტროლებზე მარმარისში მივდივართ. R

გემოვნებაზე ზოგჯერ დავაც სასარგებლოა!

რუბრიკას უძღვება ექიმი

თამარ მამაცაშვილი

ბავშვები ყოველთვის ტკბილეულისკენ იწევენ. თუ მათი ორგანიზმი ნახშირწყლებით მეტისმეტად გადაიტვირთება, შესაძლოა, დიაბეტი და სიმსუქნე განვითარდეს. თუმცა არც ტკბილეულის აკრძალვა შეიძლება. და აი, რატომ:

1. მზარდ ტვინს ე.წ. „სწრაფი" ნახშირწყლები ანუ შაქარი ესაჭიროება. იგი აუცილებელია გონებრივი განვითარებისა და კარგი განწყობილებისათვის. ბავშვები, რომლებსაც ტკბილეულს უკრძალავენ, ხშირად ტირიან, ჯიუტობენ, დეპრესიაში ვარდებიან.

2. ვერცხლისწყალივით მოძრავი პატარები ბევრ ენერგიას ხარჯავენ. ტკბილეული მის აღდგენას უწყობს ხელს. თუ ბავშვს ტკბილეულს აუკრძალავენ, შეიძლება განუვითარდეს ჰიპოგლიკემია – სისხლში გლუკოზის დონე ქვეითდება, ბავშვი თავს სუსტად გრძნობს და მოდუნებულია. ასეთ შემთხვევაში ტკბილი წამალივით მოქმედებს. როდესაც დედა ხელიდან გლეჯს პატარას კანფეტს და თან უყვირის: „ვინ მოგცა ეს საზიზღრობა? ამისგან დიაბეტი დაგემართება!" – ბავშვი ამას მტკივნეულად განიცდის.

3. როდესაც ტკბილეული აკრძალული ხილია, ბავშვი ყოველთვის ცდილობს მოიპოვოს იგი,განსაკუთრებით მაშინ, როცა უფროსები მის გვერდით არ არიან. ბავშვები, რომელთაც შაქარს უკრძალავენ, „შაქრის მოყვარულები" იზრდებიან. შაქრიანი დიაბეტის რისკიც მათში უფრო მეტია, ვიდრე იმ ბავშვებში, რომელთაც ტკბილეული სანატრელი არ აქვთ.

● თუ გსურთ, პრობლემები თავიდან აიცილოთ, გამოიმუშავეთ ოჯახში ტკბილეულის მიმართ მშვიდი დამოკიდებულება:

● ნუ გადააქცევთ მას რაღაც განსაკუთრებულ, სადღესასწაულო საკვებად, ანდა კარგი ქცევისა თუ ძალით შეჭმული სადილისათვის მიცემულ ჯილდოდ.

● ნუ დადგამთ ნამცხვრით ან კანფეტით სავსე ლანგარს მაგიდაზე. უმჯობესია, ჩვენი ბებიების მსგავსად, ტკბილეული კარადაში შეინახოთ და მხოლოდ ჩაროზად მიართვათ ოჯახის წევრებს.

● 3 წლამდე პატარებისთვის არ არის სასურველი შოკოლადი და კანფეტი, ხილიანი კარამელების გარდა.

■

ლუდი და ჰემოროი

მედიკოსებმა შენიშნეს, რომ რაც მეტია მიღებული ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის, ლუდის რაოდენობა, მით მეტია ჰემოროის განვითარების შანსი. ეს დაავადება პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს აქვს, მამაკაცებში უფრო ხშირია, ვიდრე ქალებში. ბოლო დროს დაავადება მეტის-მეტად გაახალგაზრდავდა იმის გამო, რომ ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი სწრაფ, რაფინირებულ კვებაზე გადავიდა, ამასთან ხშირია მძიმე ფიზიკური დატვირთვის შემთხვევა — ბევრი ახალგაზრდა კი ავტომობილს მართავს, კომპიუტერთან მუშაობს და ლუდს ინტენსიურად მიირთმევს.

მარტივად რომ ავხსნათ, ჰემოროი სწორი ნაწლავის ვენების ვარიკოზული გაფართოებაა. დაავადების საწყის ეტაპზე ადამიანს აწუხებს დისკომფორტი მუცლის ქვედა არეში, ტკივილი ანუსის არეში დეფეკაციის დროს, ქავილი, წვა, ყაბზობა. განავალს ხშირად აქვს შერეული ალისფერი სისხლი მცირე ან შედარებით მეტი რაოდენობით.

ჰემოროის საკმაოდ უსიამოვნო გართულებაა კვანძების გამოვარდნა. შესაძლოა მათი ანთება ან თრომბირებაც მოხდეს და მაშინ ოპერაციული ჩარევა აუცილებელი ხდება.

ავადმყოფი უნდა იღებდეს სრულფასოვან, ვიტამინებითა და სხვა საჭირო კომპონენტებით მდიდარ საკვებს. დღის განმავლობაში რეკომენდებულია 2 ლ-მდე წყლის მიღება.

პროდუქტებიდან უპირატესობა ეძლევა შავ პურს, ცოცხალ ბოსტნეულს, შვრიისა და წიწიბურას ფაფებს, აგრეთვე ნესვს, გოგრას, ლეღვს. მაგრამ გახსოვდეთ: მცენარეული უჯრედისით გადატვირთვამ შესაძლოა გასტრიტის გამწვავება, წყლულოვანი დაავადება, ნაწლავის შებერვა გამოიწვიოს.

საფაღარათო საშუალებებიდან პაციენტებს ურჩევენ ბოსტნეულის სალათებს. ერთ-ერთი სალათის რეცეპტი ასეთია: ცოცხალი კომბოსტო, სტაფილო, კიტრი, დამბალი ჭერმის ჩირი, უკურკო ზეთისხილი დაჭერით, მოასხით არარაფინირებული ზეთი და ლიმონის წვენი. დაუმატეთ მარილი და შაქარი გემოვნებით.

ძლიერი შეკრულობისას უნდა დაჭრათ 100-100 გრამი ლეღვი, შავი ქლიავი და ნუში და შეურიოთ 50-50 გრამ ალოესა და თაფლს. დადგით 2 დღე და მიიღეთ თითო ს/კ სამჯერ დღეში ჭამამდე.

ბალახებიდან ყაბზობისას გამოგადგებათ მელისა, კამა, გვირილა, ხეჭრელი, სენა.

უკანა ტანის არეში ანთებისა და ქავილის დროს შეგიძლიათ კალიუმის პერმანგანატის ღია ვარდისფერი ხსნარის ან მცენარეული ნაყენით მომზადებული აბაზანების მიღება. მცენარეებიდან აბაზანისთვის გამოიყენეთ ცხენის წაბლი, პიტნა, კრაზანა, ყვავისკუდა. შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობით (2-2 ს/კ) თითოეული მცენარე. დაასხით ერთი ლიტრი მდუღარე წყალი, დადგით შეგრილებამდე თავდახურული, შემდეგ გაფილტრეთ და დაუმატეთ ტაშტში ჩასხმულ 3 ლიტრ წყალს. პროცედურა გრძელდება 20 წუთს.

ჰემოროის მკურნალობისათვის ფართოდ გამოიყენება ქაცვის, ასკილისა და კაკაოს ზეთის ოყნები. დადებითი ეფექტი აქვს პიტნის, გვირილის, მუხის ქერქის, კრაზანისა და ნეგოს ნაყენის მიკროოყნებს.

ჰემოროის სამკურნალოდ იყენებენ აგრეთვე წურბლებს. ყაბზობისას ყოველ

მეორე დღეს წელისა და გავის არეში ისვამენ 3-5 წურბელას. შემდეგ კი პროცედურა კვირაში ორჯერ ტარდება. კურსი 10-12 სეანსისგან შედგება. მწვავე ჰემოროის დროს 2-3 წურბელას ყოველდღიურად ისვამენ გავის, კუდუსუნის არეში ან უკანა ტანის მახლობლად. გამოვარდნილ ჰემოროიდულ კვანძებზე წურბლის დასმა არ შეიძლება.

რამდენიმე რჩევა ჰემოროით დაავადებულებს

● ჭარბი სისხლდენის, ხანგრძლივი ფაღარათის ან ყაბზობისას, უკანა ტანში მუდმივი ტკივილის, უმიზეზო გახდომის, ანემიის დროს დროულად მიმართეთ ექიმს.

● ყოველი დეფეკაციის შემდეგ, გრილი წყლით ჩაიბანეთ შორისი და ანუსის არეში წაისვით ექიმის მიერ რეკომენდებული საცხი.

● არ შეიძლება გამოვარდნილი კვანძის თვითნებურად ჩაბრუნება – შესაძლოა, იგი გასკდეს და ჭარბი სისხლდენა განვითარდეს!

● ტუალეტის ქაღალდის ნაცვლად უმჯობესია, ბამბა ან წყლით ჩაბანის პროცედურა გამოიყენოთ.

● ნუ დაჯდებით ხანგრძლივად რბილ სკამზე, სავარძელსა თუ დივანზე.

● თქვენთვის მავნებელია ცხელი საუნა, აბანო, ცხელი წყლის აბაზანა.

● სასარგებლოა დუნდულა კუნთების ვარჯიში – ხანგრძლივი ჯდომისას 20-25-ჯერ შეკუმშეთ და მოადუნეთ დუნდულები. წოლისას კი ფეხებით შეასრულეთ მაკრატლის მაგვარი მოძრაობა.

ჰემოროის პროგრესირებისას საშველად „მოდის“ ქირურგი ინფრაწითელი კოაგულაციის მეთოდით. ფართოდ გამოიყენება აგრეთვე სხვა მეთოდები: კვანძზე ლიგატურის დადება, მასში მასკლეროზებელი ნივთიერებების შეყვანა, კვანძების ღია და დახურული ამოკვეთა. ქირურგიული მკურნალობის ყველაზე საიმედო მეთოდია ანუსის ლორწოვანი გარსის გარკვეულ უბანზე ცირკულარული განაკვეთის გაკეთება – ამგვარად ხდება ჰემოროიდული კვანძის მკვებავი არტერიის ბლოკირება. ოპერაცია 20 წუთს გასტანს, შედეგი კი საკმაოდ ხანგრძლივია. ■

რა განაპირობებს წამლის ეფექტს?

პაციენტის რწმენას გაჯანსაღებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ აქვს, ექიმებმა უსსოვარი დროიდან იციან. ბოლო დროს კი მედიკოსებმა დეტალურად შეისწავლეს ეს მოვლენა და „პლაცებოს ეფექტად“ მონათლეს. მოვლენის არსი ასეთია: როცა ადამიანი დარწმუნებულია დანიშნული მედიკამენტებისა თუ სხვა სამკურნალო საშუალებების ეფექტიანობაში, მკურნალობა გაცილებით წარმატებული გახლავთ. მეტიც — ძლიერმა რწმენამ შეიძლება ჩვეულებრივ წყალსაც კი „შესძინოს“ სამკურნალო თვისებები.

პლაცებოს ეფექტს კარგად იცნობენ სხვადასხვა დარგში მოღვაწე ექიმბაშები და თვითნასწავლი სახალხო მკურნალები, რომლებიც პაციენტის რწმენასა და გამოჯანმრთელების დაუოკებელ სურვილს შესანიშნავად იყენებენ საკუთარი მიზნებისათვის. ამავე ეფექტით ხსნიან მეცნიერები აგრერიგად მოდურ საკულტო მედიცინის პოპულარობასაც.

ფსიქოფარმაკოლოგია თანამედროვე ფარმაკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დარგია, რომლის დაბადებასაც პლაცებოს ეფექტს უნდა ვუმადლოდეთ. მისი მიზანია, ადამიანის ფსიქოლოგიური სტრუქტურისა და ემოციური პორტრეტის მიხედვით ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვროს მისი მკურნალობის ტაქტიკა. ამასთანავე, ინფორმაცია თავად პაციენტს ისე უნდა მიეწოდოს, რომ გაგონილმა შთამბეჭდავი კვალი დატოვოს მასზე და ძლიერი რწმენით აავსოს.

როგორც ცნობილია, ავადმყოფის ფსიქოემოციურ მდგომარეობას ყველაზე მეტად შიში და ტკივილი განსაზღვრავს. უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა „ტკივილის შიში“. ექიმისა და მის მიერ დანიშნული თერაპიის დადებითი ეფექტის რწმენა კი ადამიანს ამშვიდებს და სნეულებასთან ბრძოლის სტიმულს აძლევს, რაც საგრძნობლად ააქტიურებს პიროვნულ თუ ფიზიკურ შესაძლებლობებს.

ფსიქოფარმაკოლოგიაში არსებობს ასეთი ცნება: უპირატესობის პრინციპი, რომლის ცოდნაც სპეციალისტებს ძალზე ეხმარება. აი, რაში მდგომარეობს პრინციპის არსი: სამკურნალოდ გამოსადეგ მედიკამენტებს შორის, თუკი არჩევანის საშუალებაა, სასურველია, ექიმმა სწორედ ის დანიშნოს, რომლისაც პაციენტს განსაკუთრებით სწამს.

დღეისთვის ცნობილ ათასობით დაავადებას შორის პლაცებოს ეფექტი ყველაზე შესამჩნევად ჰიპერტონიით, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებით, დიაბეტითა და ფსიქო-ემოციური მოშლილობებით (ნევროზებითა და ფსიქოზებით) დაავადებულთა მკურნალობისას ვლინდება. მედიცინაში მრავლადაა ცნობილი ფაქტი, რომ მაღალი არტერიული წნევა მხოლოდ გლუკოზის აბებით დაუწევიათ, კუჭის აუტანელი ტკივილები კი სასმელი წლით მომზადებულ „წამალს“ დაუამებია. ასე რომ, ვისაც ეს პათოლოგიები აწუხებს, ვურჩევთ, ვიდრე მკურნალ ექიმს შეარჩევდნენ, კარგად დაფიქრდნენ – სანდო სპეციალისტთან მკურნალობა გაცილებით სწრაფად გამოიღებს სასურველ შედეგს! ■

შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინა უკვე ადამიანებზე გამოიცადა

სტოკჰოლმში აივ-ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინის უნიკალური გამოკვლევა მიმდინარეობს. დღემდე ასეთი ცდები მხოლოდ თაგვებზე ტარდებოდა.

ვაქცინა, რომელიც შვედეთის ინფექციურ დაავადებათა კონტროლის ინსტიტუტმა შეიმუშავა, უკვე 40-ზე მეტ შვედ მოხალისეს გაუკეთეს, მეორე ეტაპზე გამოკვლევაში ტანზანიის 60 მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას.

სამწუხაროდ, ახალი პრეპარატი აივ-ინფექციისგან დაცვის სრულ გარანტიას არ იძლევა. სპეციალისტების აზრით, სრულიად პრევენციული ვაქცინა 2011 წლამდე არ გამოჩნდება. ■

საქორწილო კაბა, ბოტასები და ჯოელოჯოულა სამოსი, ავანგარდული გაბარიტების ქალებისთვის...

მაშა ბაქრაძე

ნინო სამადბეგიშვილი

ცოტა ხნის წინ, დიზაინერმა მაშა ბაქრაძემ კოსტიუმების პერსონალური ჩვენება მოაწყო. ჩვენებაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ნინო სამადბეგიშვილის სამკაულების კოლექცია. საღამოში მონაწილეობდნენ რამდენიმე სიმღერით, მაესტრო მორისი და მოცეკვავეთა ჯგუფი „ვივა ლათინო", რომლის წევრებსაც ორი ცეკვის დროს, სწორედ ქალბატონი მაშას მიერ შექმნილი კოსტიუმები ეცვათ.

ლიკა ქაჯაია

— 8 წელია, როგორც მხატვარ-დიზაინერი ვმუშაობ. სწორედ 8 წლის წინ გაიმართა ჩემი პირველი პერსონალური ჩვენება. ხოლო ჯგუფურ ჩვენებებში რამდენიმე ადგილას მომიწია მონაწილეობამ. 2 წლის წინ, ნინო სამადბეგიშვილთან ერთად (რომელიც უკვე 5 წელია, როგორც აქსესუარების დიზაინერი საქმიანობს) გავხსენი სალონი-ბუტიკი. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ნინოს ნამუშევარი ბევრმა დიზაინერმა გამოიყენა, მაგრამ რატომღაც, მისი სახელი არსად ფიგურირებდა.

— როგორც გავიგე, ავანგარდში მუშაობთ.

— ჩემი პირველი პერსონალური ჩვენება მთლიანად ავანგარდული იყო. მასალად გამოყენებული მქონდა უცნაური ნივთები. მაგალითად, ცოცხის ღეროებისგან შევქმენი შლაპა, ჩვეულებრივი ღრუბლისგან — კაბა, შამპანურის საცობებისგან „კუბიკები". ყველაფერი ეს არ გამიკეთებია კომერციული მიზნით. დღეს კი, ცოტა არ იყოს, მიმართულება შევიცვალე, დავირქვით ატელიე და ჩვენი სალონი შეკვეთებსაც იღებს.

— ძირითადად, რა სტილის კოსტიუმებზე მუშაობთ?

— ვმუშაობ ეკლექტიკურ ჟანრში — ანუ ხდება ჟანრების, სხვადასხვა სტილის ურთიერთშერწყმა, მაგალითად, კლასიკური და სპორტული სტილის შეხამება.

— რამდენად მისაღებია ასეთი სტილის სამოსი ქართველებისთვის?

— ჩემი ტანსაცმელი ძირითადად, ტინეიჯერებს მოსწონთ და შეიძლება ითქვას, რომ ის სწორედ მათზეა გათვლილი. თუმცა, ასაკოვანი ქალებიც მთხოვენ მათთვის სამოსის შექმნას.

— გინდათ თქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ავანგარდული მოდა მკვიდრდება?

— ავანგარდი არ არის მოდის მიმართულება. ეს არის ცნება, რომელიც შეიცავს წინსვლას: ავანგარდში მომუშავე მოდელიერი მოდას წინ უსწრებს და ქმნის ისეთ სამოსს, რომელიც რამდენიმე წლის მერე შემოვა მოდაში მასობრივად. თუ ადამიანს ყველასგან განსხვავებული სამოსი მოსწონს, ის ჩემი კლიენტი ხდება...

— რამდენად რთულია კლიენტებთან ურთიერთობა?

— კლიენტთან ურთიერთობის სირთულე კონკრეტული ინდივიდის კაპრიზზეა დამოკიდებული. მე თვითონ ძალიან მხიარული, მსუბუქი ადამიანი ვარ. ვცდილობ, პრობლემა არც საკუთარ თავს შევუქმნა და არც სხვას. მაგრამ, როცა გამოუვალ მდგომარეობაში ვარ... ჩემს კლიენტებს შორის, იყო რამდენიმე რთული პიროვნება, რომელ-

ჩემი ტანსაცმელი ძირითადად, ტინეიჯერებს მოსწონთ... (მაშა ბაქრაძე — მარჯვნიდან მეორე)

მდ. თერგის ხეობა	ტაილანდის ძვ. სასელწოდება	ფრანგ. ხურდა ფული	სითამამე, გაბედულება	წყნარი, უქარო ამინდი	თვითმფრინავზე მისადგმელი კიბე	მზის ღმერთი	რძის პროდუქტი	თვალ ლიბრ
ყ ა ხ ი ა ნ ი		ს ო		ბ ი ჯ ო ნ	ს ა ს ა ნ ა ხ ლ ე ლ ო ბ ი ს			
კარგი ამინდი	მსახიობი ... სილვერსტოუნი	მდ. მისისიპის შენაკადი	თოფზე დასამაგრებელი წვეტიანი საგანი	თიხის პატარა ჭურჭელი წყლისთვის	ვინაობის დამადასტურებელი საბუთი: ... მოწმობა			

საც საკმაოდ დიდხანს, ჩემი ენერგიის გაცემის ხარჯზე ვუძლებდი. დღეს კი ვცდილობ, ასეთ ადამიანებთან ურთიერობას მოვერიდო.

— ეი. თუ კლიენტი არ მოგეწონათ, შეიძლება, უარით გაისტუმროთ?

– ასეთი შემთხვევაც მქონდა. ერთხელ, ასაკოვანი ქალბატონი მოვიდა, რამდენიმე ვარიანტი შევთავაზე. აქედან ერთ-ერთი ძალიან მოეწონა, მაგრამ რაღაცებს მაინც უკმაყოფილოდ და ჯუჯღუნით ხვდებოდა. მშვიდად, უკონფლიქტოდ მოვიცილე თავიდან... მაგრამ ხშირად მოდიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც არ იციან, რა უნდათ და სრულ თავისუფლებას მანიჭებენ. ბოლოს კი, ჩემი შეთავაზებულით და შედეგით აღფრთოვანებული რჩებიან.

— რა ფერებია წელს მოდაში?

– მწვანე, მაგრამ ჩემს კოლექციაში აბსოლუტურად ყველა ფერი ფიგურირებს – წითელი, მუქი მწვანე, სტაფილოსფერი, ჩალისფერი, შავი. მთავარია, ფერები ერთმანეთს კარგად, გემოვნებიანად შეუხამო.

— შავი ფერი ახსენეთ, თუმცა ეს ფერი თქვენს კოლექციაში ნაკლებად ფიგურირებდა...

– ეს კოლექცია გაკეთებული მქონდა წვეულებებისთვის, საღამოებისთვის; გამოსასვლელი კაბები ტინეიჯერებზე იყო გათვლილი და არ მსურს, ახალგაზრდებს ეს ფერი ეცვათ.

— რატომ უნდა თქვან ტინეიჯერებმა შავ ფერზე უარი?

– მართალია, შავი ფერი ელეგანტურია, მაგრამ ის განკუთვნილია ქალებისთვის. ახალგაზრდებმა კი, ისეთი მხიარული ფერის სამოსი უნდა ატარონ, რომელსაც ასაკში შესვლის მერე, ველარ მოიხდენენ.

— ხშირად გვესმის, რომ ფერადი სამოსი გვასუქებს. ამ აზრს თუ ეთანხმებით?

– ეს სრულიად დოგმატური გამოთქმაა, რომელსაც არ ვეთანხმები. მე მყავს ძალიან ბევრი, არასტანდარტული გაბარიტების მქონე კლიენტი, რომელსაც ტინეიჯერულ სტილს ვთავაზობ და მათ ეს მოსწონთ.

— ჩვენებაზე გამოტანილი გქონდათ ვარდებისგან შეკერილი წითელი კაბა...

– დიახ, ეს იყო ნინოს საავტორო კაბა, რომლის სილუეტიც მე შევქმენი. ამ კაბით გამოხატული გვქონდა ვარდების რევოლუცია, უკაცრავად – „პარადი" *(იცინის).*

— რა სტილის კაბებია აქტუალური წლევანდელ ზაფხულში?

– წელს კაბებში დომინირებს კლასიკური ბოშური კაბების სილუეტები – გაშლილი, ირიბი ზოლებით. ჩემს ჩვენებაში წარმოდგენილი მქონდა საქორწილო კაბა, რომლის ზედა ნაწილში ტუნიკის ელემენტები იყო, ქვევით კი – ბოშური სტილი და ეს ყველაფერი ბოტასებით მთავრდებოდა.

— ფეხსაცმელებიც თქვენ მიერაა შექმნილი?

– ფეხსაცმლის დიზაინი ძალიან რთულია და ჯერ იქამდე ვერ გავიზარდეთ. ან რა საჭიროა, როცა თბილისში ძალიან ბევრი არაჩვეულებრივი დიზაინერი გვყავს? ჩემი კოსტიუმების კოლექციის ჩვენებაში არ გამომიყენებია ერთი კონკრეტული დიზაინერის ფეხსაცმელი და ბევრ მოდელს ეცვა ჩვეულებრივი კედები. სხვათა შორის, ძალიან მომწონს, როცა ტინეიჯერს გამოსასვლელ კაბასთან ერთად სწორედ სპორტული ფეხსაცმელი აცვია.

— ქამარი წელსაც აქტუალურია?

– რა თქმა უნდა. მაგრამ წლევანდელი ქამარი მეტისმეტად ჭრელი და ბრჭყვიალაა, იგი თეძოზე უნდა გქონდეთ, თუმცა მე თვითონ წარმოდგენილი მქონდა ორი ქამარი, რომელიც წელს ზემოთ ეკეთათ მოდელებს. ეს გახლდათ ქამრისა და კორსეტის შერწყმა.

— მორისის კლუბის მოცეკვავეებს თქვენ მიერ შექმნილი კოსტიუმები ეცვათ?

– დიახ, მაგრამ მათ მხოლოდ 2 ცეკვაში ჰქონდათ გამოყენებული ჩემი კოსტიუმები. სხვათა შორის, სექტემბრიდან იხსნება ახალი კლუბი, სადაც გაიმართება შოუები, მონაწილეობას მიიღებენ ბალეტის მოცეკვავეები, რომელთაც ჩემ მიერ შექმნილი კოსტიუმები ეცმევათ. ეს იქნება ჩემი სამყარო *(წლების წინ, მაშა ბაქრაძე თავად ცეკვავდა. – ავტ.)* – სამყარო არასერიოზული ქალისა, რომელიც მრავალშვილიანი დედაც გახლავთ *(იცინის).*

— რამდენი შვილი გყავთ, ქალბატონო მაშა?

– 3 და სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი ჩემს ჩვენებაშიც მონაწილეობდა.

— თუ არ ვცდები, მას უცნაური კაბა ეცვა, რომელზეც ძველი თბილისის სურათები იყო გამოსახული...

– ამ კაბას ჰქვია „ჩემი სახლი, თბილისი". ჩემი მომავალი პროექტია, კაბების კოლექცია სახელწოდებით – „პრაშჩაი, თბილისი". მათზე ასახული იქნება იმ საუკეთესო სახლების სურათები, რომლებიც დღეს ინგრევა.

■

| | | |

„ამქვეყნად არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე შენდობა“

რა ძალა და მნიშვნელობა აქვს ურთიერთმიტევებას?

ქრისტიანულ სათნოებათაგან ერთ-ერთია მიტევება. ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება ადამიანისგან მოითხოვს, რომ უსიტყვოდ და უდრტვინველად დავითმინოთ ყოველგვარი წყენა, სამართლიანად თუ უსამართლოდ მიღებული, მაგრამ თუკი ჩვენი უძლური ბუნების გამო ვერ შევძლებთ ამის შესრულებას — ე.ი. მაინც შევეკამათებით მაწყინართ ან მრისხანებით აღვიჭურვებით იმ ადამიანის მიმართ, რომელიც არაკეთილსინდისიერად მოგვექცა, შევუმდურდებით, გულისწყრომა ან შურისძიების, სამაგიეროს გადახდის სურვილი გაგვიჩნდება, ყველანაირად უნდა შევეწინააღმდეგოთ ამას და ვაიძულოთ თავი, მივუტევოთ, შევუნდოთ მაწყინარს.

შორენა მერკვილაძე

როგორ შეიძლება, მივხვდეთ, გულწრფელად მივუტევეთ თუ არა წყენა ადამიანს?

როგორც არქიმანდრიტი რაფაელი გვიქადაგებს, ამის გარკვევა შესაძლებელია სამი ნიშნით: თუ გავიგებთ, რომ ჩვენს გულისმტკენს რაიმე ცუდი შეემთხვა და გულის სიღრმეში გაგვიხარდება ეს, როგორც მასზე მოწევნილი შურისგება — ე.ი. მთლიანად არ შეგვინდვია; თუ გავიგებთ, რომ ჩვენს მაწყინარს რაღაც კარგი შეემთხვა და ეს ცნობა, როგორც ნემსი, ისე შეესობა გულს — ე.ი. ბოროტება, სადღაც გულის სიღრმეში გვქონია დაფარული და მთლიანად არ შეგვინდვია; ხოლო თუ ჩვენ გულით არ ვლოცულობთ მისთვის, ცოცხლისა თუ მკვდრისთვის, ან ლოცვის დროს, მისი სახელის წარმოთქმა გვიმძიმს, ეს იმას ნიშნავს, რომ მთლიანად არ შეგვინდვია.

რა ძალა და მნიშვნელობა აქვს მიტევებას?

„სხვისი მიტევებით სულის მშვიდობას და ბედნიერებას შევიგრძნობთ. ამქვეყნად არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ჩვენი შეურაცხმყოფელის შენდობა, რაც უფრო უსამართლოდ მოგვექცევიან და რაც უფრო წრფელი და ღრმაა ჩვენი მიტევება, მით უფრო დიდია ჩვენი სიხარული“, — გვმოძღვრავს არქიმანდრიტი რაფაელი. წმინდა იოანე ოქროპირი კი ბრძანებს: „ყოველი მიტევებით ჩვენ სესხს ვაძლევთ უფალს, რომელიც შემდეგ დაგვიბრუნებს“. რაც უფრო მიმტევებელნი ვიქნებით, მით უფრო მოწყალე იქნება უფალი ჩვენ მიმართ და მით მეტად მოგვიტევებს ჩვენს შეცდომებსა და შეცოდებებს. გავიხსენოთ, რა წერია „სახარებაში“: „უკუეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქვენნი“ (მათე 6, 14-15) — ე.ი. უფლისგან მხოლოდ მაშინ გვეპატიება შეცოდებანი, თუკი ჩვენ თავად შევუნდობთ და ვაპატიებთ ჩვენ წინაშე ჩადენილ შეცდომებს ადამიანებს, თუკი არავისთან გვექნება შუღლი და მტრობა, როცა ჩვენი მრისხანება მზის ჩასვლამდე გაიფანტება, როცა ყველასთან მშვიდობა და სიყვარული გვექნება, მხოლოდ ამის შემდეგ მოგვმადლებს უფალი კურნებასაც, სიხარულს თუ სხვა კეთილმოქმედებათ და სასუფეველსაც დავიმკვიდრებთ. გვახსოვდეს, რომ უფალი ერთადერთი შურისმგებელია უსამართლობისთვის: „ნუ ვინ ბოროტსა ბოროტის წილ მიაგებთ... ნუ თავით თვისით შურს ეძიებთ... ჩემი არს შურისგება და მე მივიგო მათ, იტყვის უფალი“, — გვაუწყებს წმინდა პავლე მოციქული რომაელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში.

რა შეიძლება მოჰყვეს გულისწყრომის დაუცხრომლობას და მიტევების უუნარობას?

„თუ ადამიანს გულისწყრომა მალე არ გადაუვლის, ის ბოროტებად ექცევა, ასეთ ადამიანს ეშმაკები დაეპატრონებიან. ბოროტებისთვის სასჯელი თავისივე ბოროტებაა. ვინაიდან ბოროტება უფლისგან აშორებს ადამიანს და [illegible] შეიძლება იყოს იმაზე დიდი უბედურება ადამიანისთვის, ვიდრე უფლისგან დაშორება?“ — ასეთნაირად პასუხობს მსგავს კითხვას მამა ტიხონ ვორონეჟელი. წყენის დაუცხრომლობას ხშირად მოსდევს გაღიზიანება, შურისძიება, შუღლი, მტრობა და სიძულვილი. ამ ყველაფერმა კი შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფამდეც კი მიგვიყვანოს, თუმცა მხოლოდ სიძულვილიც კმარა იმისათვის, რომ კაცისმკვლელად ვიწოდოთ: „ყოველსა, რომელსაც სძულდეს ძმაი თვისი, იგი კაცისმკვლელი არს“, — გვამცნობს იოანე ღვთისმეტყველი. მრავალი ქრისტიანული სათნოებითაც რომ იყოს შემკული ადამიანი — გასცემდეს მოწყალებას, ინახავდეს მარხვას, დადიოდეს ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე დასასწრებად და სხვა, მაგრამ არ გააჩნდეს მიტევების უნარი, მისგან ქმნილი ყოველი ქველი საქმე უქმი, უნაყოფო და ამაოა. ასეთი ადამიანისგან უფალი არც ლოცვას შეისმენს და შეიწირავს და არც სხვა შესაწირს მიიღებს. გავიხსენოთ, რას ბრძანებს უფალი: „ოდეს შესწირვიდე შესაწირავსა შენსა და მოგეხსენოს, ვითარმედ ძმა შენი გულ-ძვირ რამე იყოს შენთვის, დაუტევე შესაწირავი შენი, მიევედ დაეგე პირველად ძმასა შენსა და მერე მოვედ და შესწირე შესაწირავი შენი“.

ზოგჯერ ხდება, რომ ჩვენ შევუნდობთ და მივუტევებთ მაწყინართ, მაგრამ არ გვირიგდება ის ადამიანი, ვინც გაგვანაწყენა ან ვისაც წყენა მივაყენეთ. როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმით, რომ გონებაში გულწრფელად შევურიგდით და მივუტევეთ მას და გვსურს მშვიდი ურთიერთობა მასთან. აღარ ვეცადოთ სიტყვით (საუბრით) მასთან შერიგებას, რადგან შესაძლოა, მომდურავის მრისხანება კიდევ უფრო გაიზარდოს. გარდა ამისა, ვეძებოთ საშუალება, რომ რაიმე სიკეთე გავუკეთოთ ისე, რომ თვითონ ამის შესახებ არაფერი იცოდეს, მასთან შეხვედრისას ვილოცოთ გულში მომდურავზე, — გვირჩევს წმინდა თეოფანე დაყუდებული. თუკი ამის შემდეგაც არ ისურვებს ჩვენთან შერიგებას, შეგვიძლია, სინდისი დავიმშვიდოთ, მივიღოთ ზიარება და მშვიდად დაველოდოთ მომდურავისგან შენდობის მიღებას.

შეიძლება, ადამიანს შეგნებული ჰქონდეს მიტევების აუცილებლობა, გულში შეუნდოს და აპატიოს მაწყინარს, მაგრამ უჭირდეს პატიების თხოვნა. რა მოვიმოქმედოთ ასეთ დროს?

როდესაც ადამიანს უჭირს პატიების თხოვნა, ეს მიანიშნებს, რომ მის არსებაში ბუდობს ყველაზე დამღუპველი ცოდვა — ამპარტავნება, რადგან პატიების თხოვნა უჭირს ამპარტავან და ამაყ ადამიანს. ასეთ დროს, საჭირო, მივმართოთ ღვთისმსახურს, რომელიც გვასწავლის იმ გზებსა და საშუალებებს, რომელთა ძალითაც დაიძლევა ეს ცოდვა და მოგვენიჭება ძალა მიტევების თხოვნისა.

■

„ადამიანმა უნდა ატაროს გვარი და არა გვარმა ადამიანი“. მაგრამ გვარსაც უნდა მიექცეს ყურადღება, რადგან, როგორც ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი — ლევან ჩოლოყაშვილი ამბობს — გვარმა ჩვენი წინაპრების ისტორია მოგვიტანა... ამ ბოლო დროს, მოხშირდა თავადაზნაურთა თუ საგვარეულოების საზოგადოებების ჩამოყალიბება. რითი განსხვავდებიან ან სულაც, აქვთ თუ არა ურთიერთობა ერთმანეთთან, რას საქმიანობენ ისინი, რაში დასჭირდათ დღევანდელ დღეს თავადობის წარმოჩენა, ხომ არ აპირებენ პოლიტიკაში მოსვლას? ამ და სხვა კითხვებზე, თავად ლევან ჩოყოლაშვილი გვიპასუხებს.

თავადაზნაურთა გვნები, ლაქსაქსული ბატონიშვილები და საქველმოქმედო აქცია მთიან რეგიონებში

ლიკა ქაჯაია

— ჩვენი საზოგადოება დაახლოებით 1 წლის წინ ჩამოყალიბდა. უფრო სწორად, აღდგა ის ტრადიცია, რომელიც არსებობდა ათწლეულების მანძილზე — როცა ქართველი თავადაზნაურობა ეწეოდა თავის ჭაპანს...

— თქვენ რა ჭაპანს ეწევით ან რაში დაგჭირდათ დღეს თქვენი წარმომავლობის წარმოჩინება?

— დღეს ქვეყანაში რთული სიტუაციაა. დაიკარგა არა მარტო გვარიშვილობის, არისტოკრატიის ცნება, არამედ ყველა ის საკრალური აზრი და ცნება, რომელიც ქართულ სინამდვილეში არსებობდა. მოხდა ყველაფრის გაშარჟება — „მხედრიონი“, მონარქისტული პარტია, კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრების ცნება... რატომღაც, თავადაზნაურობას იმასთან აიგივებენ, რაც ასოცირდება ტახტზე წამოგორებულ ლუარსაბ თათქარიძესთან. იმას კი არ ამბობენ, რომ სწორედ მათმა წარმომადგენლებმა მოგვიტანეს დღემდე ჩვენი გენი, ტრადიცია, კულტურა. ჩვენ ამ ყველაფრის აღდგენა გვინდა — ქართული რაინდული ტრადიციების პოსტულატების დამკვიდრება, ქართული ეროვნული შემეცნების ჩამოყალიბება, მონარქისტული იდეოლოგიის გაძლიერება, მსოფლმხედველობის დამკვიდრებასთან ერთად, ქართველ თავადაზნაურთა შთამომავლობის (დღევანდელი თაობის) გაერთიანება და წარსულსა და თანამედროვეობას შორის, ჩატეხილი ხიდის აღდგენა, რეპრესირებულ თავადაზნაურთა ღვაწლის წარმოჩენა და ა.შ. ჩვენი საზოგადოების მიზანია, შევქმნათ ქართული ჰერალდიკის მუზეუმი.

— განვლილი ერთი წლის მანძილზე რისი გაკეთება შეძელით?

— ჩვენს საზოგადოებას ჩამოყალიბებისთანავე, შეხვედრა ჰქონდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ, უწმინდესსა და უნეტარეს, ილია მეორესთან. მისგან მივიღეთ ლოცვა-კურთხევა და გარკვეული მინიშნებები. უპირველეს ყოვლისა, მან მოგვიწოდა, შეგვექმნა სკოლა, სადაც იმ პოსტულატებს გავატარებდით, რასაც ქაღალდზე ვაყალიბებდით. ამის გათვალისწინებით, გავხსენით საკვირაო სკოლა, სადაც მიმდინარეობს ტრენინგები, საუბრები. ამ საქმეს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფსიქოლოგი, კონფლიქტოლოგი დავით ამირეჯიბი ხელმძღვანელობს. მას აქვს ბავშვებთან, სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება. ამ სკოლას ჯერჯერობით, სრულყოფილი სახე არ აქვს — ტრენინგები ტარდება მხატვარ მოსე თოიძის სახლმუზეუმში შაბათობით, მეცადინეობა მხოლოდ 2-საათიანია. სხვათა შორის, დავით ამირეჯიბი მოსე თოიძის შვილიშვილი გახლავთ... გარდა უწმინდესისა, შეხვედრა გვქონდა ესპანეთიდან ჩამოსულ ბაგრატ ბაგრატიონის შვილიშვილთან — ხუან ბაგრატიონთან, ალავერდიხან უნდილაძესთან *(რომლის სახელგანთქმული წინაპრები — ძმები უნდილაძეები ირანის შაჰის კარზე გავლენით ლამის იყო, შაჰს უტოლდებოდნენ. — ავტ.)*. მასთან გვქონდა საინტერესო საუბრები იმაზე, რომ ირანში ინახება ქართული ცივი იარაღის — ხანჯლების, ხმლების კოლექცია და ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, ისინი ფოტოებზე გადავიღოთ, შევისწავლოთ.

ჩვენს საზოგადოებას ჩამოყალიბებისთანავე, შეხვედრა ჰქონდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ, უწმინდესსა და უნეტარეს, ილია მეორესთან...

— შესაძლებელია თუ არა ამ განძეულობის საქართველოში დაბრუნება?

— ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია, რომელიც მხოლოდ სამთავრობო დონეზე შეიძლება გადაწყდეს. სხვათა შორის, ბატონი ალავერდიხანი შეგვპირდა, რომ ჩვენი საზოგადოებიდან იქ ჩასულ წარმომადგენლობით დელეგაციას დაუშვებენ მუზეუმსაცავებში კვლევის ჩასატარებლად... ამასთან ერთად, დაგეგმილი გვაქვს, საქართველოს ეროვნულ გვარდიასთან ერთად ჩამოვაყალიბოთ ქართველ თავადაზნაურთა რეზერვისტთა ბატალიონი. მოგეხსენებათ, რომ თავადაზნაურობა არ იყო მარტო ულვაშებაწკეპილი ხალხი, რომელიც მხოლოდ მხარ-თეძოზე იყო წამოგორებული. მათ ჰქონდათ მებრძოლი სულისკვეთება, რომელიც უნდა აღდგეს. არ შეიძლება მარტო ყანწებითა და ჭიქებით ხელში გაიხსენოს ხალხმა წინაპრები და ილაპარაკოს იმაზე, თუ როგორ იქნევდნენ ისინი ხმალს...

— როგორ ხდება თქვენს საზოგადოებაში გაწევრება და გაქვთ თუ არა საკუთარი გერბი და დროშა?

— საზოგადოებაში გაწევრება შეუძლია ყველა სრულწლოვან ადამიანს, რომელიც

რაც შეეხება ჩვენი საზოგადოების გერბს, იგი ჰერალდიკოს დავით კლდიაშვილის ესკიზის მიხედვით შეიქმნა...

არის გვარიშვილი – ანუ მათ, ვინც თავადაზნაურთა საზოგადოებაში მოიაზრება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ განცალკევებული ვართ სხვა გვარის ხალხისაგან. ჩვენი საზოგადოების მუშა ჯგუფებში სხვა გვარის ხალხიცაა დაკავებული... რაც შეეხება ჩვენი საზოგადოების გერბს, იგი ჰერალდიკოს დავით კლდიაშვილის ესკიზის მიხედვით შეიქმნა. გვაქვს ორდენის ესკიზი. ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის, მირიან მესხის საშუალებით ეს ესკიზი გავუგზავნეთ თურქეთში მცხოვრებ ქართველს, რომელსაც საკუთარი საიუველირო ქარხანა აქვს სტამბოლში და იქიდან სრულიად მოულოდნელად ჩამოგვივიდა უკვე დამზადებული ნიმუში.

— ამ ბოლო დროს, რამდენიმე მსგავსი საზოგადოება ჩამოყალიბდა. რა ურთიერთობა გაქვთ ერთმანეთთან?

– დიახ, მაგრამ თითოეულ ასეთ ორგანიზაციას თავისი დატვირთვა, ფუნქცია აქვს. არის ბაგრატიონთა სახლები. ბაგრატიონები რამდენიმე ჯგუფად არიან დაყოფილნი: საზღვარგარეთ მცხოვრები, მოსკოვში მცხოვრები, თბილისში მცხოვრები და ა.შ. ჩემი ინფორმაციით, მათ არა აქვთ ასე ვთქვათ, ერთი ხმა, ერთი განწყობა, რადგან რუსეთის სპეცსამსახურმა ისე აქტიურად იმუშავა, რომ ამ დინასტიის დანაწევრებას მიაღწია... არსებობს ია მუხრანელის საზოგადოებრივი საკრებულო. სწორედ, ამ საკრებულოდან წამოვედით ჩვენ, რადგან გარკვეულწილად მისი პოლიტიზირება მოხდა, მის წიაღში აღმოცენდა ახალი მოძრაობა – „საკრებულო და სამეფო გვირგვინი“, რომელიც საპარლამენტო არჩევნების წინ, შეუერთდა ბატონ გურამ აბსანძის პარტიას. ის ხალხი, ვისაც პარტიული საქმიანობა არ გვინდოდა, წამოვედით და ცალკე ვართ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ფიცი დავდეთ, რომ ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოება საარჩევნო სუბიექტი არ გახდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ რომელიმე ჩვენი წევრი მოინდომებს პოლიტიკურ საქმიანობას, ჩვენ მას მხარს არ დავუჭერთ. რა თქმა უნდა, რომ არსებობდეს ნორმალური მონარქისტული პარტია (არა იგორ გიორგაძესთან ერთად შექმნილი, რადგან ეს შინაარსობრივადაც კი სრული კურიოზია) და ჩვენი წევრი იქ გაწევრდეს, რატომ შევეწინააღმდეგებით?.. ის ჩვენი ლობისტი გახდება, ჩვენს ინტერესებს გაატარებს... ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საგვარეულო სახლებთან. მათთან კონსულტაციები გვქონდა მას შემდეგ, რაც მომზადდა კანონპროექტი გვარის შეცვლასთან დაკავშირებით.

— რა მოსაზრება გაქვთ ამ კანონპროექტზე?

– პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ქართული თავადაზნაურული გვარების მითვისებასა და თვითმარქვიობასთან ბრძოლა. ამიტომ ჩვენთვის მიუღებელია გვარის უპრობლემოდ გამოცვლა. შეიძლება, ადამიანმა გვარი გადაიკეთოს, მაგრამ ძირი უნდა დაიტოვოს. მაგალითად – აკოფიანი გახდეს აკოფაშვილი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გვარი, საკუთრებაა. მე ისევე მიყვარს ჩემი გვარი – ჩოლოყაშვილი, როგორც თქვენ – თქვენი და ის, რომ ჩემი გვარი ვიღაცას უბრალოდ მოსწონს, და ამიტომ უნდა მითვისოს, დაუშვებელია. ასეთი ადამიანი დღეს – ჩოლოყაშვილი, ხვალ – აკოფიანი, ზეგ – დოქსოპულო და ა.შ. გახდება. ამას ადამიანები ისედაც აკეთებენ და ვერ ვხვდები, რა საჭიროა ამის კანონის რანგში აყვანა?

— ბატონო ლევან, ცოლიც გვარიშვილობის მიხედვით მოიყვანეთ?

– არა, სიყვარულით მოვიყვანე. მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და აღმოჩნდა, რომ ჩემი მეუღლის წინაპრები (გვარად ნიორაძეები წარმოშობით ლიონიძეები) აზნაურები ყოფილან.

— თუმცა, დღეს რომ თავადაზნაურობა ძალაში იყოს, ნიორაძეები ისედაც მიიღებდნენ აზნაურობას... როგორც გავიგე, თქვენი საზოგადოება ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ფილმის გადაღებას აპირებს, მართალია?

– ჩემს საგვარეულოში იყო რამდენიმე წმინდანი, მათ შორის – ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელიც გახლდათ ბოლო ბასტიონი და რომელმაც ბოლშევიკებსა და წითელ ტერორს გაუწია წინააღმდეგობა. ამის გამო, კომუნისტები ბოლომდე ცდილობდნენ, მისი გვარისთვის, რაც შეიძლება მეტი ჩირქი მოეცხოთ. „ყაჩაღი“, „ავაზაკი“ – ამ სიტყვებით მოიხსენიებდნენ. მაგრამ სინამდვილეში, ქაქუცა – უდიდესი პატრიოტი იყო. ამიტომაც გვინდა, რომ მასზე გადავიღოთ დოკუმენტური ფილმი. სხვათა შორის, შემოქმედებითი ჯგუფი უკვე ჩამოყალიბებულია... მინდა გაგიმხილოთ ჩვენი საზოგადოების კიდევ ერთი პროექტი. ვინაიდან პროფესიით ექიმი-ონკოლოგი გახლავართ, მოვამზადე საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისთვის სამედიცინო დახმარების პროგრამა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან ერთად ვაპირებ, განვახორციელო პირველი გასვლა მთათუშეთის 4 სოფელში, სავარაუდოდ – 9-10 ივლისს. იქაურ მოსახლეობას უფასოდ დავურიგებთ მედიკამენტებს და გავუწევთ კონსულტაციებს (სხვათა შორის, ერთ-ერთმა ფარმაცევტულმა ფირმამ მედიკამენტები უსასყიდლოდ და ყოველგვარი აფიშირების გარეშე გადმოგვცა).

— ასეთ გასვლებს ყოველთვიური სახე ექნება?

– არა, დაახლოებით 2 თვეში ერთხელ მიეწყობა. ჩვენს პროგრამაშია: თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სვანეთი. ჩავფრინდებით იმ მთიან რეგიონებში, რომელიც სამწუხაროდ, უგზოობის გამო ცუდ დღეშია და ვეცდებით, მათი მდგომარეობა ცოტათი მაინც შევამსუბუქოთ.

■

შეხვედრა გვქონდა ესპანეთიდან ჩამოსულ ბაგრატ ბაგრატიონის შვილიშვილთან – ხუან ბაგრატიონთან, ალავერდიხან უნდილაძესთან...

ოტო რეჰაგელმა სულაქველიძეს ორწლიანი კონტრაქტი შეესთავაზა

ნაგავსაყრელზე აღმოცენებული საფეხბურთო აკადემიის მადლი

საქართველოში ბევრი როდია ცნობილი ფეხბურთელი, რომელმაც წარმატებული კარიერის შემდეგ, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების ბავშვებისთვის გაზიარება გადაწყვიტა. ერთ-ერთი მათგანი თენგიზ სულაქველიძე გახლავთ, რომელსაც დიღომში მის მიერვე დაარსებული ნორჩ ფეხბურთელთა აკადემია აქვს, სადაც საკუთარ შვილთან — თენგიზ სულაქველიძე-უმცროსთან ერთად საქმიანობს.

გიორგი ლანჩავა

ნიჩბოსნობიდან – ქუთაისის „ტორპედომდე"

– ქუთაისის ერთ-ერთ უბანში – ჭომაში ვარ დაბადებულ-გაზრდილი. ოჯახში 8 დედმამიშვილი ვიყავით და ყველაზე უმცროსი მე გახლდით. მამა ადრე გარდაგვეცვალა და დედა მარტო გვზრდიდა. ჩემს სახლთან ახლოს ნიჩბოსნობის ბაზა იყო და ერთი პერიოდი, სპორტის ამ სახეობით დავკავდი. მწვრთნელი მირჩევდა, ნიჩბოსნობას გავყოლოდი, მაგრამ საბედნიეროდ, მას არ დავუჯერე. ფეხბურთზე ვარჯიში „ავტოქარხნის" დასახლებაში, მწვრთნელ მიხეილ ლოსაბერიძესთან დავიწყე. სტადიონი ჩემი სახლიდან საკმაოდ შორს გახლდათ და ზოგჯერ ფეხით მიწევდა 7-8 კილომეტრის გავლა... სპორტსმენის კარიერა შეიძლება, ერთმა შემთხვევამ განაპირობოს და ამ მხრივ, გამონაკლისი არც მე გახლავართ. 1974 წელს, ქუთაისის „ტორპედოს", მაშინდელ ორჯონიკიძეში ადგილობრივ „სპარტაკთან" უნდა ეთამაშა. მოხდა ისე, რომ „ტორპედოს" მცველმა, მურად ქუთათელაძემ ცოლის მოყვანის მიზნით გოგო მოიტაცა და ამაში მას გუნდის კიდევ ორი წევრი ეხმარებოდა. „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელს, გიგა ნორაკიძეს მცველის პრობლემა შეექმნა და მოზარდთა მწვრთნელს, კარლო ხურციძეს დაურეკა, რომ მისთვის რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის კანდიდატურა შეეთავაზებინა. იმ პერიოდში ხურციძესთან ვვარჯიშობდი და მან ნორაკიძესთან რეკომენდაცია გამიწია. ბატონმა გიგამ „სპარტაკთან" ძირითად შემადგენლობაში დამყენა და ის თამაში 1:0 მოვიგეთ. მეორე შეხვედრა ნალჩიკში ფრედ დავასრულეთ, სადაც ასევე ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე და მას მერე, გუნდში დავმკვიდრდი. სხვათა შორის, მეტსახელი ჭომა სწორედ ნორაკიძემ შემარქვა და შემდეგ, როგორც „დინამოში", აგრეთვე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ამ მეტსახელით მომმართავდნენ. აქვე გეტყვით, რომ „ტორპედოში" ორი წელი, მურთაზ ხურცილავასთან ერთად ვითამაშე და მის გვერდით უდიდესი სკოლა გავიარე.

ამერიკული შთაბეჭდილებებით გაოგნებული

– ქუთაისის „ტორპედოში" წარმატებული თამაშის მერე, მოსკოვის „სპარტაკის" ყოფილმა ფეხბურთელმა, გენადი ლოგოფეტმა საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებში მიმიწვია. ნაკრებთან ერთად პირველ ტურნეში ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრე, სადაც ერთი თვე გავატარეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა კაცი რა დღეში აღმოჩნდებოდი, როდესაც ქუთაისიდან პირდაპირ ამერიკაში მოვხვდი... ჩვენს ქალაქში დენს არც მაშინ გვაწვდიდნენ მაინცდამაინც კარგად და შტატების ქალაქების გაჩახჩახებულ ქუჩებში რომ ამოვყავი თავი, ცოტა შევცბი. თან დღე და ღამეც ერთმანეთში ამერია... სიმართლე გითხრათ, ამდენი ხანი ამერიკაში ყოფნა მომწყინდა და სულ იმას ვფიქრობდი – ნეტავ, ჩემს ქუთაისში ჩამიყვანა-მეთქი!.. ქუთაისში დაბრუნებულმა მეგობრებმა პურმარილი გამართეს და კარგად მოვილხინეთ. იმ დღეს მათთვის ამერიკული შთაბეჭდილებების გაზიარება არ გამომივიდა და ეს მეორე დღისთვის გადავდე. მართლაც, მეორე დილას ველოდი, რომ ამხანაგები მესტუმრებოდნენ და „პახმელიაზე" გამოსვლასთან ერთად, ამერიკაზეც ვისაუბრებდი. მაგრამ როგორც ჩანს, ისინი ნაბახუსევს ლოგინიდან ველარ ადგნენ და სტუმრად არავინ მწვევია. ამან გამაბრაზა, რადგან იმ პერიოდში, ამერიკაში წასვლა ბევრს როდი უწევდა და მთელი გულით ვემზადებოდი იქაური ამბების მოსაყოლად... ბოლოს, ხელი ჩავიქნიე და ჩემს თავს ვუთხარი – რა მეჩქარებოდა ქუთაისში ჩამოსვლა? რამდენიმე წელი ამერიკაში რომ დავრჩენილიყავი, მერე ხომ მომისმენდნენ-მეთქი!..

თენგიზ სულაქველიძე, პენალტების სერიის ბოლოდინში

ნებისმიერი მაისურის ჩამცმელი

– ქუთაისის „ტორპედოდან" 1978 წელს, თბილისის „დინამოში" ნოდარ ახალკაცმა გადმომიყვანა. უნდა გითხრათ, რომ მას ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის და მისი ამაგი არასოდეს დამავიწყდება. „დინამოში" მისულს, ტაქტიკისა და ტექნიკის მხრივ ბევრი რამ მაკლდა, ხოლო ახალკაცის დახმარებით აღნიშნული ნაკლი გამოვასწორე. იმ დროს, „დინამოს" მეორე მწვრთნელი სერგო კუტივაძე იყო, რომელმაც გუნდში ახალმისულს მკითხა, თუ რომელი ნომრის მაისურს ჩავიცვამდი? ფეხბურთელთა შემადგენლობას გადავხედე. დავით ყიფიანს 10-ნომრიანი მაისური ეცვა,

ალექსანდრე ჩივაძეს — 3-ნომრიანი, ვლადიმერ გუცაევს — 9-ნომრიანი და ბუნებრივია, მათ ნომერს ვერ შევეცილებოდი... ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, კუტივაძეს ვუთხარი — ივანიჩ, 11-ნომრიანი მაისურის ქვემოთ რაც იქნება, ნებისმიერს ჩავიცვამ-მეთქი. ამით ხაზი გაუსვი იმას, რომ თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში თამაშის გულისთვის, კარში ჩასადგომადაც კი მზად ვიყავი. პირველი მატჩი ძირითად შემადგენლობაში ბაქოს „ნეფთჩის" წინააღმდეგ ჩავატარე და იქიდან მოყოლებული, 10 წელი თითქმის შეუცვლელად ვთამაშობდი. თავდაპირველად, რომელიმე ფეხბურთელი თუ თამაშს გამოტოვებდა, იმის მაისურს ვიცვამდი, გუნდიდან ვახტანგ ქორიძის წასვლის შემდეგ კი, მისი 8-ნომრიანი მაისური მერგო და იგი კარიერის ბოლომდე ველარავინ გამხადა... 1978 წელს, „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მაგრამ მე ოქროს მედალი არ მომცეს, რადგან გუნდში თამაშების საჭირო რაოდენობა ჩატარებული არ მქონდა...

პირველი და ბოლო თერთმეტმეტრიანი

— 1979 წელს, მოსკოვში საბჭოთა კავშირის თასის ფინალში მოსკოვის „დინამოს" ვხვდებოდით და გამარჯვებულის გასარკვევად მატჩის შემდეგ, თერთმეტმეტრიანების სერია დაინიშნა. 5-5 პენალტის შესრულების მერე, მიღებული წესის თანახმად, ჩვენი და მოწინააღმდეგე ფეხბურთელი თითო თერთმეტმეტრიანს მორიგეობით ურტყამდა. ისე მოხდა, რომ პენალტი ან მე უნდა შემესრულებინა, ან გოჩა მაჩაიძეს. გოჩამ თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მისვლაზე უარი თქვა და იძულებული გავხდი, ეს მე გამეკეთებინა. არადა, მანამდე, პენალტი საერთოდ არ დამირტყამს, თან მაშინ, საკუთარი შესაძლებლობა ვერც ყოფიანმა გამოიყენა და ვერც შენგელიამ... ერთი სიტყვით, ბურთის დასარტყმელად რომ გავემართე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დასახვრეტად მივყავდი ვინმეს და ფეხები მიკანკალებდა... ისე დავარტყი, რომ მეკარისთვის არც შემიხედავს და საბედნიეროდ, ბურთი გავიტანე. ამის შემდეგ, გაბელიამ პელანტი გაზავეს აუღო და თასიც ჩვენ დაგვრჩა. იქიდან მოყოლებული, კარიერის დასრულებამდე, თერთმეტრიანს აღარ გავკარებივარ.

დარასელიას სიკვდილით დაშლილი „დინამო"...

— ახალგაზრდობაში, რუსულ ენაში საკმაოდ მოვიკოჭლებდი და როდესაც საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებში ვიტალი დარასელია მიიწვიეს, გამიხარდა, რადგან ვიფიქრე — ერთი კაცი მაინც მეყოლება, ქართულად ხმის გამცემი-მეთქი... მოგეხსენებათ, დარასელია ოჩამჩირეში იყო დაბადებულ-გაზრდილი და ქართული საკმაოდ ცუდად იცოდა. ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ მე ვიტალის ქართულს ვასწავლიდი, ის კი მე — რუსულს... ვიტალის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, თბილისის „დინამო" ფაქტობრივად, დაიშალა. სწორედ იმ პერიოდში, დავით ყიფიანმა ფეხი მოიტეხა და გუნდმა დაღმასვლა დაიწყო... რაც შეეხება დარასელიას დაღუპვას — ის მაშინ ქუთაისში მიემგზავრებოდა, ძმის სანახავად, რომელიც წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებოდა, უნდოდა, ადგილზე გაერკვია, სინამდვილეში რა მოხდა. ვიტალი ავტომანქანაში ჩვენს მეგობართან, ტარიელ მიქავასთან ერთად იმყოფებოდა და როდესაც ისინი რიკოთის უღელტეხილს გასცდნენ, ავტომობილი ხევში გადავარდა. ვინაიდან წყალი ადიდებული იყო, დაღუპულების მოძებნა 2 კვირა ვერ მოხერხდა. ზოგი იმასაც კი ამბობდა — დარასელია გაიქცაო, — და ნეტავ, ეს სიმართლე ყოფილიყო... ვიტალისა და ტარიელის გვამები მხოლოდ წყლის დონის დაკლების შემდეგ იპოვეს.

გამოსმაურება

მინდა, მოკრძალებით გითხრათ ზოგიერთი უზუსტობის შესახებ...



ბატონო მურთაზ!

თქვენ ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი ბრძანდებით. მიმაჩნია, რომ თქვენ ხართ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური მცველი. ჩვენ თქვენით ვამაყობთ. მე, აგრეთვე, ისიც მეამყება, რომ 1972 წლის ივლისში თქვენგან ვრცელი ინტერვიუ ავიღე. მაშინ თქვენ, 29 წლის ფეხბურთელი, სპორტული დიდებისა და პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდით. აღნიშნული ინტერვიუ დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში" და შემდეგ შევიდა ჩემს წიგნში „რეტრო". 2003 წლის დასაწყისში თქვენზე საკმაოდ ვრცელი ნარკვევი დავწერე და სხვადასხვა გაზეთში გამოვაქვეყნე.

...წავიკითხე ჟურნალ „გზა"-ში (№23) გამოქვეყნებული თქვენი ინტერვიუ და მინდა, მოკრძალებით გითხრათ ზოგიერთი უზუსტობის შესახებ, რომელიც იქ ამოვიკითხე.

თქვენ ბრძანებთ: *„სწორედ იაკუშინის დამსახურებაა, რომ თბილისის „დინამომ" საბჭოთა კავშირში პირველმა, ბრაზილიელთა მსგავსად 4-2-4 სისტემით თამაში დაიწყო. ეს 1963 წელს, მოსკოვის „ტორპედოსთან" მატჩისას მოხდა, რომელიც 3:0 მოვიგეთ. 1964 წელს „დინამო" ქვეყნის ჩემპიონი რომ გახდა, ამაშიც დიდი წვლილი იაკუშინს მიუძღვის: სეზონის წინ გუნდი მან მოამზადა და ჩვენს საწყის მატჩებში 12 შესაძლებლობიდან 11 ქულა ავიღეთ. ამის მერე, გარკვეულ მიზეზთა გამო, იაკუშინმა პოსტი დატოვა და მთავარ მწვრთნელად გავრილ კაჩალინი დაგვინიშნეს, რომელსაც „დინამოს" გაჩემპიონებას ვერაფრით მივაწერ: როცა ის გუნდს სათავეში ჩაუდგა, ზედიზედ 3 თამაში წავაგეთ და ხალხი ისეთ ამბავში იყო, დიღომში ვარჯიშს ვერ ვატარებდით. მიუხედავად იმისა, რომ გავრილ კაჩალინი განათლებული, კულტურული და კარგი ადამიანი იყო, როგორც მწვრთნელი, იაკუშინი მასზე მაღლა იდგა. ეს არა მარტო ჩემი აზრია, არამედ იმ ხალხის, ვისაც ორივე მათგანთან უმუშავია. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მომდევნო — 1965 წელს, „დინამომ" მე-9 ადგილი დაიკავა..."*

მინდა შეგახსენოთ, რომ პირველი: საბჭოთა ფეხბურთი საფეხბურთო

„ექსპერტები" ცენტრალური კომიტეტიდან...

– მაშინდელი „დინამოს" ფეხბურთელები დღევანდელ დღეს რომ მოვსწრებოდით, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჭყეფდა: უცხოურ კლუბებში ვითამაშებდით და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება მოგვეცემოდა. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ სხვებთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, ვინაიდან საბჭოთა კავშირის დროს, ბინასა და ავტომანქანას ურიგოდ თუ მოგცემდნენ, დიდ შეღავათად ითვლებოდა. ხელფასის სახით, „დინამოში" 250 მანეთს ვიღებდით, ხოლო თითოეულ მოგებაზე პრემიად, 100 მანეთს გვაძლევდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ყოველი მატჩის ჩატარება ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ გვიხდებოდა, რადგან წაგების შემთხვევაში, მეორე დღეს, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაღალჩინოსანთა შავი „ვოლგები" „შემოცვივდებოდა", რომელთა დანახვაზე ცუდად ვხდებოდით... მიშა მესხ-უმცროსს მოძველებული მარკის უცხოური ავტომანქანა ჰყავდა, რომელსაც დასაქოქად ყოველ ჯერზე, მიწოლა სჭირდებოდა. მახსოვს, ერთ-ერთი მატჩის წაგების შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ბაზაზე პარტიული ჩინოვნიკები მოვიდნენ. მათგან ერთ-ერთმა მიშას ავტომანქანა რომ დაინახა, ყვირილი დაიწყო – თქვენ ფეხბურთის თამაში კი არა, უცხოური ავტომანქანებით სეირნობა გინდათო!.. მიშამ ეს რომ გაიგონა, ამ პიროვნებას მიუბრუნდა და უთხრა – აბა, „ზაპოროჟეცით" რომ ვიარო, რა, უკეთესად ვითამაშებო?.. მე და რამაზ შენგელიას „წერეთლის" მეტროსთან ახლოს მდებარე კორპუსში, ერთმანეთის მეზობლად მოგვცეს ბინები. იქ უკვე რემონტი გვქონდა დაწყებული, როცა როსტოვში ადგილობრივ ასკ-სთან 2:5 წავაგეთ. თბილისში დაბრუნებულებს, ბინის კარებზე ლუქები დაგვხვდა და ჩვენ-ჩვენს სახლებში აღარ გვიშვებდნენ. მომდევნო ტურში თამაში მოვიგეთ და კარებს ლუქიც ახსნეს... როცა საზღვარგარეთ მივემგზავრებოდით, ყოველთვის მოგვყვებოდნენ უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები, რომელთაგანაც ზოგს გავგაცნობდნენ ხოლმე, ზოგს კი – არა. „დინამოში" და საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვინც ვთამაშობდით, უმრავლესობა კომუნისტური პარტიის წევრები ვიყავით. თან, „დინამოელებს" შინაგან საქმეთა ჩინებიც გვქონდა. კლუბში პარტკომად შოთა ხინჩაგაშვილი გვყავდა, ხოლო ნაკრებში, როგორც კაპიტანს, ეს თანამდებობა ალექსანდრე ჩივაძეს ეკავა.

„მოედანზე მეგობრები არ არსებობენ"

– ლენინგრადის „ზენიტში" ასპარეზობდა ფეხბურთელი – გვარად ლარიონოვი, რომელიც ყოველთვის დავით ყიფიანისთვის პერსონალურ მეურვედ ჰყავდათ მიჩენილი და ხშირ შემთხვევაში, უხეშად ეთამაშებოდა. თბილისში „ზენიტთან" გამართული ერთ-ერთი მატჩის დროს, ლარიონოვმა ყიფიანს ფეხებში იმდენი ურტყა, რომ დათომ ბოლოს მითხრა – ჭომა, მიმიხედე ამ კაცსო... მართლაც, ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთის წასართმევად ჩემკენ წამოვიდა და მას მუხლი მუხლში ისე მივარტყი, რომ ლარიონოვი საოპერაციო გახდა და 6 თვე დაისვენა... უნდა გითხრათ, რომ მატჩის შემდეგ, საკუთარი საქციელი ვინანე, ყიფიანთან დაკავშირებით ერთ ამბავსაც მოგიყვებით. მოსკოვის „დინამოს" მცველი, ნიკულინი, ლარიონოვის მსგავსად, დათოს პერსონალურად მეურვეობდა და ფეხებში დარტყმებსაც არ აკლებდა ხოლმე. მოსკოველებთან მორიგი მატჩის შემდეგ, ყიფიანს ნიკულინი რესტორანში დაუპატიჟია, კარგად უქეიფიათ და პურმარილის დასასრულს უკითხავს – ამიერიდან, მოედანზე რომ შემხვდები, ფეხში ხომ აღარ ჩამარტყამო? მთვრალ ნიკულინს თურმე, თავი აუწევია და უპასუხია – დავით,

სისტემაზე 4-2-4 გადავიდა 1962 წლის სეზონის დასაწყისში ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ და არა 1963 წელს. აღნიშნული სეზონის შედეგების მიხედვით, „33 საუკეთესო" ფეხბურთელი სწორედ ამ სქემით გამოქვეყნდა. მეორე: 1963 წელს თბილისის „დინამოს" მოსკოვის „ტორპედო" ანგარიშით 3:0 არ დაუმარცხებია. ამ გუნდების პირველი შეხვედრა თბილისში დამთავრდა – 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ, მეორე მატჩიც, მოსკოვში, ჩვენმა გუნდმა მოიგო – 4:1. მესამე: გავრილ კაჩალინი ოფიციალურად, უფროსი მწვრთნელის რანგში, თბილისის „დინამოში" მოვიდა 1964 წლის 2 მაისს, კიშინიოვის „მოლდოვასთან" შეხვედრისას. ეს მატჩი დინამოელებმა წააგეს – 0:1. ამის შემდეგ იყო მატჩი თბილისში, ალმა-ათის „კაირატთან" – 2:2. შემდეგ წაგება დონეცკში ადგილობრივ „შახტიორთან" – 1:2. მომდევნო ტურში ფრე მოსკოვში, „ტორპედოსთან" – 1:1, მომდევნო ორ ტურში – ორი გამარჯვება: ბაქოში „ნეფტიანიკთან" და თბილისში როსტოვის ასკ-სთან. სად არის აქ სამი წაგება ზედიზედ? მეოთხე: 1965 წელს თბილისის „დინამომ" (რომლის ძირითადი მოთამაშე თქვენც იყავით) დაიკავა მე-6 ადგილი და არ მე-9, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ მეტყველებს გავრილ კაჩალინის სუსტ მწვრთნელობაზე, ისევე, როგორც მიხეილ იაკუშინის დიდ მწვრთნელობას ვერ მიაყენებს ჩრდილს ის გარემოება, რომ მისი მწვრთნელობის დროს, თბილისის „დინამომ" 1974 და 1975 წლებში, შესაბამისად, მე-9 და მე-8 ადგილი დაიკავა. ერთხანს უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხის წინაშეც კი იდგა. ახლა იმის შესახებ, თუ რატომ ვერ მიიღეთ თქვენ 1964 წელს ოქროს მედალი. სამწუხაროდ, თქვენ იმ ჩემპიონატის 8 შეხვედრაში მიიღეთ მონაწილეობა. ეს კი 33 შეხვედრის 24%-ია. მაშინ დადგენილი კანონით პირველი, მეორე და ოლიმპიური ნაკრებების წევრებს მედლები რომ მიეღოთ, უნდა ჩაეტარებინათ მატჩების 40% მაინც. აქედან გამომდინარე, თქვენ უნდა მიგეღოთ მონაწილეობა მინიმუმ 13 შეხვედრაში – ისე, როგორც ეს ვახტანგ რეხვიაშვილის შემთხვევაში მოხდა. კიდევ ერთი მაგალითი: 1966 წელს, როცა კიევის „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ვიქტორ სერებრიანიკოვმა 15 მატჩში მიიღო მონაწილეობა, იოჟეფ საბომ – 14-ში. მათ ოქროს მედლები გადაეცათ, ვინაიდან ორთავე ფეხბურთელს (ცალ-ცალკე) შეხვედრების (სულ 36) 40% გამოუვიდათ. ეს იყო დაკანონებული და არავის თხოვნას ან მოთხოვნას არ ექვემდებარებოდა.

თქვენ ბრძანებთ: *„– საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველად 1965 წელს მოვხვდი და გუნდს ამხანაგური თამაშის ჩასატარებლად ბრაზილიაში გავყევი. ის თამაში ფრედ 2:2 დასრულდა, თუმცა, პირველ ტაიმში 0:2 ვაგებდით და გოლი ჯერ პელემ გაგვიტანა, მეორე – გარინჩამ".* არასწორია: აღნიშნული მატჩში გოლები ბრაზილიელთა მხრიდან გაიტანეს გერსონმა (51-ე წთ) და პელემ (54-ე წთ). საბჭოთა ფეხბურთელებიდან – ბანიშევსკიმ (59-ე წთ) და მეტრეველმა (85-ე წთ). ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. ამასთან, ამ მატჩში (სსრკ – ბრაზილია – 2:2, 21 ნოემბერი, 1965 წელი), გარინჩას არ უთამაშია. ბრაზილიელთა მარჯვენა გარემარბი იმ დღეს ჟაირი იყო.

კიდევ ერთხელ გიდასტურებთ თქვენდამი დიდ პატივისცემას.

ნუგზარ მჭედლიშვილი

ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია და ვლადიმერ გუცაევი თბილისის „დინამოში“-

მოედანზე მეგობრები არ არსებობენო...

შეუჩერებელი მარადონა

— ბედნიერი ვარ, რომ კარიერის მანძილზე, ისეთი უდიდესი ფეხბურთელის წინააღმდეგ მითამაშია, როგორიც დიეგო მარადონაა. საბჭოთა კავშირის ნაკრები არგენტინის ეროვნულ გუნდს სამჯერ შეხვდა ამხანაგურ მატჩში და სამივეჯერ მწვრთნელებმა მარადონას პერსონალურად მეურვეობა დამავალეს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ვინმეს, თამაშიდან მარადონას გამოთიშვა შესძლებოდა. ჩემი მოვალეობა ის იყო, რომ მისთვის მაქსიმალურად შემეშალა ხელი და ჩვენს კართან ბურთიანად მოახლოება მაქსიმალურად შემეზღუდა. თამაშის მსვლელობისას, იყო ეპიზოდები, როდესაც მარადონას უხეშად ვეთამაშე, მაგრამ არგენტინელს ამის გამო, ჩემდამი საყვედური არაფრით გამოუხატავს. შესაბამისად ვცდილობდი, მის წინააღმდეგ მაქსიმალურად „სუფთად“ მეთამაშა, რადგან ასეთი დონის სპორტსმენისთვის ტრავმის მიყენება, ჩემი აზრით, არასწორია. იმ ხალხს, ვისაც მარადონა მხოლოდ ტელევიზორში უნახავს, შეიძლება, ამ ფეხბურთელის ფიზიკური მონაცემების შესახებ მცდარი შეხედულება შეექმნას, რადგან ის ტანდაბალია, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მარადონას მსგავსი ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენი იშვიათად შემხვედრია. არგენტინელისთვის ბურთის წართმევა ხომ ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ. იგი საკუთარ სამშობლოში ნამდვილი კერპი იყო და არგენტინაში გამართულ მატჩებში, როდესაც მას მივეკარებოდი, ტრიბუნებიდან გულშემატკივარი ყვიროდა — რუსო!.. შემიძლია გითხრათ, რომ მაშინ ნაკრების თავკაცებმა ჩემი თამაში მარადონას წინააღმდეგ დადებითად შეაფასეს.

ფეხბურთი და ალკოჰოლი

— დასამალი არ არის, რომ ხანდახან ალკოჰოლურ სასმელს გეახლებოდით, მაგრამ ვიცოდი, ეს რა დროს უნდა გამეკეთებინა. თამაშის წინადღეს, არასოდეს დამილევია, ამას მატჩის შემდეგ ვაკეთებდით, მით უმეტეს — როცა თამაშს მოვიგებდით. 1981 წელს, როდესაც ევროპის თასების მფლობელთა თასი ავიღეთ, ნოდარ ახალკაცმა გვითხრა, რომ ერთი დღე ჩვენს განკარგულებაში იყო და შეგვეძლო, რაც გვინდოდა, ის გვეკეთებინა. მართლაც, იმ დღეს, ძალიან კარგად მოვილხინეთ და თბილისამდე არც გამოვფხიზლებულვართ... ედუარდ მალოფეევის მწვრთნელობისას, იტალიაში შეკრება გავიარეთ და ტურნირშიც მივიღეთ მონაწილეობა, რომლის დასრულების შემდეგ, მასპინძლებმა 200-კაციანი ბანკეტი გადაიხადეს. მალოფეევმა დაინახა, რომ მაგიდაზე, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები ვისხედით, ალკოჰოლური სასმელებით სავსე ბოთლები იდგა და ოფიციანტებს მათი ალაგება უბრძანა. ამის შემდეგ, უარესი რამ მოხდა: ფეხბურთელებმა ლიმონათის ბოთლებში ჩაასხეს არაყი და ასე განაგრძეს სმა. საბოლოოდ, ფეხბურთელები მაგრად დათვრნენ და ბანკეტის დასრულებისას, ფეხზე ძლივს იდგნენ. ამის შემხედვარე იტალიელები ძალიან გამხიარულდნენ. როდესაც სასტუმროში მივედით, მალოფეევმა მთვრალ ფეხბურთელებს კრება ჩაგვიტარა, მაგრამ ბუნებრივია, [illegible]ს არავინ უსმენდა...

თანამგზავრი თუ დამხვდური?..

— როდესაც „ნორჩ დინამოელში“ ბავშვების მწვრთნელად ვმუშაობდი საშა ვაშაკიძესთან ერთად, რომელიც ასევე მწვრთნელი იყო, გუნდი საფრანგეთში წავიყვანეთ ტურნირზე. საქართველოში დაბრუნების წინ, ვიდრე თვითმფრინავში ჩავსხდებოდით, ვაშაკიძეს შევთავაზე, ცოტა დაგველია, რადგან ფრენის მეშინია და ალკოჰოლის მიღებით, მგზავრობას გავიიოლებდი... მართლაც, ვისკი დავლიეთ და თბილისში ისე ჩამოვდრინდით, არც გაგვიგია. თვითმფრინავიდან ვაშაკიძეზე ადრე ჩამოვედი და აეროპორტის გამოსასვლელთან ბავშვების მშობლებს ველაპარაკებოდი. ამ დროს, საშა მომიახლოვდა და მითხრა — თენგიზ, შენც შეიწუხე თავი და ამ შუაღამეზე ჩემს დასახვედრად მოხვედიო?.. როგორც ჩანს, ის იმდენად დათვრა, რომ არ ახსოვდა, ერთად თუ ვიმგზავრეთ...

რეჰაგელის მიერ შეთავაზებული კონტრაქტი

— 1988 წელს, ბრემენის „ვერდერთან“ ჩატარებული შეხვედრის შემდეგ, გერმანელთა კლუბის პრეზიდენტმა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ოტო რეჰაგელმა, რომელიც ამჟამად საბერძნეთის ნაკრებს წვრთნის, ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. მაგრამ იმ პერიოდში ასეთი რამ შეუძლებელი იყო და ეს ამბავი სადმე რომ გამეგზავნა, შეიძლება, დაპატიმრებაც არ ამცდენოდა... საზღვარგარეთ მხოლოდ ერთი წელი ვითამაშე და ისიც — კარიერის ბოლოს. იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირის საზღვრები შედარებით გაიხსნა, რამაზ შენგელიასთან ერთად შვედეთში გავემგზავრე. მაგრამ იქ სერიოზულ დონეზე თამაშზე მეტად, მე და რამაზი ვისვენებდით...

აკადემიისთვის იჯარით აღებული... ჰაერი

— „ნორჩ დინამოელში“ გატარებული რამდენიმე წლის მერე, 1999 წელს, მეგობარმა საფეხბურთო აკადემიის ჩამოყალიბება შემომთავაზა და დახმარებაც აღმითქვა. ჩვენ მაშინდელი მთავრობის წევრებს მივმართეთ, რომლებმაც დიღმის ტყე-პარკში გამოგვიყვეს ტერიტორია. ცხადია, სტადიონის მოსაწყობად და გასახდელების ასაშენებლად, რამდენიმე ხის მოჭრა მოგვიხდა. იმ ხელისუფლების ზოგიერთმა წევრმა მწვანე ნარგავების განადგურებაში დამადანაშაულა და იმ ტერიტორიაზე აკადემიის დაფუძნება ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ადგილი გამომიყვეს ნაგავსაყრელზე, სადაც ფაქტობრივად, მიწა არ იყო და იჯარით ჰაერი ავიღე. იმ ადგილას მიწა მე შევზიდე და რამდენიმე წლის განმავლობაში, დილის 6-დან საღამოს 10 საათამდე, აკადემიაში ვიმყოფებოდი და არც ფიზიკურად შრომას ვთაკილობდი. სხვათა შორის, ისე გადავიღალე, რომ გასულ ზამთარს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შემექმნა. მაგრამ მეამაყება, რომ ისეთი დონის მინდორი გავაკეთეთ, სადაც საქართველოს პირველმა ნაკრებმა ივარჯიშა. აქვე გეტყვით, რომ აკადემიის ტერიტორიაზე 400-500 ნაძვი და 200 ძირი ხეხილი დავრგე... ■

უფრო სუფთა და იაფი

DAIHATSU SIRION

Toyota-ს შვილობილი კომპანიის – Daihatsu-ს სპეციალისტებმა ახალი კატალიზატორი (სრული დასახელება – გამონაბოლქვის კატალიზური ნეიტრალიზატორი) შეიმუშავეს. საქმე ის გახლავთ, რომ დღეს არსებული კატალიზატორი დროთა განმავლობაში, ეფექტურობას კარგავს. მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად, მასში გამოყენებული პალადიუმის ნაწილაკების მოცულობა იზრდება და ამით წმენდის უნარი უქვეითდება. „დაიჰაცუს“ ინჟინრებმა ამ პრობლემის გადასაჭრელად, ნანოტექნოლოგია გამოიყენეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. ახალი კატალიზატორი, რომელსაც 1,3 ლ მოცულობის ძრავათი აღჭურვილ მოდელზე – Sirion – დააყენებენ, Evro-4-ის უმკაცრეს სტანდარტს შეესაბამება. უფრო მეტიც – კომპანიის მესვეურთა მტკიცებით, ის გაცილებით მკაცრ – Evro-5-ის სტანდარტსაც უპასუხებს, რომელიც 2010 წელს შევა ძალაში.

ახალი კატალიზატორი ავტომობილის 6-წლიანი ექსპლუატაციის განმავლობაში შეინარჩუნებს თავის ფუნქციას. ამასთანავე, გამოყენებული ზოგიერთი ძვირფასი ლითონის – მაგალითად, პლატინის რაოდენობა მასში 70-90%-ით ნაკლებია, ვიდრე ძველი ტიპის კატალიზატორში, ეს კი აღნიშნული აგრეგატის თვითღირებულებას შეამცირებს. მომავალში, ახალი კატალიზატორით არა მარტო Sirion, არამედ „დაიჰაცუს“ სხვა მოდელებიც იქნება აღჭურვილი. ■


SKODA ROOMSTER

Skoda მინივენამდე „გაიზარდა“

ჩეხურმა საავტომობილო კომპანიამ ახალი მოდელის – Roomster – სერიულ წარმოებაში ჩაშვების შესახებ გამოაცხადა. ეს მანქანა სპეციალისტთა და მომხმარებელთა სამსჯავროზე ოფიციალურად 2006 წლის მარტში, ჟენევის ავტოსალონზე იქნება წარმოდგენილი. ამჟამად ის მხოლოდ კონცეპტუალური მოდელის სახით არსებობს, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო სალონის დამთვალიერებლებმა უკვე იხილეს.

Roomster გახლავთ ოჯახური მინივენი, რომელიც მაქსიმალური ფუნქციურობით გამოირჩევა. როგორც კომპანიის მესვეურები ამბობენ, სერიულ ვარიანტს უფრო მოკრძალებული დიზაინი ექნება. მაგალითად, კონცეპტის წინა ნაწილი, გვერდითი და წინა მინების ერთ მთლიანობას წარმოადგენს, სერიული მანქანის წარმოებისას კი, ამ „ფუფუნებაზე“ ალბათ, უარს იტყვიან.

Roomster-ის კონვეიერზე დაყენება, პოტენციურ მომხმარებელთა დაინტერესებით იყო გაპირობებული: როგორც ფირმის მიერ ჩატარებული გამოკითხვები მოწმობს, ავტომოყვარულებს სურდათ, „შკოდის“ სამოდელო რიგებს შორის, მინივენიც ეხილათ. ■

ჯუპე საგანგებოდ შერონ სტოუნისთვის

ლონდონსა და მის შემოგარენში მიმდინარეობს გადაღებები ტრილერის – „ძირითადი ინსტინქტი-2“ სცენარის მიხედვით, მთავარი როლის შემსრულებელი, შერონ სტოუნი სპორტული ავტომობილით – Spyker C8 Laviolette – დადის. ეს ორადგილიანი კუპე შექმნილია ჰოლანდიური ფირმის – Spyker-ის მიერ, რომელიც ექსკლუზიური მანქანების მცირეტირაჟიან სერიებს აწარმოებს. შერონ სტოუნის მანქანის შასის რიგითი ნომერია 015. ისევე, როგორც „სპაიკერის“ ყველა ავტომობილი, ის Audi-ს 8-ცილინდრიანი, 400 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი, რომელიც 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,5 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 300 კმ/სთ-ია.

აღნიშნული ფირმის დამაარსებლებმა, ძმებმა სპაიკერებმა თავიანთი პირველი ავტომობილი 1898 წელს, „მერსედესის“ ძრავას გამოყენებით ააგეს. ფირმა ავტომანქანებსა და აეროპლანებს აწარმოებდა, მაგრამ 1925 წელს, ფინანსური პრობლემების გამო, დაიხურა. ძველი ბრენდის აღდგენა მხოლოდ 2000 წელს მოხერხდა. ჟენევის ბოლო ავტოსალონზე „სპაიკერმა“ წარმოადგინა სპორტული მანქანა, რომელიც „აუდის“ 12-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი. შერონ სტოუნის მანქანის სერიულ ვარიანტს კომპანია მომხმარებელს 232.500 ევროდ სთავაზობს. ■

მიხეილ იაშვილი

(დასაწყისი „გზა“ №14-26)

ჟურნალისტ ზურა მჭედლიძის უკანონო პატიმრობა დასრულდა. წინასწარი პატიმრობისას ციხის საავადმყოფოში მისმა მოხვედრამ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ის იქ ხანდაზმულ კანონიერ ქურდთან, გოგი ჩხეიძესთან ერთ პალატაში მოხვდა. როცა ზურას საცოლემ, ეკამ და ადვოკატმა, შალვა საყვარელიძემ დაადგინეს, რომ მისი დაპატიმრება პანკისის ხეობასთან იყო დაკავშირებული, მათ ჟურნალისტის ჩეჩენი მეგობარი, მუსა იპოვეს და მისგან ვიდეოკასეტა მიიღეს. ძალზე უხარისხო, შავ-თეთრ მასალაში, რომელიც ფარული კამერითაა გადაღებული, 3 ბოროტმოქმედი და მათ მიერ გატაცებული 3 ადამიანი არიან აღბეჭდილნი. შალვა ფირს გაამრავლებს და ზურას თხოვნით, რამდენიმე კადრს, ფოტოსურათის სახითაც ამობეჭდავს. სამეულიდან ერთ-ერთი, ჟურნალისტის თქმით, მის დაპატიმრებაში მონაწილეობდა, დანარჩენი ორის ვინაობას კი, გოგი ჩხეიძე ეტყვის. ერთ-ერთი, პატიოსანი კაცის სახელით ცნობილი, იუსტიციის მინისტრის, რომან გიორგაძის ძმა აღმოჩნდება. ავარიის შემდეგ საავადმყოფოში მწოლიარე გიორგაძე თავის დამქაშს, ზურას ადვოკატთან დაარეკვინებს და კასეტის მათთვის გადაცემას მოსთხოვს.

გოგი ჩხეიძე ბარათს უგზავნის მინისტრს და ამის პასუხად, მას გიორგაძის მიერ გამოგზავნილ მობილურ ტელეფონს მოუტანენ. ცოტა ხანში, ზარიც გაისმება და კანონიერი ქურდი იუსტიციის მინისტრს მინიშნებებით აცნობებს, რომ თუ ზურას პატიმრობიდან გაათავისუფლებენ, ის კასეტას დაა-ბრუნებს...

მეორე დღეს, ჟურნალისტს მართლაც, უშვებენ და ის თანამოაზრეებთან ერთად, ხმაურიანი პრესკონფერენციისთვის ემზადება. მაგრამ მანამდე გადაწყვეტს, გიორგაძის საწინააღმდეგოდ მეტი სამხილის მოსაპოვებლად, საავადმყოფოში მიაკითხოს მინისტრს და ფარულად ჩაიწეროს მასთან დიალოგი. ზურას იმედი გამართლდება: რომან გიორგაძე მასთან შეხვედრისთანავე, ნიღაბს ჩამოიხსნის...

მიდი, მიდი... სულ ასეთები ილაპარაკე, — ვფიქრობდი გახარებული, — და მალევე ვნახავთ, ვინ ვის უტირებს ყოფას! აქ თითსაც ვერ დამაკარებ, გარშემო ზღვა ხალხია, მერე კი... ნეტავ, დიქტოფონი როგორ იწერს?... გიორგაძე კი განაგრძობს:

— რა გარანტიებს მთხოვ, შე კრეტინო... თავი აქვე რომ წაგაძრო, ვინ რა ფეხებს მომჭამს... მაგრამ გაგიშვებ, არ ღირს შენ გამო ხელის გასვრა... ისე, გახსოვდეს, რომ შენზე მუდმივი სლეჟკა მექნება და ხალხის გატაცებაზე ერთი სიტყვაც რომ დაგცდეს, იცოდე, გულს ამოგჭამ!

პრინციპში, რაც მინდოდა, ის უკვე თქვა. თავისით მოახერხა. ფეხზე წამოვდექი.

— წავალ მე, ბატონო რომან. მგონი, ყველაფერზე მოვილაპარაკეთ.

— მოიცა, — შემიღრინა. — ჯერ კითხვები მაქვს შენთან!

ეგღა მაკლდა! არადა, მეგონა, მოვამთავრეთ-თქო...

— იცით... ძალიან ცუდად ვარ, თავი მისკდება... თუ გნებავთ, ხვალ ისევ მოვალ და ნებისმიერ კითხვაზე გიპასუხებთ... — ვცდილობ, როგორმე გავაცურო და ხელიდან დავუსხლტე... საცაა პრესკონფერენცია დაიწყება... ეკა, ალბათ, უკვე ნერვიულობს... საათი მაინც მქონდეს...

— დაჯე-მეთქი! — სისინებს და ჭროღა თვალები ემღვრევა.

— ბატონო რომან, გამიგეთ, რა... მართლა შეუძლოდ ვარ, თავბრუ მეხვევა და ვეღარ ვაზროვნებ... გადავდოთ დილისთვის...

— ახლა ბიჭებს დავუძახებ და მოგიყვანენ, იცოდე, აზრზე!

სკამზე მოწყვეტით ვეშვები. რა ვიღონო? ამის ნებართვის გარეშე კარიდან ვერ გავალ, სამ ახმახს რას დავაკლებ?.. შეიძლება ჩემი გაჩხრეკაც უბრძანოს... მერე... ფანჯრიდან ვცადო? ღია კია და მიწამდეც არ უნდა იყოს დიდი მანძილი... ჯანდაბას, ხუთი წუთიც მოვიცდი და მერე ვნახოთ...

— მიპასუხე, საიდან შეიტყვე, რომ მე ვიყავი ამ საქმეში გლავნი?

თავი ისევ ჩემკენ გადმოსწია. სულ ახლოსაა, რაღაც ნახევარ მეტრში... დიდი გაჭირვებით ვიოკებ მუშტის ჩაზელვის სურვილს...

— ტკაცა! — გაისმა ამ დროს მჭახე ხმა... ფირი დასრულდა და დიქტოფონი გაითიშა...

გიორგაძე დენდარტყმულივით შეხტა და შეღმუვლა:

— ჩუმად იწერდი, არა, შე ნაბიჭვარო?!

ფიქრის დრო აღარ იყო. ტუმბოს წიხლი ვგლიჯე, გადავაბრუნე, ფანჯრის რაფაზე შევხტი, გულის ჯიბეზე ხელი მივიდე და ვისკუპე...

ჩემდა ბედად, მიწამდე მართლაც არ ყოფილა შორი მანძილი და ისე დავხტი, წონასწორობა არ დამიკარგავს...

— დაიჭირეთ, ესროლეთ!... მკლავდა!... — მომესმა მინისტრის ღრიალი...

მოულოდნელად ვიღაც მთასავით ტიპი ამესვეტა. როგორც ჩანს, გარედან იცავდა თავის ბოსს. ხელი უბისკენ წაიღო, მაგრამ იარაღის ამოღება არ ვაცადე, ნახევრად მოხრილი წინ გავიჭერი და თავით მთელი ძალით მუცელში დავეტაკე... სისწრაფემ გადამარჩინა, თორემ იმხელა ვინმე იყო, ნაღდად კისერს მომიგრეხდა... მარჯვენა ლოყა ფრჩხილებით ჩამომპორჭყნა, თუმცა მეტი ვერაფერი შეძლო და ზურგით ასფალტზე ზღართანი გაადინა...

პერიფერიული მზერით ფანჯარაში გადმოყუდებული კაცის სილუეტი დავლანდე. გადმოხტომას ლამობდა...

ისე გავრბოდი, ალბათ, პროფესიონალ სპრინტერს შეშურდებოდა... ყურთან მოკლე სტვენის მსგავსი ხმა ჩამესმა, მერე გასროლაც გავიგონე...

წინ აღმართულ რაღაც ღობესთან გულამოვარდნილი მივარდი, ზედა ძელს მოვეჭიდე, სიმაღლე ერთი აკვრით დავ-



ძლიე და კვლავ შურდულივით მოკურცხლე...

არც კი ვიცი, რამდენ ხანს გავრბოდი... ეზოები, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, ისევ ეზოები... ორიენტაცია დავკარგე... იმდენი ავტოფარეხია ყველგან, ერთხელ თუ ორჯერ ჩიხშიც შევვარდი... ნეტავ, მდევარი სადაა? უკან მოხედვას ვერ ვბედავ... ვგრძნობ, ხალხი გაოცებული მომჩერებია... სკვერი, ისევ ქუჩები... მგონი, ვაჟა-ფშაველას გამზირიც გადავჭერი... სასწრაფოდ მანქანა უნდა გავაჩერო!

მოსახვევში წითელი ტაქსი გამოჩნდა, თავისუფალია. ხელს ვუქნევ, ამუხრუჭებს. უკანა კარს ვაღებ და სავარძელზე ვწვები...

— ასე ვიქნები, თქვენი ჭირიმე... პლეხანოვზე მინდა...

მძღოლი ახალგაზრდაა. თავი მოაბრუნა და ეჭვნარევი მზერა მტყორცნა...

— რამე შარში არ გამხვიო, ძმაო...

შარვლის ჯიბიდან რამდენიმე დაჭმუჭნილ ოცლარიანს ვიღებ და წინა სავარძელზე ვაგდებ...

— მაგდენი არაა საჭირო, — ამბობს და მანქანას ძრავს...

— დროზე წადი, რა, ძამიკო... მოსაკლავად მომდევენ...

ტაქსი ადგილს მოსწყდა...

36.

ეკას შორიდანვე მოვკარი თვალი. გზის პირას იდგა და გამვლელ მანქანებს გაფაციცებით ათვალიერებდა. რომ დამინახა, გამოიქცა და ჩამეკრა...

— რა მოხდა? — ცრემლმორეულმა მკითხა. — სახე რატომ გაქვს სისხლით მოსვრილი?

— შევიდეთ, იქ გეტყვი ყველაფერს. — მიმოვიხედე, ხომ არ მომასწრეს-მეთქი. — დავაგვიანე?

— თითქმის ნახევარი საათი გელოდეთ და შალვამ ეს წუთია დაიწყო...

— ხალხი ბევრია?

— ყველა მოვიდა, ვისაც კი ვთხოვეთ... გემუდარები, მითხარი, რა მოხდა... მოგდევს ვინმე? რატომ იყურები უკან?

— გიორგაძესთან ვიყავი საავადმყოფოში...

შეკივლა, უკან დაიხია და შეშინებულმა შემომხედა. თვალი ავარიდე... მერე ხელკავი გამოვდე, რედაქციასთან გაჩერებულ უამრავ მანქანას გვერდი ავუარეთ და შენობაში შევედით.

— ეკა, მათ, იქნებ, არც კი იციან, სად ვიმყოფები... მაგრამ შეიძლება, მიხვდნენ ან საიდანმე შეიტყონ და აუცილებლად მომადგებიან... ეს შენი დიქტოფონია, გამომართვი, შენთან იყოს. კასეტაზე რომანას ხმაა ჩაწერილი. კაი რაღაცები მითხრა, სტუმრებს დააინტერესებს... — და მოკლედ ვუამბე საავადმყოფოში თავს გადახდენილი ამბავი...

დარბაზში ფეხი რომ შევდგი, ყველა მე მომაჩერდა. ორიოდ წამი სიჩუმე იდგა, მერე კი ატყდა ერთი ამბავი... მილოცავდნენ, რაღაცას მეკითხებოდნენ, რამდენიმემ ტაშიც დასცხო... უმალ ვიდეოკამერებისა და მიკროფონების ტყვეობაში აღმოვჩნდი... დაბნეული ვაცეცებდი თვალებს... რა 60 კაცი! ორი ამდენი მაინც იქნებოდა, სკამები აღარ ეყოთ და ნახევარზე მეტი ფეხზე იდგა... ბევრ ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი, თუმცა უცნობები, მგონი, მეტი იყვნენ... ტრიბუნასთან შალვა საყვარელიძე დავინახე. ძლივს გავიკვლიე იქამდე გზა, თან რაღაცას ვბურტყუნებდი... მომკალით და, არ მახსოვს — რას... ალბათ, მადლობებს ვარიგებდი...

— აი, ზურაბიც მობრძანდა! — ომახიანად წარმოთქვა ადვოკატმა. — დანარჩენს ის თავად გიამბობთ და ერთ ფრიად საინტერესო, მე ვიტყოდი, სენსაციურ, ვიდეოჩანაწერსაც წარმოგიდგენთ! — მერე მომიბრუნდა, გადამეხვია და ხმადაბლა მითხრა, — სად ხარ, ბიჭო? ძალიან გვანერვიულე... სახეზე რა გჭირს, იმათ ხომ არ გადაეყარე?.. — მე ჯერ მხოლოდ შესავლის მსგავსი რაღაც ვთქვი. თემის გასაიდუმლოებისთვის ბოდიში მოვიხადე და შენი დაპატიმრების ამბავი, რაც უმრავლესობამ ისედაც იცოდა, ზოგადად ვაცნობე. ახლა კი, როგორც შევთანხმდით, თავიდან ბოლომდე მოჰყევი ყველაფერი... მშვიდად იყავი, თუ რამე გამოგრჩება, მე დავამატებ. აბა, შენ იცი...

ამასობაში მეტ-ნაკლებად დავმშვიდდი. აზრებს თავი მოვუყარე, ერთი ამოვისუნთქე და დავიწყე:

— ქალბატონებო და ბატონებო, ვეცდები არ გადაგღალოთ და ძალიან მოკლედ მოგითხროთ იმის შესახებ, რისი უშუალო თვითმხილველიც გახლდით უკანასკნელი ოცდათექვსმეტი დღის მანძილზე... 24 აგვისტოს დილას, თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ავტომანქანა გამიჩხრიკეს და ჩემდა გასაოცრად მასში „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი აღმოაჩინეს. ეს გახდა ჩემი დაპატიმრების საბაბი და სასამართლომაც უმალ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მომისაჯა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მაცნობეს, რომ ჩემს მანქანაში ნაპოვნი... უფრო სწორად — პოლიციელთა მიერვე ჩაგდებული პისტოლეტით, გასულ წელს ადამიანთა გატაცებების საქმეზე მომუშავე ორი გამომძიებელი მოუკლავთ... ბატონ შალვა საყვარელიძესთან ერთად კარგა ხანს ვიმტვრიეთ თავი იმის გასარკვევად, თუ ვის და რატომ დასჭირდა ჩემს წინააღმდეგ ასეთი ბინძური პროვოკაციის გამოყენება და თანდათან მივედით იმ დასკვნამდე, რომ ვიღაც, საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი ადამიანი ჩემგან გარკვეულ ინფორმაციას ან მასალას ელოდა. დროთა განმავლობაში დავრწმუნდით იმაშიც, რომ ყოველივე ეს უკავშირდებოდა ჩემს ჩეჩენ მეგობარს, რომელიც ერთხანს პანკისის ხეობაში ცხოვრობდა. ჩემი დამტყვევებლები ფიქრობდნენ, რომ მან ადამიანთა გამტაცებლებზე მამხილებელი მასალა გადმომცა და ციხეშიც სწორედ ამის გამო მიკრეს თავი. მოგვიანებით ანუ მაშინ, როცა უკვე საპყრობილეში ვიყავი, ჩემმა ჩეჩენმა მეგობარმა მართლაც მოგვაწოდა ვიდეოკასეტა, რომელზეც აღბეჭდილი არიან გატაცებული ადამიანები, მათ შორის — ფრანგი ბიზნესმენი ლერუ,

აგრეთვე – ის პირები, რომლებსაც მძევლები ჰყავთ გადამალული...

შევჩერდი, სული მოვითქვი და განვაგრძე:

– ამის შემდეგ ბატონ შალვას ანონიმურად ატყობინებენ, რომ კასეტის სანაცვლოდ შესაძლებელია ჩემი გათავისუფლება. პირობას დავთანხმდით და აგერ, თქვენ წინაშე ვარ... დღეს მე შეგნებულად არ ვასახელებ იმ ადამიანთა გვარებს, რომლებმაც უდიდესი დახმარება გამიწიეს... რადგან მათ სიცოცხლეს ამით საფრთხე შეექმნება... ახლა კი ყველაზე საინტერესოს მოგახსენებთ...

ისევ შევისვენე და დარბაზს გადავხედე. სამარისებური სიჩუმე ჩამოწოლილიყო... არ ვიცი, ხალხის სიმრავლემ, მათი მხრიდან ჩემი თავგადასავლებისადმი ცხოველმა ინტერესმა, თუ კიდევ სხვა რამემ, საოცარი სიმშვიდე და თავდაჯერებულობა მომგვარა. მოწონების ნიშნად ეკამ თავი დამიკრა... საყვარელიძემაც...

– საქართველოში მოქმედებს დამნაშავეთა კარგად ორგანიზებული ჯგუფი, უფრო ზუსტად – მთელი კორპორაცია, რომელიც ადამიანთა გატაცებებით, მკვლელობებით, ძარცვა-გლეჯით და სხვა მსგავსი შავბნელი საქმეებითაა დაკავებული. მათ ანგარიშზეა უამრავი გაუხსნელი დანაშაული, მათ შორის გატაცებების დიდი ნაწილი... ამ თავზე ხელაღებული ბანდის წევრები, ძირითადად, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლები არიან, სათავეში კი მათ უდგათ თითოეული თქვენგანისთვის საკმაოდ ცნობილი პიროვნება... – რატომღაც არტისტიზმი მომეძალა და ექსპრომტად, ლიტერატურული პარალელების მოყვანის დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა. დარბაზს ისევ მოვავლე თვალი. – დეტექტივების მოყვარულთ, ალბათ, გახსოვთ კონანდოილისეული პროფესორი მორიარტი, რომელიც მშვიდად ზის საკუთარ კაბინეტში და ყველასგან ფარულად, იქიდან უწევს ორგანიზებას ლონდონში მომხდარ ყველაზე საშინელ დანაშაულს... სწორედ ასეთი ადამიანია საქართველოში... იუსტიციის მინისტრი რომან გიორგაძე!

იმავ წამს დარბაზში წარმოუდგენელი ხმაური ატყდა. მომეჩვენა, რომ ყველამ ერთად იფეთქა, თითოეული ცდილობდა, ხმამაღლა გამოეხატა თავისი აზრი, ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვებთან დაკავშირებით... უმალ კითხვებიც დამაყარეს...

რამდენიმემ, რას როშავ, სისულელეაო და მსგავსი რამეები მომახალა... ორთქლის გამოშვება დავაცალე და ვთქვი:

– კარგად მესმის თქვენი. მართლაც ძნელია წარმოიდგინო, რომ ერთი შეხედვით ასეთი უმწიკვლო რეპუტაციის ადამიანი, სინამდვილეში მკვლელების ორგანიზაციის თავკაცია... თუმცა ამაში ეჭვიც არ მეპარება და ვეცდები, ჩემი სიტყვების სიმართლე ახლავე დაგიმტკიცოთ. წარმოგიდგენთ ორ ჩანაწერს – ვიდეოსა და აუდიოს. პირველი სწორედ ის კასეტაა, რომლის გამოც რომან გიორგაძემ თავისივე ხელქვეითების მიერ მოკლული პოლიციელების საქმე გადმომბრალა და ციხეში ჩამამწყვდია. მეორე ფირი რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სულ რაღაც ერთი საათის წინ ჩავწერე და ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯდა... მასზე ჩემი და გიორგაძის გულთბილი საუბარია ასახული...

ჩემს ნიშანზე ეკამ ვიდეომაგნიტოფონი ჩართო. უზარმაზარ ეკრანზე სამი ბანდიტის სახე გამოჩნდა...

ოთხი წუთის შემდეგ ხმამაღლა განვაცხადე:

– შესაძლოა, ზოგიერთმა თქვენგანმა იცნო კიდეც ბატონი მინისტრის ძმა, ლევან გიორგაძე. თუკი მისი სიტყვები კარგად გაარჩიეთ, ერთ ეპიზოდში ის ვინმე რომას ახსენებს – გაგიჟდება, რომ გაიგებს, ვერაფერს ვაკეთებთო... ხსენებული რომა სხვა არავინაა, თუ არა – რომან გიორგაძე... ყაჩაღთაგან მეორე თბილისის პოლიციის მთავარი სამართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ოფიცერი ანზორ კვარაცხელია რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჩემი უკანონო დაპატიმრების, ასე ვთქვათ, ოპერაციას... იმედი მაქვს, კადრში ფრანგი ლერუც გაარჩიეთ... ახლა კი მეორე კასეტას შემოგთავაზებთ.

დარბაზი ისევ ახმაურდა... ეკას დიქტოფონი გამოვართვი, ჩავრთე, ხმას ბოლომდე ავუწიე და მიკროფონის წინ დავდგი. მოსმენა თავადაც ძალიან მაინტერესებდა...

„უკაცრავად, ბატონი რომანი აქ წევს?“ – მომესმა საკუთარი ხმა... იქ მყოფთ ბოდიში მოვუხადე, ფირი ოდნავ წინ გადავახვიე და ხელახლა ჩავრთე... „გამარჯობა, ბატონო რომან... გაგიმარჯოს, დაჯე...“ – მშვენივრად ისმოდა ყველაფერი!

სტუმრები სულგანაბული უსმენდნენ ჩანაწერს. ერთი-ორჯერ ვიღაცამ წაიჩურჩულა რაღაც და სხვებმა მაშინვე ჩააჩუმეს... ჩემი ეკუნა გაფართოებული თვალებით მიცქერდა... მაპატიე, ძვირფასო, აწი აღარასოდეს განერვიულებ...

ფირი დასრულდა. ვხედავდი, რომ დამსწრე საზოგადოებაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა!

– მერე კი უთვალავი კითხვა ზვავივით წამოვიდა:

– რას აპირებთ?

– მართალი გითხრათ, არც კი ვიცი...

– რომან გიორგაძეს უწინ იცნობდით?

– არა, პირადად არა...

– როგორ გგონიათ, დააპატიმრებენ?

– იცით, ეს, გარკვეულწილად, აქ მყოფ სტუმრებზეცაა დამოკიდებული... ვფიქრობ, დაიჭერენ...

– ზურა, რატომ ხარ დასისხლიანებული?

– გიორგაძე უკანასკნელ წუთს მიხვდა, ფარულ ჩაწერას რომ ვაწარმოებდი და პირადი მცველები დაგეშა ჩემზე... ძლივს დავაღწიე თავი...

– რაში დასჭირდათ თქვენი დაპატიმრება და ხმაურის ატეხა? უფრო ლოგიკური არ იქნებოდა, პირდაპირ ეცადათ კასეტის გამოძალვა?

– მე ვფიქრობ, რომ საქმე ასე იყო: პანკისში ჩემი ჩასვლისა და მეგობართან ურთიერთობის გამო მათ ეჭვები აღეძრათ, თუმცა დარწმუნებული არ იყვნენ, რომ ფირი ნამდვილად ჩემთან ინახებოდა და ეს მართლაც ასე იყო. რაღაც კასეტის არსებობის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა. მათ, ყოველი შემთხვევისთვის, იზოლაციაში მომაქციეს, რათა დრო მოეგოთ და ვითარება ბოლომდე გაერკვიათ. თუ ფირი ჩემთან აღმოჩნდებოდა, შანტაჟის ან მოტყუების გზით გამომძალავდნენ, არადა – ალბათ, საკმაოდ დიდხანს მომიწევდა ციხეში ჯდომა, როგორც პოლიციელების მკვლელს... იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული დროის შემდეგ მეც მოვეკალი... წეღან თავად მოისმინეთ რომან გიორგაძის სიტყვები...

– კი მაგრამ, ერთი თვე დასჭირდათ იმის გასარკვევად, გქონდათ თუ არა კასეტა?

– საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი დაპატიმრების დღეს გიორგაძე ავარიაში მოყვა და როგორც იცით, კარგა ხანს უგონოდ იყო. ეტყობა, ამ ფაქტმა გამოიწვია მათი გეგმების არევ-დარევა... ჩანს, მეთაურის მითითების გარეშე ჩემთან მოლაპარაკების წარმოება ვერ გაბედეს...

– ზურა, როგორ ჩაუვარდა ხელში ეს ფირი შენს ჩეჩენ მეგობარს?

– წარმოდგენა არა მაქვს...

– ამჟამად სად არის ის კაცი?

– საქართველოში არ უნდა იყოს, გიორგაძის ხალხი ნადირობდა მასზე...

– რა საგამოძიებო პროცედურები ჩატარდა თქვენ მიმართ?

– ფაქტობრივად, არავითარი...

და ასე შემდეგ... საათზე მეტხანს...

ამის პარალელურად ეკა და ადვოკატი ჩემ მიერ გამრავლებულ კასეტებს

არიგებდნენ. როგორც მოგვიანებით მითხრეს, თითო-თითო უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებისთვის გადაუციათ, დანარჩენი სამი, გაზეთის ჟურნალისტებისთვის. ტელევიზიის ხალხმა ფირი ეკრანიდანვე გადაწერა, ვისაც სურვილი ჰქონდა, აუდიოკასეტაც მისი დემონსტრირებისას ჩაიწერა... დედანი კი ისევ ჯიბეში მედო...

გულისრევის შეგრძნება მაწუხებს... თვალებიც ამიჭრელდა... ერთი სული მაქვს, დავეგდო და დავიძინო... კიდევ კარგი, ეკა და საყვარელიძე მეხიდებიან, კითხვების ნაწილს მარიდებენ და თავად პასუხობენ... თავი ისე დამიმძიმდა, საცაა წავიქცევი...

— მოუბოდიშე და ტრიბუნის უკან რომ კარია, იქიდან გადი, — მესმის ეკას ჩურჩული...

ვტრიალდები და ბარბაცით მივდივარ სადღაც...

— ახლავე დავბრუნდები, — ვატყუებ უცნობ ჟურნალისტ გოგონას...

რამდენიმე წუთიც და ეკასთან, ადვოკატსა და ჩვენს რედაქტორთან ერთად, უკვე ჩამუქებულმინებიან მანქანაში ვზივარ... დაბინდდა და კოკისპირულად წვიმს...

— ბატონო ზვიად, — მივმართავ რედაქტორს, — მაპატიეთ, იმ აურზაურში, მგონი, ვერც კი მოგესალმეთ...

საჭესთან მჯდომი სიმპათიური მამაკაცი სარკეში გულთბილად მიღიმის... ეკას ვეხუტები და თვალებს ვხუჭავ... საშინლად დავიღალე...

37.

მესამე დღეა, შალვა საყვარელიძის ნათესავის ბინაში ვართ. ძირითადად, ტელევიზორს ვუყურებთ და გემრიელ საჭმელს მივირთმევთ — ვექილსა და რედაქტორს თადარიგი დაუჭერიათ და ორი უზარმაზარი მაცივარი ნაირ-ნაირი ხორაგითაა სავსე. ეკა დიასახლისობს...

უკვე ვიცით, რომ რომან გიორგაძე, მისი ძმა და კიდევ ათამდე ადამიანი დაპატიმრებული არიან. ერთ ამდენზე ძებნაა გამოცხადებული. ძირითადად, მართლაც ძალოვანი სტრუქტურების ხალხია, თანაც — უმეტესობა მაღალჩინოსანი...

რაღაც სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი შექმნილა, სადაც სამართალდამცავების, პარლამენტისა და კიდევ რამდენიმე ორგანიზაციის ხალხი გაუერთიანებიათ. ისინი სკვანჩავენ ნაძირალა რომანას ბანდის წევრებს, რომლებსაც არა მხოლოდ თბილისის ზღვაზე მომხდარი მკვლელობა ჰბრალდებათ. ირკვევა, რომ სხვადასხვა დროს, ხუთი თუ ექვსი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაც მათ სინდისზეა...



იმ სამ გატაცებულ ადამიანს სადღაც გომბორის უღელტეხილთან მიაგნეს. ბანდის ერთ-ერთ წარმომადგენელს დაუფქვავს, — ჯერ პანკისში წავიყვანეთ, იქიდან — თიანეთის რაიონში, სადაც საკმაოდ დიდხანს ვმალავდით, შემდეგ კი რომან გიორგაძემ გვიბრძანა და სასწრაფოდ შევუცვალეთ ადგილიო... ის საცოდავებიც აჩვენეს, სული ძლივს ედგათ... ლერუ იმავე დღეს გადააფრინეს საფრანგეთში...

დროდადრო რედაქტორი გვირეკავს და ცხელ-ცხელ ამბებს მისგანაც ვისმენთ. დილაობით რედაქციის მძღოლს გვიგზავნის. არტურას ჩვენთვის ახალი გაზეთები მოაქვს და ასეთი სამუშაო კმაყოფილებას ჰგვრის. Я ваш тайный связной, ტო, — ამაყად მეუბნება და დიდმნიშვნელოვნად მიკრავს თვალს...

აჟიოტაჟი არ ცხრება. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს საქართველოში თავისი საქმე ყველამ მიატოვა და მხოლოდ რომან გიორგაძეზე საუბრობს. გაზეთები ვრცელი ინტერვიუებითაა აჭრელებული — პრეზიდენტიდან დაწყებული, მეეზოვეებითა და მზესუმზირით მოვაჭრით დამთავრებული, საკუთარ აზრს ყველა გამოთქვამს. მთავარი კი ისაა, რომ რომანასა და მის „პადელნიკებს“ ერთხმად აგინებენ. ერთი ადამიანი არ ჩანს, მათ რომ ამართლებდეს. საყვარელიძე მეუბნება, გიორგაძისა და მისი ხალხის ადვოკატებიც კი თავშეკავებულად საუბრობენო...

ხვალ დილით საფრიდან უნდა გამოვიდეთ. ჩვენი მტრების დიდი ნაწილი უშიშროების იზოლატორშია, დანარჩენები კი, ალბათ, უკვე ძალიან შორს არიან და ჩვენთვის არ სცხელათ. თან რედაქტორმა მითხრა — კომისიას, მთავარი მოწმის სახით შენი დაკითხვა სურს და კარგი იქნება, თუ შეხვდებიო. შევხვდები, რა პრობლემაა?...

P.S. რომან გიორგაძეს 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ბანდის 14 წევრს, მათ შორის, ლევან გიორგაძესა და ანზორ კვარაცხელიას, 7-დან 22 წლამდე შეეფარდათ. კიდევ ხუთი თუ ექვსი, დღემდე მიმალულია.

ოთარ ცაგარეიშვილი იუსტიციის მინისტრი გახდა, შალვა საყვარელიძე კი წლის საუკეთესო ვექილად აღიარეს.

ჩვენი გაზეთის ტირაჟი და შესაბამისად გასამრჯელოც, თითქმის ოთხჯერ გაიზარდა. თანამშრომლები მეხუმრებოდნენ, ერთხელაც რომ დაგიჭირონ, ხელფასები შენ მერე ნახეო. ჩემი მეგობარი მუსა დღემდე არ გამოჩენილა. დიდი იმედი მაქვს, რომ ცოცხალია და ოდესმე ვიხილავ.

გოგი ჩხეიძე ვადამდე გათავისუფლდა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო, როგორც თვითონ ამბობს, „ატსტავკაშიც“ გავიდა. ერთმანეთს ხშირად ვხვდებით. ახალი წიგნის დაწერას მთავაზობს, თუმცა ჯერაც ვერ გადამიწყვეტია, დავთანხმდე თუ არა — ამ ნაცოდვილარის ჯღაბნამაც საკმაოდ დამტანჯა. რომელი ედგარ პო ან ჟორჟ სიმენონი მე ვარ... უბრალოდ, ის დავწერე, რაც გადამხდა თავს...

ერთკვირიანი დაკითხვების შემდეგ, მე და ეკამ, როგორც იქნა, ბათუმისკენ გავწიეთ. საუცხოოდ დავისვენეთ და ჯვარიც დავიწერეთ.

გასულ კვირას ეკასთან, ჩემს ყოფილ ადვოკატსა და თანასაკნელთან ერთად ლაშქრობა მოვაწყვე. იმ მთებს მივაშურეთ, ოდესღაც ორთაჭალის ციხის საავადმყოფოდან რომ ვუმზერდი. მეუღლეს ბინოკლით ჩვენი საკნის ფანჯარა დავანახვე. უცებ, ცრემლი მოადგა და აქვითინდა. გოგი ჩხეიძემ შემიბღვირა, ბინოკლი გამოართვა და მთის უკანა ფერდზე გადასვლა შემოგვთავაზა. ციხე იქიდან აღარ ჩანდა...

დასასრული



„ყველაფერი, გარდა ორდინარულობისა“ — ასე მოიხსენებენ პრესაში ავრილს მისი ბიოგრაფები, რომლებმაც ეს სიტყვები თავად ლავინის სიმღერის Anything But Ordinary-ს ტექსტიდან ისესხეს. გოგონას მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფნა სურდა და ამას სულ მალე მიაღწია კიდეც, როდესაც თანამედროვე როკმუსიკის ყველაზე დაუოკებელი ბავშვის ტიტული მოიპოვა.

ყველაზე განსხვავებული ავრილ ლავინი

ავრილ ლავინი 1984 წლის 27 სექტემბერს კანადაში, ონტარიოს პროვინციის პატარა ქალაქ ნაპანიში დაიბადა. მრავალშვილიანი ოჯახის შუათანა შვილი მუდამ ცდილობდა, ყურადღების ცენტრში ყოფილიყო. ბავშვობიდან მომღერლის კარიერაზე ოცნებობდა, მღეროდა ყველგან: მშობლიური ქალაქის საეკლესიო გუნდში რელიგიურ სიმღერებსა და ფსალმუნებს ასრულებდა, ბაზრობებზე კი — ქანთრის. „მახსოვს, როდესაც პატარა ვიყავი, საწოლზე ავდიოდი, წარმოვიდგენდი, თითქოს ათასობით სულგანაბული მაყურებლის წინაშე სცენაზე ვიდექი და მთელი ხმით ვმღეროდი“. იხსენებს მომღერალი, რომელმაც 5000-კაციან ნაპანიში პოპულარობა მალე მოიხვეჭა, მაგრამ ის ბევრად უფრო მეტზე ოცნებობდა. ავრილს მთელი მსოფლიოს დაპყრობა სურდა. დიადი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ახალგაზრდა მომღერალმა პირველი ნაბიჯი მაშინ გადადგა, როდესაც ადგილობრივი რადიოსადგურის ერთ-ერთ კონკურსზე გაიმარჯვა და პრიზად ოტავაში გამგზავრება და ქანთრის სტილის ცნობილ მომღერალთან Shania Twain-თან ერთად დუეტის ჩაწერის შესაძლებლობა მიიღო.

13 წლის ავრილ ლავინი უკვე საკუთარ სიმღერებს ქმნიდა და გიტარაზეც მშვენივრად უკრავდა. 15 წლისამ სკოლაში სწავლას თავი დაანება და ნიუ-იორკს მიაშურა. გოგონამ ლეიბლ Arista Records-ის მოსმენაზე, ლეიბლის ცნობილი ბოსის ანტონიო რეიდის საკუთარ უნიკალურობასა და განუმეორებლობაში დარწმუნება შეძლო. გავლენიან record-კომპანიასთან პირველი კონტრაქტი გააფორმა და მსოფლიოს დასაპყრობად მოემზადა, მაგრამ პირველმა სირთულეებმა მალე იჩინა თავი. ავრილ ლავინს უბრალოდ მომღერლობა და სხვისი სიმღერების კი არა, საკუთარი ნაწარმოებების შესრულება სურდა. „მომწონს, როდესაც სიმღერას ვქმნი, როდესაც რამე მაწუხებს და ჩემი განცდების გამოხატვას ვცდილობ, ხელში გიტარას ვიღებ... ზოგჯერ მგონია, რომ გიტარა ჩემი მკურნალია“, — აღიარა ჟურნალისტებთან საუბარში ახალგაზრდა ვარსკვლავმა.

გოგონა მთელი არსებით მუსიკაში გადაეშვა, ნიუ-იორკის სტუდიიდან არ გამოდიოდა, შეუსვენებლად მუშაობდა. ლავინი სადებიუტო ალბომზე მუშაობას შეუდგა, მაგრამ შედეგით უკმაყოფილო იყო. „ძალზე ნიჭიერ ხალხთან ვმუშაობდი, მაგრამ მაშინ ამას ვერ ვგრძნობდი. მირჩევდნენ, სხვისი სიმღერები შემესრულებინა, მაგრამ თავად მსურდა ყველაფრის გაკეთება. გამუდმებით სტრესის ქვეშ ვიყავი, მაგრამ მუსიკის მიტოვება წუთითაც არ მიფიქრია“. ავრილმა ნიუ-იორკიდან წასვლა გადაწყვიტა. Arista-ს ხელმძღვანელობის თანხმობაც მიიღო და ლოს-ანჯელესს მიაშურა. ანგელოზთა ქალაქში ლავინმა იპოვა ის, რასაც ეძებდა: მან პროდიუსერი და სიმღერების ავტორი კლიფ მაგნესი გაიცნო, რომელიც მალე ავრილის პროდიუსერთა ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა. „ერთმანეთს შესანიშნავად მოვერგეთ, კლიფმა კარგად გამიგო, ყველაფრის უფლება მომცა და სიმღერებიც წყალივით წამოვიდა“. 17 წლის მომღერალმა სადებიუტო დისკი Let Go გამოუშვა. ავრილ ლავინის კრისტალურად სუფთა ხმამ, თამამმა ვოკალმა და ქალური სულით გამსჭვალულმა ალბომმა მსმენელის გული დაიპყრო. ხოლო სინგლი Anything But Ordinary მომღერლის სავიზიტო ბარათად იქცა. ალბომმა გამოსვლისთანავე Billboard Top 100-ში მერვე ადგილი დაიკავა, ხუთი კვირის შემდეგ, პლატინის დისკის სტატუსი მიიღო და გამოშვებიდან 6 თვეში, მისმა ტირაჟმა 8 მლნ-ს გადააჭარბა. 2002 წლის მონაცემებით, ალბომმა Let Go გაყიდული ეგზემპლარების მიხედვით, ემინემის The Eminem Show-სა და ნელის Nellyville-ს შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.

„ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ოცნების განხორციელება შევძელი. ჩემი თავის წინაშე პირნათელი ვარ. იმას ვწერ, რასაც

ვგრძნობ და სხვისი აზრი არ მაინტერესებს. მე მუდამ თავად ვწყვეტ, თუ რა ჩავიცვა, რა ვიმღერო და როგორ ვიმღერო", – ამბობს მომღერალი და ამას ახერხებს კიდეც. ოდნავ თავხედური ვოკალის, კრისტალურად სუფთა ხმისა და უშუალობის წყალობით, ალბომმა Let Go ამერიკულ Top ათეულში 22 კვირის მანძილზე შეინარჩუნა ადგილი. ინდივიდუალობის ჯანყი კრიტიკამაც სათანადოდ შეაფასა: ჟურნალმა Rolling Stone ალბომს 2002 წლის დებიუტთა ათეულში მე-3 ადგილი მიანიჭა.

2003 წლის პირველი ნახევარი მომღერალმა საკონცერტო მოღვაწეობას მიუძღვნა. საკონცერტო ტურნე ავრილმა მეგობარ პანკ-როკერებთან (Evan Taubenfeld – გიტარა, Mark Spicoluk – ბას-გიტარა, Matthew Brann – დასარტყამი ინსტრუმენტი) ერთად მოაწყო. 2003 წელს ავრილ ლავინი Grammy-ს ნომინაციაზე წარადგინეს. მართალია, მან პრიზის მოპოვება ვერ შეძლო, მაგრამ Juno Awards-ის პრემიის დაჯილდოების ცერემონიაზე ერთდროულად 4 პრიზი მოიპოვა (მათ შორის, „საუკეთესო ალბომი" და „წლის აღმოჩენა").

2004 წელს გამოვიდა ლავინის ახალი ალბომი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაანახვა მსმენელს, რომ ავრილი მტკიცე ნაბიჯებით მიიწევს წინ, რომ ახალგაზრდა მუსიკოსი მხოლოდ გამოგნებელი ენერგეტიკითა და ალტერნატიულობით გამორჩეული დებიუტანტი არ არის, ის საკუთარი

სტილისა და ჟღერადობის მქონე სერიოზული მუსიკოსია.

დღეს ავრილ ლავინი სიმღერებს ქმნის, მღერის, კონცერტებს მართავს და საზოგადოებრივ საქმეებშიც აქტიურადაა ჩაბმული. 2004 წლის ბოლოს ავრილმა საშობაო ბარათების გამოშვებაში მიიღო მონაწილეობა, რომელთა გაყიდვით შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდა.

წელს შედგება ავრილ ლავინის დებიუტი ახალ ამპლუაში. ის მულტფილმის – „ლობის გადაღმა" – გმირს გაახმოვანებს და საუნდტრეკისთვის სიმღერასაც შექმნის. ფილმის გახმოვანებაში ავრილთან ერთად ბრიუს უილისი და უილიამ შატნერი მიიღებენ მონაწილეობას.

ავრილ ლავინის პირადი ცხოვრების შესახებ შეგვიძლია გითხრათ, რომ მისი რჩეული პანკჯგუფ Sun 41-ის ვოკალისტი, 25 წლის დერეკ უიბლია, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ მსოფლიო ტურნედან დაბრუნებულ ავრილს ხელი სთხოვა. წყვილი უკვე 1 წელია ერთმანეთს ხვდება და როგორც ამბობენ, მათ ლოს-ანჯელესის ბელ-ეირში უკვე შეიძინეს მყუდრო სახლი, სადაც ქორწილის შემდეგ დასახლდებიან. ავრილ ლავინის სამომავლო გეგმები ასეთია: „რამდენიმე ფირფიტას ჩავწერ, შემდეგ გავთხოვდები და შვილებს გავაჩენ", – ამბობს 20 წლის მომღერალი, რომელმაც ბავშვობაში დასახულ მიზანს დიდი ხანია მიაღწია და რომლის მუსიკაც ტინეიჯერებსა და უფროსებს ერთნაირად იზიდავს და ხიბლავს. ■

ქან რენოს კინოაკადემიკოსობას სთავაზობენ

ჰოლივუდის ყველაზე გავლენიანმა „კლუბმა" – ამერიკის კინოაკადემიამ 112 მსახიობს, პროდიუსერსა და რეჟისორს წინადადებით მიმართა და ხმის უფლების მქონე „აკადემიკოსის" წოდება შესთავაზა. აკადემიაში მიწვეულთა შორის 2004 წლის „ოსკაროსანი" ჯეიმი ფოქსი, Apple Computers-ის დამაარსებელი და სტუდია Pixar-ის ხელმძღვანელი სტივ ჯობსი და ფრანგი მსახიობი ჟან რენოც აღმოჩნდნენ.

ყოველწლიურად საუკეთესო ფილმების შერჩევაში კინოინდუსტრიის 6000 წარმომადგენელი მონაწილეობს. „ოსკარების" 77-ე ცერემონიის შემდეგ, მათ რიგებში 100-ზე მეტი ვაკანტური ადგილი გამოჩნდა. რამდენიმე აკადემიკოსი გარდაიცვალა, დანარჩენებმა კი კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ასე რომ, დღეისათვის კინოაკადემიას ხმის უფლების მქონე 5790 წევრი ჰყავს. ახალი წესების მიხედვით კი მოქმედ აკადემიკოსთა რიგებს წელიწადში მხოლოდ 30 წევრი შეიძლება შეემატოს, რაც გათავისუფლებული სავარძლების მხოლოდ 1/4-ს შეადგენს.

წელს კინოაკადემიკოსთა რიგებში მიწვევა კიდევ რამდენიმე კინომოღვაწემ მიიღო. მათ შორის არიან: მულტიპლიკატორი კრის ლენდრეტი, კომპოზიტორი იან კაშმარეკი, მსახიობი შარლოტა რემპლინგი და სტუდია Paramount Pictures-ის გამგეობის ახალი თავმჯდომარე ბრედ გრეი. ■

მაიკლ ჯექსონი სასამართლოს შემდეგ პირველად აღაპარაკდა

13 ივნისს დასრულდა სასამართლო პროცესი, სადაც მაიკლ ჯექსონს მცირეწლოვანთა გახრწნაში ედებოდა ბრალი. სასამართლომ ჯექსონი უდანაშაულოდ ცნო. პროცესის დასრულებიდან 2 კვირის შემდეგ, მაიკლ ჯექსონმა დუმილი დაარღვია. მის საიტზე ოჯახის წევრებისა და ახლობლებისადმი გაგზავნილი მადლიერების სიტყვები გამოჩნდა. ჯექსონმა პროცესის დასრულების შემდგომ პირველად მიმართა მათ, ვინც მძიმე წუთებში გვერდით ედგა, მხარს უჭერდა და ამხნევებდა მას. „მადლობელი ვარ იმ ერთგულებისა და სიყვარულისათვის, რამაც ცრემლები შემიშრო“, – ნათქვამია წერილში. სასამართლო პროცესი 4 თვე გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-მარიას სასამართლოს შენობის წინ დაცემულ კარვების ქალაქში მომღერლის ასობით თაყვანისმცემელი ცხოვრობდა. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, ტელეკომპანია NBC-ს ეთერში ჯექსონის დედამ, კეტრინმა განაცხადა, რომ მოსარჩლეები, გევინ და ჯანეტ არვიზოები ძალიან ებრალება და რომ ისინი „სულმდაბლურად მოიქცნენ“. ■

„სასწრაფოში“ ჯორჯ კლუნის დამრუნემა სურთ

სერიალ „სასწრაფოს“ პროდიუსერები ცდილობენ, სერიალის გადასაღებ მოედანზე ჯორჯ კლუნი დააბრუნონ და ამით მაყურებლის ინტერესი ხელახლა გააღვივონ. ერთ დროს საოცრად პოპულარული შოუს რეიტინგი მას შემდეგ დაეცა, რაც პროექტი ნელ-ნელა დატოვეს ცნობილმა ვარსკვლავებმა ჯორჯ კლუნიმ, ენტონი ედვარდსმა, ნოა უაილმა და სხვებმა. ახლა პროდიუსერები კლუნისთან ერთად, ჯულიანა მარგულისის დაბრუნებასაც ცდილობენ, მაგრამ კარგად იციან, რომ სერიალში კლუნის დაბრუნების შანსები მინიმალურია. პროექტის ავტორებს მხოლოდ მსახიობის მადლიერების გრძნობის იმედი შეიძლება ჰქონდეთ, რადგან კლუნი ვარსკვლავად სწორედ „სასწრაფოს“ წყალობით იქცა. ■



დემი მური – Versace-ს ახალი მუზა

იტალიელმა დიზაინერმა დონატელა ვერსაჩემ, როგორც იქნა, ოფიციალურად დაადასტურა გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავი დემი მური მადონას შეცვლის და Versace-ს სახლის ახალი სახე გახდება. ცოტა ხნის წინ ცნობილმა ფოტოგრაფმა მარიო ტესტინომ 41 წლის დემი მური Versace-ს სახლის 2005-2006 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონის სარეკლამო კამპანიაში გადაიღო. გადაღებები ლონდონში შედგა. 6 სარეკლამო ფოტოსურათისგან შემდგარი სერია ჟურნალებში აგვისტოში გამოჩნდება. „დემი მურს დიდი ხანია ვიცნობ, ის არასდროს ყოფილა უფრო ლამაზი, ვიდრე დღესაა. დემი საოცრად მიმზიდველი, ბუნებრივი და თავისუფალია. მის გარეგნობაში პიროვნება ჩანს. კანიდან კი მისი ინდივიდუალობა გამოსჭვივის“, – განაცხადა დონატელა ვერსაჩემ ჟურნალ Women`s Wear Daily-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

„ძალზე მოხარული ვარ და მეამაყება, რომ ახალი კამპანიის გადაღებებზე მიმიწვიეს. დონატელა საოცარი ქალია, მარიოსთან ერთად მუშაობა ძალიან მიყვარს. შემოქმედებით კოლექტივთან მუშაობამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა“, – განაცხადა დემი მურმა, რომელმაც, როგორც ამბობენ, ამ გადაღებების გასამრჯელოდ 10,3 მლნ დოლარი მიიღო. ■

ანჯელინა ჯოლის მაკშვის მამა მრედ პიტია?!

ჰოლივუდში ბევრს ჭორაობენ იმის შესახებ, რომ ანჯელინა ჯოლი ორსულადაა, ბავშვის მამა კი ბრედ პიტია. მათი წარმომადგენლები ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებენ.

The New York Post-ის ცნობით, „ლარა კროფტი – საფლავთა მძარცველის“ ვარსკვლავი უკვე 3 თვის ორსულია. 30 წლის ანჯელინა და 41 წლის პიტი მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობას ბოლო ხანებამდე სასტიკად უარყოფდნენ.

როგორც ცნობილია, 2005 წლის დასაწყისში ბრედ პიტი თავის მეუღლეს, კინოვარსკვლავ ჯენიფერ ენისტონს გაშორდა. წყვილს შვილი არ შეეძინა და მათ ბავშვის აყვანა გადაწყვიტეს, მაგრამ საქმე აქამდე ვერ მივიდა. როგორც ამბობენ, პიტისა და ჯოლის რომანი ბრედისა და ენისტონის განქორწინებამდე, ფილმ „მისტერ და მისის სმიტების“ გადაღებების დროს ჩაისახა, რაც სავარაუდოდ, ცოლ-ქმრის განქორწინების მიზეზი გახდა. 28 მარტს ჯენიფერმა სასამართლოს განქორწინების თხოვნით მიმართა, მიზეზად კი მათ შორის არსებული „გადაუჭრელი პრობლემები“ დაასახელა. ■

Mazda-ს ჰიბრიდული მოდელი

იაპონური კომპანია ახალი მოდელის ბაზარზე გამოსატანად ემზადება. ეს გახლავთ Mazda 5, რომელიც Premacy-ს შეცვლის. ის Mazda 3-ის ბაზაზეა აწყობილი, მაგრამ წინამორბედზე უფრო ვრცელი სალონით გამოირჩევა. მისი სიგრძე 4,51 მ-ია და 7 მგზავრისთვისაა გათვალისწინებული. Mazda 5 ფაქტობრივად, უნივერსალისა და კომპაქტური ვენის თავისებურ ჰიბრიდს წარმოადგენს. მომხმარებლებს ორნაირი – 1,8 და 2 ლ მოცულობის ბენზინის ძრავათი აღჭურვილ ვერსიებს შესთავაზებენ. შემოდგომაზე კიდევ ორი – 110 და 143 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავებს გამოუშვებენ. ბენზინისძრავიანი მოდიფიკაციების მაქსიმალური სიჩქარე, შესაბამისად, 180 და 200 კმ/სთ-ია; საწვავის ხარჯი – 8 ლ 100 კმ გარბენზე. დიზელისძრავიანი ახალი „მაზდა“ ნაკლებს დახარჯავს – 6,3 ლ-ს ყოველ 100 კმ-ზე. ევროპაში ამ მანქანის ფასი 19.600 ევრო იქნება. ■

Citroen, რომელმაც დროს გაუსწრო

Citroen DS 19, რომელიც პირველად, ნახევარი საუკუნის წინ გამოჩნდა ბაზარზე, იმთავითვე რევოლუციურ ავტომანქანად აღიარეს. მისი ხალვათი სალონი გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოშვებული ნებისმიერი მანქანის სალონზე მიმზიდველი გახლდათ, ხოლო ჰიდროპნევმატური საკიდარი ამ მანქანის მოძრაობას იმ დროისთვის ფენომენალურ სირბილეს ანიჭებდა. პირველი Citroen DS 19 პარიზის საერთაშორისო ავტოსალონის ოფიციალურ გახსნაზე შეკრებილი საზოგადოების სამსჯავროზე 1955 წლის 6 ოქტომბერს წარდგა. იმ საღამოსვე, კომპანიის მენეჯერებმა პოტენციური მომხმარებლებისგან 12 ათასი შეკვეთა მიიღეს, 10 დღის შემდეგ კი, როცა სალონი იხურებოდა, შეკვეთების რაოდენობამ 80 ათასს გადააჭარბა. ასე დაიწყო აღნიშნული ავტომობილის ტრიუმფული სვლა მსოფლიოს გზებზე. Citroen DS 19 არა მარტო საფრანგეთში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც ნამდვილ ბესტსელერად იქცა. ამ მანქანის შექმნის იდეა „სიტროენის“ მაშინდელ გენერალურ დირექტორს, პიერ ბულანჟეს ეკუთვნოდა, რომელმაც თავის ინჟინრებს დაავალა, შეექმნათ დიდი, კომფორტული ავტომობილი. მთავარ დიზაინერად იტალიის მკვიდრი, განათლებით მოქანდაკე, ფლამინიო ბერტონი დაინიშნა. ბერტონიმ არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს მიაგნო, მათ შორის გახლდათ: ნახევრად გამჭვირვალე, პლასტიკატისგან დამზადებული სახურავი, ხელსაწყოთა ფუტურისტული პანელი, საჭე, რომელსაც მხოლოდ ერთი მანა ჰქონდა. ჰიდროპნევმატური საკიდარი ინჟინერმა პოლ მანჟემ შეიმუშავა. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში, მომხმარებლები გარკვეულ ტექნიკურ პრობლემებს შეეჯახნენ: „სიტროენის“ სერვის-ცენტრების მექანიკოსები არ იყვნენ მომზადებულნი ჰიდროპნევმატური საკიდრის შეკეთება-პროფილაქტიკისთვის, თანაც ეს აგრეგატი საკმაოდ „ჭირვეული“ აღმოჩნდა, განსაკუთრებით – ზაფხულში, სიცხიან ამინდში. მიუხედავად ამისა, 1975 წლის აპრილამდე, როცა ამ მოდელის წარმოება შეწყდა, გაყიდული მანქანების საუცხოო მაჩვენებელი – მილიონ 456 ათას 115 დაფიქსირდა. ■

გერმანული ხარისხის ნიშანი

გერმანიის საავტომობილო კლუბის (ADAC) ექსპერტთა დასკვნით, ამ ქვეყანაში წარმოებული მანქანები უფრო ხარისხიანი და საიმედო გახდა. 2004 წლის განმავლობაში, ADAC-ის სარემონტო სახელოსნოებმა მსხვილი თუ წვრილი შეკეთების მიზნით დაფიქსირებული სულ 2,4 მლნ გამოძახება აღნუსხეს. ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ექსპერტებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ საიმედოობის თვალსაზრისით, გერმანული მანქანები შვიდიდან ხუთ კატეგორიაში ლიდერობენ და ამ მაჩვენებლის მიხედვით, წინა წლების ლიდერი – იაპონია დაჯაბნა. საუკეთესო შედეგებით „აუდი“ გამოირჩევა: მომცრო კლასის მანქანებს შორის საუკეთესო, მოდელი A2 აღმოჩნდა; პრიმიუმ-კლასში – A6, სპორტული მანქანების კატეგორიაში – A4 Cabrio.

კომპაქტური ავტომობილების ლიდერად სპეციალისტებმა A კლასის „მერსედესი“ დაასახელეს; სპორტული ჯიპების კატეგორიაში – M კლასის „მერსედესი“. იაპონელ ავტომწარმოებლებს ერთადერთი გამარჯვება, მცირე ბიზნესკლასში პირველ ადგილზე გასულმა „მაზდამ“ მოუტანა. ვენების კატეგორიაში კი საუკეთესოდ, ფრანგული მანქანა – Citroen Xsara Picasso დაასახელეს. კარგი შედეგები აქვს აგრეთვე „ბეემვეს“ მარკის მანქანებს: მცირე კლასში მეორე ადგილი Mini-ს ერგო, სპორტული მანქანების კატეგორიაში კი – მე-3 სერიის კაბრიოლეტს. ლიდერებს შორის აღმოჩნდნენ: Ford Focus (კომპაქტური კლასი) და Opel Corsa (მცირე კლასი). რაც შეეხება აღნიშნული რეიტინგის აუტსაიდერებს – მათ შორის არიან: Fiat Punto (მცირე კლასი), Fiat Bravo/Brava (კომპაქტური კლასი) და Alfa Romeo 156. ■

შენობის პირველი სართული ულტრათანამედროვე „არტ დეკო“ სტილით გააფორმა. დარბაზი შავი მინისაგან დამზადებულმა კოლონებმა დაამშვენა, საიდანაც სინათლე იღვრებოდა და ჭერს უჩვეულოდ ანათებდა. იანსენმა ლიფტების კარები სპილენძის, თუთიისა და ნიკელის ახალი შენადნობით დაფარა, რის გამოც ისინი ოქროსფრად ელავდა. დარბაზის პრეზენტაციაზე, მკაცრ, შავ სამოსში გამოწყობილმა მეპატრონემ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა იმის შესახებ, რომ სილამაზეზე დახარჯული ფული წყალში გადაყრილად არ ჩაითვლება და რომ ის, ედგარი მზადაა, მშობლიური ქალაქი დამშვენოს და გაალამაზოს. ლილიანა ედგარის სიტყვებს უსმენდა, ხალხის რეაქციას აკვირდებოდა და ეჩვენებოდა, რომ მათ ბაგეებზე ირონიულ ღიმილს ხედავდა.

ამაღლებული აზრები სილამაზის შესახებ ედგარს მუქთამჭამელმა არქიტექტორებმა შთააგონეს, რომლებიც კაუფმანების ხშირი სტუმრები იყვნენ. ისინი გემრიელად მიირთმევდნენ, მასპინძლების საღღეგრძელოებს სვამდნენ და ედგარს ფანტასტიკურ იდეებს აწვდიდნენ. იმედი ჰქონდათ, რომ კაუფმანს ცოტაოდენ ფულს მაინც დასცინცლავდნენ, რადგან ეკონომიკური დეპრესიის წლებში მათი უმრავლესობა შეკვეთების გარეშე დარჩა... ერთხელ, ლილიანმა ქმრისთვის თვალის ახელა სცადა, მაგრამ გაღიზიანებულმა ედგარმა სიტყვა შეაწყვეტინა: „უშენოდაც კარგად ვხედავ ყველაფერს და არც ფულის დათვლა მეშლება, მაგრამ შეიგნე, რომ პუბლიკას სიახლე და სკანდალი იზიდავს. იცოდი, რომ რეკონსტრუქციის შემდგომ, საქონელბრუნვა

ედგარ კაუფმანი

სამჯერ გაიზარდა? ასე რომ, ენას კბილი დააჭირე!“

მაგრამ პოპულარობის ზრდის მიუხედავად, პიტსბურგის არისტოკრატიული ოჯახები მეტიჩარა ებრაელს მაინც ამრეზით უყურებდნენ. კარნეგები, ფრიკები და მელონები კაუფმანის უნივერმაღში ხალისით დადიოდნენ, ლილიანსა და ედგარს ქუჩაში ზრდილობიანად ესალმებოდნენ, ზოგჯერ ამინდზე გასაუბრებასაც კი კადრულობდნენ, მაგრამ თავისთან სტუმრად არასოდეს ეპატიჟებოდნენ. ერთხელ, როდესაც ედგარს (უკვე მერამდენედ) დახურული არისტოკრატული კლუბის საწევრო ბარათი არ გაუგზავნეს, გაცოფებული კაუფმანი მთელი კვირის მანძილზე ვერ დაამშვიდეს. ედგარი ხელჯოხებს ამტვრევდა, მოსამსახურეებსა და ლილიანს ლანძღავდა, ერთ საღამოს კი, მამის პორტრეტის წინ საზეიმო პოზაში მდგომმა, ფიცი დადო, რომ პიტსბურგელ სნობებს ჭკუას ასწავლიდა...

ლილიან კაუფმანი

ქმარს რომ დახმარებოდა, ლილიანმა მაღაზიის წამგებიანი – მეთერთმეტე სართულის მეურვეობა იკისრა, სადაც სახლისათვის საჭირო ათასი წვრილმანი იყიდებოდა. თანდაყოლილი გემოვნების, ტაქტისა და კლიენტებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭის წყალობით, მისის კაუფმანმა განყოფილება სულ მალე, მოდურ მაღაზიად აქცია და მას „ვანდომი“ უწოდა.

ერთხელ დილით, ლილიანი მანეკენს სამოსს უსწორებდა და ღიღინებდა, როდესაც მისი მეგობარი და თანაშემწე ტრეისი მიუახლოვდა. „ლილი, ცუდი ამბავი უნდა გითხრა“, – წაიბუტბუტა მან და შემდეგ, დაწვრილებით მოუყვა, თუ როგორ თქვა ახალგაზრდა გამყიდველმა ნენსიმ, რომ მისტერ კაუფმანისგან ბავშვს ელოდა... ლილიანი ყურებს არ უჯერებდა. ნუთუ კაუფმანმა ცოლის დახვეწილ სილამაზეს ეს სოფლელი გომბიო ამჯობინა?!

კაუფმანი ამაოდ იფიცებოდა, რომ ეს სიცრუე იყო. ლილიანს მისი არ სჯეროდა, მან კარგად იცოდა, რომ ქმარი ტყუოდა. ედგარმა ყველა თანამშრომელი დაიბარა და სასტიკად გააფრთხილა, რომ ეს „ბინძური ჭორი“ უნივერმაღის კედლებს მიღმა არ გასულიყო. რაღა თქმა უნდა, ნენსი სასწრაფოდ დაითხოვეს.

ის-ის იყო, ეს ამბავი დავიწყებას მიეცა, რომ ახალი სკანდალი აგორდა. ლილიანმა შენიშნა, რომ ყველასათვის უცნობი ახალგაზრდა ქალბატონები უფასო ბარათებით სარგებლობდნენ. არადა, ეს ბარათები მკაცრი კონტროლის ქვეშ, მთავარ მენეჯერთან ინახებოდა. ლილიანმა ერთ-ერთი მყიდველი ფრთხილად გამოჰკითხა, თუ ვინ მისცა მას უფასო ბარათი. ყურებამდე გაწითლებულმა ქალბატონმა მორიდებით უპასუხა, რომ ბარათი... მისტერ კაუფმანმა აჩუქა.

ლილიანმა ქმარს დაკითხვა მოუწყო:

– ვინ არიან ეს ქალები? ამჯერად უკვე ედგარი გაწითლდა:

– ნუთუ ფიქრობ, რომ ისინი ჩემი საყვარლები არიან?

ლილიანი სწორედ ამას ფიქრობდა. ედგარი იშვიათი მექალთანე ბრძანდებოდა. ის მზად იყო, ნებისმიერ ქალს აჰკიდებოდა. ამასთან, უაღრესად გულუხვი იყო და საყვარლებზე ათასობით დოლარს ხარჯავდა. ამ უსიამოვნებებს ისიც დაემატა, რომ 1933 წლის ზამთარში, ლილიანს ძველი დაავადება გაურთულდა და საოპერაციო შეიქნა. საავადმყოფოს პალატაში ლილიანი ზიზღით ათვალიერებდა საკუთარ სახეს და უსიამოვნო ფიქრები ეძალებოდა: ის მოტყუებული ცოლია, ქმარი არაფრად აგდებს... რა ელის მომავალში, სევდისა და ნაღველის გარდა?.. ვის რაში სჭირდება?..

და აი, 1934 წლის გაზაფხულზე, სწორედ მაშინ, როდესაც კაუფმანების ოჯახი დანგრევის პირას იყო მისული, მათ ჰორიზონტზე არქიტექტორი ფრენკ ლოიდ რაიტი გამოჩნდა. მათ ერთმანეთი საერთო მეგობართან გაიცნეს. რაიტმა ახალი ნაცნობები ვისკონსინში მდებარე თავის უცნაურ სახლში მიიპატიჟა. ის წარსულში ცნობილი არქიტექტორი გახლდათ. მისი პროექტის მიხედვით აშენებული პლანეტარიუმები და ავტოსადგომები ედგარს ძალიან მოსწონდა. მაგრამ შემდგომ, ფორტუნამ რაიტს ზურგი აქცია, არქიტექტორი უს-

ახსროდ დარჩა და თავის გასატანად სახლში სამხატვრო სტუდია „ტალეზინი“ გახსნა, რომელსაც კაუფმანების ვაჟი – ედგარი ხშირად სტუმრობდა.

კაუფმანები ვისკონსინის ხშირი სტუმრები გახდნენ. უცნაური მასპინძლები და ბოჰემური გარემო ლილიანს ძალზე ხიბლავდა. 70 წელს მიღწეული, ჭაღარა ფრენკ ლოიდი საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ლილიანს მისი მესამე ცოლიც მოსწონდა, რომელსაც ყველა ოლგივანას ეძახდა, რადგან რუსული წესისამებრ, სახელი და მამის სახელი – ოლგა ივანოვნა – ამერიკელთათვის ძნელად წარმოსათქმელი აღმოჩნდა.

საღამოობით რაიტების მამულში შინაურები, სტუდენტები და სტუმრები იკრიბებოდნენ, სურნელოვან საკმეველს წვავდნენ და უცნაური, მომწარო არომატით გაჟღენთილ სახლში უჩვეულო ქმედება იწყებოდა. ყოფილი მოცეკვავე, ოლგივანა სუფიების წმინდა ცეკვებს ასრულებდა. ლილიანზე 15 წლით უმცროსი ოლგივანა, შესანიშნავი სახის კანისა და ქალწულებრივი სხეულის წყალობით, არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა და მუდამ ამტკიცებდა, რომ მედიტაცია – საუკეთესო კოსმეტიკური საშუალებაა.

რაიტი სიამოვნებით უზიარებდა კაუფმანებს ახალ-ახალ არქიტექტურულ პროექტებსა და იდეებს.

– სახლი რომ სწორად ააგო, ის პეიზაჟთან ერთ მთლიანობად უნდა იქცეს და მაშინ მას ადამიანის ბედის შეცვლა ძალუძს. პეიზაჟის შერჩევას კი ინტუიცია სჭირდება. ის თქვენი სულის ლაბირინთებს უნდა მიჰყვებოდეს...

წლის ბოლოს, რაიტმა კაუფმანებისგან, ქალაქგარეთ სახლის აშენების შეკვეთა მიიღო. ცოლ-ქმარი დიდხანს არჩევდა ადგილს. ბოლოს, ლილიანმა პიტსბურგიდან 45 მილით დაშორებული, ჩანჩქერთან მდებარე ულამაზესი ადგილი შეარჩია, რომელსაც ხალხი „დათვის წყაროს“ ეძახდა. მეგობრის არჩევანზე ოლგივანას უცნაური რეაქცია ჰქონდა. „ჩანჩქერი ყველაფერს გაანადგურებს და წალეკავს...“ – განაცხადა მან. მაგრამ ლილიანმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სახლი სწორედ იქ უნდა ყოფილიყო.

თავდაპირველად, კაუფმანები სახლის მშენებლობაზე 45.000 დოლარის დახარჯვას აპირებდნენ, მაგრამ 1936 წელს, მშენებლობის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის სამჯერ ძვირი დაჯდა. ლილიანს არ უნანია. მას სახლი პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა და მასთან იდუმალი ნათესაური კავშირი იგრძნო.

რაიტმა მყუდროების შესახებ გავრცელებული ყველა ტრადიციული წარმოდგენა დაანგრია: მინის კედლები ქარისგან დაუცველობის შეგრძნებას ბადებდა, ტერასები კი, თითქოს ჩანჩქერში ეშვებოდა... სკამები, მაგიდები და ჭაღები არქიტექტორმა თავად შექმნა. ნოხებიც კი მისი ესკიზების მიხედვით დამზადდა. ლილიანა ზოგიერთ ნივთს იწუნებდა. მას კარგად ახსოვდა შეხვედრა, რომელიც ერთხელ, პარიზის სასტუმრო „რიცში“ შედგა. ჰოლივუდის ვარსკვლავმა, მარლენ დიტრიხმა ლილიანი ყავაზე მიიპატიჟა. მან ბიზნესმენის მეუღლის მკაცრი სამოსი შეათვალიერა და უთხრა: „ლილი, მაღალი გემოვნების მოთხოვნების ასე ზედმიწევნით შესრულება როგორ შეიძლება?! ეს ჩვენს დედებს და შინაბერებს

არქიტექტორი ფრენკ ლოიდ რაიტი

უფრო შეჰფერით. უფრო თამამად აურიე ერთმანეთში სხვადასხვა სტილი და ფასონი – არ ინანებ!“ მაშინ დიტრიხის რჩევა ლილიანს უადგილო მოეჩვენა: მარლენი მსახიობია, თავად კი – სოლიდური მაღაზიის მეპატრონე... მაგრამ ამ სახლმა მისი მსოფლმხედველობა იმდენად შეცვალა, რომ ახლა მარლენის სიტყვები გაახსენდა და მისი რჩევების განხორციელება განიზრახა. ფლორენციული სკამები, მორებისგან გაკეთებულ კონსოლებიან მაგიდებს და იაპონურ ქანდაკებებს შეუხამა, ტრადიციული ნოხები, ენოტისა და თახვის ბეწვმა შეცვალა, საკუთარ განწყობასა და ინტუიციას აჰყვა და პიკასოსა და რივერას ტილოები კედლებზე უსისტემოდ განალაგა.

ამასობაში, ოლგივანა ჩუმად შთააგონებდა, რომ მოვიდა დრო, ლილიანი თავადაც შეცვლილიყო; რომ ბიზნესმენის მეტისმეტად წესიერი მეუღლე ამ სახლის ჭეშმარიტი დიასახლისი ვერ გახდებოდა:

– გარეგნული კდემამოსილება დრომოჭმული და მომაბეზრებელი რამაა, საზოგადოების წინაშე თამამად წარდექი და ბევრად უფრო ახალგაზრდა გამოჩნდები, – ამბობდა ოლგივანა.

– თავს ზედმეტის უფლებას თუ მივცემ, საზოგადოება ზურგს შემაქცევს.

– პირიქით, ეს სნობები ისე მოგეწებებიან, რომ თავიდან ვეღარ მოიშორებ.

მისის რაიტმა ლილიანი წააქეზა და მან ბიზენსმენ მეის ცოლის, ცნობილი ჭორიკანისა და ყბედის წინაშე პატარა სპექტაკლი გაითამაშა. მისის მეი მას „შემთხვევით“ იმ დროს წამოადგა თავზე, როდესაც ლილი ზედა ტერასაზე დედიშობილა იწვა და მზის აბაზანას იღებდა. ასაკის მიუხედავად, მისი ფიგურა გასაოცარი სილამაზით გამოირჩეოდა. მისის მეიმ განზრახ ჩაახველა. ლილიანმა შემცბარ მეგობარს აუღელვებლად შეხედა და თქვა:

– ო, მე და ედი აქ ცერემონიებს არ მივდევთ. შემოგვიერთდით!

საწყალმა ქალმა თავი გააქნია, შეშინებულმა მიმოიხედა და ვერანდა სწრაფად დატოვა. ისღა აკლდა, რომელიმე კარიდან დედიშობილა მისტერ კაუფმანი გამოსულიყო!.. სულ მალე, პიტსბურგში ხმა დაირხა, რომ ლილიანა კაუფმანმა ახალგაზრდა საყვარელი გაიჩინა, რომ ედგარი უზომოდ ეჭვიანობდა, რომ... და ა.შ.

ამერიკელმა გამომცემელმა, ჰენრი ლუისმა, კაუფმანების ვილის ფოტოები წამყვან ჟურნალებში გამოაქვეყნა და მალე რაიტის ქმნილება საკულტო ადგილად იქცა. არქიტექტურული საოცრების ხილვის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. სახლი სტუმრებით აივსო. ვინ აღარ მოდიოდა: ალბერტ აინშტაინი და ინგრიდ ბერგმანი, უილიამ რენდოლფ ჰერსტი და მარლენ დიტრიხი... ჩანჩქერზე მდებარე საოცარი ვილის შესახებ ხმებმა პრეზიდენტის ყურამდეც მიაღწია და ერთხელ, კაუფმანებს თავად რუზველტი ეწვია. პრეზიდენტმა თავდაპირველად, მშვენიერი დიასახლისის სადღეგრძელო შესვა, შემდეგ მასპინძლის ალღო და გამბედაობა შეაქო, რომელმაც რაიტს „ისტორიული“ შეკვეთა მისცა და ბოლოს, არქიტექტორის გენიალობა აღნიშნა. ლილიმ, ედგარმა, რაიტმა და რუზველტმა შამპანურის ჭიქები მიუჭახუნეს, ჩანჩქერის

თავზე ფეიერვერკმა იფეთქა...

პრეზიდენტის ვიზიტის შემდგომ, ვილაში სტუმრად მისვლა კარგ ტონად და მაღალი საზოგადოების კუთვნილების დამადასტურებელ ფაქტორად იქცა. ის არისტოკრატები, რომლებიც ადრე ედგარს ცხვირს უბზუებდნენ, ახლა მის სახლში მოხვედრას ცდილობდნენ. კაუფმანი ზეიმობდა და ზღაპრული წვეულებების გასამართავად ფულს არ ზოგავდა. მასპინძლები კოსტიუმირებულ მასკარადებს, დიდებულ საზოგბურთო ტურნირებს მართავდნენ, ცხენებით სეირნობდნენ და აუზში ნებივრობდნენ.

ლანჩზე ერთი და იგივე კერძი არასდროს მოჰქონდათ. წვეულების დღეებში, მონადირეებს ნანადირევი მოჰქონდათ.

ედგარი ხედავდა, რომ მისი ცოლი მრავალწლიანი პაუზის შემდეგ პირველად იყო ბედნიერი. 50 წლის ლილიანს თითქოს ახალგაზრდობა დაუბრუნდა. მას თითქოს ნახევარი ასაკი მოაკლდა და ახალგაზრდა მამაკაცების ყურადღება მიიპყრო. ამგვარი ყურადღება ლილიანს ახალგაზრდობაშიც კი არ ღირსებია, რადგან მისის კაუფმანი მუდამ უკარება, კდემამოსილ ქალად ევლინებოდა გარშემო მყოფებს... თაყვანისმცემელთა შორის განსაკუთრებით ავსტრიელი მხატვარი, ვიქტორ ჰამერი აქტიურობდა. ლილიანზე რამდენიმე წლით უფროსი, არცთუ ისე მდიდარი ჰამერი, „დათვის წყაროში" ორიგინალური საჩუქრის გარეშე არასდროს მისულა. ხან საკუთარი ხელით გაკეთებული სამკაული მიჰქონდა, ხან – ქვისგან გამოთლილი სკულპტურული კომპოზიცია, ხანაც – ნატიფად შესრულებული იკებანა.

არქიტექტურული შედევრის ერთ-ერთი ოთახი, კედელზე სახლის პატრონის – ედგარ კაუფმანის პორტრეტით

ვიქტორი ვილას ყოველ უიკ-ენდზე სტუმრობდა. ზოგჯერ ლილიანთან ერთად ტყეში სეირნობდა და ერთ-ერთი ასეთი გასეირნების დროს, სიყვარულიც გამოუტყდა. შემცბარი ლილიანი სკოლის მოსწავლესავით გაწითლდა და თვალები დახარა. საკუთარ თავსაც ვერ უმხელდა, რომ ცხოვრებაში პირველად, შეყვარებული იყო.

ჰამერი მისის კაუფმანს განმარტოებით შეხვედრას სთხოვდა. ლილიანმა, ბოლოს და ბოლოს, გაბედა და პაემანზე დათანხმდა. როდესაც ედგარი საქმეზე წავიდა, ვიქტორი ვილაში დაპატიჟა. ლილიანი თავს უხერხულად გრძნობდა, საუბარი ვერა და ვერ აეწყო. დაძაბული ატმოსფერო რომ განემუხტა, ლილიანმა სტუმარს აივანზე გასვლა შესთავაზა. წყვილი ჩანჩქერის ხედით ტკბებოდა, როდესაც ქალბატონმა გამბედობა მოიკრიბა, ყელიდან მედალიონი მოიხსნა, რომელშიც მისი პორტრეტი იყო და ვიქტორს გაუწოდა.

– აიღეთ ჩემგან სახსოვრად.

ჰამერმა მედალიონი გამოართვა, მისი გახსნა სცადა, მაგრამ პატარა ნივთი თითებიდან გაუსხლტა და წყალში გაუჩინარდა. შეწუხებულმა ვიქტორმა მოუბოდიშა.

– არაფერია, ნუ სწუხხართ! – ყრუდ წარმოთქვა მისის კაუფმანმა. მას ყველაზე მეტად იმ წუთების ეშინოდა, როდესაც ვიქტორი პლატონური ურთიერთობიდან „საქმეზე" გადასვლას მოინდომებდა. ეს მას არაფერში სჭირდებოდა – მამაკაცის აღფრთოვანებული ქათინაურები, თაყვანისცემა, მხოლოდ კოცნა სავსებით აკმაყოფილებდა. ოლგივანას გაკვეთილებისა და გარეგნული თავისუფლების მიუხედავად, მისის კაუფმანი კვლავ წესიერ მეუღლედ რჩებოდა. მაგრამ მხატვრის მოთმინება სწრაფად ილეოდა... განმარტოების დროს, მისი ხელი დაჟინებით დასრიალებდა ქალის სხეულზე და ყურში ჟინიანად ჩასჩურჩულებდა – როდის?.. – მალე... – ისმოდა უსუსური პასუხი.

ერთ მშვენიერ დღეს, ჰამერმა ლილიანს პორტრეტისთვის პოზირება სთხოვა. მაგრამ ლილიანი „ევას მშვენიერ კოსტიუმში" უნდა ყოფილიყო. მისის კაუფმანი ურთიერთგამომრიცხავმა გრძნობებმა მოიცვა. ელდა, სირცხვილი, შიში და რომანტიკული თავგადასავლის მოლოდინი ერთმანეთში აირია. ბოლოს და ბოლოს, ქალი დათანხმდა...

ვილაში მისულმა, დანიშნული სეანსის წინა საღამოს დაძინება ვერაფრით შეძლო, „დათვის წყაროსკენ" მიმავალი, ამაოდ ცდილობდა, უძილობისგან გატანჯული სახის გალამაზებას.

ჰამერი ოცნებობდა იმაზე, რომ ლილიანი იმ ბუხრის წინ დაეხატა, რომელსაც დიასახლისი სახლის ყველაზე ბედნიერ ადგილად თვლიდა. ლილიმ გახევებული თითებით კაბის ღილების შეხსნა დაიწყო. მხატვარს კი სთხოვა, შორიახლოს მდგარიყო. „ის წესიერი ადამიანია, ვერაფერს გაბედავს", – იმშვიდებდა თავს და „ევას კოსტიუმს" ბოლო „შტრიხებით ამდიდრებდა"... შიშველი ლილიანის ხილვამ ჰამერს მოთმინება დააკარგვინა. მხოლოდ ერთი საათი გაძლო, შემდეგ – ფუნჯი მოისროლა, მოდელს მიუახლოვდა და ალერსი დაუწყო. ორივესთვის მოულოდნელად, ლილიანი მხატვრის ხელს კბილებით ჩააფრინდა. გამწარებულმა ვიქტორმა ამოიკვნესა. თავზარდაცემულმა ქალმა თვალებზე ხელი აიფარა და გაირინდა. აი, ახლა იყვირებს, დაარტყამს, მოკლავს... ეს რა ჩაიდინა?!. მაგრამ უეცრად, ჰამერის მშვიდი ხმა ჩაესმა: „გავაგრძელოთ სეანსი"... – მხატვარი ისევ მოლბერტთან დაბრუნდა, ლამაზი სახე ქაღალდივით ერთიანად გასთეთრებოდა. გაქვავებულ ლილიანს დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდა.

– მორჩა, შეგიძლიათ ჩაიცვათ, – აუღელვებლად აცნობა მხატვარმა. ლილიანმა სწრაფად ჩაიცვა და პორტრეტთან მივიდა. მოლბერტიდან 50 წელს მიტანებული, დაღლილი ქალის შელახული სახე შემოსცქეროდა. მხატვრის თვალს არც ერთი ნაოჭი არ გამოჰპარვია, მისმა ფუნჯმა გამხდარი სხეულის უშნოდ ამოშვერილი ყველა ძვალი და ნაკვთი დაუნდობლად ასახა...

– არ მოგწონთ?.. ამ პორტრეტს თქვენს ქმარს ვაჩუქებ, იქნებ, თქვენს საძინებელში დაკიდოს, – ცივად თქვა ჰამერმა და ვილა დატოვა.

მძღოლმა აქვითინებული ლილიანი საძინებელ ოთახში იპოვა. მან შაკიკი მოიმიზეზა. პიტსბურგისაკენ მიმავალ გზაზე მძღოლმა საუბარი გაუბა და აცნობა, რომ სასტუმრო ოთახის კედელზე ბზარი შენიშნა: „მგონი, სახლმა ნგრევა დაიწყო. იქნებ, მისტერ კაუფმანს აცნობოთ?.."

მეორე დღეს, ლილიანი ლოგინად ჩავარდა. დიაგნოზის დასმა საუკეთესო ექიმებმაც კი ვერ შეძლეს. ჰამერი აღარ გამოჩენილა, მაგრამ ლილიანი ყოველდღე დაზაფრული ელოდა, რომ მხატვარი მუქარას შეასრულებდა... ახალგაზრდა, საღსალამთი ქალი ორიოდე თვეში, ლანდად იქცა. მის გონებას ერთადერთი აზრი ტანჯავდა – პორტრეტზე ფიქრმა ლილიანი სიგიჟის ზღვრამდე მიიყვანა.

ედგარს კი სხვა საფიქრალი აგიჟებდა: სახლი, რომელმაც კაუფმანების ოჯახს

ედგარ-ამცროსი
კაუფმანი

სახელი მოუტანა და მაღალი საზოგადოების კარი გაუღო, ნელ-ნელა ინგრეოდა. ტერასებზე ღრმა ბზარები გაჩნდა, საძირკვლის საყრდენი, რკინაბეტონის კონსოლები ნელ-ნელა წყლისკენ ცურდებოდა – და კაუფმანის რეპუტაციაც თან მიჰქონდა... ედგარმა, რაიტს სკანდალი მოუწყო, განუცხადა: ინჟინერი კი არა, ნეხვი ხარო! – რაზეც რაიტმა მიუგო – შენობა იმ მდგომარეობას ასახავს, რომელიც მისი პატრონის თავს ტრიალებსო...

კაუფმანმა, ყველასგან ფარულად, სახლის გამაგრება და სარემონტო სამუშაოები წამოიწყო, ლილიანის ავადმყოფობა მოიმიზეზა და ვილაში სტუმრიანობა აკრძალა. მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, მისის კაუფმანმა „დათვის წყაროში“ საბოლოოდ დასახლება ისურვა. მათი ცოლქმრული ცხოვრების მანძილზე პირველად, ედგარი ლილიანის სურვილს დათანხმდა. ბოლომდე აუხსნელ გამოცანად დარჩა, თუ რატომ მოინდომა ლილიანმა დასახლება იქ, სადაც მისი ცხოვრების ყველაზე მტანჯველი ამბავი მოხდა...

ლილის ქცევა უფრო და უფრო აუხსნელი ხდებოდა. მისის კაუფმანმა სმა დაიწყო. განწყობილების ასამაღლებლად, შამპანურით გალეშილი ქალბატონი ძილის მომგვრელ პრეპარატებს პეშვით ყლაპავდა. ხშირად, სადილად ქვედა საცვალში გამოდიოდა, ბილწსიტყვაობდა და სტუმრების მოწვევას მოითხოვდა... ედგარმა საუკეთესო ფსიქიატრებს მიმართა, რომლებმაც დაასკვნეს, რომ ქალს აკვიატებული აზრები ტანჯავდა, რაც მისი პიროვნული ნგრევის მიზეზი გახდა, მაგრამ საშველს ვერ მიაგნეს.

დრო გადიოდა. სახლი და მისი დიასახლისი ნელ-ნელა ერთად ნადგურდებოდნენ. 1950 წლისთვის, მათი მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. კაუფმანმა ცოლის მომვლელად მედდა გრეის სტუპსი დაიქირავა, ამასთანავე, მუშების კიდევ ორი ბრიგადა მოიყვანა და კიდევ ერთხელ შეეცადა, რომ სახლის გარდაუვალი ნგრევა შეეჩერებინა.

1952 წლის 7 დეკემბერს, უძილობით გატანჯული ლილიანა საძინებლიდან გამოვიდა და ბუხარს მიაშურა. გაურკვეველი ლანდები ჯერ კიდევ კიბიდან შენიშნა, უფრო ახლოდან კი, შიშველი გრეისის სხეულზე მოალერსე, მეუღლის ხელები დაინახა და სურათმა სხვა სცენა მოაგონა – ის, რომელიც ერთხელ, ამავე ბუხრის წინ, თავს გადახდა...

მეორე დილას, მისის კაუფმანი საუზმეზე არ გამოჩენილა. ედგარი დიდხანს უკაკუნებდა, შემდეგ კარი შეამტვრია. ლილიანი უგონოდ ეგდო. გული სუსტად უცემდა. პიტსბურგის საავადმყოფომდე ლილიანმა ვერ მიაღწია, ის გზაში გარდაიცვალა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ სიკვდილი საძილე პრეპარატის გადაჭარბებულმა დოზამ გამოიწვია.

ლილიანის გარდაცვალების შემდეგ, ქვედა ტერასა ჩაინგრა და კინაღამ მუშაც თან ჩაიყოლა. გადატანილმა უბედურებამ და მწარე მარცხმა კაუფმანი წელში გატეხა. ედგარი გასუქდა, ქოშინი ტანჯავდა. ელეგანტური და მოხდენილი კოსტიუმები მოუწესრიგებელმა, შელახულმა სამოსმა შეცვალა. სასიყვარულო თავგადასავლებმა, რომლებიც მისთვის მუდამ ენერგიის უშრეტ წყაროს წარმოადგენდა, აზრი დაკარგა. ახლა მას ალერსზე მეტად, ექიმთა დახმარება ესაჭიროებოდა. მედდა გრეის სტუპსი კვლავ მის სახლში ცხოვრობდა. ორი წლის შემდეგ, 68 წლის ედგარმა ის ცოლადაც შეირთო, მაგრამ ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად მხოლოდ რამდენიმე თვე იცხოვრა. 1955 წლის 15 აპრილს, ედგარ კაუფმანი გარდაიცვალა.

არქიტექტორ ფრენკ ლოიდ რაიტს „ჩანჩქერზე აღმართული სახლის“ აგების შემდეგ, ნაყოფიერი 25-წლიანი ხანა დაეწყო, რომელიც მის უკანასკნელ დღემდე გაგრძელდა. რაიტი 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. ერთ-ერთ გვიანდელ ინტერვიუში, სადაც ის პენსილვანიურ ამბავს იხსენებდა, აღნიშნა – ეს ექსტრავაგანტური სახლი კაუფმანებისთვის დამღუპველი აღმოჩნდა, რადგან ისინი მუდამ მოსაწყენი, უხამსი მდაბიონი იყვნენ და ბოლომდე ასეთებად დარჩნენო.

– გამოდის, რომ ისინი ამ სახლმა გაანადგურა? – იკითხა ჟურნალისტმა.

– მათ ერთმანეთი გაანადგურეს. მაგრამ სახლის შეკეთება შესაძლებელია, აი, ადამიანებისა კი, სამწუხაროდ, არა!

...კაუფმანების ვაჟმა, ედგარ კაუფმანმა-უმცროსმა მშობლების ნეშტი „დათვის წყაროში“ გადაასვენა. ერთხელ, როდესაც სარდაფს ალაგებდა, საგულდაგულოდ შეფუთულ ჩარჩოს წააწყდა, რომელსაც საფოსტო შტამპი ერტყა და მისის კაუფმანისთვის იყო განკუთვნილი. ედგარმა ამანათი გახსნა და იქიდან პორტრეტი ამოიღო. ტილოდან ახალგაზრდა, მშვენიერი შიშველი ლილიანი უმზერდა. ედგარი გაოგნდა. რატომ იყო ამანათი ჯერაც გაუხსნელი?.. როგორც ჩანს, ამ დროს ის უკვე იმდენად ცუდად იყო, რომ ამ გზავნილის შესახებ არავინ არაფერი უთხრა. ედგარის სულში მამისადმი სიძულვილმა იფეთქა. ის მთელი ცხოვრება დედას ტანჯავდა, ღალატობდა და შეურაცხყოფდა. როგორც აღმოჩნდა, არც ლილიანი დარჩენია ვალში...

მოამზადა ნატო მანჯავიძემ


ქვისგან ნაგებ ბუხარს იაპაკიდან ამოზრდილი ნამდვილი კლდის ფრაგმენტები შემორტყმოდა გარს. ეს ბუხარი არქიტექტორის სიამაყის ობიექტს წარმოადგენდა

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲘᲙᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲠᲘᲜᲒᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ



30 ივნისს მაიკ ტაისონი 39 წლის გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ, სახელგანთქმულმა მოკრივემ კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა, ის კიდევ აპირებს რინგზე გამოსვლას. ეს ვეტერანთა ტურნირზე მოხდება, სადაც მის მეტოქეთა შორის შეიძლება, ევანდერ ჰოლიფილდი, რიდიკ ბოუი ან ლარი ჰოლმსი ვიხილოთ.

39 წლის წინ, 1966 წლის 30 ივნისს, ჯიმი და ლორნა კირკპატრიკების ოჯახში ვაჟი დაიბადა, რომელსაც მაიკლ ჯერარდი, დაარქვეს. რა თქმა უნდა, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იგი დიდი მოკრივე გამოვიდოდა.

გვარი „ტაისონი“ მაიკლ ჯერარდმა დედამისის პირველი ქმრისგან მიიღო. მომავალი სუპერმძიმეწონოსანი დედასთან და უფროს და-ძმასთან ერთად (მამამ ოჯახი ჯერ კიდევ მის დაბადებამდე მიატოვა) ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე კრიმინალურ რაიონში ცხოვრობდა. ბავშვობაში მაიკი მშვიდი ხასიათით გამოირჩეოდა, მაგრამ 10 წლის ასაკში მის ფსიქოლოგიაში მკვეთრი ცვლილება მოხდა. ბავშვობიდან ის მტრედების მოვლა-გამრავლებით იყო გატაცებული. ერთხელაც, ერთ-ერთმა ადგილობრივმა ხულიგანმა მაიკის თვალწინ მის საყვარელ ფრინველს თავი წააწყვიტა. გამწარებულმა ტაისონმა დაუნდობლად სცემა შეურაცხმყოფელი – სწორედ იმ მომენტში გაიღვიძა პატარა მაიკში მომავალმა სახელოვანმა მოკრივემ... ამ ფაქტის შემდეგ ტაისონმა ადგილობრივ მცირეწლოვან დამნაშავეთა ჯგუფებში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. რამდენიმე წელიწადში ის პირველად დაინტერესდა მოკრივის კარიერით – ეს ლეგენდარულ მუჰამედ ალისთან შეხვედრის შემდეგ მოხდა, რომელიც პერიოდულად, ძნელად აღსაზრდელი ბავშვების დაწესებულებებს სტუმრობდა. ასეთ ადგილებში კი, ტაისონი ხშირად ხვდებოდა...

იმ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად ყოფილი მოკრივე ბობი სტიუარტი მუშაობდა. ერთხელ მაიკი მასთან მისულა და უთქვამს, რომ მოკრივეობა სურდა. სტიუარტს უპასუხია – იმ შემთხვევაში გავარჯიშებ, თუ დისციპლინას არ დაარღვევო. იმ დღიდან, ტაისონის ცხოვრების მიზნად კრივი იქცა. როდესაც ის 15 წლის იყო, სტიუარტი მიხვდა, რომ მისთვის აღარაფრის სწავლება აღარ შეეძლო და თავისი აღზრდილი ცნობილ მწვრთნელს, კასო დ'ამატოს მიუყვანა. ასე დაიწყო მაიკ ტაისონის კარიერა. სამოყვარულო კრივში მას დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევია – 1984 წელს, ამერიკის ნაკრებშიც ვერ მოხვდა, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებში უნდა ეასპარეზა. 1985 წელს ტაისონმა პროფესიონალურ რინგზე თავისი პირველი ორთაბრძოლა ჩაატარა და პირველსავე რაუნდში ჰექტორ მერსედესი ნოკაუტში ჩააგდო. 1986 წელს კი, 20 წლის მაიკი პროფესიონალური კრივის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ორი წელი ტაისონს რინგზე ბადალი არ ჰყოლია. მაგრამ შემდეგ მის ცხოვრებაში ცვლილებები მოხდა – მოკრივე დამწყებ მსახიობ ქალზე, რობინ გივენსზე დაქორწინდა, რაც მძიმეწონოსნისთვის ძალიან წარუმატებელი ნაბიჯი აღმოჩნდა. მის მიმართ ცოლი გულისხმიერებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. ჯენტლმენური თვისებებით არც მაიკი იყო ცნობილი და ჭირვეულ მეუღლეს ხშირად სცემდა კიდეც. იმ პერიოდში ტაისონმა ვარჯიშის გაცდენას მოუხშირა, შემდეგ მწვრთნელთა ჯგუფიც დაითხოვა და ცნობილ პრომოუტერსა და სახელგანთქმულ თაღლითს, დონ კინგს მიეკედლა. 1990 წელს, „რკინის მაიკმა“ ტიტულის დაცვა ვერ შეძლო და ორთაბრძოლა ნაკლებად ცნობილ მოკრივესთან, ჯეიმს დუგლასთან წააგო.

1991 წელს მოხდა კიდევ ერთი ამბავი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა „რკინის მაიკის“ ცხოვრება. სილამაზის კონკურსის „მის შავი ამერიკა“ – ერთ-ერთმა მონაწილემ, დეზირე ვაშინგტონმა ტაისონს გაუპატიურებაში დასდო ბრალი. არსებობდა არაერთი მტკიცებულება, რომ ვაშინგტონი საკუთარი ნებით მივიდა მაიკთან სასტუმროს ნომერში და მათ შორის სქესობრივი აქტიც ნებაყოფლობით იყო. მიუხედავად ამისა, ტაისონს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მოკრივემ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მხოლოდ 3 წელი დაყო, რადგან სამაგალითო ქცევისთვის ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. ციხეში მაიკმა არაერთი წიგნი წაიკითხა და ისლამი მიიღო. გარდა ამისა, ის სისტემატურად ვარჯიშობდა.

გათავისუფლებიდან დაახლოებით ერთ წელიწადში, ტაისონმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა. მაგრამ ეს





ცნობილი მოკრივის უკანასკნელი მიღწევა აღმოჩნდა. 1996 წელს, ტაისონმა ორთაბრძოლა გამართა ევანდერ ჰოლიფილდთან და ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა. მომდევნო წლის ივნისში, მატჩრევანში შედგა, რომელიც მას შემდეგ დასრულდა, რაც „რკინის მაიკმა“ მეტოქეს ყურის ბიბილო მოაკვნიტა.

შემდგომში ყურიკვნეტია სკანდალისტი დიდ წარმატებებს ვეღარ აღწევდა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ მოკრივეს ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა. ცოტა ხნის წინ – 11 ივნისს კი, მაიკმა ტექნიკური ნოკაუტით წააგო ნაკლებად ცნობილ ირლანდიელ კევინ მაკბრაიდთან, რის შემდეგაც კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. მაგრამ ახლა მან შეიტყო, რომ ვეტერანთა ტურნირში მონაწილეობის მიღების შანსი ეძლევა. ტაისონის მწვრთნელი და მენეჯერი, ჯეფ ფენეკი, რომელიც მაიკს ბოლო ორთაბრძოლისათვის ამზადებდა, ამჟამად ვეტერანთა ტურნირის ორგანიზებაზე მუშაობს, რომელში მონაწილეობაც სკანდალურ ტაისონს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა (როგორც ცნობილია, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მან თავი გაკოტრებულად გამოაცხადა) და კარიერის უფრო მაჟორულ ნოტაზე დასრულებაში დაეხმარებოდა. ფენეკის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ვეტერანებმა ერთმანეთში რაუნდების შემცირებული რაოდენობით გამართონ მატჩები. ტურნირში მონაწილეობისთვის, ტაისონის გარდა, ყურმოკვნეტილი ევანდერ ჰოლიფილდი, რიდიკ ბოუი და ლარი ჰოლმსიც არიან მიწვეულნი. ფენეკის თქმით, მან თავისი იდეით აშშ-ისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ცნობილი პრომოუტერები დააინტერესა. „მაიკს არ სურს, რომ მაკბრაიდისაგან დამარცხებულმა დაასრულოს კარიერა, – განაცხადა ფენეკმა, – ის კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მძიმეწონოსანი ჩემპიონია და პირველ ოთხ რაუნდში კვლავაც ძალიან სახიფათოა. მას აღარ სურს ათრაუნდიან ორთაბრძოლებში ასპარეზობა, რადგან უმაღლეს დონეზე 20 წლის მანძილზე გამოსვლის შემდეგ, სპორტულ დარბაზში დაძაბულ და მომქანცველ ვარჯიშს გულს ვეღარ დაუდებს. მან თავისი ძალის შენარჩუნება შეძლო და იმედოვნებს, რომ კრივის მოყვარულებს კვლავაც აღაფრთოვანებს ორთაბრძოლის სტილით, რომლითაც ის 1986 წელს სუპერმძიმე წონით კატეგორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე დაბადების დღეზე „რკინის მაიკმა“ აშშ-ის კონგრესისგან შეიტყო. ქვედა პალატის სპეციალურმა კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო კანონპროექტი საერთო ეროვნული საკრივო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც პროფესიონალური კრივის სფეროს რეგულირებას ისახავს მიზნად. კანონპროექტი შეიცავს პუნქტებს მოკრივეთა, მენეჯერთა, პრომოუტერთა და ამ საქმესთან დაკავშირებულ ორგანიზაციათა ლიცენზირების შესახებ. გარდა ამისა, გათვალისწინებულია მოკრივეთა ჯანმრთელობის დაცვის საერთო ეროვნული სტანდარტები, ცენტრალიზებული სამედიცინო რეესტრის შექმნა და კონტრაქტებისა და რეიტინგების შესახებ ერთიანი კრიტერიუმების შემუშავება. კანონპროექტის განხილვაზე მიწვეული იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული კრივთან.

მიუხედავად ნეგატიური იმიჯისა, მაიკ ტაისონს დღესაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. როგორც ანტუან სენტ-ეგზიუპერი წერდა, „ჩვენ ყველანი ბავშოვბიდან მოვდივართ“. „რკინის მაიკის“ პიროვნება მძიმე სოციალურ გარემოში ყალიბდებოდა, მაგრამ თავისი ნიჭის წყალობით, მან პროფესიონალური კრივის ისტორიაში საკუთარი სახელის უკვდავყოფა შეძლო.

■

რონი ძველ საყვარელს დაუბრუნდა

თვე-ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც რონალდო დანიელა ჩიკარელის დაშორდა. შეგახსენებთ, რომ მათ მიმდინარე წლის თებერვალში არაოფიციალური ქორწინების ცერემონია პარიზის ახლოს მდებარე შუა საუკუნეებში აგებულ ციხესიმაგრეში გამართეს. შეყვარებულებმა მაშინ წმინდა ვალენტინის დღეს მოაწყვეს სალამო, რომელზეც ყველაზე ახლობელი ადამიანები მიიპატიჟეს. ამ დროს ტარებაში რონის 700 ათასი ევრო დაეხარჯა, თუმცა თავიანთი ურთიერთობა ფეხბურთელსა და მოდელს ოფიციალურად არ გაუფორმებიათ. ჩიკარელისთან განშორების შემდეგ კი, კიჭა მარტო დიდხანს არ დარჩენილა. მან რომანი განაახლა თავის ძველ მეგობართან, Playboy-ის ვარსკვლავ ლივია ლემოსთან, რომელსაც დანიელას გაცნობამდე ხვდებოდა.

■

რუნი შეყვარებულით აღფრთოვანებულია

ბარბადოსზე დასასვენებლად ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა უეინ რუნის საცოლემ, კოლინ მაკლაფლინმა ჟურნალ Vogue-სთვის მოწყობილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. კოლინი, ცოტა არ იყოს, გამხდარა, რაც მას ნამდვილად მოუხდა. ასე რომ, საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი, გარუჯული მაკლაფლინი ძალიან ეფექტურად გამოიყურება. მიუხედავად ამისა,

ბრიტანული ტაბლოიდები, რომლებიც რუნის შეყვარებულის პირად ცხოვრებას დიდი ყურადღებით აკვირდებიან, მისი ქებისგან თავს მაინც იკავებენ. აი, თავად „მანჩესტერის“ ვარსკვლავს კი ძალიან უყვარს თავისი რჩეული. „ის არა მარტო გარეგნულად, არამედ სულიერადაც ლამაზია,“ – ამბობს უეინი და ამატებს: „როდესაც კოლინი ბედნიერია, მეც ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ თავს“.

■

„ყოველდღე ციმოლერს — „ანგელოზი და ბავშვი" — მაც მივუძღვენი..."

პირველ პაემანზე სასაუბროდ ამჯერად, „ქუჩის ბიჭების" წევრი გურამ ლომიძე მოვიხელთე. როგორც ცნობილია, გურამი პირველია ამ ჯგუფიდან, ვინც ოჯახის შექმნა გარისკა. მაგრამ ხატია შამუგიასა და გურამ ლომიძის ქორწინება რამდენიმე წელიწადში გაყრით დასრულდა. თუ რა იყო მათი ოჯახის დანგრევის მიზეზი და ვისთან დაოჯახებაზე ოცნებობს გურამი, ჩვენ ინტერვიუდან შეიტყობთ.

მერი კობიაშვილი

— გურამ, ბავშვობაში გოგონების კუდში დევნა გიყვარდა?

— ბავშვობაში ისეთივე მექალთანე ვიყავი, როგორიც ახლა ვარ. 3-4 წლის ვიქნებოდი, როცა საბავშვო ბაღში ერთი რუსი გოგონა შემიყვარდა. ის საბავშვო ბაღში ჩემს ჯგუფში დადიოდა, თან ჩემი მეზობელიც იყო. მისი გულისთვის ბევრჯერ მიჩხუბია. ისე გვიყვარდა ერთმანეთი, რომ ერთ საწოლში გვეძინა ხოლმე. ეს ბავშვური გატაცება 6 წლის ასაკამდე გაგრძელდა. მერე ის გოგონა რუსეთში წავიდა საცხოვრებლად. მეც მეტი რა დამრჩენოდა — სხვა გოგონების ყურება დავიწყე... ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი. ეზოში ყველა გოგოსთან ვახერხებდი თამაშს. თან, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ყველა ჩემი თანატოლი გოგონა მიყვარდა. ვერ გეტყვით, საპასუხოდაც ვუყვარდებოდი-მეთქი, მაგრამ რამდენიმე გოგოსგან ჩემდამი სიმპათიას ვგრძნობდი.

— დარწმუნებული ვარ, სკოლაში გვერდით მჯდომიც სიგიჟემდე შეგიყვარდებოდა...

— 15 წლამდე, რუსთავში ვცხოვრობდი. ამ დროის მანძილზე, 5 სკოლა გამოვიცვალე. თითოეულში 2 გოგო მომწონდა. მაგრამ დამიჯერეთ, ერთდროულად ორთან სასიყვარულო ურთიერთობა არ გამიბამს. როცა ერთთან ვწყვეტდი ურთიერთობას, სხვაზე ფიქრს ამ შემთხვევაში ვიწყებდი. გაინტერესებთ, სკოლაში გვერდზე მჯდომი მიყვარდა თუ არა?.. არა, ასეთი რამ არასდროს დამმართვია.

— პირველ პაემანზე წასასვლელად როგორ ემზადებოდი?

— პირველ პაემანზე ძალიან თავდაჯერებული წავედი. წინასწარ შედგენილი ტექსტი არ მქონია. ჩემი შეყვარებულისთვის სიტყვაც არ მითქვამს, თვალებით ავუხსენი სიყვარული. ჩვენმა სიყვარულმა დაახლოებით ერთ თვეს გასტანა. ის პერიოდი ყოველთვის კარგად მახსენდება.

— შეყვარებულს გრძნობას როგორ უმტკიცებ ხოლმე? რომანტიკული ხარ? ბიჭები ზოგჯერ შეყვარებული გოგონას სახელს ხელზე იწერენ, ზოგიც ხიდიდან ხტება. შენ რომელ მეთოდს ანიჭებ უპირატესობას?

— ყველაფერი გოგონაზე არის ხოლმე დამოკიდებული. თუ ის რომანტიკულია, მეც რომანტიკული ვხდები. თუ აგრესიულია — მეც შესაბამისად, აგრესიული ვარ მასთან ურთიერთობისას... გოგონას გულისთვის სასიკვდილო რისკზე არასდროს წავსულვარ. არავის გულისთვის თავს არ დავიმახინჯებ. ჯობია, გოგომ ისეთი შემიყვაროს, როგორიც ვარ. ვიღაცების სახელის ხელზე ამოწვა და სიყვარულის დასამტკიცებლად სიმაღლეებიდან ხტომა არ მახასიათებს.

ხატიას გულისთვის ხმა ნამდვილად არასდროს დამიკარგავს...

— ოდესმე ცალმხრივად შეყვარებული თუ ყოფილხარ?

— არ მახსენდება ასეთი შემთხვევა. თუ გოგონასგან სითბოს და ლტოლვას არ ვგრძნობ, მასთან ურთიერთობას არ ვიჭერ.

— ერთი ნახვით შეყვარების გჯერა?

— ერთი ნახვით შეყვარების — არა, მაგრამ მოწონების მჯერა. პირადად მე, ერთი ნახვით ბევრჯერ მომწონებია, ის გოგონა მერე შემყვარებია კიდეც.

— სერიოზული სიყვარული რა ასაკში გეწვია?

— დღეს რომ ვფიქრობ ხოლმე, მგონია, რომ სერიოზულად ჯერ არავინ მყვარებია. სერიოზული ხომ ისეთი სიყვარულია, რომელიც ცხოვრების ბოლომდე მიჰყვება ადამიანს. მე მყავდა ოჯახი. ყოფილ მეუღლესთან, ხატია შამუგიასთან დღემდე, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მაგრამ ორივემ გადავწყვიტეთ, რომ ერთად ცხოვრება აღარ გამოგვივიდოდა.

— შენი და ხატიას ურთიერთობის დასაწყისში მახსოვს, ამბობდნენ — გურამი ისეთი შეყვარებულია, ხატიას დანახვაზე ვეღარ მღერისო...

— ხატია რადიო „ფორტუნაში" გავიცანი. „ქუჩის ბიჭებმა" მის გადაცემაში — „ლაიფშოუ" მივიღეთ მონაწილეობა. მერე, ერთ-ერთ ჩვენს კონცერტზე სიმღერა — „ანგელოზი და ბავშვი" — მას მივუძღვენი. ხატიას გულისთვის ხმა ნამდვილად არასდროს დამიკარგავს...

— როგორ ფიქრობ — თქვე-

ნი გაშორების მთავარი მიზეზი რა იყო?

— ჩვენს გაშორებაში მთავარი დამნაშავე ცხოვრებაა. მე და ხატიამ 3 წელი ვიცხოვრეთ ერთად. ამ დროის მანძილზე, ორივემ ერთად დავასკვენით, რომ ერთად ვეღარ ვიცხოვრებდით.

— **შენს ასაკში ოჯახის შექმნა ძნელია?**

— ძნელი იმ შემთხვევაშია, თუ შემოსავალი არ გაქვს და ოჯახის შენახვა არ შეგიძლია.

— **ერთხელ ხატიამ ჩემთან ინტერვიუს დროს თქვა — გურამმა ჩათვალა, თავისუფალი თუ იქნებოდა, უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდაო...**

— მე ისევე ვფიქრობდი, როგორც ხატია.

— **როგორი გოგონა გინდა, რომ შენ გვერდით იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე?**

— ისეთი, ვისაც ვეყვარები და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მასიამოვნოს.

— **გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვს?**

— როგორ არა?! ჩემი შთამომავლობა აუცილებლად ლამაზი უნდა იყოს...

— **როგორი გარეგნობის გოგონაზე ოცნებობ?**

— ასეთი ფანტაზიები არ მაქვს ხოლმე. ანჯელინა ჯოლის მოვიყვანდი ცოლად დიდი სიამოვნებით *(იცინის)*... სილამაზის ეტალონზე ვერ ვიოცნებებ. ხომ ამბობენ — კარგზე კარგი არ დაილევაო.

— **ქალის მოხიბვლის მეთოდი თუ გაქვს?**

ერთხელ დავაპირე, სერენადები მემღერა შეყვარებულის ფანჯრებთან, მაგრამ „გამიტყდა“...

— კი, მაგრამ ვერ გაგიმხელ: ბევრი მომბაძავს და მერე, მე ვეღარ გამოვიყენებ. ერთი „კარენო“ მეთოდი მაქვს, რომელიც ნებისმიერ ვარიანტში ეფექტურია.

— **შეყვარებულის ფანჯრებთან თუ გიმღერია?**

— ერთხელ დავაპირე, სერენადები მემღერა შეყვარებულის ფანჯრებთან, მაგრამ „გამიტყდა“... ჩემმა ძმაკაცმა რომ მთხოვოს — წამყევი, ჩემი შეყვარებულის სახლის წინ სერენადები ვიმღეროთო, — საიმოვნებით გავყვები. აი, ჩემს შეყვარებულს კი ფანჯრებთან ვერასდროს ვუმღერებ.

— **ბედისწერის თუ გჯერა?**

— კი. დარწმუნებული ვარ, ჩემი მეორე ნახევარი ახლა ტინეიჯერია და სადღაც ამ ქალაქში დაიარება. ან შეიძლება, დაბადებულიც არ იყოს...

— **რადგან ხატია შენზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, იმიტომ ფიქრობ, რომ ამჯერად, ასაკით შენზე პატარას მოიყვან ცოლად?**

— ნამდვილად მირჩევნია, რომ ჩემზე უმცროსი მოვიყვანო ცოლად. არ მიყვარს ჭკვიანი ქალები. არ მომწონს, ქალი მამაკაცს ჭკუას რომ არიგებს. ასეთ დროს, ნევრები მეშლება.

— **ალბათ ხატია ოჯახს კვლავ შექმნის. მის არჩევანში თუ ჩაერევი?**

— არ ჩავერევი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ხატია რჩევას მკითხავს და მეც გულახდილად ვეტყვი ჩემს აზრს. მინდა, ხატიას გვერდით ნორმალური ადამიანი იყოს.

— **ამჟამად შეყვარებული ხარ?**

— ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვი. „ქუჩის ბიჭებმა“ ახალი სიმღერა ჩავწერეთ, რომლის ტექსტიც მე და პაატა ხაჩიძემ დავწერეთ. წარმოვიდგინეთ, რომ ორივენი დამწვრები ვიყავით სიყვარულში. სიმღერას ადრესატები ჰყავს, მაგრამ მათ ვიანობას ვერ გაგიმხელთ.

— **იქნებ, სიყვარულისთვის ახსნა მოგეძებნა?**

— სიყვარული ყველას ინდივიდუალურად ესმის. ჩემთვის კი ის პირველ რიგში, მეორე ადამიანთან შეჩვევაა.

— **პირველ პაემანზე წამსვლელებს რა რჩევას მისცემ?**

— პაემანი არანაირად არ არის განსაკუთრებული მოვლენა. გოგონებს და ბიჭებს ვურჩევდი, არ ინერვიულონ. თუ ბუნებრივები იქნებიან, პაემანი კარგად ჩაივლის.

■

ტესტი ერუდიციაზე

1. ბორგალი გამოიგონეს...

ა) შუმერებმა;
ბ) ბერძნებმა;
გ) რომაელებმა.

2. რას ნიშნავს ფრანგული სიტყვა „სუვენირი“?

ა) სიამოვნებას;
ბ) მოგონებას;
გ) დასვენებას.

3. რამდენი წლის იყო ირმა სოხაძე, როდესაც პირველად გამოვიდა სცენაზე?

ა) 4-ის;
ბ) 22-ის;
გ) 13-ის.

4. მონეტის წინა მხარეს ავერსი ჰქვია, უკანა მხარეს — რევერსი, გვერდით მხარეს...

ა) გურტი;
ბ) პროფილი;
გ) ფასი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ცნობილი მკურნალი და შემლოცველი ირაკლი ლომაია ევროპიდან დაბრუნდა და პაციენტების მიღებას აგრძელებს



ცნობილი მკურნალის, მლოცველისა და ექსტრასენსის ირაკლი ლომაიას ფენომენმა მარტო ქართველები კი არა, უცხოელებიც გააოცა. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. ამბობენ, ლოცვით ნამდვილ სასწაულებს ახდენსო. ირაკლი უმძიმეს ავადმყოფებს კურნავს, მასთან დახმარების სათხოვნელად ხალხი საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდის. ირაკლიმ ლოცვის ძალით ბევრი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და უბედურებას. სხვათა შორის, მაღალჩინოსნებიც ხშირად აკითხავენ. იგი ხედავს მაგიური ზემოქმედების შედეგს და დაბინძურებულ აურას უარყოფითი მუხტისგან ასუფთავებს. ირაკლი ახლახან ჩამოვიდა ევროპიდან და პაციენტების მიღებას აგრძელებს. მის მოსაცდელში მუდამ ცოცხალი რიგია.

— ირაკლი, ვიცით, რომ 17 წლის განმავლობაში, სისტემატურად ავადმყოფობდი, ვინ მოახერხა შენი განკურნება?

— თავიდანვე უცნაური ბავშვი ვიყავი, ერთხელ თურმე, აკვნის გადასაფარებელი ჩავიტენე პირში, რა თქმა უნდა, ნაჭერი ვერ გადავყლაპე და გავიგუდე. დედამ რომ მნახა, უკვე გაშავებული ვყოფილვარ. მის კივილზე მთელი სოფელი შეყრილა. გულაჩუყებულები, მკვდარს დამტიროდნენ, დედაჩემს ანუგეშებდნენ. აკვნის თავთან, კედელზე ღვთისმშობლის ხატი იყო დაბრძანებული. დედა მის წინაშე დაცემულა და უთხოვია: შემიწყალე, გემუდარები, ეზოს სამჯერ მუხლისჩოქით შემოვუვლი, ოღონდ შვილი გამიცოცხლეო. მუხლებგადატყავებული ქალი სახლში რომ შემოსულა, მაშინღა ამომისუნთქავს... მაგრამ ჩემი ნამდვილი ტანჯვა-წამება მაშინ დაიწყო, 7 წლის რომ გავხდი, თერთმეტი სახის ბატონები (ინფექციური დაავადება) შემეყარა. საშინლად დავსუსტდი, ისე ცუდად ვიყავი, თავის მოკვლა მინდოდა. ვისთან არ მიმიყვანეს მშობლებმა, საზღვარგარეთაც ვმკურნალობდი, კომპიუტერული გამოკვლევების ჩატარების დროს, აპარატურა ითიშებოდა და მწყობრიდან გამოდიოდა, წამალი არ მშველოდა.

— როგორ განიკურნეთ?

— ჩემს რაიონში (სენაკში) ცხოვრობს უცნაური ძალითა და ნიჭით გამორჩეული ქალბატონი ნატო, რომელიც სანთლებს ანთებს და ხედავს მასთან დახმარების სათხოვნელად მისული ხალხის გაჭირვებას. ერთხელ, ჩემს მშობლებს შემოუთვალა: ირაკლის უზარმაზარი დადებითი ენერგია აქვს. თქვენი ბიჭი ღვთის შვილია, ორგანული არაფერი სჭირს, გამოლოცვით განიკურნებაო.

ქალბატონი ნატოს სიტყვები სასაცილოდ არ გვეყო. ერთ დღესაც, ჩემს ოთახში, სადაც ხატები იყო დაბრძანებული, ძალიან ცუდად გავხდი, სხეული მთლიანად დამიბუჟდა, მეგონა, ტანზე ჭიანჭველები დამესია. უხილავმა ძალამ შემბორკა და ვიხრჩობოდი. ამ დროს, წმინდა მარიამის ხატს შევხედე და დედა ღვთისმშობელს შევთხოვე, მიშველე-მეთქი. სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ სიმსუბუქე ვიგრძენი. იმ ღამეს მიცვალებული ბაბუა მესიზმრა. ჩვენ შორის საზღვარი იყო, მაგრამ მე მისკენ მივრბოდი, ბაბუა არ მიკარებდა; ქალბატონ ნატოს დაუჯერე, თორემ, ცუდ დღეში ჩავარდებიო, — მითხრა.

— ბაბუას თუ დაუჯერეთ?

— ქალბატონ ნატოსთან მეორე დღესვე წავედით. იგი ეზოს შესასვლელთან დაგვხვდა, ფანდურს უკრავდა. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, მფარველმა ანგელოზმა მაუწყა, დღეს დიდი ძალის მქონე პატარა ბიჭი გესტუმრებაო. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, საიდან უნდა სცოდნოდა-მეთქი? — გავიფიქრე. ამ დროს მომიბრუნდა და მითხრა: კიდევ არ გჯერა, რომ ჩვენ ყველაფერი წინასწარ ვიცითო?.. ქალბატონმა ნატომ სანთლები დამინთო... შენ ხალხის მხსნელი უნდა იყო, დიდი მკურნალი გახდები, თუ გამოლოცვებს დაიწყებ, უფალი გადაგარჩენს, ისეთი ძალა გექნება, ნამდვილ სასწაულებს მოახდენ და მსოფლიოს გააკვირვებო. მაგრამ მისი სიტყვები ზღაპრად მეჩვენებოდა. მიხვდა, რომ არ დავუჯერე და მითხრა, შენი პირით აგალაპარაკებო... დამატებით რამდენიმე სანთელი დაანთო და წმინდანებს შესთხოვა, თვითონვე თქვას, რაც აწუხებსო. უცებ, თვალთ დამიბნელდა, კანკალმა ამიტანა, გავითიშე და იატაკზე დავეცი, ვფართხალებდი და ვამბობდი, რაც მჭირდა.

— იცოდით, ვის უნდა გამოელოცა თქვენთვის?

— ქალბატონმა ნატომ მითხრა, ხილვა გექნება და შენ თვითონ იტყვი, ვინც უნდა გამოგილოცოსო.

— ახდა მისი ნათქვამი?

— დიახ, ახდა! ერთ ღამეს, გონება დავკარგე. იატაკზე გავიშხლართე და გათიშული ვწინასწარმეტყველებდი ჩემზეც და სხვებზეც. ყველას თვალწინ ჰაერში ავიწიე, ჯვრის ფორმა მქონდა მიღებული. ღამის 11 საათიდან დილის 9 საათამდე ვიყავი ასე. როცა მდგომარეობიდან გამოვედი, ცხოვრებაში პირველად მქონდა ხილვა...

— ვინ დაინახეთ?

— წმინდა ნიკოლოზი, თავზე გვირგვინითა და კვერთხით ხელში.

— რა გითხრათ?

— შენ ღვთის შვილი ხარ, ხალხს უნდა ემსახუროო... მას შემდეგ, ნამდვილი სასწაულები ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, თითქმის ყველა წმინდანი გამომეცხადა. ისინი რჩევა-დარიგებებს მაძლევენ, როგორ განკურნო ავადმყოფები, ვისთვის რა წამალი მოვამზადო. მაუწყეს, რომ 12 დღით დავიძინებდი და ჩემი მხსნელის, შემლოცველის სახელს, გვარს და მისამართს ვიტყოდი.

— მართლა დაიძინეთ?

— დიახ და გათიშულს მითქვამს, ელისო ტორჩინავა მომიყვანეთ, ის მიხსნის-მეთქი.

— ვინ არის ელისო ტორჩინავა?

— შემლოცველი, რომელთანაც დედამამა გავგზავნე. ელისო მათ ჭიშკართან შეეგება, წინასწარ იცოდა, რომ მივიდოდნენ. მხოლოდ მან მოახერხა ჩემი განკურნება. ელისო მოგვიანებით ცოლად შევირთე... სხვათა შორის, ინტერვიუს არავის აძლევს.

— როგორ იგრძნო წინასწარ ელისომ, რომ მასთან შენი მშობლები მივიდოდნენ?

საუბარში ელისოს დედა, ქალბატონი **ნანი კვიტატიანი** *ჩაერთო:*

— ჩემი ქალიშვილიც თავიდანვე უცნაური იყო, ელისომაც ივივე ტანჯვა-წამება გადაიტანა, რაც ირაკლიმ, ისიც მლოცველმა გამოიყვანა მდგომარეობიდან. ძალიან პატარა იყო, ხილვები რომ დაეწ-

ყო. სასწაულებრივი განკურნების შემდეგ, თვითონ ეხმარება გაჭირვებულებს. იმდენად პატარა იყო, რომ გვერდით ვეჯექი და მფარველი ანგელოზის ნათქვამს მე ჩამჩურჩულებდა ყურში, რათა ხალხისთვის ხმამაღლა გამემეორებინა. ასე იყო გათხოვებამდე.

— რატომ არ გვაძლევს ჟურნალისტებს ინტერვიუს თქვენი ქალიშვილი?

— მფარველი ანგელოზი არ აძლევს ამ თემაზე საუბრის უფლებას. ხილვები ელისოს 9 წლის ასაკში დაეწყო...

— ირაკლი, რანაირად გამოგესახათ სხეულზე ჯვრები და გადმოგედინათ მირონი?

— ჯერ ღვთისმშობლის ხატს დაადგა ღვთაებრივი ნათელი და მირონი გადმოედინა, მერე სხვა ხატებმაც დაიწყეს მირონდენა რიგრიგობით. კედლებიდანაც გამოედინა მირონი და ზედ ჯვრები და წარწერები გამოისახა. ჩემს ოთახში, ჭერზე, იმ ადგილის გასწვრივ, სადაც მე ვზიავარ, დიდი ეკლესია გამოისახა და თეთრი ენერგეტიკული ბურთულები ცვიოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მირონი ყვავილებსაც გადმოედინა. 2000 წელს, ხელებზე, ზურგსა და სხეულზე გამომესახა ჯვრები, წარწერები და იეროგლიფები.

— რამდენ ხანს გაქვთ ხოლმე გამოსახული წარწერები და ჯვრები?

— ხან ერთი თვის განმავლობაში და უფრო დიდხანსაც, ხან დილითვე ქრება... სენაკში ჩვენი სახლის ადგილას უწინ ტაძარი ყოფილა, სადაც წნმიდა ბერი დიოსიმე მოღვაწეობდა, მისი ნეშტი დაკრძალულია ჩემი სამლოცველო ოთახის ქვეშ. მამა დიოსიმეს მადლი ჩემს ოთახზე გადმოდის, სასწაულებიც მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოახდინა.

— ირაკლი, როგორ ახერხებთ საიქიოში პოლტერგეისტის გაცილებას?

— მე ვხედავ მიცვალებულთა სულებს და საგანგებო ლოცვებით შემიძლია, გზაბნეული პოლტერგეისტი საიქიოში გავაცილო. ტრაგიკულად ანუ არაბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილები თუ დროზე არ დაადგებიან სასუფევლის გზას, მოხეტიალე სულებად გადაიქცევიან და სპეციალური ლოცვები, პარაკლისი და სამდღიანი საკურთხია საჭირო, რათა არ გაბოროტდნენ და ააქაოში არ დაიდონ ბინა. გამძვინვარებული სული შესაძლოა, ოჯახში დარჩეს და მის წევრებს დიდი უბედურება, უბარაქობა, ავადმყოფობა, წარუმატებლობა მოუტანოს, ბედ-იღბალი ჩაუკეტოს, გახდეს ჩხუბისა და დეპრესიის მიზეზი.

— როგორ უკავშირდებით სულებს?

— ხილვებით! მე მათ ვხედავ და ვესაუბრები.

— ვიცი, რომ ერთი მაღალჩინოსნის სულს დაუკავშირდით და მისი ოჯახის წევრებს საიდუმლოს გარკვევაში დაეხმარეთ...

— სულს წინასწარ შეუძლია, უტყუარი პროგნოზის გაკეთება. მისი დახმარებით ბევრ საიდუმლო საქმეს ავხადე ფარდა, მაგრამ ყველასგან მოვითხოვ ანონიმურობის გარანტიას.

— უცხოეთიდან კვლავაც გეპატიჟებიან, რას აპირებთ ახლო მომავალში, წახვალთ საზღვარგარეთ?

— ერთი წლის განმავლობაში, ალბათ აქ ვიქნები, მაგრამ თუ კარგად ამინაზღაურებენ, შეიძლება წავიდე კიდეც. იმ ქვეყანას ვესტუმრები, სადაც მეტ ჰონორარს გადამიხდიან. ისე, აქაც კარგად ვგრძნობ თავს. ამერიკიდან უკვე მივიღე მიწვევა, კონტრაქტის თანახმად, გამგზავრების ვადა ერთი წელი და ხუთი თვეა, ასე რომ, არ ვჩქარობ, ჯერ დაწყებული საქმეები მინდა, ბოლომდე მივიყვანო.

— ხალხი ამბობს, რომ გაჭირვებულებს ეხმარებით...

— მართალია, ბევრს გავუმართე ხელი, უჭირთ და მეცოდებიან. სპონსორი რომ გამოჩნდებოდეს, ვინც ყოველთვიურად ჰონორარს გადამიხდის ან სანთლებით მაინც მომამარაგებს, ხალხს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მოვემსახურებოდი.

— ირაკლი, რაში ეხმარებით მაღალჩინოსნებს?

— მათ, სხვებისგან განსხვავებით, უფრო დიდი პრობლემები აქვთ. მაღალჩინოსნები საკუთარ სკამებსა და ბიზნესს იცავენ, წინსვლისა და წარმატების მისაღწევად იბრძვიან. ცივილიზებულ ქვეყნებში ნებისმიერ თანამდებობის პირს ჰყავს საკუთარი „მცველი“, ჩემნაირი ადამიანის სახით.

— რა იწვევს დაავადებებს?

— ნებისმიერ ორგანოს აურის დაბინძურება აზიანებს. მძიმე კარმა და ადამიანის ბიოველში ხელოვნურად შეყვანილი ნეგატიური პროგრამა ანუ ჯადო, უამრავი უბედურების წყაროა. გარდა ამისა, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს წინაპრების ცოდვა, საგვარეულო წყევლა, ხატზე გადაცემა და ავი თვალი.

— მოჩვენებებზე რას იტყვით? ამერიკელები ხშირად იღებენ მათზე ფილმებს.

— პარანორმალურ მოვლენებს უცხოეთში საგანგებოდ იკვლევენ, ჩვენთან ჯერ ამისთვის არავის სცხელა. მოჩვენება, მოხეტიალე სულია, რომელმაც გზა ვერ გაიგნო საიქიოსკენ. მე მათ ვხედავ და ვესაუბრები. ამ კუთხით ნამდვილად საინტერესო იქნება ჩემთვის ამერიკაში მუშაობა.

— როგორ კურნავთ ავადმყოფებს?

— ექსტრასენსული მეთოდით. დიაგნოზს წინასწარ ვსვამ, ამისათვის მჭირდება ახალგადაღებული ფერადი ფოტო (3X4-ზე). სამდღიანი გამოკვლევის შემდეგ, ავადმყოფს პასუხს ვეუბნები, ექვემდებარება თუ არა მისი ორგანიზმი მკურნალობას. თუ აღმოჩნდა, რომ ექვემდებარება, წინასწარ ვარკვევ, რა სახის მკურნალობა უნდა ჩაუტარდეს — ექსტრასენსული მეთოდი უშველის თუ ბალახებზე ინდივიდუალური რეცეპტებით დამზადებული წამლები ან ორივე ერთად.

— ძირითადად, რა დაავადებებს კურნავთ?

— გააჩნია, ვის რა აწუხებს. თუ ჯანმრთელობის სამინისტრო დაინტერესდება და თანადგომას გამომიცხადებს, ისეთი წამლების გამოგონება შემიძლია, რომლებსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.

— რა გიშლით ხელს მუშაობაში?

— არა მაქვს ლაბორატორია, სამკურნალო მცენარეთა საშრობი აპარატი, სათბურები და უამრავი სხვა რამ. გარდა ამისა, მჭირდება დაცვა და ანონიმურობის გარანტია, რადგანაც შიდსის, კიბოს, ჰეპატიტებისა და სხვა უმძიმეს დაავადებათა განსაკურნებლად წამლების დამზადება ზოგიერთების ბიზნესს სერიოზულ ზარალს მიაყენებს.

— ირაკლი, თქვენ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი ხართ, სწავლას მალე დაამთავრებთ. რას აპირებთ?

— ბავშვობიდან ვოცნებობდი ექიმობაზე. ნეიროქირურგობა მინდოდა, მაგრამ გადაწყვეტილება შევიცვალე და სპეციალობად ნევროპათოლოგია ავირჩიე, რაშიც ღვთისგან ბოძებული ნიჭიც დამეხმარება. მინდა, საჯაროდ განვაცხადო: თუ მთავრობა ხელს არ შემიწყობს წამლების გამოგონებასა და დამზადებაში, რათა ქართველებს დავეხმარო, იძულებული გავხდები, ჩემი იდეებით დაინტერესებულ უცხოელ სპეციალისტებს დავუკავშირდე, რაც ჩვენი ქვეყნის სირცხვილი იქნება!

P.S. დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! მიღების დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირა, 12-დან 19 საათამდე. მისამართი: ყაზბეგის №18 (მე-4 სართული), ბინა №10. საკონტაქტო ტელეფონები: 899-50-15-78. 899-15-17-39 (ჩასაწერად). მონაცემები შეტანილია ინტერნეტში:

Web-site.www.ikaextrasens.com.e-mail:ika@ikaextrasens.com. ■

R

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(7 - 13 ივლისი)

ვერძი – 21/III-20/IV

გირჩევთ, ამ პერიოდში მეტი თავშეკავება გამოიჩინოთ. შესაძლოა, რომელიმე თანამშრომელთან უთანხმოება მოგივიდეთ, რაც ფუნქციებისა თუ დანაპირების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული. გამოიჩინეთ წინდახედულება და ნუ აჰყვებით ემოციებს. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – ქალწულსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 8, 10, 11. **ნეგატიური დღეები:** 7, 13.

კურო – 21/IV-21/V

მნიშვნელოვანი კვირა გელით. ამ პერიოდში, უამრავი სასარგებლო შეხვედრა და მოლაპარაკება გექნებათ. მოსალოდნელია წინსვლა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მიზანდასახულობას გამოიჩენთ. საგრძნობლად გაგიძლიერდებათ აზროვნების უნარი. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური – ღრიანკალსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 7, 8, 9. **ნეგატიური დღეები:** 11, 12.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

დაძაბულ და ქაოსურ სიტუაციებში მოხვედრა გელით. შესაძლოა, ამას თქვენ მიერ გადადგმული გაუმართლებელი ნაბიჯებიც მოჰყვეს. ამიტომ, ყველანაირ, მათ შორის თითქოს უმნიშვნელო საკითხებსაც ყურადღებით მოეკიდეთ. ნუ გამოავლენთ თქვენი ხასიათის სისუსტეებს და თავი შეიკავეთ სხვების კრიტიკისაგან. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მერწყულთან, ნეგატიური – ვერძსა და კუროსთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 12, 13. **ნეგატიური დღეები:** 8, 10.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ამ პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად უშეცდომოდ გაიარეთ წინა, ერთთვიანი პერიოდი. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი დღევანდელი პრობლემა წარსულთან იქნება დაკავშირებული. ამიტომ მდგომარეობიდან გამოსავალი და „გასაღები“ სწორედ წარსულში ეძებეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და თევზებთან, ნეგატიური – სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 8, 10, 12. **ნეგატიური დღეები:** 7, 9.

ლომი – 23/VII-23/VIII

რამდენადმე შესუსტდება ის წნეხი, რომელსაც ცხოვრებაში განიცდიდით. თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივა ჩნდება. შესაძლოა აგრეთვე, გაუმჯობესდეს თქვენი მატერიალური მდგომარეობა. მეტი შრომისმოყვარეობა და შორსმჭვრეტელობა გმართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი კონფლიქტები და გაუგებრობები არ აგცდებათ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 7, 11, 13. **ნეგატიური დღეები:** 9, 12.

ქალწული – 24/VIII-23/IX

მთლიანობაში ეს პერიოდი პოზიტიური იქნება, ის ახალ შემოქმედებით წარმატებებს მოგიტანთ. თუმცა, გადატვირთული სამსახურებრივი გრაფიკის გამო, შესაძლოა, ოჯახის წევრებთან გარკვეული პრობლემებიც შეგექმნათ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თხის რქასთან, ნეგატიური – ვერძსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 8, 9, 10. **ნეგატიური დღეები:** 11, 13.

სასწორი – 24/IX-23/X

საჭიროა, დაასრულოთ მოკლევადიანი პროექტები, რადგან ხშირი ყოყმანის გამო, საქმის დამთავრებას ვერა და ვერ დააყენოთ საშველი. ყოველდღიურ საქმიანობაში კარგი სიახლეები გელით. გირჩევთ, რაიმე შეცვალოთ საკუთარ იმიჯში – მაგალითად, ვარცხნილობა: ეს მეტ მომხიბვლელობას შეგძენთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და სასწორთან, ნეგატიური – ქალწულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 7, 11, 13. **ნეგატიური დღეები:** 8, 10.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

მოგეცემათ საშუალება, გადაწყვიტოთ მნიშვნელოვანი პრობლემები, მოიწესრიგოთ პირადი ცხოვრება. თუ რაიმე გაჭიანურებული საქმე გაწუხებთ, ენერგიულად მოჰკიდეთ ხელი და უეჭველად გაუმკლავდებით. მნიშვნელოვნად შეიცვლებით უკეთესობისკენ, რასაც უმალ შეამჩნევენ თქვენი თაყვანისმცემლები. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური – კუროსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 10, 12. **ნეგატიური დღეები:** 7, 11.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

სიჯიუტე, სიზარმაცე და ადამიანებისადმი უნდობლობა პრობლემებს შეგიქმნით. ნუ აჰყვებით ეჭვებს (არავინ ეცდება თქვენს მოტყუებას). გირჩევთ, ამ პერიოდში, საკუთარ ცხოვრებაში სერიოზულ ცვლილებებს ნუ შეიტანთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური – კუროსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 8, 11, 13. **ნეგატიური დღეები:** 7, 12.

თხის რქა – 22/XII-20/I

როგორც წინა კვირა, მიმდინარეც თქვენთვის ძალზე დატვირთული იქნება. გამოიჩინეთ ყველა საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა. ნუ გაღიზიანდებით, თუკი ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც თქვენ გსურთ. შეეცადეთ, იყოთ მომთმენი და მეგობრული. ნუ გამოავლენთ ხასიათის სისუსტეებს. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ქალწულთან, ნეგატიური – ლომსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 7, 8, 12. **ნეგატიური დღეები:** 9, 10.

მერწყული – 21/I-19/II

ეცადეთ, სასწრაფოდ დაასრულოთ ის საქმეები, რომლებიც ბოლო დროს წამოიწყეთ. კვირის შუა პერიოდში წარმოქმნილი უმნიშვნელო პრობლემები ძლიერ აგანერვიულებთ. ნუ აჰყვებით ემოციებს და ყველაფერს წარმატებით გაუმკლავდებით. ყურადღებით მოეკიდეთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან კონტაქტებს. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – ღრიანკალსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 10, 11. **ნეგატიური დღეები:** 8, 13.

თევზები – 20/II-20/III

გრძელდება სასიკეთო პერიოდი და თუ რამდენად წარმატებულად გამოიყენებთ მას, მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. ყველა პროექტს, რომელსაც თქვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ძალზე ენერგიულად უნდა მოჰკიდოთ ხელი. შესაძლოა, ახალი სამსახური შემოგთავაზონ და მატერიალური მდგომარეობაც გაიუმჯობესოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ქალწულთან, ნეგატიური – ვერძსა და მარჩხივთან. **პოზიტიური დღეები:** 8, 9, 13. **ნეგატიური დღეები:** 7, 12..



ხელოვნური ენა
მიწის საიჯარო მფლობელობა
ხის ვარჯი
ტოლი, სწორი
ფიგურების განლაგება ჭადრაკში
კეთილხმოვანების დარღვევა
მსახიობი ... აბაშიძე
ტატუირება
აკრძალვა
ერთგვარი ნაყინი
ხალიჩა
სახელმწიფო აზიაში
მარკების ჩასაკრავი ალბომი
გაეროს გენერალური მდივანი
ეკიპაჟის საცხოვრებელი გემბანზე
წილი
სლოვაკეთის დედაქალაქი
ქიმიური ელემენტი
თმის საღებავი
რადიოაქტიური ელემენტი
დავა, პაექრობა
ირლანდიის ეროვნული არმია
რთული ორგანული ნივთიერება
რუმინეთის ფულის ერთეული
მორთულ-მოკაზმული კიმონო
იორდანიის დედაქალაქი
რთული, ეფექტური ილეთი
ქაღალდის ფულის გაუფასურება
მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში
ინტუიცია ... პუგაჩოვა
საბრძოლო მანქანა
დროის დიდი ისტორიული მონაკვეთი
აღვირახსნილი ღრეობა
გარეული მტრედი
წყალში ხსნადი საღებავი
ვერდის ოპერა

მე-17 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ბ.
57-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-ა.

ანეკდოტები

***

— ექიმო, ჩემს ქმარს ერთი ფეხი მოკლე აქვს და რა ქნას?

— მდაა... სხვა გამოსავალი არაა... უნდა იკოჭლოს.

***

— თევზი გაქვთ, „ასეტრინა“, მაგალითად? — ეკითხება თევზის მაღაზიაში ძუკუ გამყიდველს.

— არა, „ასეტრინა“ არაა. დიდი ღელვაა და არ იჭერენ.

— ხო, ეს ხამსა თავისი ფეხით მევიდა ხომ?!

***

გაკვეთილზე დაგვიანებული მიხო კართან ცივ ოფლში იწურება და გონებაში გამოსავალს ეძებს.

— სად ეგდე?

— მასწ!.. შეიარაღებული ბანდიტი დამესხა თავსა.

— ღმერთო ჩემო!.. წაგართვა რამე?

— საშინაო დავალება, მასწ...

***

— ვოცნებობ, თვეში ათი ათასი დოლარი ვიშოვო, როგორც მამაჩემმა!

— მამაშენი ამდენს შოულობს?

— არა. ისიც ამდენზე ოცნებობს.

***

კახელ მიტუას ასამართლებენ. მოსამართლე:

— ა, ამანა, ამ ყურუმსლმა ვერ იყო და კახელი ცოლი მიყვანა, გაგდო. მერე — იმერელი. ისიც გაგდო. მეგრელიც გაგდო. კაცო, რა ვუყოთ ახლა ამ შობელძღლს, ამასა?

— გურული ცოლი შავრთოთ! — იყვირა ვიღაცამ დარბაზიდან.

— მაიცათ, ვჯოო, თლად ეგრე როგორა, მაინც ადამიანია!..

***

სვანი ზღვაში ბადეს გადააგდებს და ააცილებს...

***

დედალი მაიმუნები ჭორაობენ:

— აბა, როგორია შენი ახალი შეყვარებული?

— გამოგიტყდები, დაია, შესახედავად მაინცდამაინც არ მომწონს. ნამდვილი ადამიანია.



***

ბიჭი ავა ავტობუსში და იძახის:

— ყველანი მკიდიხართ!

5 წუთის შემდეგ მოხუცი ქალი:

— ჩამხსენი აქანე, ბებიკო... ჩავდივარ.

***

გურული მამა შვილს ეკითხება:

— აბა, როგორ არის ქართულად „სტოლ“?

— მაგიდა, — პასუხობს შვილი.

— „სტულ“?

— სკამი.

— „სახარ“?

— აქ ვარ.

***

— სად გაატარე არდადეგები?

— ნაწილი — მთაში.

— დანარჩენი?

— დანარჩენი — თაბაშირში...

***

განცხადება:

„ორგანიზაციას სასწრაფოდ ესაჭიროება ოთხი შაჰიდი ქალი ძველი საწყობის დასანგრევად. ანგარიშსწორება „პო-ფაქტუ.“

***

ჭიჭიკია მიფრინავს თვითმფრინავით. დისპეტჩერი ბიჭიკია ატყობინებს:

— კოპიტნარის აეროპორტი არ გიღებს.

— მერე?.. რაი ვქნა, რაი?! — აყვირდა პანიკაში ჩავარდნილი ჭიჭიკია.

— რაი ქნა და დამაფრინდი აგერ... ბიჭოს!..

***

ყველა ქალის ცხოვრებაში დგება სამი პერიოდი:

I — როცა ნერვებს უშლიან მამებს...

II — როცა ნერვებს უშლიან ქმრებს...

III — როცა ნერვებს უშლიან სიძეებს...

***

მონადირის „შავი“ ანეკდოტი:

მელაზე ნადირობის ახალი მეთოდი:

მაჩვს აძლევ პოლიტრას და უშვებ მელასთან სოროში..

15 წუთის შემდეგ, ორივე სიგარეტის მოსაწევად გამოდის და... ბრახ...

***

— ჩემი ცოლის მომზადებული კერძები პირდაპირ ენაზე დნება — ვერაფრით ვასწავლე, რომ საყინულეში არ შეინახოს.

***

ცხოველები ჯარში მიჰყავთ. ლომს ფაფარი გადაჰპარსეს. გვერდზე გაიხედა და ამბობს:

— ვაა, ვირთხა, შენც ჯარში მოდიხარ?!

— ვირთხა კი არა, ზღარბი ვარ, გადამხოტრეს, მე ამათი...

***

— მიხო! ახალ „ტუფლებ“ რად არ იცვამ, ჯო?

— გამყიდველმა მითხრა, პირველ დღეებში მოგიჭერსო, მაზეგ ჩავიცვამ.

***

სპორტის სასახლეში კონცერტზე:

— მოგწონს, ჩემი ცოლი როგორ მღერის?

— რაა?! არ მესმის!

— მოგწონს-მეთქი, ჩემი ცოლის ნამღერი?

— ბოდიში, მარა... ამ ქალის ბღავლის გამო არფერი მესმის!..

გელით თუ არა წარმატება?

სამომავლო გეგმების დაწყობისას, სასარგებლოა, ადამიანმა წინასწარ შეაფასოს საკუთარი პოტენციური შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, საინტერესოა იცოდეთ, თქვენი პირადი მიდრეკილებები და შინაგანი მრწამსი რამდენად შეგიწყობთ ხელს საქმიან წარმატებებში. ტესტში მოცემულ მოსაზრებებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი უნდა გასცეთ.

1. მიმაჩნია, რომ საკუთარი ძალისხმევის მეშვეობით, ადამიანს ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა ძალუძს და არ მესმის იმათი, ვინც გამუდმებით სიძნელეებზე წუწუნებს.

2. როცა რაიმე ამოცანის გადაწყვეტას მავალებენ, ჩემთვის სასურველია, თუ შესაფერის ინსტრუქციასაც მოაყოლებენ.

3. შემიძლია ვთქვა, რომ როცა რაიმეს ვთხოულობ, უარს იშვიათად ვიღებ.

4. როგორც წესი, გამყიდველებთან დავას თავს ვარიდებ, რადგან ვშიშობ, ვინმემ წვრილმან ადამიანად არ მიმიჩნიოს.

5. რიგში დგომისას, თუკი ვინმე ჩემზე წინ ურიგოდ წასვლას შეეცდება, აუცილებლად საკადრის პასუხს გავცემ.

6. ჩემში ბევრად უფრო დიდ ემოციურ განცდას იწვევს წარუმატებლობის შიში, ვიდრე წარმატების იმედი.

7. უმჯობესი იქნება, თუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას სახვალიოდ გადავდებ: შესაძლოა პრობლემა თავისთავად გადაიჭრას ან სულაც ვინმემ გადამიწყვიტოს.

8. სამწუხაროდ, გაუთვალისწინებელ სიტუაციაში საკმაოდ ხშირად აღმოვჩნდები ხოლმე, რადგან მოვლენების წინასწარ განჭვრეტა მიჭირს და ამიტომ, ვერც წინააღმდეგობებისთვის ვემზადები სათანადოდ.

9. ჩვენს დროში, მიზანმიმართულ სწავლასა და სპეციალობის მიღებას გარკვეული თანხის მოგროვებაზე კონცენტრირება სჯობს, რათა შემდეგ ამ დანაზოგით საკუთარი საქმე წამოიწყოთ.

10. ჩემი მიზნისკენ სწრაფვაში შესაძლოა, ხელი შემეშალოს, თუკი ვიღაც-ვიღაცები ჩემს შესაძლებლობებში ეჭვს შეიტანენ.

11. დანამდვილებით არასოდეს ვიცი, რა თანხა მაქვს ხოლმე თან, რადგან ფული ყოველთვის უწესრიგოდ მიყრია ჯიბეებში.

12. თუკი ისეთ საქმეში მონაწილეობას შემომთავაზებენ, რომელიც მოკლე ხანში დიდი მოგების მოტანას მპირდება, თანხმობის მიცემამდე, შემოთავაზებულ წინადადებას საგულდაგულოდ ავწონ-დავწონი.

13. მსხვილი ფინანსური საქმის კეთებისას, წვრილმანებში ეკონომიის გაწევა დიდ სისულელედ მიმაჩნია.

14. თუკი შექმნილი ვითარება ხელს გიშლით დანაპირების შესრულებაში, მაშინ სიტყვის გატეხაც შეიძლება.

15. თუკი ამა თუ იმ საქმეში მონაწილეობის შემთხვევაში მოგებას მოკლე ხანში არ გპირდებიან, ამ საქმეზე ხელის მოკიდება არც ღირს.

16. კარგ პროდუქციას რეკლამა არ სჭირდება.

17. დაგეგმვა – სოციალისტური სისტემის გადმონაშთია.

18. მთავარია, სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა და არა – გამარჯვება.

19. შემიძლია ვთქვა, რომ უცხო ადამიანებთან ლაპარაკის გაბმას ძალზე იოლად ვახერხებ.

20. პირველი მსხვილი მოგების დახარჯვას იმ ნივთის საყიდლად ვაპირებ, რომელზედაც უკვე კარგა ხანია ვოცნებობ და რომლის შეძენის საშუალებაც აქამდე არ მქონდა.

დაანგარიშეთ ქულები:

დადებით პასუხებში დაიწერეთ 1 ქულა — 1, 3, 5, 12, 19 შეკითხვებში; ასევე 1 ქულა დაიწერეთ უარყოფით პასუხებში — 2, 4, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 14, 15, 16, 17, 18, 20 შეკითხვებში.

ტესტის შედეგები

10 ქულაზე ნაკლები: გამორიცხული არ არის, რომ წარმატების მოპოვება შეძლოთ, მაგრამ თქვენი დღევანდელი განწყობილება და მიდრეკილებები ამას ხელს ნაკლებად უწყობს. თქვენ არასაკმარისად ორგანიზებული ადამიანი ბრძანდებით, არც მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები გაქვთ; ამასთან მიდრეკილი ხართ ილუზიებისკენ. ასე რომ, საკუთარი წამოწყებების წარმატებით დასაგვირგვინებლად სერიოზული მუშაობა და საკუთარი თავის სრულყოფა გესაჭიროებათ.

10–15 ქულა: საკმაოდ კარგი საქმიანი პოტენციალის პატრონი ბრძანდებით და შეიძლება ითქვას, ყველა შანსი გაქვთ წარმატების მოსაპოვებლად. მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ: შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის. ამიტომ წარუმატებლობის შემთხვევაში, საკუთარი ემოციების მოთოკვა უნდა ისწავლოთ და სამომავლოდ საკუთარი შეცდომები ჭკუის სასწავლებლად გამოიყენოთ.

15 ქულაზე მეტი: ყველაფრის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ბიზნესმენის გასაოცარი ნიჭით ხართ დაჯილდოებული. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ წარმატება მხოლოდ ნიჭიერებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ — რეალურ სიტუაციაში ამ უნარის გამოყენებაზე.

ᲣᲠᲐᲚᲔᲚᲛᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ



ᲣᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲘᲞᲚᲝᲛᲝ �თᲔᲛᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ: ᲛᲐᲜ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲐ.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲔᲙᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ. თავისთავად ცხადია, საპრეზიდენტო ავტომობილის შექმნისას ნებისმიერ კონსტრუქტორს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. სტუდენტის ამოცანა კი კიდევ უფრო მეტად იმან გაართულა, რომ ის ერთ-ერთი მსხვილი რუსული საავტომობილო კომპანიის დაკვეთას ასრულებდა. არტემ ნერეტინს, სპეცავტომობილი, კომპანიის ხელმძღვანელმა პირადად დაუკვეთა. დეტალებზე ავტორი არ ლაპარაკობს — ამბობს, რომ ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა. სისტემის თავისებურებაზე არც მისმა პედაგოგებმა იციან რაიმე. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბორტ №1 — დაჯავშნული, მისი სალონი კი ტექნიკის ბოლო პარამეტრებით იქნება აღჭურვილი.

ავტომანქანა — რომელიც „პუტინმობილის“ სახელწოდებით მონათლეს, 600 ათას ევროდაა შეფასებული. როგორც არტემ ნერეტინი ამბობს, — „ქვეყნის პირველი პირის იმიჯისა და უსაფრთხოების ხარჯზე, ეკონომიის გაწევა სრული უაზრობაა“. ■

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲯᲐᲕᲨᲐᲜᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘᲗ ᲒᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲐ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲯᲓᲐᲗ

მიუხედავად იმისა, რომ რომ ჯარში სასტიკი კანონები მოქმედებს და მის დამრღვევთ მკაცრი სასჯელი ემუქრება, სპირტიან სასმელს მონატრებული ორი რუსი ახალწვეული, მეთაურის რისხვას არ შეუშინდა და „პრობლემის გადასაჭრელად“ ორიგინალურ ხერხს მიაგნო: მათ ჯავშანტრანსპორტიორი ჩუმად გამოიყვანეს და არყის შესაძენად 40 კმ-ის მანძილზე მდებარე, უახლოესი ქალაქისკენ — ეკატერინბურგისკენ გასწიეს. ჯარისკაცებმა მაღაზიაში არაყი იყიდეს, მანქანაშივე დალიეს და უკან გაბრუნდნენ. უცაბედად, საჭესთან მჯდომი ახალგაზრდა, დიდი რაოდენობით მაგარი სასმლის მიღების შედეგად, ცუდად გახდა და ბეტონის ღობეს შეეჯახა. ჯავშანტრანსპორტიორი მოულოდნელი და ძლიერი შეჯახების შედეგად დაბზრიალდა და იქვე გამვლელი რამდენიმე მანქანა დაამტვრია.

ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა ახალწვეულებისთვის „ლაშქრობა“ სავალალოდ დასრულდა. ჯარისკაცები მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს. როგორც მათი საჯარისო ნაწილის მეთაური ამბობს, წესრიგის დამრღვევთ უმკაცრესი სასჯელი ელის. ■

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲒᲐᲠᲔᲗ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ

ზურაბ წერეთლის საჩუქარი — პეტრე პირველის ექვსმეტრიანი ძეგლი, რომელიც ავტორმა სანქტ-პეტერბურგს უძღვნა, ქალაქგარეთ დაიდგმება.

ძეგლთა პროექტების განმხილველ საზოგადოებრივი საბჭოს წევრებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ მონუმენტი ლენინგრადის ოლქში, შლისელბურგში მდებარე ციხესიმაგრესთან ახლოს, ლადოგისა და ნევის შეერთების ადგილას აღიმართოს. „6-მეტრიანი ძეგლი, თავისი გაბარიტების წყალობით, ჩინებულად გამოჩნდება შორიდან, მდინარე ნევის ნაპირსაც ძალზე მოუხდება და წყლის სივრცის ფონზე შუქურასავით აღიქმება“, — განაცხადა საზოგადოებრივი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა — ვლადიმირ ხოდირევმა. — „აბსოლუტურად ვეთანხმები მწერალ დანილ გრანინს, რომელმაც ადრე აღნიშნა, რომ „ქალაქის ძველ რაიონში, პეტრე პირველის მონუმენტის დადგმა შეუძლებელია, ახალში კი — უხერხული“, — დასძინა მან.

ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ლატვიელმა ვეტერინარმა ედვარდს ლეგეკასმა ბავშვობის დროინდელი ნატვრა აისრულა და მინიზოოპარკი დააარსა, სადაც 400-მდე ცხოველი და 250-მდე ფრინველია თავმოყრილი. ზოოპარკს უამრავი დამთვალიერებელი სტუმრობს, ძირითადად ცხადია, ბავშვები ჭარბობენ.

ედვარდს ლეგეკასი საკუთარ მინიზოოპარკზე პატარაობიდანვე ოცნებობდა. მის გატაცებას მშობლებიც ყველანაირად მხარს უჭერდნენ და მიზნის მისაღწევად შვილს, მატერიალურადაც ეხმარებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოოპარკის ბინადარნი თავს კომფორტულად გრძნობენ და არც საკვები აკლიათ, უახლოეს მომავალში, ლეგეკასი მათ გადაყვანას გაცილებით ფეშენებელურ ვოლიერებში აპირებს. ■



ფოტოკუიიოზები

ივლისის ნომერი

28 ივნისიდან

ლიტერატურული პალიტრა

ბ33/14
ს33/14

- ნიგზო ჭეიშვილი
- მიხო მოსეიშვილი
- ზაურ სამადაშვილი

მონატრება

- გუნსამ ფანტაკიძე

თვალი პატიოსანი

პოეზია

- შოთა ოთაშვილი
- რეზა სამნიაშვილი
- ზაზა ბიბილაშვილი
- ფანგილდ ჯემინგუეი

ალმოხდების მზე (ფიესტა)

- ქეთევან ქერი

ორმაგი დაზღვევა (ამერიკული ბესტსელერი)

№ 7 (10), ივლისი, 2005

ფასი 1.5 ლარი

თქვენ ხომ გვმოვნებისანი მკითხველი ბრძანდებით...